



წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა
საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბორის აკუნინი

ლევიათანი

(პერმეტული დეტექტივი)

ზოგი რამ კომისარ გოშის შავი საქალაქიდან

ო კ მ ი

დანაშაულის ადგილის დათვალიერებისა, რომელიც განხორციელდა 1878 წლის 15 მარტს ლორდ ლიტლბის სახლში ღიუ დე გრენელზე (ქალაქ პარიზის მეშვიდე ოლქი)

[ფრაგმენტი]

... რაღაც გაურკვეველი მიზეზით მთელი მომსახურე პერსონალი ბუფეტში იმყოფებოდა, რომელიც მდებარეობს სახლის პირველ სართულზე, ვესტიბულიდან მარცხნივ (სათავსო 3 პირველ სქემაზე).

მკვდარი გვამების ზუსტი განლაგება ნაჩვენებია მეოთხე სქემაზე, სადაც:

#1 – გვამი მოურავ ეტიენ დელარიუსი, 48 წლისა,

#2 – გვამი ეკონომკა ლორა ბერნარისა, 54 წლისა,

#3 – გვამი პატრონის პირადი ლაქისა, მარსელ პრუსი, 28 წლისა,

#4 – გვამი მოურავის შვილისა, ლუკა დელარიუსი, 11 წლისა,

#5 – გვამი მოახლე არლეტ ფოშისა, 19 წლისა,

#6 – გვამი ეკონომკას შვილის, ან-მარი ბერნარისა, 6 წლისა,

#7 – გვამი მცველ ჟან ლესაჟისა, 42 წლისა, რომელიც 16 მარტის დილით გარდაიცვალა სენ-ლაზარის საავადმყოფოში.

#8 – გვამი მეკარე ჟან კარპანტიესი, 40 წლისა.

გვამები, რომლებიც აღნიშნულია ##1-6, განლაგებულია დიდი სამზარეულოს მაგიდის ირგვლის

მჯდომარე მდგომარეობაში, თანაც ##1-3 გაშემდნენ გადაჯვარედინებულ ხელებზე ჩამოდებული თავებით,

#4 ხელისგულს ეყრდნობა ლოყით, #5 სკამის საზურგისკენ გადავარდნილა, ხოლო #6 მუხლებზე უზის #2.

სახეები ##1-6 მშვილი აქვთ, შიშისა და ტანჯვის უმცირესი ნიშნების გარეშე. ამავედროულად ##7-9, როგორც

ჩანს სქემაზე, წვანან მაგიდიდან მოშორებით. #7 ხელში სასტვენს უკავია, თუმცა მეზობლებიდან არავის

გაუგონია სტვენს წინა საღამოს. #8 და #9 სახეზე შეჰყინვიათ შიშის გამომეტყველება ანდა,

ყოველშემთხვევაში, უკიდურესი განცვიფრებისა (ფოტოგრაფიული სურათები წარმოდგენილი იქნება

ხვალ დილისთვის). შებრძოლების კვალი არ აღინიშნება. სახელდახელო დათვალიერებისას დაზიანებები

გვამებზე აგრეთვე არ აღინიშნება. სივდილის მიზეზის დადგენა გაკვეთის გარეშე შეუძლებელია. გვამების

გაქვავების ნიშნების მიხედვით სასამართლო-სამედიცინო ექიმმა, მეტრ ბერნემმა დაადგინა, რომ

სიკვდილი სხვადასხვა დროს მოხდა, საღამოს 10 საათიდან (#6) დილის 6 საათამდე, ხოლო #7, როგორც

უკვე მოგახსენეთ, მოგვიანებით გარდაიცვალა, საავადმყოფოში. სამედიცინო ექსპერტების შედეგების

დაულოდნელად, გაგებდავ ვივარაუდო, რომ ყველა მსხვერპლი ძლიერმოქმედი შხამის ზემოქმედების

ქვეშ იყო, სწრაფად დაძინების ეფექტით, ხოლო გულის გაჩერების დრო დამოკიდებული გახლდათ ან

მიღებულ შხამის დოზაზე, ანდა თითოეული მოწამლულის ფიზიკურ სიძლიერეზე.

სახლის შესასვლელი კარი მიხურულია, მაგრამ ჩაკეტილი არ არის. თუმცა ორანჟერიის ფანჯარაზე (პუნქტი 8 პირველ სქემაზე) სახეზეა გატეხვის ცხადი ნიშნები: მინა ჩამსხვრეულია, ფანჯრის ქვეშ, ფხვიერი მიწის ვიწრო ზოლზე ჩანს ბუნდოვანი კვალი მამაკაცის ფეხსაცმლისა, სიგრძით 26 სანტიმეტრი, წვეტიანი ცხვირით და ანაბეჭდიანი ქუსლით (ფოტოგრაფიული სურათები წარმოდგენილი იქნება). ეტყობა, დამნაშავემ სახლში ბალიდან შეაღწია, თანაც უკვე მას შემდეგ, როცა მსახურები უკვე მოწამლულები იყვნენ და ეძინათ – ასე რომ არა, ისინი დაუყოვნებლივ გაიგონებდნენ გატეხილი მინის მსხვრევის ხმას. ამავდროულად გაუგებარია, იმის მერე, რაც მსახურები გაუვნებელყოფილნი იყვნენ, რაში დასჭირდა დამნაშავეს ბალიდან გადაძვრომა – ხომ შეეძლო მშვიდად შესულიყო სახლში ბუფეტიდან. ასეა თუ ისე, დამნაშავე ორანჟერიიდან მეორე სართულზე ავიდა, სადაც ლორდ ლიტლბის პირადი მოსასვენებელია (იხილე სქემა მეორე). როგორც სქემაზე ჩანს, მეორე სართულის მარცხენა ნაწილში მხოლოდ ორი სათავსოა: დარბაზი, სადაც ინდოეთის რარიტეტების კოლექციაა განლაგებული და უშუალოდ დარბაზთან მიმდებარე პატრონის საძინებელი. ლორდ ლიტლბის გვამი მეორე სქემაზე აღნიშნულია #10-ით (იხილე აგრეთვე კონტურული ნახატი). ლორდ ლიტლბის აცვია საშინაო ქურთუკი და მაუდის პანტალონი, მარჯვენა ტერფზე შემოხვეულია ბინტის სქელი ფენა. გვამის პირველადი დათვალიერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სიკვდილი მოხდა მძიმე, წაგრძელებული საგნის უჩვეულოდ ძლიერი დარტყმით თხემის არეში. დარტყმა მიყენებულია წინიდან. ხალიჩა რამდენიმე მეტრზე მოთხვრილია სისხლითა და ტვინის ნივთიერებით. დასვრილია აგრეთვე გახეტილი მინის ვიტრინა, რომელშიც, წარწერის მიხედვით, ადრე იდო ინდოელი ღმერთის, შივას პატარა ქანდაკება (წარწერა: `ზანგალორი, XVII ს-ის მეორე ნახევარი, ოქრო). გამქრალი სკულპტურული გამოსახულების ფონად იყო ინდური ნაქარგი ხელსახოცები, რომელთაგან ერთ-ერთი ასევე გამქრალია.

დოქტორ ბერნემის ანგარიშიდან

ლიუ დე გრენელიდან მოსვენებული გვამების პათოლოგოანატომიური გამოკვლევის შედეგებზე

... თუმცა, თუკი ლორდ ლიტლბის სიკვდილის მიზეზი (გვამი #10) ნათელია და აქ უჩვეულოდ შეიძლება ჩავთვალოთ დარტყმის ძალა, შვიდ ფრაგმენტად რომ გადახსნა თავის ქალა, ##1-9 სურათი ნაკლებად ცხადი იყო და საჭირო შეიქმნა არა მხოლოდ გაკვეთა, არამედ ქიმიურ-ლაბორატორიული გამოკვლევა. ამოცანას გარკვეულწილად ამსუბუქებდა ის ფაქტი, რომ ჟ. ლესაჟი (#7) პირველადი დათვალიერების მომენტში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, და ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნებით (დაწვრილებული გუგები, შენელებული სუნთქვა, ცივი, წებოვანი კანი, ტუჩების და დაწვების სიწითლე) შეიძლებოდა გვევარაუდა მოწამვლა მორფიუმით. სამწუხაროდ, ადგილზე პირველადი დათვალიერების დროს ჩვენ გამოვდიოდით შხამის პრე-ორალური მიღების ვერსიიდან, რომელიც თვალნათლად გვეჩვენებოდა და ამიტომ დაწვრილებით დავათვალიერეთ მხოლოდ პირის ღრუები და ყელები გარდაცვლილებისა. როცა პათოლოგიური ვერა ვიპოვეთ რა, ექსპერტიზა ჩიხში მოექცა. მხოლოდ მორგში გამოკვლევისას ცხრიდან თითოეულ გარდაცვლილს მარცხენა იდაყვის შიდა მოხრილობაზე აღმოაჩნდა ძლივს შესამჩნევი ინექციის კვალი. მართალია, ეს უკვე გვარიანად სცილდება ჩემი კომპეტენციის სფეროს, მაგრამ თავს ნებას მივცემ რწმენის საკმაო დოზით ვივარაუდო, რომ ნემსები გაკეთებულია იმ პირის მიერ, რომელსაც არცთუ მცირე გამოცდილება აქვს ასეთი პროცედურების ჩატარებისა. ამგვარ დასკვნამდე მიმიყვანა ორმა გარემოებამ: 1) ინექციები გაკეთებულია განსაკუთრებულად კარგად, დათვალიერებულთაგან არცერთს არ დარჩენია თვალისთვის შესამჩნევი გემატომები; 2) ნარკოტიკულ გონისდაკარგვაში ჩავარდნის ჩვეულებრივი დრო შეადგენს სამ წუთს, ხოლო ეს კი ნიშნავს, რომ ცხრავე ნემსი სწორედ მოცემულ ინტერვალში გაკეთდა. ან ოპერატორი იყო რამდენიმე (რაც ნაკლებად სარწმუნოა), ანდა ერთი, მაგრამ ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი სიმარჯვის მფლობელი – რომც ვივარაუდოთ, რომ მან წინასწარ მოამზადა შხამით სავსე

შპრიცები თითოეულისთვის. სინამდვილეში, ძნელი წარმოსადგენია, რომ სრულ ჭკუაზე მყოფი ადამიანი ხელს გაუწვდის ნემსის გასაკეთებლად, თუკი მის თვალწინ ვიღაცამ უკვე დაკარგა გონება ამ პროცედურის მეოხებით. მართალია, ჩემი ასისტენტი მეტრ ჟოლი თვლის, რომ ეს ადამიანები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ჰიპნოზური ტრანსის მდგომარეობაში, მაგრამ მრავალწლიანი მუშაობის განმავლობაში მე ამისთანას არაფერს შევხვედრივარ. ბატონი კომისრის ყურადღებას აგრეთვე მივაპყრობ იმას, რომ ##7-9 იატაკზე იწვნენ ისეთ პოზებში, რომლებიც გამოხატავდნენ მღელვარებას. ვვარაუდობ, რომ ამ სამმა ბოლოს მიიღო ინექციები (ანდა ჰქონდათ ამალღებული წინააღმდეგობის უნარი) და იქამდე, ვიდრე გონებას დაჰკარგავდნენ, მიხვდნენ, რომ მათ ამხანაგებს რაღაც საეჭვო ემართებოდათ. ლაბორატორიულმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ მსხვერპლთაგან თითოელმა ჩვეულებრივზე დაახლოებით სამჯერ მეტი მორფიუმის დოზა მიიღო. გოგონას გვამის მდგომარეობით (#6) თუ ვიმსჯელებთ, რომელიც პირველი უნდა მომკვდარიყო, ინექციები გაკეთებული იქნა 15 მარტის საღამოს 9 და 10 საათს შორის.

ათი სიცოცხლე
ოქროს ღმერთისთვის!

კომმარული ბოროტმოქმედება ფეშენებელურ კვარტალში

დღეს, 16 მარტს, მთელი პარიზი საზარელ დანაშაულზე ლაპარაკობდა, არისტოკრატიული ღიუ და გრენელის ღირსეული სიმშვიდე რომ დაარღვია. `რევიუ პარიზიენის` კორესპონდენტი ტრაგედიის ადგილზე გაიქცა და უკვე მზადაა, ჩვენი მკითხველის კანონიერი ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილოს.

მაშ, ასე, დღეს დილით ფოსტალიონმა ჟაკ ლე-შიენმა, როგორც ყოველთვის, რვა საათი რომ დაიწყო, იმ ორსართულიანი, ელეგანტური სახლის კარზე დარეკა ზარი, რომელიც ცნობილ ბრიტანელ კოლექციონერს, ლორდ ლიტლბის ეკუთვნის. როცა კარის დარაჯმა კარპანტიემ, ყოველთვის პირადად რომ იღებდა ფოსტას მისი ბრწყინვალეობისათვის, არ გააღო, ბ-ნ ლე-შიენს გაუკვირდა და, რაკი შენიშნა, რომ კარი ღიაა, მისაღებში შევიდა. ერთი წუთის შემდეგ საფოსტო უწყების 70 წლის ვეტერანი ველური ღრიალით გამოვარდა უკან, ქუჩაში. გამომახებით მოსულმა პოლიციამ სახლში აიდას ნამდვილი სამეფო აღმოაჩინა – შვიდი მსახურსა და ორ ბავშვს (11 წლის მოურავის ბიჭს და 6 წლის ეკონომკას შვილიშვილ გოგონას) – მარადიული ძილით ეძინათ. პოლიცია ავიდა მეორე სართულზე და იქ იპოვა სახლის პატრონი, ლორდი ლიტლბი. ის სისხლის გუბეში ცურავდა, სწორედ იმ საცავში მოეკლათ, სადაც ინახებოდა მისი აღმოსავლური იშვიათობების სახელგანთქმული კოლექცია. 55 წლის ინლისელი კარგად იყო ცნობილი ჩვენი ქალაქის მაღალ საზოგადოებაში. ექსცენტრიულ და განმარტოებულ ადამიანს მიაგავდა, თუმცა სწავლული-არქეოლოგები და აღმოსავლეთმცოდნეები ლორდ ლიტლბის ინდოეთის ისტორიის ჭეშმარიტ მცოდნედ მიიჩნევდნენ. ლუვრის დირექციის მცდელობები, ამ ნაირ-ნაირი კოლექციის ცალკეული ეგზემპლარების შესყიდვის თაობაზე, ლორდის მიერ აღმფოთებით იყო ხოლმე უკუგდებული. განსვენებული განსაკუთრებულად უფრთხილდებოდა შივას უნიკალურ ოქროს სტატუეტს, რომელიც მცოდნე ადამიანებისგან შეფასებულია ყველაზე ნაკლებ ნახევარმილიონ ფრანკად. ფრთხილ და ეჭვიან ლორდ ლიტლბის ძალიან ეშინოდა მძარცველებისა და საცავში დღითა და ღამით მორიგეობდა ორი შეიარაღებული მცველი.

გაურკვეველია, თუ რატომ მიატოვეს მცველებმა თავისი პოსტი და პირველ სართულზე ჩავიდნენ. გაუგებარია, რა უხილავი ძალა გამოიყენა დანაშაულმა, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე თავისი

ნებისთვის დაემორჩილებინა სახლის ყველა მცხოვრები (პოლიცია ეჭვობს, რომ გამოყენებულია რაღაც სწრაფმოქმედი შხამი). თუმცა ნათელია, რომ ბოროტმოქმედი თავად პატონს არ ელოდა სახლში – ეტყობა, მისი ეშმაკური გათვლები დაირღვა. ალბათ, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის მხეცური სისასტიკე, რომლითაც მოკლულ იქნა პატივცემული კოლექციონერი. როგორც ჩანს, დანაშაულის ადგილიდან რომ მიიშალა, მკვლელი პანიკაში იყო ჩავარდნილი. ყოველ შემთხვევაში, მან მხოლოდ სტატუეტი აიღო და ერთი ნაქარგი ინდური ხელსახოცი, გამოფენილი იმავე ვიტრინაში. ხელსახოცი, ეტყობა, იმისთვის დასჭირდა, რათა ოქროს შივა გაეხვია – ეს რომ არ გაეკეთებინა ნაკეთობის ელვარებას შეეძლო გვიანი გამვლელიდან ვინმეს ყურადღება მიექცია. სხვა ფასეულობები (არადა ისინი ცოტა როდია კოლექციაში) ხელუხლებელი დარჩა. თქვენმა კორესპონდენტმა დაადგინა, რომ ლორდ ლიტლბი გუშინ შემთხვევით აღმოჩნდა შინ, გარემოებათა საბედისწერო დამთხვევით. სადამოს წყლებზე უნდა წასულიყო, თუმცა ნიკრისის ქარების მოულოდნელი შემოტევის გამო სახლში დარჩა – სასიკვდილოდ.

ღიუ დე გრენელზე მომხდარი მასიური მკვლელობის ცბიერი გაქანება და ცინიკურობა ყოველგვარ წარმოსახვას სცილდება. როგორი დაუნდობლობაა ადამიანის სიცოცხლისა! როგორი საშინელი სისასტიკეა! და რისი გულისთვის – ოქროს კერპის გამო, რომელსაც ახლა ვეღაც კი გაყიდი! გადადნობისას ხომ შივა ჩვეულებრივ, ორკილოგრამიან ჩამონასხამად გადაიქცევა. ყვითელი მეტალის ორასი გრამი – აი, საფასური, რომელიც დამნაშავემ მისცა ათი დაღუპული სულიდან თითოეულში. O tempora, o mores! – წამოვიძახებთ ჩვენ ციცირონის მსგავსად.

თუმცა არის საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ეს გაუგონარი ბოროტმოქმედება დაუსჯელი არ დარჩება. პარიზის პრეფექტურის მამებართაგან ყველაზე გამოცდილმა გუსტავ გომმა, რომელსაც მინდობილი აქვს გამოძიება, მტკიცედ განუცხადა თქვენს კორესპონდენტს, რომ პოლიციას გააჩნია რომელიღაც მნიშვნელოვანი სამხილი. კომისარი აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ შურისძიება მალევე მოხდება. ჩვენს შეკითხვაზე, ეს დანაშაული ხომ არ ჩაუდენია რომელიმე პროფესიონალ მძარცველს, ბ-ნმა გომმა ეშმაკურად ჩაიღიმა თავის ჭადარა უღვაშებში და გაურკვეველად გვიპასუხა: 'არა, შვილო, აქედან ძაფი მაღალი საზოგადოებისკენ მიდის'. ამის მეტად თქვენმა მონა-მორჩილმა ერთი სიტყვაც კი ვეღარ ათქმევინა.

ჟ. ღიუ რუა

თევზაობაც ასეთი უნდა!

ოქროს შივა ნაპოვნია! 'საუკუნის დანაშაული' ღიუ დე გრენელზე – ჭკუიდან გადასულის ხელითაა ჩადენილი?

გუშინ, 17 მარტს, შუადღის ექვს საათზე, 13 წლის პიერ ბ.-ს ანკესი, ინვალიდების ხიდთან რომ თევზობდა, ისე მაგრად გამოედო ნემსკავით ფსკერზე, რომ ბიჭი იძულებული გახდა ცივ წყალში გადამხტარიყო ('აბა, სულელი ვარ, ნამდვილი ინლისური ნემსკავი დაგვარგო?' - უთხრა ახალგაზრდა მეთევზემ ჩვენს რეპორტიორს). პიერის თავდადება დაფასდა: ნემსკავი გამოედო არა რომელიმე ვულგარულ ნარჩენს, არამედ მძიმე საგანს, ნახევრად რომ ჩაფლულიყო ფსკერში. წყლიდან ამოღებულმა იმ საგანმა არამიწიერი ელვარებით დაიწყო კამკაში და განცვიფრებული მეთევზე დააბრმავა. პიერის მამა, გადამდგარი სერჟანტი და სედანის ვეტერანი მიხვდა, რომ სწორედ ეს არის სახელგანთქმული ოქროს შივა, რომლის გულისთვისაც გუშინწინ ათი ადამიანი მოკლეს, და ნაპოვნი პრეფექტურაში მიიტანა.

როგორ უნდა გავიგოთ ეს? დამნაშავეს, რომელსაც უკან არ დაუხვია ამდენი ადამიანის ცივისსხლიანი და გაწაფული მკვლელობის წინაშე, რატომღაც არ ისურვა ესარგებლა თავისი საშინლად გაუგონარი

სიმარჯვის ნადავლით! გამოძიება და საზოგადოება ჩიხში მოექცნენ. საზოგადოება, როგორც ჩანს, იქითკენ იხრება, რომ მკვლელი მოგვიანებით შეაწუხა სინდისმა და ჩადენილი დანაშაულისგან დამფრთხალმა ოქროს კერპი მდინარეში მოისროლა. ბევრი იმასაც ვარაუდობს, რომ ბოროტმოქმედი ალბათ თავადაც დაიხრჩო სადმე ახლო-მახლო. პოლიცია კი ნაკლებად რომანტიკულია და დამნაშავის ქმედებათა არათანმიმდევრულობაში ჭკუიდან გადასვლის აშკარა ნიშნებს ხედავს. შევიტყობთ კი ოდესმე ამ კომმარული, გაუგონარი ამბის სინამდვილეს?

პარიზელი ლამაზმანების ალბომი

20 ფოტოგრაფიული სურათისგან შემდგარი სერია იგზავნება თავისი ფასით 3 ფრანკი და 99 სანტიმი, სადაც შედის გაგზავნის ღირებულებაც. უნიკალური წინადადებაა! იჩქარეთ – ტირაჟი შეზღუდულია. პარიზი, ღიუ კოიპელი, ტიპოგრაფია `პატუ და შვილი`.

პირველი ნაწილი

პორტ-საიდი – ადენი

კომისარი გომი

პორტ-საიდში `ლევიათანის` ბორტზე ახალი მგზავრი ამოვიდა, მეთვრამეტე დაიკავა, პირველი კლასის ბოლო ვაკანტური ადგილი, და გუსტავ გომს მაშინათვე გამოუკეთდა გუნება. ახლადმოსული ერთობ დამაიმედებლად გამოიყურებოდა: თავშეკავებული და აუჩქარებელი მოძრაობები, ლამაზი სახის შეუვალი გამომეტყველება – ერთი შეხედვით თითქოს სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ როცა ობიექტმა შლაპა მოიხადა, მოულოდნელად აღმოაჩნდა გაჭაღარავებული საფეთქლები. საინტერესო ეგზემპლარია, გადაწყვიტა კომისარმა. ზედვე ეტყობა – მტკიცეა და, როგორც იტყვიან, გამოცდილი. მოკლედ, მამიკო გომის უეჭველი კლიენტია.

მგზავრი ტრაპზე მოდიოდა, პორტპლედს მოიქნევდა, ხოლო გაოფლილი მტვირთავები ბლომად ბარგს ეზიდებოდნენ: ძვირფასი, ჭრაჭუნა ჩემოდნები, ღორის ტყავის მშვენიერი საკვოიაჟები, დიდი შეფუთულები წიგნებით და დასაკეცი ველოსიპედიც კი (ერთი დიდი ბორბალი, ორი პატარა და მბრწყინავი მეტალური მილების შეკვრა). ამ მსვლელობას ორი ოყლაყი აბოლოებდა, შთამბეჭდავი შეხედულების გიმნასტიკურ გირებს რომ ეზიდებოდა.

ბებერი მამებრის (ასეთ ატესტაციას უკეთებდა კომისარი საკუთარ თავს), გომის გული აჩქროლდა მონადირული აზარტით, როცა ახალს არ აღმოაჩნდა ოქროს ნიშანი – არც ძვირფასი საზაფხულო პალტოს აბრეშუმის ლაცკანზე, არც პიჯაკზე და არც საათის ძეწკვზე. დათბა, ძალიან დათბა, ფიქრობდა გომი, ფხიზლად ათვალიერებდა ფრანტს თავისი ფაჩვიერი წარბების ქვემოდან და თავის საყვარელ თიხის ჩიბუხს აქსუტუნებდა. და ისიც სათქმელია – თავად საიდან მოიტანა ამ ბებერმა ყვავმა, რომ სულთამხდელი ორთქლმავალზე აუცილებლად საუტჰენპტონში დაჯდება? დანაშაული ჩადენილია თხუთმეტ მარტს, დღეს კი უკვე პირველი აპრილია. ძალიან ადვილად მოაღწევ პორტ-საიდადმდე, სანამ `ლევიათანი` დასავლეთ ევროპის კონტურს ხაზავდა. და აჰა, ყველაფერი ერთი ერთზეა: ტიპის მიხედვით ნაღდი კლიენტი პლუს პირველი კლასი პლუს მთავარი – ოქროს ვეშაპის გარეშე.

ამ წყეულმა სამკერდე ნიშანმა საორთქლმავლო კომპანია `ჯასპერ-არტო პარტნერშიპის` აბრევიატურით გარკვეული დროიდან გომს ღამ-ღამობით დაუწყო გამოცხადება, და ყველა ეს სიზმრები რაღაც

მეტისმეტად საძაგელი იყო. მაგალითად, ამასწინანდელი.

კომისარი მაღამ გოშთან ერთად ნავით სეირნობდა ბულონის ტყეში. ანათებდა მზე, გალობდნენ ჩიტები. უცებ ხეების ზემოდან გამოიხედა მოოქროვილმა სიფათმა უაზრო მრგვალი თვალებით, დაალო ხახა, რომელშიც ადვილად მოთავსდებოდა ტრიუმფალური თაღი და გუბურის შეხვრეპა დაიწყო. ოფლში გახვითქული გოში ნიჩბებს დააწვა. თანაც აღმოჩნდა, რომ ეს ამბავი სულაც არ ხდება პარკში, არამედ შუაგულ, უნაპირო ოკეანეში. ნიჩბები ილუნებოდა, როგორც ჩალა, მაღამ გოში მკვიცნეულად ურჭობდა ქოლგას ზურგში, ხოლო უზარმაზარმა მბრწყინავმა არსებამ მთელი ჰორიზონტი გადაფარა. და როცა ნახევარ ცაზე შადრევანი გამოუმვა, კომისარს გამოეღვიძა და აკანკალებული ხელი საკმზე მოაფათურა – სად არის ჩიბუხი და ასანთი?

ოქროს ვეშაპი პირველად დიუ დე გრენელზე ნახა გოშმა, როცა ლორდ ლიტლბის მსწრაფლ წარმავალი არსების მონარჩენებს ათვალერებდა. ინგლისელი იწვა, მუნჯური ყვირილით გაელო პირი – ყბა ნახევრად გამოვარდნოდა, შუბლს ზემოთ სისხლიანი სუფლუა. გოში ჩაიმუხლა – მოეჩვენა, რომ გვამს თითებშუა ოქროს ნაჭერი უბრწყინავს და რომ დააკვირდა, კმაყოფილებით ამოიხვნეშა. თავისით მოვიდა იშვიათი, გაუგონარი წარმატება, რომელიც მხოლოდ კრიმინალურ რომანებში არის ხოლმე. მიცვალებულმა, ამ ჭკვიანმა, გამოძიებას მნიშვნელოვანი გეში, მტკიცებულება მიაწოდა – ლანგრით კი არა, ხელისგულით. აჰა, გუსტავ, დაიჭი. და ერთი მარტო გაუშვი, ვინც მე თავის ქალა გადამიხსნა – სირცხვილისგან გასკდები, შე ბებერო კუნძო.

ოქროს ემბლემა (მართალია, თავიდან გოშმა ჯერ არ იცოდა, რომ ეს ემბლემა იყო, - ფიქრობდა, სამშვენიისაო ანდა ქინძისთავით სამაგრიანო მფლობელის მონოგრამით) მხოლოდ მკველელს შეიძლება დაჰკუთვნებოდა. ყოველ შემთხვევაში კომისარმა, რა თქმა უნდა, ვეშაპი უმცროს ლაქიას აჩვენა (აი, ვის გაუმართლა: თხუთმეტ მარტს ყმაწვილს გამოსასვლელი დღე ჰქონდა, რამაც სიცოცხლე შეუნარჩუნა), მაგრამ ლაქიას ადრე არასდროს შეუნიშნავს ლორდისთვის ამისთანა სამშვენიისი. და მადლობა ღმერთს. მერე მთელი უშველებელი პოლიციური მექანიზმის მქნევარები და ბორბლები დატრიალდნენ – მინისტრმა და პრეფექტმა ყველა საუკეთესო ძალა `საუკუნის დანაშაულის` გასახსნელად გადაისროლეს. მომდევნო დღის სადამოსთვის გოშმა უკვე იცოდა, რომ სამი ასო ოქროს ვეშაპზე – ვილაც ვალებში ჩაფლული სულთამხდელის ინიციალები კი არ არის, არამედ აღნიშნავს ახლახანს შექმნილ ფრანკო-ბრიტანულ სახომალდო კონსორციუმს. ვეშაპი კი აღმოჩნდა ემბლემა საოცარი გემისა, `ლევიათანისა`, ამასწინათ რომ ჩამოუმევს გემხარბეხებიდან ბრისტოლში და თავისი პირველი რეისისთვის რომ ემზადებოდა ინდოეთში.

გაზეთები რამდენიმე თვეა გაჰყვიროდნენ ამ გიგანტურ ორთქლმავალზე. ახლა კი აღმოჩნდა, რომ `ლევიათანის` პირველი ცურვის აღსანიშნავად ლონდონის ზარაფხანამ ჩამოასხა ოქროს და ვერცხლის სამახსოვრო ნიშნები: ოქროსი პირველი კლასის მგზავრებისთვის და ხომალდის უფროსი ოფიცრებისთვის, ვერცხლისა – მეორე კლასის მგზავრებისთვის და სუბალტერნებისთვის. მესამე კლასი ამ მდიდრულ ხომალდზე, სადაც თანამედროვე ტექნიკის მიღწევები შერწყმული იყო გაუგონარ კომფორტთან, საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. კომპანია მოგზაურებს სრულ მომსახურებას ჰპირდებოდა, ასე რომ, ამ ცურვაში მოსამსახურის წამოყვანის საჭიროება აუცილებელი არ იყო. `ყურადღებანი ლაქიები და ტაქტიკური მოახლეები იზრუნებენ იმაზე, რომ თქვენ `ლევიათანის` ბორტზე ისე იგრძნოთ თავი, როგორც სახლში!` - იტყობინებოდა მთელი ევროპის გაზეთებში დაბეჭდილი რეკლამა. იმ ბედნიერებს, ვინც საუტპემპტონ-კალკუტას პირველ რეისზე შეუკვეთა კაიუტა, ბილეთთან ერთად აძლევდნენ ოქროს ან ვერცხლის ვეშაპს, კლასის მიხედვით. ბილეთის შეკვეთა კი ევროპის ნებისმიერ დიდ პორტში შეიძლება, ლონდონიდან კონსტანტინოპოლამდე.

რას იზამ, `ლევიათანის` ემბლემა უარესია, ვიდრე მფლობელის ინიციალები, მაგრამ ამოცანა უფრო მეტად გართულდა, მსჯელობდა კომისარი. ყველა ოქროს ნიშანი დათვლილია. უბრალოდ, ცხრამეტ მარტს უნდა

დაელოდოს – ამ დღეს არის დანიშნული საზეიმო გაცურვა, - ჩავიდეს საუთჰენპტონში, ავიდეს ორთქლმავალზე და ნახოს, პირველი კლასის მგზავრიდან რომელს არა აქვს ოქროს ვეშაპი. ანდა (რაც უფრო მართებულია), ამ ძვირფასი ბილეთების მყიდველთაგან ვინ არ გამოცხადდა ბორტზე. აი, სწორედ ის იქნება მამიკო გომის კლიენტი. ადვილი საქმეა.

გომა არაფრის დიდებით არ უყვარდა მოგზაურობა, აქ კი თავი ვეღარ შეიკავა. ძალიან უნდოდა პირადად გაეხსნა 'საუკუნის დანაშაული'. მერე ნახე, თუ სადივიზიოც თუ არ მოგცენ. პენსიამდე სულ სამი წელია. მესამე თანრიგით პენსიის მიღება სხვაა და მეორეთი კიდეც – სულ სხვა. სხვაობა ათასნახევარი ფრანკია წელიწადში და ათასნახევარი ხეებზე კი არ ასხია.

მოკლედ, თავად ითხოვა. ფიქრობდა, საუთჰემტონამდე გაესეირნა – ანდა, უარეს შემთხვევაში, ჰავრამდე მიეცურა, პირველ გაჩერებამდე, იქ კიდეც ჟანდარმებიც იქნებიან ნავმისადგომზე და ჟურნალისტებიც.

'რევიუ პარიზიენის' მეთაური: 'საუკუნის დანაშაული' გახსნილია: ჩვენი პოლიცია სათანადო სიმაღლეზეა. ან ამაზე უკეთესი: 'მოხუცმა მამებარმა გომმა არ გვიღალატა'.

ო-ჰო-ჰო. პირველი უსიამოვნო სიურპრიზი კომისარს სახომალდო კანტორაში ელოდებოდა, საუთჰემპტონში. გამოირკვა, რომ ამ წყეულ ორთქლმავალზე პირველი კლასის მთელი ასი კაიუტაა და ათი უფროსი ოფიცერი. ყველა ბილეთი გაყიდულია. ასოცდათორმეტი ცალი. გამოდის, რომ ას ორმოცდაორი ეჭვიმტანილია, როგორია? მაგრამ ის ემბლემა ხომ მხოლოდ ერთს არ აღმოაჩნდება, თავს იმშვიდებდა გომი.

ცხრამეტი მარტის დილით ნესტიანი ქარისგან გაფხორილი, თბილ კაშნეში გახვეული კომისარი ტრაპის მახლობლად იდგა, კაპიტანთან, მისტერ ჯოსაია კლიფთან და პირველ ლეიტენანტთან, მუსიე შარლ რენიესთან ერთად. მგზავრებს ხვდებოდნენ. სასულე ორკესტრი შეუჩერებლად უკრავდა ინგლისურ და ფრანგულ მარშებს, პირსზე აღტკინებით ხმაურობდა ბრბო, ხოლო გომი უფრო და უფრო მრისხანედ ქმინავდა და უდანაშაულო ჩიბუხს ღრღნიდა. სამწუხაროდ – ცივი ამინდის გამო ყველა მგზავრი ლაზადებში, პალტოებში, შინელებში, კაპოტებში იყო. მოდი და, გაარჩიე, ვის აქვს ნიშანი და ვის არა. ეს იყო საჩუქარი ნომერი ორი.

ყველა, ვინც საუთჰემპტონში უნდა ჩამჯდარიყო ორთქლმავალში, ადგილზე აღმოჩნდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ, მიუხედავად ნიშანის დაკარგვისა, დამნაშავე მაინც მოვიდა გემზე. ეტყობა, პოლიციელებს სრულ იდიოტებად სთვლის. ანდა იმედი აქვს, რომ ამდენ ხალხში დაიმალება? ეგებ, სხვა გამოსავალი არა აქვს?

მოკლედ, ერთი რამ ნათელი იყო – ჰავრამდე გაესეირნება მოუწევდა. გომს სარეზერვო კაიუტა გამოუყვეს, რომელიც კონსორციუმის საპატიო სტუმრებისთვის იყო.

გაცურვისთანავე პირველი კლასის გრანდ-სალონში ბანკეტი გაიმართა, რომელზეც კომისარი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა, რაკი მოსაწვევებზე აღნიშნული იყო: 'შესვლა წარმოდგენილი ოქროს ემბლემით ანდა პირველი კლასის ბილეთით'. მაგრამ ხელით ვინ დაიწყებს ბილეთის ტარებას, უფრო ადვილი არ არის ლამაზი ოქროს ლევიათანი დაიმაგრო?

ბანკეტზე გომს სული ამოუვიდა – თითოეულს აკვირდებოდა. იძულებული იყო ზოგიერთ ქალბატონს დეკოლტეში ცხვრით ჩაძვრომოდა. ჰკიდია თუ არა იქ ოქროს ძეწკვზე რაღაცა – ან ვეშაპი, ანდა უბრალო კულონი. როგორ არ შეემოწმებინა?

ყველა სვამდა შამპანურს, ყველანაირ სიგემრიელეს იღებდნენ ვერცხლის ლანგრებიდან, ცეკვავდნენ, გომი კი მუშაობდა: სიიდან იმათ შლიდა, ვისაც ნიშანი ჰქონდა. ყველაზე მეტი ხათაბალა კაცებზე იყო. ბევრმა მათგანმა, იმ ტვინუსუარმა, ვეშაპი საათის ძეწკვზე მიიმაგრა, თან ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო. კომისარს თერთმეტჯერ მოუწია დაინტერესება, თუ რა დრო იყო ახლა.

მოულოდნელობა ნომერი სამი: ყველა ოფიცერს ნიშანი ადგილზე ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ უემბლემო მგზავრი ოთხი აღმოჩნდა, თანაც ორი ქალთა სქესისა! დარტყმა, რომელმაც ლორდ ლიტლბის კაკლის

ნაჭუჭივით გადაუხსნა თავისქალა, ისეთი ძალისა იყო, რომ იმის ჩამდენი მხოლოდ კაცი უნდა ყოფილიყო, და უბრალო კაცი კი არა, გამორჩეულად ღონიერი. მეორე მხრივ, კომისრისთვის, როგორც გამოცდილი კაცისთვის სისხლის სამართლის საქმეში, ბრწყინვალედ იყო ცნობილი, რომ აფექტის მდგომარეობაში ანდა ისტერიული ადგნებისას ყველაზე სუსტ ქალს შეუძლია ნამდვილი საოცრებების ჩადენა. შორს რატომ უნდა წავიდეს მაგალითებისთვის. გასულ წელს მოდისტმა ნეიიდან, ნამდვილმა პიგალელმა, მოლალატე საყვარელი – თავისზე ორჯერ სქელი და ერთნახევარჯერ მაღალი ჩაგდმული რანტიე მეოთხე სართულის ფანჯრიდან გადააგდო. ასე რომ, უნიშნო ქალების ეჭმიტანილთა სიიდან ამოღება არ შეიძლებოდა. თუმცა სად გაგონილა, რომ ქალს, თანაც ქალს მაღალი საზოგადოებიდან, ასე მარჯვედ შესძლებოდა ნემსების გაკეთება...

ასეა თუ ისე, გამოძიება `ლევიათანის` ბორტზე ალბათ გაიწელებოდა, და კომისარმა თავისთვის ჩვეული გამოცდილება გამოავლინა. კაპიტან ჯოსაია კლიფს, ორთქლმავლის ოფიცრებიდან ერთადერთს გაანდეს გამოძიების საიდუმლო და კომპანიის ხელმძღვანელობიდან მიღებული ჰქონდა ინსტრუქცია, რომ კანონიერების ფრანგი დამცველისთვის ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა. გოშმა ამ პრივილეგიით ყოვლად უცერემონიოდ ისარგებლა: მოითხოვა, რომ ყველა მისთვის საინტერესო პერსონა მიწერილი ყოფილიყო ერთსა და იმავე სალონზე.

აქ აუცილებელია ავხსნათ, რომ პრივატული და სიმყუდროვის მოსაზრებებიდან გამომდინარე (ორთქლმავლის რეკლამაში ნათქვამი იყო: `თქვენ თავს იგრძნობთ ძველი ინგლისური აგარაკის ატმოსფეროში`) ქალბატონებმა, პირველი კლასით რომ მოგზაურობდნენ, სადილ-ვახშამი უნდა მიირთვან არა უშველებელ გაერთიანებულ დარბაზში, დემოკრატიული ვერცხლის ვეშაპების ექვსასამდე მქონებელთან ერთად, არამედ მიწერილი იყვნენ კომფორტაბელურ `სალონებს`, რომელთაგან თითოეული ატარებდა საკუთარ სახელს და მაღალი საზოგადოების სასტუმროს იერი ჰქონდა: ბროლის სასანთლები, ნაჟღენთი მუხა და წითელი ხე, ხავერდის სკამები, სუფრის ბრჭყვიალა ვერცხლეული, გაპუდრული ოფიციანტები და ჩქარი სტიუარდები. კომისარმა გოშმა თავისი მიზნებისთვის სალონი `უინძორი` შეარჩია, ზედა გემბანზე რომ მდებარეობდა, პირდაპირ ცხვირის ნაწილში: სამი კედელი მთლიანი ფანჯრების იყო, ბრწყინვალე ხედი, ნისლიან ამინდშიც კი შეიძლებოდა არ აენთოთ ლამპები. ხავერდი აქ ოქროსფერ-ყავისფერი შეფერილობის იყო, ხოლო ხელსახოცებზე კოხტაობდა უინძორების გერბი. ოვალური მაგიდის გარშემო იატაკზე დამაგრებული ფეხებით (ეს ძლიერი ღელვის შემთხვევაში) იდგა ათი სკამი, მაღალი, სხვადასხვანაირი საზურგეებით, რომლებიც დამშვენებული იყო ყველანაირი გოთური სამშვენისებით. კომისარს მოეწონა, რომ ყველა ერთ მაგიდასთან იჯდება, და სტიუარდს უბრძანა, ალაბედზე კი არ დაედგა სახელის და გვარის აღმნიშვნელი დაფები, არამედ სტრატეგიული აზრით: ოთხი უემბლემო თავის საპირისპიროდ განათვსა, რათა თვალი არ მოეშორებინა იმ გვრიტებისთვის. მაგიდის თავში კაპიტანის დასმა, როგორც გოში გეგმავდა, არ გამოვიდა. მისტერ ჯოსაია კლიფმა არ ისურვა (როგორც თავად გამოთქვა) `მონაწილეობა მიეღო ამ ბალაგანში` და დაფუძნდა სალონ `იორკში`, სადაც ჯდებოდა ინდოეთის ახალი ვიცე-მეფე მეუღლითურთ და ინდოეთის არმიის ორი ოფიცერი. `იორკი` მდებარეობდა პრესტიჟულ საკვებ ნაწილში, მაქსიმალურად დასცილებოდა დაჭირიანებულ `უინძორს`, სადაც გამეფდა პირველი თანაშემწე შარლ რენიე. თავიდანვე ჭკვაში არ მოუვიდა კომისარს: სახე გარუჯული, ქარებით დამწვარი, თან ტკბილად ლაპარაკობს, შავი თმა ბრილიანტისგან ბრწყინავს, უღვაშები ორ გრეხილად აქვს დაყენებული. ყბალია მასხარაა, მეზღვაური კი არა.

იმ თორმეტი დღის განმავლობაში, გამოცურვის მომენტიდან რომ გავიდა, კომისარმა მოასწრო კარგად გასცნობოდა სალონის მეზობლებს, შეისწავლა მაღალი საზოგადოების მანერები (ანუ ტრაპეზის დროს არ მოსწიოს და საწებელი პურის ნაჭრით არ ამოიღოს), ასე თუ ისე შეისწავლა ამ მცურავი ქალაქის რთული გეოგრაფია, შეეჩვია რყევას – მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიუახლოვდა.

სიტუაცია ასეთი იყო.

თავდაპირველად ექვმიტანილობის ხარისხის მიხედვით პირველი იყო სერ რეჯინალდ მილფორდ-სტოუკსი. გალუული, ჟრალთმიანი, დახვეული ბაკენბარდებით. შეხედულებით ოცდარვა-ოცდაათი წლისა. უცნაურად იქცევა: ხან მწვანე თვალებს სადღაც შორს წაიღებს და შეკითხვებზე პასუხებს არ იძლევა, ხან კიდევ მოულოდნელად ტაიტის კუნძულზე ლაყობას იწყებს, მარჯნის რიფებზე, ზურმუხტოვან ლაგუნებზე და პალმის ფოთლების სახურავებიან ქოხებზე. ნამდვილი ფსიქოპათია. რატომ უნდა წავიდეს ბარონეტი, მდიდარი ოჯახის შთამომავალი ქვეყნიერების კიდეზე, სადღაც ოკეანიაში? რა აქვს იქ სანახავი? შეკითხვას თავის მიერ არ წარმოდგენილ ნიშანზე – სხვათაშორის, ორჯერ დასმულს – წყეულმა არისტოკრატმა იგნორირება უყო. კომისარს გაღმა იყურებოდა და გინდაც შემოეხედა, გეგონება ბუზი დაუნახავსო. დამპალი სნობი. ჯერ კიდევ ჰავრში (ოთხი საათი იდგნენ) გოში ტელეგრაფში გაიქცა, სკოტლანდ-იარდში შეკითხვა აფრინა: ვინ ოხერია ეს მილფორდ-სტოუკსიო, შგოთიან დაკა-დაკაში ხომ არ არის შემჩნეულიო, მედიცინის გამოგონებებით ხომ არ ერთობოდაო. პასუხმა სწორედ გასვლის წინ დაჰკრა. ისე გამოდგა, რომ არაფერი საინტერესო, თან უცნაურობებიც აიხსნა. მაგრამ ოქროს ვეშაპი მაინც არ გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ კლიენტების სიდიდან ჟრალთმიანის ამოშლა ნაადრევია.

მეორე – მუსიე გინტარო აინო, `იაპონელი აზნაური` (ასე სწერია მგზავრთა რეგისრში). ისეთივე აზიატია, როგორც სხვები: მაღალი არ არის, მშრალი, ვერ გაიგებ, რა ასაკისაა, სქელი უღვაშით, მჩხვლეტავი თვალები წვიპურტებში ჩაეტევა. მაგიდასთან მეტწილად დუმს. შეკითხვაზე, თუ რას აკეთებდა, დაირცხვინა და ჩაიბურტყუნა: `იმპერატორის არმიის ოფიცერი`. ემბლემაზე შეკითხვისას უფრო მეტად დაირცხვინა, კომისარი მძულვარე თვალებით დაწვა და ბოდის მოხდით კარის მიღმა გავარდა. სუპის ჭამაც კი არ დაუმთავრებია. საეჭვოა? მერე როგორ! სალონში ჭყეტელა ქალადის მარაოს იქნევს, გეგონება ღიუ რივოლის მიღმა მდებარე მხიარული პრიტონების პედერასტაო. გემბანზე ხის ქოშებში დასეირნობს, ბამბის ხალათში და მთლად პანტალონის გარეშე. გიუსტავ გოში, რასაკვირველია, თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის მხარეზეა, მაგრამ მაინც არ უნდა შეეშვათ ამისთანა მაკაკა პირველ კლასში. ახლა ქალები.

მადამ რენატა კლებერი. ახალგაზრდა. ალბათ, ახლა გადასცილდა ოც წელიწადს. შვეიცარიის ბანკის მოსამსახურის ცოლი. ქმართან მიდის კალკუტაში. ლამაზმანს ვერ დაარქმევ – წვეტიანი ცხვირით, მოძრავი, მოლაპარაკე. ნაცნობობის პირველივე წუთიდან თავის ფეხმძიმობაზე გამოუცხადა. ამ გარემოებას ემორჩილება მთელი მისი აზრები და გრძნობები. კეთილია, უშუალო, მაგრამ სრულიად აუტანელი. თორმეტ დღეში მოასწრო ყელში ამოსვლოდა კომისარს თავის ძვირფას ჯანმრთელობაზე ყბედობით, ჩეფჩიკების კერვით და სხვა ამდაგვარი სისულეეებით. ნამდვილი ფეხებზე შემოდგმული მუცელია, თუმცა ორსულობის ვადა ჯერ მცირეა და მუცელი მხოლოდ ახლახანს დაეტყო. რა თქმა უნდა, გოშმა მომენტი დაიჭირა და ჰკითხა, რა უყო ემბლემა. შვეიცარიელმა ნათელი თვალები ააფახულა ჩვილით, რომ სულ მუდამ ყველაფერს ჰკარგავს. რას იზამ, მართლა ასეც შეიძლება იყოს. რენატა კლებერს კომისარი გაბრაზებისა და მფარველობის ნარევით ექცეოდა, სერიოზულად კლიენტად არ მიაჩნდა.

აი, მეორე ქალბატონს, მისს კლარისსა სტამპს გამოჯეკილი მამებარი გაცილებით დიდის ინტერესით აკვირდებოდა. აი, აქ კი რაღაც, ეტყობა, აქოთებული იყო. თითქოს ინგლისელი დიაცია და მორჩა, განსაკუთრებული არაფერი: მოსაწყენი გამოხუნებული თმა, ხანში შესული, მანერები წყნარი, ღირსეული, მაგრამ წყლიან თვალებში არა-არა და უცებ გაუელვებს რაღაცნაირი ეშმაკუნა. ვიცნობთ, გვინახავს ეგეთებიც. უპატრონო ეკლესიას ვინ დაეპატრონებიან ხოლმე? ისევ შესამჩნევი დეტალიკოები. ისე, არაფერი, სხვა ყურადღებასაც არ მიაქცევდა, მაგრამ ბებერ ძაღლს, გოშს გამჭრიახი თვალი აქვს. მისს სტამპს კაბები და კოსტუმები ძვირფასები აქვს, ახალთახალი, პარიზის უკანასკნელ მოდაზე, ხელჩანთა კუს ტყავისა (უნახავს ამისთანები ელისეს მინდვრების ვიტრინებში – სამას ორმოცდაათი ფრანკი ღირს), და ჩანაწერების წიგნაკი ამოიღო – ძველი, იაფფასიანი, უბრალო საწერქალადის ფარდულისაა. ერთხელ გემბანზე იჯდა შალში (ქარი იყო), მადამ გოშსაც სწორედ ამისთანა აქვს, ძაღლის ბალნისა. თბილია, მაგრამ

არა ინგლისელი ლედისთვის. და რაც საინტერესოა: ამ კლარისა სტამპის ახალი ნივთები ყველა ძვირფასია, ხოლო ძველები კი ყველაზე დაბალი ხარისხისაა. შეუსაბამობაა. ერთხელ, ფაიფ-ო-კლოკის წინ გოში შეეკითხა: `ქალბატონო, რატომ ერთხელ მაინც არ გაიკეთებთ ოქროს ვეშაპს? გული არ მიგდით? მე მგონი, ძვირფასი ნივთია~. და როგორ გგონიათ? `იაპონელ აზნაურზე` უფრო წითელი ფერი გადაუვიდა და უთხრა: უკვე გავიკეთე, თქვენ არ დაგინახავთო. იტყუება. გოშმა კი შეამჩნია. ჰქონდა კომისარს ერთი გამჭრიახი აზრი, მაგრამ აქ საჭირო იყო ფსიქოლოგიურად ზუსტი მომენტის გამოცნობა. ჰოდა, ვნახოთ, როგორი რეაქცია ექნება ამ კლარისას.

რადგან მაგიდასთან ათი ადგილია და უემბლემოები ოთხი მოუგროვდა, გოშმა გადაწყვიტა, კომპლექტი შეევესო სხვა სუბიექტებით, მართალია ნიშნები ჰქონდათ, მაგრამ თავისებურად ისინიც შესამჩნევნი იყვნენ. რათა ძიების წრე გაეფართოვებინა – ადგილები ხომ მაინც რჩებოდა.

პირველ პიგში კაპიტანს მოსთხოვა, რომ `უინძორისთვის` მიეწერებინათ ხომალდის მთავარი ექიმი მუსიე ტრუფო. ჯოსაია კლიფი აბუზღუნდა, მაგრამ დაუთმო. რატომ დასჭირდა გოშს მთავარი ექიმი – გასაგებია: `ლევიათანზე` ერთადერთი მედიკოსია, ჩხვლეტის საქმის ოსტატი, რომელსაც სტატუსით ერგება ოქროს ნიშანი. ექიმი აღმოჩნდა დაბალი, ჩადგმული იტალიელი, ზეთისხილისებრი კანით და მაღალშუბლიანი მელოტი თავით, რომელსაც აგვირგვინებდა ყურსკვემოდან ამოვარცხნილი თმა. წარმოსახვა არ ეყო, რომ ეს კომიკური სუბიექტი ულმობელი მკვლელის როლში წარმოედგინა. ექიმთან ერთად მისი ცოლისთვისაც მოუწია ადგილის დათმობა. სულ ორი კვირაა, რაც ექიმმა ცოლი შეირთო და გადაწყვიტა სასარგებლო სასიამოვნოსთვის შეეთავსებინა, ესე იგი, სამსახური თაფლობის თვესთან. ახალგამომცხვარ მაღამ ტრუფოს მიერ დაკავებული სკამი ტყუილად იკარგებოდა. ცხვირპირჩამომტირალი, უღიმილო ინლისელი ქალი, ორთქლმავლის ესკულაპის რჩეული, ორჯერ უფროსად გამოიყურებოდა თავისი ოცდახუთი წლის მიუხედავად და გოშს სასიკვდილო სევდას დაატეხდა ხოლმე თავზე, როგორც სხვათაშორის, ამ მისი თანამემამულე ქალების უმეტესობა. მამებარმა იმთავითვე მონათლა `ცხვრად` თეთრი წამწამებისა და აბღავლებული ხმის გამო. ისე, პირს იშვიათად აღებდა, რაკი ფრანგული არ იცოდა, სალონში საუბრები კი, მაღლობა ღმერთს, ძირითადად სწორედ ამ კეთილშობილ ენაზედ სწარმოებდა. მაღამ ტრუფფოს საერთოდ არავითარი ნიშანი არ გააჩნდა, მაგრამ ეს ბუნებრივიც იყო – არც ოფიცერი გახლდათ და არცა მგზავრი.

კომისარმა რეგისტში კიდევ შეამჩნია ვიღაც ინდოლოგი-არქეოლოგი ფ. სვიტჩაილდი და გადაწყვიტა, რომ ამჯერად სწორედ ინდოლოგი გამოადგება. განსვენებული ლიტლბიც ხომ რაღაც ამის მაგვარი იყო. მისტერ სვიტჩაილდმა, აწოწილმა ჭოკმა მრგვალ სათვალეში და თხის წვერით, პირველივე ვახშამზე ლაპარაკი წამოიწყო ინდოეთზე. ტრაპეზის შემდეგ გოშმა პროფესორი განზე გაიყვანა და საუბარი ფრთხილად შემოაბრუნა ლორდ ლიტლბის კოლექციისკენ. ინდოლოგ-არქეოლოგმა განსვენებული გაუფრთხილებლად მოიხსენია დილეტანტად, მისი კოლექცია კი კუნსტკამერად, რომელიც ყოველგვარი სამეცნიერო მიდგომის გარეშე იყო შეკრებილი. ერთადერთი ნამდვილი ღირებულება იქ – ოქროს შივააო. კარგია, რომ შივა თავისით მოიძებნა, იმიტომ, რომ ფრანგული პოლიციას, როგორც ცნობილია, მხოლოდ ქრთამის აღება შეუძლია. ამ აშკარად უსამართლო შენიშვნაზე გოშმა ბრაზით დაიწყო ხველა, მაგრამ სვიტჩაილდმა მხოლოდ ის ურჩია, რომ ნაკლები მოეწია. მერე სწავლულმა უმაღლეს შენიშვნა, რომ ლიტლბიმ, სხვათაშორის, მოიპოვა არცთუ ურიგო ნაკრები ნაქარგიანი ნაჭრებისა და ხელსახოცებისა, რომელთა შორის გვხვდება უკიდურესად საინტერესო ეგზემპლარები, მაგრამ ეს უფრო ადგილობრივი ხელოსნობისა და გამოყენებითი ხელოვნების სფეროდან არის. ურიგო არ არის არც მეთექვსმეტე საუკუნის სანდალის კოლოფი ლახორადან ხრახნილით `მაჰაბჰარატას` სიუჟეტიდან – და მერე ისეთი რამეები შეუბერა, რომ მალე კომისარს ცხვირში დაეწყო ძმარვა.

ბოლო მეზობელი კომისარმა ისე აირჩია, რასაც ჰქვია მიახლოებით. პირდაპირი მნიშვნელობით. საქმე ისაა, რომ დიდი ხანი არ იყო, რაც კომისარს მოუწია ერთი წარმტაცი, იტალიურიდან გადმოთარგმნილი წიგნის

წაკითხვა. ვიღაც ჩეზარე ლომბროზომ, იტალიის ქალაქ ტურინის სასამართლო მედიცინის პროფესორმა დაამუშავა მთელი კრიმინალური თეორია, რომლის თანახმად დაბადებით ბოროტმოქმედები დამნაშავენი არ არიან თავიანთი ანტისაზოგადოებრივი საქციელისთვის. დოქტორ დარვინის ევოლუციონისტური თეორიის მიხედვით კაცობრიობა თავის განვითარებაში გაივლის გარკვეულ ეტაპებს, თანდათანობით უახლოვდება სრულყოფილებას. დამნაშავე კი – ევოლუციური წუნია, შემთხვევითი დაბრუნება განვითარების წინა საფეხურზე. ამიტომ პოტენციალური მკვლელის და მძარცველის ამოცნობა ძალიან მარტივია: მაიმუნს ჰგავს, რომლიდანაც ყველანი წარმოვიშვით. კომისრი დიდხანს ფიქრობდა წაკითხულზე. ერთის მხრივ, მკვლევებისა და მძარცველების ჭრელ ფენაში, რომელთაგანაც საქმის დაჭერა მოუწია პოლიციური სამსახურის ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, მაინცდამაინც ყველა როდი ჩამოჰგავდა გორილებს, ისეთი ანგელოზებიც იყვნენ, რომ შეხედავ – შებრალების ცრემლები წამოგვივა. მეორე მხრივ, მაიმუნების მაგვარებიც საკმაოდ იყო. თანაც ადამ და ევასი ბებერ გოშს, მტკიცე ანტიკლერიკალს, არა სწამდა. დარვინის თეორია უფრო საფუძვლიანად გამოიყურებოდა. აქ კიდევ, პირველი კლასის მგზავრებს შორის თვალში ერთი ტიპი მოხვდა – პირდაპირ სურათიდან `მკვლელის სახასიათო ტიპი~: დაბალი შუბლი, გადმოწეული წარბზემთა რკალები, წვრილი თვალები, ქსუტუნა ცხვირი, შევიწროებული ნიკაპი. ჰოდა, კომისარმაც ითხოვა ეს ეტიენ ბუალო, ჩაის ვაჭარი `უინძორში~ მოეთავსებინათ. აღმოჩნდა ჩინებული ადამიანი – მხიარული, თერთმეტი შვილის მამა და შეუვალი ფილანტროპი.

ისე გამოდიოდა, რომ პორტ-საიდშიც, ჰავრის მერე შემდეგ პორტშიც მამილო გოშის ცურვა არ დამთავრდება. გამოძიება გაიწეა. ამასთან მრავალწლიანი წინათგრძნობა ჰკარნახობდა კომისარს, რომ სულ ტყუილად წელავს, მთელ ამ პუბლიკაში არ არის ნამდვილი ფიგურანტი. იხატებოდა გულისამრევი პერსპექტივა ეცურა მთელი ამ წყეულ მარშრუტზე პორტ-საიდ – ადენი – ბომბეი – კალკუტა, კალკუტაში კიდევ პირველივე პალმაზე ჩამოიხრჩობს თავს. აბა, ნაცემი ძალღვივით ხომ არ დაბრუნდება პარიზში! კოლეგები სიცილით ჩაუკრავენ თვალს, ხელმძღვანელობა ცხვირზე ააფარებს პირველი კლასით მგზავრობას სახელმწიფოს ხარჯზე. პენსიაზე არ უკრან თავი ვადაზე ადრე...

პორტ-საიდში გოში გულს უწადინოდ გაკოტრდა დამატებითი ხალათით, რაკი ცურვა გრძელი გამოდიოდა, აღიჭურვა ეგვიპტური თამბაქოთი და უსაქმურობისგან სულ ორ ფრანკად ეტლით გაისეირნა სახელგანთქმული ყურის გასწვრივ. არაფერი განსაკუთრებული. კარგი შუქურაა, ორი წაგრძელებული ყორე. ქალაქი უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებდა – არც აზიაა და არც ევროპა. შეხედავ სუეცის არხის გენერალ-გუბერნატორის სასახლეს – თითქოს ევროპაა. ცენტრალურ ქუჩებზე სულ ევროპული სახეებია, ქალბატონები სეირნობენ თეთრი ქოლგებით, იარებიან ღიპგადმოგდებული მდიდარი ბატონები პანამებში და ჩალის კანოტებში. და ეტლმა რომ ადგილობრივების კვარტალში შეუხვია – იქ ცუდი სუნია, ბუზები, ნარჩენები ღპება, შავტუხა არაბი გამენები ხურდას გთხოვენ. და რატომ დაიარებიან მდიდარი უსაქმურები მოგზაურობაში? ყველგან ერთი და იგივეა: ერთნი სუქდებიან სიმამღრისგან, მეორენი ხდებიან შიმშილისგან.

პესიმისტური დაკვირვებებითა და სიცხით დაღლილი კომისარი ხომალდზე ცხვირპირჩამომტირალი დაბრუნდა. აქ კიდევ როგორი წარმატება ელოდა – ახალი კლიენტი. და ეტყობა, პერსპექტიული. კომისრმა კაპიტანი მოინახულა, ცნობები შეაგროვა. მამ, ასე, სახელი – ერასტ პ. ფანდორინი, რუსეთის ქვეშევრდომი. რუსეთის ქვეშევრდომმა ასაკი რატომღაც არ აჩვენა. საქმიანობის გვარი – დიპლომატი. ჩამოვიდა კონსტანტინოპოლიდან, მიდის კალკუტაში, იქიდან იაპონიაში, სამსახურის ადგილზე. კონსტანტინოპოლიდან? აჰა, ალბათ, მშვიდობიან მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, რითაც დასრულდა ამასწინანდელი რუსეთ-თურქეთის ომი. გოშმა ყველა მონაცემი რიგიანად გადაიწერა ფურცელზე, ამოიღო კოლენკორის საქალაღდე, სადაც ინახებოდა საქმის ყველა მასალა. საქალაღდეს არასოდეს იშორებდა – გადაფურცლავდა, გადაიკითხავდა ოქმებს და საგაზეთო ამონაჭრებს, ჩაფიქრების წუთებში კი მინდვრებზე

თევზებს და სახლებს ხატავდა. ეს საოცნებო ამოხეთქავდა ხოლმე გულის სიღრმიდან... აი, გახება დივიზიონის კომისარი, მაღალ პენსიას გამოიმუშავებს და იყიდის ის და მადამ გოში კარგ სახლს სადმე ნორმანდიაში. გადამდგარი პარიზელი ძაღლი ითევზავებს და საკუთარ სიდრს დაწურავს. ცუდია განა? ეჰ, პენსიამდე პატარა კაპიტალიც რომ იყოს – თუნდაც ერთი თორმეტი ათასი...

კიდევ ერთხელ მოუწია პორტის ნახვა, კიდევ კარგი ორთქლმავალი სუეცის არხში შესასვლელად თავის რიგს ელოდა, და დეპეშა გააგზავნა პრეფექტურაში: პარიზისთვის ცნობილი ხომ არ არის რუსი დიპლომატი ე. პ. ფანდორინი, ხომ არ გადაუკვეთავს ახლო ხანებში საფრანგეთის რესპუბლიკის საზღვრები?

პასუხი მალე მოვიდა, ორ-ნახევარ საათში. გაირკვა, რომ გადაუკვეთავს, ამ ჩვენ ძმას, და თანაც ორჯერ. პირველად 1876 წლის ზაფხულში (ჰო, ეს კარგი), და მეორედ 1877 წლის დეკემბერში, ანუ სამი თვის წინ. ჩამოვიდა ლონდონიდან, დარეგისტრირებულია პა-დე-კალეს საპასპორტო-საბაჟო კონტროლით. რამდენ ხანს იყო პარიზში, ცნობილი არ არის. სავსებით დასაშვებია, რომ თხუთმეტი მარტისთვის კიდევ პარიზში ტრიალებდა. შეეძლო ღიუ დე გრენელზეც შეეველო შპრიცით ხელში – რას აღარ იხუმრებს ეშმაკი? ურიგო არ იქნებოდა, ადგილი გავათავისუფლოთ მაგიდასთან. ყველაზე კარგი იქნებოდა, რასაკვირველია, ექიმის ცოლი მოემორებინა თავიდან, მაგრამ ქორწინების წმინდა ინსტიტუტს ხომ არ დაესმხმის თავს. ცოტა იფიქრა და გოშმა გადაეწყვიტა სხვა სალონში გაეცურებინა ჩაის ვაჭარი – მაინც რომ არ გაამართლა თეორიული იმედები და როგორც შედარებით პერსპექტიული. დაე, ეგ გადასვას სტიუარდმა. სალონში არის ადგილი უფრო მნიშვნელოვან ბატონებთან ანდა უმჯობეს ქალბატონებთან. იმიტომ არის სტიუარდი, რომ მსგავსი რამეები მოაწყოს.

სალონში ახალი პერსონაჟის გამოჩენამ პატარა სენსაცია გამოიწვია – გზის განმავლობაში უკვე ყველამ მოასწრო საკმაოდ მოებურებინათ თავი ერთიმეორისთვის – აჰ კიდევ ახალი ბატონია, და თან ასეთი იმპოზანტური. საბრალო მუსიე ბუალოზედ, ევოლუციის გარდამავალი ეტაპის წარმომადგენელზე, კითხვაც კი არ დაუსვამს ვინმეს. კომისარმა შენიშნა, რომ ყველაზე მეტად გამოცოცხლდა მისს კლარისსა სტამპი, ბერქალა: რაღაცას აქაქანდა მხატვრებზე, თეატრზე, ლიტერატურაზე. თავად გოშსაც უყვარდა მოცლილობისას სავარძელზე ჯდომა კარგი წიგნით ხელში, ყველა ავტორს ერჩივნა ვიქტორ ჰიუგო – ცხოვრებისეულიც არის, ამაღლებულიც და ცრემლსაც მოგწყვეტს. თანაც დიდებულად სთვლემ. თუმცა შრიალა სახელებიან რუს მწერლებზე, რა თქმა უნდა, არა გაუგია რა, ასე რომ, საუბარში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ოღონდ ტყუილად ფარცქვალებს ინგლისელი ქაშაყი, მისთვის მეტისმეტად ახალგაზრდაა მუსიე ფანდორინე.

რენატა კლებერიც არ იყო უმოქმედოდ – სცადა ეს ახალიც თავის კლევრეტების შტატში ჩაერიცხა, რომლებსაც დაუნდობლად დაარბენინებდა ხან შალისთვის, ხან ქოლგისთვის, ხანაც ჭიქა წყლისთვის. ვახშმის დაწყებიდან ხუთი წუთის შემდეგ მადამ კლებერმა უკვე გაანათლა რუსი მთელი თავისი დელიკატური მდგომარეობის მთელ პერიპეტიებში, შაკიკზეც დაიჩვილა და სთხოვა ექიმ ტრუფოსთან წასულიყო, რომელიც რაღაც იგვიანებდა. თუმცა დიპლომატი, ეტყობა, მაშინვე მიხვდა, ვისთან აქვს საქმე და თავაზიანად გაუმხილა, რომ ექიმს სახეზე არ იცნობს. დავალების შესასრულებლად მორჩილი ლეიტენანტი რანიე გავარდა, ყველაზე თავდადებული ბანკირის ფეხმძიმე ცოლის მომვლელებიდან. ერასტ პეტროვიჩზე პირველი შთაბეჭდილება ასეთი იყო: მრავალსიტყვა არ არის, თავშეკავებულია, თავაზიანი. გოშის გემოვნებისთვის მეტისმეტად გამოწვეპილია. გაკრახმალეული საყელო ისე გაშეშებია, თითქოს ალებასტრისაა, აბრეშუმის ჰალსტუხზე მარგალიტის ქინძისთავია, სალილეში (ფუჰ შენი – ვაჰ, შენი) ალისფერი მიხაკია. დავარცხნილ-დაწყობილი თმა, ნაპატივები თითები, დახვეწილი შავი ულვაში თითქოს ნახშირით მიუხატაო.

ულვაშის მიხედვით კაცზე ბევრი დასკვნის გამოტანა შეიძლება. თუკი ამისთანაა, როგორც გოშს აქვს, - ლომვეშაპური, პირის კუთხეებზედ გადმოკიდული, - ესე იგი, კაცი საფუძვლიანია, საკუთარი თავის ფასი

იცის, ჩიტირეკია არ არის, ზიზილ-პიპილებით ამისთანას ვერ აიყვან. თუკი მალაა აგრეხილი, თანაც წაწვეტებული ბოლოებით, - ეს მეკაბეა და ბონვივანი. გაშვებული ბაკენბარდებით – პატივმოყვარე, გენერლობაზე, სენატორობაზე ან ბანკირობაზე ოცნებობს. და როცა ისეთია, როგორც მუსიე ფანდორინს აქვს, - ეს საკუთარ პერსონაზე რომანტიკული წარმოდგენის ბრალია.

კიდევ რა შეიძლებაოდა თქმულიყო რუსზე? ფრანგულად ჩინებულად ლაპარაკობს. სახასიათო დეტალი – ოდნავ ებმის ენა. ნიშანი როგორც არ ჰქონდა, ისევე არა აქვს. ყველაზე მეტი ინტერესი დიპლომატმა იაპონელის მიმართ გამოავლინა, ყველანაირ მოსაწყენ შეკითხვებს აძლევდა იაპონიაზე, მაგრამ სამურაი ჩადარაჯებული პასუხობდა, თითქოსდა რამე ხრიკს ელოდა. საქმე ის არის, რომ ახლადმოსულმა არ აუხსნა საზოგადოებას, სად და რატომ მიდის – უბრალოდ ახსენა თავისი სახელი და თქვა, რომ რუსია.

კომისრისთვის რუსის ცნობისმოყვარეობა გასაგები იყო – აკი იაპონიაში უნდა ეცხოვრა. გოშმა წარმოდგინა ქვეყანა, სადაც სუყველა ისეთია, როგორც მუსიე აონო, ყველა ცხოვრობს თოჯინურ სახლებში აპრეხილი სახურავებით და უბრალო რამეზე მუცლებს იფატრავენ. მ-დაა, რუსისა არ შეგშურდება.

ვახშმის შემდეგ, როცა ფანდორინი განზე დაჯდა სიგარის მოსაწყევად, კომისარი მეზობელ სავარძელში მოეწყო და ჩიბუხი გააბოლა. წინდაწინვე გოში პარიზულ რანტიედ წარუდგა ახალ ნაცნობს, ცნობისმოყვარეობის გამო აღმოსავლეთში რომ მოგზაურობდა (ასეთი ლეგენდა ჰქონდა). ახლა კი საუბარი საქმისკენ შეატრიალა, მაგრამ შორიდან მოვლით, ფრთხილად. თავის ლაცკანზე ოქროს ვეშაპს გაჰკრა ხელი (სწორედ ის, ღიუ გრენელიდან) და თითქოს სხვათაშორის თქვა, ლაპარაკის გასაბმელად:

- ლამაზი რამეა. რას იტყვით?

რუსმა ლაცკანს შეხედა, გაჩუმდა.

- სუფთა ოქროა. მდიდრული! – შეაქო გოშმა.

ისევ მომლოდინე სიჩუმე, მაგრამ ძალზე თავაზიანი. უცდის კაცს, რას მოაყოლებს მერე. ცისფერი თვალები ყურადღებით უყურებენ. დიპლომატს კარგი კანი აქვს – სუფთა ატამია. სიწითლე გოგოსავით მოსდებია.

მაგრამ დედიკოს ბიჭი არ არის, ეს ეგრევე ჩანს.

კომისარმა ტაქტიკის შეცვლა გადაწყვიტა.

- ბევრს მოგზაურობთ?

მხრების გაურკვეველი აჩეჩვა.

- თქვენ ხომ, მგონი, დიპლომატიურ ნაწილში ხართ?

ფანდორინმა თავაზიანად დახარა თავი, ჯიბიდან გრძელი სიგარა ამოიღო, ვერცხლის დანით ბოლო მოაჭრა.

- და საფრანგეთშიც მოგიწიათ ყოფნა?

ისევ თავის დახრა თანხმობით. მუსიე რუსისგან უხეირო მოსაუბრე გამოდის, იფიქრა გოშმა, მაგრამ უკან დახევას არ აპირებს.

- პარიზი მე ყველაზე ძალიან ადრეულ გაზაფხულზე მიყვარს, მარტში, - ოცნებით წარმოთქვა მამებარმა. – წლის საუკეთესო დროს!

ფხიზლად შეხედა თავის ვიზავის და შინაგანად მოიკრიფა – რას იტყვის?

ფანდორინმა ორჯერ დაუქნია თავი. გაუგებარია: ან უბრალოდ, ცნობად მიიღო, ანდა თანახმაა. უკვე გაბრაზება დაიწყო და გოშმა მტრულად შეიკრა წარბები.

- მამ თქვენ ნიშანი არ მოგწონთ?

ჩიბუხი აშიშხინდა და ჩაქრა.

რუსმა მოკლედ ამოისუნთქა, ხელი ჟილეტის ჯიბეში ჩაიყო, ორი თითით ამოიღო ოქროს ვეშაპი და ბოლოსდაბოლოს ინება ბაგეთა გახსნა:

- როგორც ვხედავ, ჩემო ბატონო, თქვენ ჩემი ნიშანი გ-გაინტერესებთ, არა? აი, ისიც, ინებეთ. არ ვიკეთებ,

იმიტომ, რომ არ მსურს ბალტიან მეეზოვეს ვგავდე, თუმც კი ო-ოქროსია. ეს ერთი. რანტიეს, მუსიე გომ, თქვენ არ ჰგავხართ – მეტისმეტად დაგიჭენაობთ გამოხედვა. თანაც რატომ უნდა ატაროს პარიზელმა რანტიემ სამსახურის საქაღალდე? ეს ორი. რაკი თქვენთვის ჩემი საქმიანობა ცნობილია, ალბათ, ხელი მ-მიგიწვდებათ ხომალდის დოკუმენტებთან. ეს სამი. ახლა კი მეოთხე. თუკი თქვენ ჩემთან რაიმეს გამორკვევა გინდათ, წაღმა-უკუღმა კი ნუ მივლით, პირდაპირ მკითხეთ. აბა, მოდი და ამისთანას ელაპარაკე.

გამოდვრომა მოუწია. გომმა ნდობით მხარზე ხელი დაჰკრა უსაზღვროდ გამჭრიახ დიპლომატს, რომ არის ხომალდის შტატიანი დეტექტივი, მოწვეულია მგზავრთა უსაფრთხოებაზე საზრუნველად – მაგრამ გაუხმაურებლად და მთელი შესაძლო დელიკატურობით, რათა დახვეწილი საზოგადოების გრძნობები არ შეურაცხყოს. გაუგებარია, დაუჯერა თუ არა ფანდორინმა, თუმცა არაფრის გამოკითხვა არ დაუწყო. არ არსებობს ცუდი კარგის გარეშე. ახლა კომისარს მოევილინა თუ თანამოაზრე არა, მაშინ უკიდურეს შემთხვევაში, თანამოსაუბრე მაინც, რომელსაც აქვს გასაოცარი დაკვირვების უნარი და გათვითცნობიერებული კაცი კრიმინოლოგიაში, რაც მეტად იშვიათად ხდება ხოლმე. ისინი ხშირად ისხდნენ გემბანზე, ათვალერებდნენ არხის დამრეც ნაპირებს, ეწეოდნენ (გომი - ჩიბუხს, რუსი - სიგარას) და ლაპარაკობდნენ სხვადასხვა საინტერესო თემაზე. მაგალითად – დამნაშავეების იდენტიფიკაციის და სამხილებლების ზეთანამედროვე მეთოდებზე.

- პარიზის პოლიცია თავის სამუშაოს აგებს მეცნიერების ბოლო სიტყვაზე, - დაიტრახახა ერთხელ გომმა. - იქ, პრეფექტურაში არის იდენტიფიკაციის საგანგებო სამსახური, რომელსაც უძღვება ახალგაზრდა გენიოსი ალფონს ბერტილიონი. მან დაამუშავა დამნაშავე ელემენტების რეგისტრაციის მთელი სისტემა. - მე შევხვდი დოქტორ ბერტილიონს ჩემი ბოლო პ-პარიზული ვიზიტისას, - მოულოდნელად თქვა ფანდორინმა. - მან მიაგმო თავის ანთროპომეტრულ მეთოდზე. ბერტილიონაჟი – მახვილგონივრული თეორიაა, ძალიან მახვილგონივრული. თქვენ უკვე დაიწყეთ პრაქტიკაში მისი დანერგვა? შედეგები როგორია?

- ჯერ არანაირი, - მხრები აიჩეჩა კომისარმა, - თავდაპირველად ბერტილიონაჟს ყველა რეციდივისტი უნდა დავუმორჩილოთ, ამას კი წლები დასჭირდება. ალფონსს განყოფილებაში ნამდვილი ბედლაში, საგიჟეთი აქვს: მოყავთ პატიმრები ბორკილებით, ზომავენ ყოველმხრივ, როგორც ცხენებს ბაზარში, მონაცემებს ბარათებზე იწერენ. სამაგროდ მალე პოლიციას სამუშაო ძალიან გაუადვილდება. დავუშვათ, პოულობ გატეხვით ქურდობის ალაგზე მარცხენა ხელის აღნაბეჭდს. გაზომავ, მიდიხარ კარტოთეკასთან. აჰა, შუათითი სიგრძით ოთხმოცდაცხრა მილიმეტრი, ეძებე ნომერ მესამე სექციაში. იქ კი დარეგისტრირებულია შესაბამისი ზომის შუათითის ჩვიდმეტი გამტეხავი. მერე დიდი არაფერია: გადაამოწმე, იმათგან ვინ სად იყო ქურდობის დღეს და ის გააფართხალე, ვისაც ალიბი არა აქვს. - ესე იგი, დამნაშავეები სექციებად იყოფიან შ-შუა თითის სიგრძის მიხედვით? – ცხოველი ინტერესით შეეკითხა რუსი.

გომმა უმაღვე ჩაიცინა ულვაშებში.

- იქ მთელი სისტემაა, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო. ბერტილიონი ყველა ადამიანს სამ ჯგუფად ჰყოფს – თავის ქალის სიგრძის მიხედვით. თითოეული ეს სამი ჯგუფი კიდევ სამ ქვეჯგუფად იყოფა – თავის ქალის სიგანის მიხედვით. ალბათ, ქვეჯგუფები სულ ცხრაა. ქვეჯგუფი, თავის მხრივ, იყოფა სამ სექციად – მარცხენა ხელის შუათითის ზომის მიხედვით. სექცია სულ ოცდაშვიდია. მაგრამ ჯერ სადა ხარ. თითო სექციაში სამი პაკეტია – მარჯვენა ყურის ზომის მიხედვით. რამდენი პაკეტი გამოდის? სწორია, ოთხმოცდაერთი. შემდგომი კლასიფიკაცია ითვალისწინებს სიმაღლეს, ხელების სიგრძეს, სიმაღლეს მჯდომარე მდგომარეობაში, ტერფის ზომას, იდაყვის ზომის სიგრძეს. სულ ცხრამეტი ათას ექვსას ოთხმოცდასამი კატეგორიაა! დამნაშავე, რომელმაც გაიარა სრული ბერტილიონაჟი და ჩვენს კარტოთეკაში მოხვდა, ველარასოდეს წაუვა მართლმსაჯულებას. წინათ თავის გემოზე იყო – დაჭერისას გამოგონილი

სახელი დაირქვი და პასუხს აღარ აგებ, რაც ადრე დაგიშავებია.

- ეს შესანიშნავია, - ფიქრიანად თქვა დიპლომატმა, - თუმცა ბერტილიონაჟი ძალიან ცოტას დაგვეხმარება კონკრეტული დ-დანაშაულის გამოამჟღავნებებში, განსაკუთრებით თუკი კაცი ადრე დაპატიმრებული არა ყოფილა.

გომმა ხელები გაშალა:

- ეს ის პრობლემაა, რომელსაც მეცნიერება ვერ გადაწყვეტს. სანამ არიან დამნაშავეები, ჩვენს გარეშე, პროფესიონალი მაძებრების გარეშე, ფონს ვერ გახვალ.

- გ-გსმენიათ თუ არა თითების ანაბეჭდებზე? – ჰკითხა ფანდორინმა და კომისარს ვიწრო, მაგრამ საკმაოდ მაგარი ხელის მტევანი აჩვენა მოქლიბული ფრჩხილებითა და ბრილიანტის ბეჭდით.

გომმა ჯერ შურით შეხედა ბეჭედს (კომისარის წლიური ჯამაგირი, ნაკლები არ ეღირებოდა) და მერე გაიცინა:

- რამე ბოშური მკითხაობაა ხელისგულზე?

- სულაც არა. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ცნობილია, რომ პაპილარული ხაზების რელიეფი თითოეული ადამიანის თითების ბალიშებზე უნიკალურია. ჩინეთში მუშა-კულები დაქირავების შესახებ კონტრაქტს ტ-ტუშში ჩაწობილი დიდი თითის ანაბეჭდით ადასტურებენ.

- ჰო, თუკი თითოეული მკვლელი ისეთი თავაზიანი იქნება, რომ საგანგებოდ ჩააწებდა თითს ტუშში და დანაშაულის ადგილზე ანაბეჭდს დატოვებდა... – კომისარმა გულკეთილად გაიცინა.

თუმცა დიპლომატი, როგორც ეტყობოდა, სულაც არ იყო განწყობილი ხუმრობისთვის.

- ბატონო ხომალდის დ-დეტექტივო, დაიმახსოვრეთ, რომ თანამედროვე მეცნიერებამ სარწმუნოდ დაადგინა: ანაბეჭდი რჩება თითის შეხებით ნებისმიერ მშრალ მაგარ ზედაპირზე. თუკი დამნაშავე ოდნავ მაინც შეეხო კარს, დანაშაულის იარაღს, ფანჯრის მინას, კვალიც დატოვა, რ-რომლის დახმარებით ბოროტმოქმედი შეიძლება გამოვამჟღავნოთ.

გომი ისევ ირონიზირებას აპირებდა, რომ საფრანგეთში ოცი ათასი დამნაშავეა და ყველას ორასი ათასი თითი აქვთ, დაბრმავდები ლუპაში ცქერით, მაგრამ გაჩუმდა. გაახსენდა ჩამსხვრეული ვიტრინა ღიუ დე გრენელის სახლში. გატეხილ მინაზე მრავალი თითის ანაბეჭდი დარჩა. თუმცა არავის არ მოსვლია თავში მათი გადაღება – ნამსხვრევეები ნაგავში წავიდა.

ხედავ, სანამდე მივიდა პროგრესი? ეს რა გამოდის? ყველა დანაშაული ხომ ხელებით ხდება, არა? და ხელებს კიდევ, როგორც ჩანს, შეუძლიათ ფასიან დამსმენებზე არანაკლებ დაასმინონ! და ყველა ბანდიტს და ქურდს თითები რომ გადავულოთ, ვეღარ გაზედავენ თავიანთი ჭუჭყიანი ხელებით რომელიმე შავ საქმეს მოეკიდონ! აქ დამნაშავეობასაც ბოლო მოეღება.

ასეთი პერსპექტივისგან თავი უბრუნოდა.

რეჯინალდ მილფორდ-სტოუკსი

2 აპრილი, 1878 წელი.

18 საათი 34 და 1/2 წუთი გრინვიჩით.

ჩემო ძვირფასო ემილი,

დღეს შევედით სუეცის არხში. წინა წერილში დაწვრილებით აღგიწერეთ პორტ-საიდის ისტორია და ტოპოგრაფია. ახლა კი თავს ვეღარ ვიკავებ, რომ არ გამოგიცხადოთ ზოგიერთი საინტერესო და ჭკუისსასწავლებელი ცნობა დიად არხზე, ადამიანის გრანდიოზულ ქმნილებაზე, რომელიც მომავალ წელს თავის ათი წლისთავს აღნიშნავს. თქვენთვის ცნობილია თუ არა, ჩემო სათაყვანო ცოლიკო, რომ

ახლანდელი არხი ანგარიშით მეოთხეა, ხოლო პირველი გათხრილი იქნა ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნეში ქრისტეს შობამდე, დიად ფარაონ რამზესის მმართველობაში? როცა ეგვიპტე დაეცა, უდაბნოს ქარებმა კალაპოტი ქვიშით ამოავსეს, მაგრამ სპარსეთის მეფე დარიოსის დროს, ქრისტემდე ხუთასი წლით ადრე, მონებმა ახალი არხი გათხარეს, რომელიც ას ოცი ათასი ადამიანის სიცოცხლე დაჯდა. ჰეროდოტე წერს, რომ ამ არხზე ცურვა ოთხ დღეს იჭერდა და ორი შემხვედრი ტირიემა გვერდს ისე აუქცევდა ერთიმეორეს, რომ ნიჩბებიც კი არ შეეხებოდნენ. კლეოპატრას დამარცხებული ფლოტის რამდენიმე ხომალდი ამ გზით დაიძალა წითელ ზღვაში და ასე გაექცა მრისხანე ოქტავიანეს მძვინვარებას.

რომის იმპერიის დანგრევის შემდეგ დრომ და ქვიშამ ისევ გამოყვეს ატლანტის ოკეანე ინდოეთის ოკეანისგან ასმილიანი მერწყვი კედლით, მაგრამ საკმარისი იყო ამ უნაყოფო მიწებზე წარმოშობილიყო წინასწარმეტყველ მაჰმადის მიმდევართა ძლიერი სახელმწიფო, რომ ადამიანებმა მაშინვე ნიჩაბსა და წერაქვს მოჰკიდეს ხელი. მე მივცურავ ამ მკვდარი მლაშობებისა და უკიდევანო ბარხანების გასწვრივ, თან არ ვიღლები აღფთოვანდე იმ ტომის ბრიყვული სიმაძაცითა და ჭიანჭველისებრი შრომით, რომელიც დაუსრულებელ, გარდაუვალი დამარცხებისთვის განწირულ ბრძოლას აწარმოებდა ყოვლისშემძლე ქრონოსთან. ორასი წელი დადიოდნენ ხომალდები არაბეთის არხით, დატვირთულები ხორბლით, მერე კი მიწამ თავისი სახიდან აღხოცა საცოდავი ნაოჭი და უდბნომ დაიძინა ათასწლოვანი ძილით.

ახალი სუეცის მამა, სამწუხაროდ, ბრიტანელი კი არა, ფრანგი ლესეპსი გახდა, იმ ერის წარმომადგენელი, რომელსაც, მვირფასო ემილი, მე ვეკიდები უღრმესი და სრულიად გამართლებული ზიზღით. ამ გაქნილმა დიპლომატმა დაიყოლია ეგვიპტის ნაცვალნი ფირმანი მიეცა `სუეცის არხის საზღვაო არხის უნივერსალური კომპანიის` შესაქმნელად. კომპანიამ მიიღო მომავალი წყლის მაგისტრალის 99 წლიანი არენდის უფლება, ხოლო ეგვიპტის ხელისუფლებას ეკუთვნოდა მხოლოდ თხუთმეტი პროცენტი სუფთა შემოსავლისა! და ეს სულმდაბალი ფრანგები კიდევ ბედავენ და ჩვენ, ბრიტანელებს სხვა ერების მძარცველებს გვემახიან! ბოლოსდაბოლოს, ჩვენ პრივილეგიებს მოვიპოვეთ ჩვენი ხმლით, ბინძურ გარიგებებს კი არ ვდებთ გაუმადლარ ადგილობრივ მოხელეებთან.

ყოველდღიურად ათას ექვსასი აქლემი ეზიდებოდა დიადი არხის მთხრელი მუშებისთვის წყალს, მაგრამ ის საწყლები მაინც ათასობით იხოცებოდნენ წყურვილისგან, პაპანაქებისგან და გადამდებენიანი დაავადებებისგან. ჩვენი `ლევიათანი` პირდაპირ გვამებზე მიცურავს. მე ასეც ვხედავ, რომ თითქოს ქვიშის ქვემოდან ყვითელი კბილებით იკრიჭებიან შიშველი, უთვალეო თავის ქალები. საჭირო გახდა ათი წელიწადი და თხუთმეტი მილიონი ფუნტი სტერლინგი, რათა ეს გრანდიოზული მშენებლობა დაესრულებინათ. სამაგიეროდ ახლა ხომალდი ინგლისიდან ინდოეთში თითქმის ორჯერ მოკლე გზას გადის, ვიდრე წინათ. სულ რაღაც ოცდახუთი დღე და ჩადიხარ ბომბეიში. დაუჯერებელია! და როგორი გაქანება! არხის სიღრმე აჭარბებს ას ფუნტს, ასე რომ, ჩვენი უშველებელი კიდობანიც კი უშიშრად მიცურავს, არ ეშინია მეჩეჩზე დაჯდომის.

დღეს სადილზე შეუკავებელი სიცილისგან დავიშალე, პურის ნატეხი გადამცდა, ხველება დამაწყებინა და მაინც ვერ დავმშვიდდი. ბედკრულმა კოხტაპრუწა რენიემ (უკვე მოგწერეთ მაგაზედ, `ლევიათანის` პირველი ლეიტენენტი გახლავს) ყალბი თანაგრძნობით მკითხა, რა არის ჩემი მხიარულების მიზეზი, მე კი უარესად ავხარხარდი. აბა, ხომ ვერ ვეტყვოდი, რომელმა აზრმა გამამხიარულა. არხს ფრანგები აშენებდნენ, მთელი სიკეთე კი ჩვენ, ინლისელებს გვერგო. სამი წლის წინათ მისი უდიდებულესობის მთავრობამ ეგვიპტის ჰედივასგან აქციების საკონტროლო პაკეტი გამოისყიდა და ახლა სუეცზე ჩვენ ვმბრძანებლობთ, ბრიტანელები. და სხვათაშორის, არხის აქცია, რომელსაც ოდესღაც თხუთმეტი ფუნტად ჰყიდდნენ, ამჟამად სამი ათასი ფუნტი ღირს! როგორია? აბა, როგორ არ უნდა გაიცინო?

ისე კი, მართალია, თავი მოგაბეზრეთ ამ მოსაწყენი გარემოებებით. ჩემს განსჯაშიდ ნუ შეხვალთ, ჩემო მვირფასო ემილი – სხვა მოცალეობა არა მაქვს გრძელი წერილების წერის გარდა. როდესაც კალამს ვაფხაჭუნებ ველენის ქალაღზედ, მეჩვენება, რომ თქვენც აქვე ხართ და აუჩქარებლად ვლაპარაკობთ.

იცით, ცხელი კლიმატის გამოისობით თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. უკვე აღარ მახსოვს ის კომმარები, რომლებიც ღამ-ღამობით მესიზმრება. მაგრამ სიზმრები არსად გადაკარგულან – დილით, როცა ვიღვიძებ, საური, ანუ ბალიშისპირი ცრემლებისგან არის სველი, ზოგჯერ კი კბილებითაც გახლავთ დაღრღნილი. ეგ არაფერი. ყოველი ახალი დღე, გზის ყოველი მილი მახლოვებს ახალ ცხოვრებასთან. იქ, ეკვატორის ალერსიანი მზის ქვეშ ეს საშინელი განშორება, სულს რომ მიღრღნის, ბოლოსდაბოლოს, დასრულდება. ო, მალე მაინც დამთავრდეს! აი, როგორ ვეღარ ვითმენ, რომ კიდევ შევხვდე თქვენს ნათელ, ნაზ გამოხედვას, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

კიდევ რით გაგართოთ? აი, თუნდაც ჩვენი `ლევიათანის` აღწერით – მშვენიერი თემაა. წინა წერილებში ძალიან ბევრს ვწერდი საკუთარ გრძნობებზე და სიზმრებზე და ჯერ კიდევ სრულად ვერ დაგიხატეთ ეს ბრიტანული საინჟინრო აზრის ტრიუმფი.

`ლევიათანი` უდიდესია სამგზავრო ხომალდებიდან მსოფლიო ისტორიაში, ოღონდ იმ კოლოსალური `greit-isternis` გამოკლებით, უკვე ოცი წელიწადია ატლანტიკის სივრცეებს რომ სერავს. ჟიულ ვერნს, რომელმაც `გრეიტ-ისტერნი` აღწერა წიგნში `მცურავი ქალაქი`, არ უნახავს ჩვენი `ლევიათანი` - მაშინ ბებერ `გ.-ი.-ს` `მცურავ სოფელს` დაარქმევდა. ის მხოლოდ ოკეანის ფსკერზე აწყობს სატელეგრაფო კაბელებს, `ლევიათანს` კი შეუძლია ათასი კაცი წაიყვანოს და ზედაც ათი ათასი ტონა ტვირთი გაიყოლოს. ამ ცეცხლით მსუნთქავი მონსტრის სიგრძე ექვსას ფუნტს აჭარბებს, სიგანე ოთხმოცს აღწევს. თქვენთვის ცნობილია თუ არა, ძვირფასო ემილი, როგორ იგება ხომალდი? თავიდან პლაზზედ ანაწილებენ, ანუ ხაზავენ საგანგებო ნაგებობად, პირდაპირ გასწორებულ იატაკზე, გემის ნახაზი ნატურალურ სიდიდეში. `ლევიათანის` ნახაზი ისეთი ზომისა იყო, რომ ბუკინჰემის სასახლის სიდიდის ბალაგანის აშენებამ მოუწიათ!

ამ ორთქლმავალ-საოცრებას გააჩნია ორთქლის ორი მაქანა, ორი მძლავრი ბორბალი ბორტებზე და კიდევ გიგანტური ხრახნი კიჩოზე. ექვსი ანძა, ლამის ცაში რომ ადის, აღჭურვილია იალქნების სრული კომპლექტით და ზურგის ქარისას, ზედაც სრული სამანქანო სვლისას ხომალდი ანვითარებს თექვსმეტი კვანძის სიჩქარეს! ორთქლმავალზე გამოყენებულია გემთმშენებელი მრეწველობის ყოველი უახლოესი მიღწევა. მათ შორის – ორმაგი მეტალური კორპუსი, რომელიც ხომალდს გადაარჩენს კლდეზე შეჯახების დროსაც კი; საგანგებო გვერდითი კილები, რყევას რომ ამცირებენ; სრული ელექტრონული განათება; წყალშეუვალი მონაკვეთები; უშველებელი მაცივრები გამომუშავებული ორთქლისთვის – ყოვლისფერს ვერც კი ჩამოსთვლი. ადამიანის გამომგონებლური და დაუცხრომელი გონების მთელი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება კონცენტრირებულია ამ ქალაქ ხომალდზე, უშიშრად რომ მიაპობს ზღვის ტალღებს. გუშინ, ჩემი ძველი ჩვეულებისამებრ, წმინდა წერილი გადავშალე ალაღბედზე და გაოგნებული დავრჩი – თვალში მეცა სტრიქონები ლევიათანზე, მრისხანე ზღვის ურჩხულზე იობის წიგნიდან. შევკრთი, რაგდან უცებ მივხვდი, რომ იქ ლაპარაკი სულაც არ არის ზღვის გველზე, როგორც ძველები სთვლიდნენ, და არცა კაშალოტზე, როგორც ახლანდელი რაციონალისტები მიიჩნევენ – არა, ბიბლიაში უცხადესი ლაპარაკია სწორედ იმ `ლევიათანზე`, რომელმაც თავის თავზე აიღო ჩემი გაყვანა წყვილიდან და საშინელებიდან ბედნიერებაში და სინათელში. თავად განსაჯეთ: `ქვაბივით ადუღებს უფსკრულს, ზღვას საცხებლის კოჭობად აქცევს; თავის უკან ასხივებს ბილიკს, ჭადარად ჩნდება ზღვის მორევი; არ არის მიწაზე მისი მსგავსი, უშიშრად არის გაჩენილი; ყოველი მადლის მჭვრეტელია, მეფობს ყოველ ამპარტავანზე`. ორთქლის ქვაბი, მდულარე საცხებელი – ესე იგი, მაზუთი, ჭადარად ჩნდება ზღვის მორევი – ესე იგი კიჩოს უკან ადევნებული კვალი. ეს ხომ თვალნათელია!

და მე შემეშინდა, ძვირფასო ემილი. ამ სტრიქონებში არის რაღაც მრისხანე გაფრთხილება – ან პერსონალურად ჩემთვის, ანდა `ლევიათანის` მგზავრებისადმი, ანთუ სულაც მთელი კაცობრიობისადმი. ბიბლიის მხრივ სიამაყე ხომ ცუდი რამეა? და თუკი ადამიანი თავისი ტექნიკური სათამაშოებით `ყოველი მადლის მჭვრეტელია`, ამას რაიმე კატასტროფული შედეგები ხომ არ ექნება? მეტისმეტი ხომ არ ვიამაყეთ

ჩვენი მჭრელი ჭკუით და მარჯვე ხელებით? საით მივყავართ ჩვენ ყველა ამპარტავნობის მეფეს? წინ რა გველოდება?

და ლოცვანი გადავშალე, რომ მელოცა – პირველად დიდი, დიდი ხნის შემდეგ. უცებ ვკითხულობ: `იმას ჰფიქრობენ, რომ მათი სახლები მარადიულია, და მათი საცხოვრებლები გვარ-გვარად არის, და თავიანთ მიწებს საკუთარ სახელებს არქმევენ. მაგრამ ასეთი კაცი პატივში არ იქნება; და ემსგავსება ცხოველთ, რომლებიც იხოცებიან. და მათი გზა მათივე უგნურებაა, თუმცა მათი მიმდევარნი იმათ ფიქრებს ამართლებენ`.

მაგრამ როცა მისტიკური გრძნობით მოცულმა აკანკალებული ხელით გადავშალე წიგნი მესამედ, ჩემი აღზნებული მზერა მიაჩერდა რიცხვთას მოსაწყენ ალაგს, სადაც ბუჰხალტერული ჩაკირკიტებით ჩამოთვლილია ისრაელელთა თაობების მსხვერპლის შეწირვა. და მე დავმშვიდდი, დავრეკე ვერცხლის ზარი და სტიუარდს ვუბრძანე, ცხელი შოკოლადი მოეტანა.

ის კომფორტი, რომელიც ხომალდის იმ ნაწილში მეფობს, მაღალი საზოგადოებისთვის რომ არის განკუთვნილი, წარმოსახვას აცამტვერებს. ამ კუთხით `ლევიათანს` ნამდვილად არა ჰყავს სწორი. წარსულს ჩაბარდა დროება, როცა ინდოეთში ან ჩინეთში წამსვლელი მოგზაურები ვიწრო, ბნელ ოთახებში შეიყუჩებოდნენ ხოლმე ერთიმეორის თავზე. თქვენ იცით, ჩემო საყვარელო ცოლიკო, რა მძაფრად არის ჩემში განვითარებული კლასიკური მუსიკის კონცერტებისთვის, არცთუ ურიგო ბიბლიოთეკა. პირველი კლასის კაიუტები თავისი მოწყობილობით არაფრით ჩამოუვარდება ლონდონის საუკეთესო ოტელებს. ხომალდზე ასი ამისთანა კაიუტაა. ამას გარდა მეორე კლასის ექვსასადგილიანი ორას ორმოცდაათი კაიუტა (იქ არ შემიხედავს – ვერ ვიტან სიღარიბეს), და, ამბობენ, რომ კიდევ არის ტევადი სატვირთო ტრიუმები. მხოლოდ მომსახურენი, თუკი მატროსებს და ოფიცრებს არ ჩავალთ ანგარიშში, `ლევიათანზე` ორას კაცზე მეტია – სტიუარდები, მზარეულები, ლაქიები, მუსიკოსები, მოსამსახურეები. წარმოგიდგენიათ, სულაც არ ვნანობ, რომ თან ჯერემი არ წამოვიყვანე. ეგ უსაქმური სულ სხვის საქმეებში ჰყოფდა ხოლმე ცხვირს, აქ კი ზუსტად თერთმეტ საათზე მოდის მოახლე, ალაგებს და ჩემს ყველა დავალებას ასრულებს. ეს მოხერხებული და გონივრულია. თუ დაგჭირდა, შეგიძლია ზარით გამოიძახო ლაქია, რათა ჩაცმაში მოგეხმაროს, მაგრამ მე ამას ზედმეტად ვთვლი – თავად ვიცმევ და ვიხდი. ჩემს არყოფნაში მოსამსახურეს სასტიკად ეკრძალება შემოსვლა, და გასვლისას კარზე სათანადო მაჩვენებელს ვკიდებ. მეშინია ჯამუშებისა. მერწმუნეთ, ძვირფასო ემილი, ეს გემი კი არ არის, არამედ ნამდვილი ქალაქი და ყველანაირი ვიგინდარა აქ საკმაოდაა.

ორთქლმავალზე ცნობები ძირითადად შეკრებილია ლეიტენანტ რენიეს ახსნა-განმარტებებიდან, რომელიც თავისი ხომალდის დიდი პატრიოტია. სხვათაშორის, საკმაოდ უსიმპატიო კაცია და მასზედ სერიოზული ეჭვი მაქვს მიტანილი. მთელს ძალისხმევას იმაზედ ჰხარჯავს, რომ ჯენტლმენად მომაჩვენოს თავი, მაგრამ მე ვერ გამაცურებ – ბრიყვების ჯიშს ყნოსვით ვგრძნობ. კარგი შთაბეჭდილება რომ დაეტოვა, ამ სუბიექტმა თავის კაიუტაში მიმიპატიჟა. მეც შევიხედე – იმდენად ცნობისმოყვარეობით არა, რამდენადაც სურვილისგან, შემეფასებინა იმ საფრთხის ხარისხი, რომელსაც შესაძლოა წარმოადგენდეს ეს ტურტლიანი ბატონი (მისი გარგნობის გარემოებებზედ იხილე ოცი მარტით დათარიღებული ჩემი წერილი). ვითარება ღარიბულია, რომელიც უფრო მეტად გეცემათ თვალში ბონტონურობისკენ უგემოვნო მიდრეკილებით (ჩინური ვაზები, ინდური მოსაწყვი მოწყობილობა, კედელზე ზღვის უვარგისი პეიზაჟი და სხვა).

მაგიდაზე, რუკებისა და ნავიგაციურ ხელსაწყოებს შორის – დიდი ფოტოგრაფიული პორტრეტი ქალისა. წარწერა ფრანგულად: `შვიდი ფუტი კილის ქვეშ, ძვირფასო! ფრანსუაზა ბ.` ვკითხე, ცოლი ხომ არ არის მეთქი. აღმოჩნდა – დედა. გულისშემძვრელი კია, მაგრამ ეჭვებს ვერ მოხსნის. მე კვლავინდებურად ვაპირებ კურსის გაზომვები ყოველ სამ საათში თავადვე ვაწარმოო, მიუხედავად იმისა, რომ ღამეში ორჯერ

მომიწევს აგდომა. რასაკვირველია, ვიდრე სეუცის არხში მივცურავთ, ეს თითქოს ზედმეტია, მაგრამ არ მსურს სექტანტთან ქცევის ჩვევები დავკარგო.

დრო საკმაოდ გამაჩნია და ჩემი მოცალობა წერილების შეთხზვის გარდა იმ ამაოების ბაზარზე დაკვირვებას ხმარდება, რომლითაც ყოვლისმხრივ ალყაში ვარ მოქცეული. ადამიანურ ტიპთა ამ გაღერებაში გვხვდებიან ძალზედ დაკავებულნი. სხვებზედ უკვე მოვიწერე, გუმინ ჩვენს სალონში ახალი სახე გამოჩნდა. წარმოიდგინეთ, რუსი გახლავსთ. სახელად – ერასტ ფანდორინი. თქვენ იცით, ემილი, რა მიმართება მაქვს რუსეთთან, ამ მახინჯ წარმონაქმნთან, ნახევარ ევროპას და აზიის მესამედს რომ ჰფარავს. რუსეთი ესწრაფვის მთელს მსოფლიოში გაავრცელოს თავისი რელიგია, რაიც ქრისტიანობის პაროდია გახლავსთ და თავისი ბარბაროსული ზნე-ჩვეულებები, და ალბიონი ერთადერთი დაბრკოლებაა ამ ახალი ჰუნების გზაზედ. რომ არა მისი უდიდებულესობის მთავრობის განუხრელი პოზიცია ამჟამინდელ აღმოსავლურ კრიზისში, მეფე ალექსანდრე თავისი დათვისებური თათებით მიიხვეტდა ბალკანეთსაც და... მოკლედ, ამაზედ უკვე მოგწერეთ და არ მინდა განვმეორდე. ამასთან პოლიტიკაზე ფიქრები ავად მოქმედებენ ჩემს ნერვებზედ. ახლა რვას უკვლია ოთხი წუთი. როგორც უკვე გაცნობეთ, `ლევიათანი` ადენამდე ბრიტანული დროით ცოცხლობს, ამიტომ რვაზე აქ უკვე დამეა. წავალ გაზომავ გრძედსა და განედს, მერე ვივახშმებ და წერილს გავაგრძელებ.

თერთმეტის თექვსმეტი წუთი.

ვხედავ, მისტერ ფანდორინზე არ დამისრულებია. წარმოიდგინეთ, რომ მომწონს – მიუხედავად თავისი ნაციონალიზმისა. კარგი მანერები აქვს, ბევრს არ ლაპარაკობს, მოსმენა ხელეწიფება. ეტყობა, იმ ფენას განეკუთვნება, რომელსაც რუსეთში იტალიურ სიტყვით მოიხსენიებენ ინტელიგენცია, რომელიც, ვგონებ, ევროპულად რომ გადმოვთარგმნოთ, განათლებული კლასი გამოვა. დამეთანხმებით, ძვირფასო ემილი, რომ საზოგადოება, რომელსიდაც ევროპული კლასი მოსახლეობის განსაკუთრებულ ფენად გამოიყოფა და ამასთან უცხოური სიტყვით მოიხსენიება, ამაოდ შეიძლება მივაკუთვნოთ ცივილიზებულთა თანრიგს. წარმომიდგენია, რამხელა უფსკრული ამორებს ადამიანურად განათლებულ მისტერ ფანდორინს რომელიმე წვერიანი კოსსაცკ-ისგან ანდა მუზიკ-ისგან, რომლებიც ამ თათრულ-ბიზანტიურ იმპერიაში მოსახლეობის ოთხმოცდაათ პროცენტს შეადგენენ. მეორე მხრივ, ამგვარმა დისტანციამ უჩვეულოდ უნდა აამაღლოს და გააკეთილშობილოს განათლებული და მოფიქრალი ადამიანი. ამის თაობაზედ კიდევ საჭირო იქნება ჩაფიქრება.

მომეწონა, თუ როგორ ელეგანტურად მოაქცია ალყაში მისტერ ფანდორინმა (სხვათაშორის, აღმოჩნდა, რომ დიპლომატია – ეს ბევრ რამეს ჰფენს ნათელს) აუტანელი ხეპრე გოში, რომელიც ამტკიცებს, რომ რანტიე გახლავსთ, თუმცა შეუიარაღებელი თვალთაც ეტყობა: ეს ტიპი რაღაც ბიძური საქმეებით არის დაკავებული. არ გამიკვირდება, თუკი იმისთვის მოდის აღმოსავლეთში, რომ პარიზის ავაზაკთა ბუნაგებისთვის ოპიუმი და ეგზოტიკური მოცეკვავეები შეიძინოს. [ბოლო ფრაზა გადახაზულია]. ვიცი, ძვირფასო ემილი, რომ თქვენ ნამდვილი ლედი ბრძანდებისთ და არ ეცდებით იმის წაკითხვას, რაც გადახაზულია. პატარაზედ გადავუხვიე და რაღაც დავსწერე, რაიც თქვენთა ბრძნულთა თვალთა ღირსი არ გახლავსთ.

ჰოდა, დღევანდელს ვახშამზედ. ფრანგი ბურჟუა, ამ ბოლოხანს რომ გამამაცდა და რაღაც მეტისმეტად ყბედი შეიქმნა, თვითკმაყოფილი პირისახით შეუდგა მოხუცებულობის უპირატესობის მტკიცებას ახალგაზრდობაზედ. `აი, მე ყველა აქ მყოფზედ ხნიერი გახლავარსთ, - თქვა უცაბედად, სოკრატესავით, - ჭაღარა, შეშუპებული, მაინცდამაინც კარგი ვეღარ, მაგრამ არ იფიქროთ, ბატონებო და ქალბატონებო, მამილო გოში დათანხმდებოდა რომელსამე თქვენგანთან ალაგის გაცვლაზედ. როცა მე ყოყორ ახალგაზრდობას ვხედავ, სიბერის წინაშე თავისი სილამაზით და ძალით, თავისი სიჯასალით რომ მოჰკვებს, ოდნავადაც არა მშურს. მერე რა, ვფიქრობ, დიდი ამბავი, მასეთი ხომ მეც ვიყავი ოდესღაც. აი, შენ კი, გვრიტო, ჯერ არავინ იცის, გასძლებ თუ ვერა ჩემს სამოცდაორ წლამდე. მე უკვე ორჯერ ბედნიერი ვარ,

ვიდრე შენ შენი ოცდაათი წლით, რაკილა ამქვეყნად ორჯერ მეტხანს მომიწია ცხოვრება. და ღვინო მოწრუპა, ძალიან ამაყობდა თავისი აზროვნების ორიგინალობითა და მოჩვენებითი ლოგიკური ურყევობით. აქ მისტერ ფანდორინი, აქამომდე პირიც რომ არ გაუღია, უცებ გადაჭარბებული სერიოზულობით ნაღმს უდებს: `ლაპარაკიც არ უნდა, რომ სწორედ მასეა, ბატონო გომ, თუკი სიცოცხლეს აღმოსავლური აზრით განვიხილავთ როგორც ყოფნას ყოფიერების ერთ წერტილში და მარადიულ `ახლაში`. მაგრამ არსებობს სხაგვარი განსჯაც, ადამიანის სიცოცხლეს ერთიან და მთლიან ნაწარმოებად რომ აფასებს, რომელზე მსჯელობაც შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ბოლო ფურცელიც ჩაიკითხება. ამასთან ნაწარმოები შესაძლოა გრძელი იყოს, როგორც ტეტრალოგია, ანდა მოკლე, როგორც ნოველა. თუმცა ვინ მოჰყვება მტკიცებას, რომ სქელი და უხამსი რომანი აუცილებლად ფასეულია მოკლე და მშვენიერ ლექსზე?` ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ეს ჩვენი რანტიე, რომელიც ნამდვილად სქელი და უხამსია, ვერც კი მიხვდა, რომ მასზე იყო ლაპარაკი. მაშინაც კი, როცა მის სტამპმა (სულელი არ არის, მაგრამ საკმაოდ უცნაური არსებაა) ჩაიხითხითა, მე კი საკმაოდ ხმამაღლა ჩავიფრუტუნე, ფრანგი მაინც ვერ მოვიდა აზრზე – თავის აზრზედ დარჩა, რაზედაც პატივი და ქება ერგება.

მართალია, შემდეგ საუბარში, დესერტს რომ შევექცეოდით, გომმა ჩემთვის განსაკვირველად ჯანსაღი აზროვნება გამოავლინა. რეგულარული განათლების არარსებობას მაინც გააჩნია თავისი უპირატესობები: ავტორიტეტებით დაუბოროკავ განსჯას ხანდისხან ხელეწიფება საინტერესო და მართებული დაკვირვებების გაკეთება.

თავად განსაჯეთ. ამების მაგვარმა მისის ტრუფომ, ჩვენი ჯომარდი ექიმის ცოლმა, ისევ დაუწყო მოგურგურება `პაწუკას` და `ანგელოზს`, რომლითაც მალე გააბედნიერებს თავის ბანკირს მადამ კლებერი. ვინაიდან მისის ტრუფო ფრანგულად ვერ ლაპარაკობს, მისი დამაქრული სენტენციების თარგმნა ოჯახურ ბედნიერებაზედ, რომელიც წარმოუდგენელია `ციცქნა ცეროდენას` გარეშე, მის ბედკრულ მეუღლეს მოუწია. გომმა იხვნემა-იხვნემა და მერე უცებ გამოაცხადა: `არ შემიძლია, დაგეთანხმოთ, მადამ. ჭემმარიტად ბედნიერ წყვილს ბავშვები სულაც არ სჭირდება, ანუ ქმარსა და ცოლს სავსებით ჰყოფნისთ ერთიმეორე. კაცი და ქალი – ორი უთანასწორო ზედაპირივით არის, თითოეული თავისი ბორცვაკებითა და ჩათელილი ალაგებით. თუკი ზედაპირები ერთმანეთზე მჭიდროდ არ არის შეტყუპებული, მაშინ წებოა საჭირო, უიმისოდ კონსტრუქციას, ანუ ოჯახს ვერ შეინარჩუნებ. ჰოდა, ბავშვები სწორედ ის წებო არიან. და თუ ზედაპირები იდეალურად შეერთდა, ბორცვი ღრმულში, წებო აღარ არის საჭირო. ავიღოთ თუნდაც მე და ჩემი ბლანში. ოცდაცამეტი წელიწადი გვრიტებივით ვიცხოვრეთ, შეხმატკბილებულად. რად გვინდა შვილები? უიმათოდაც დიდებული იყო. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ემილი, ქადაგების ტალღის ქოთქოთი, მარადიული ფასეულობების დამამხოებელს რომ დაატყდა თავზე. ყველაზედ მეტი გულმოდგინეობა თავად მადამ კლებერმა გამოიჩინა, თავის წიაღში პატარა შვეიცარიელს რომ ზრდიდა. იმისი რიგიანი, ყველანაირად დასანახად გამოფენილი მუცელის დანახვაზედ კრუნჩხვა მეწყება. ჰოდა, შიგნით მოკუნტულად მყოფ მინი-ბანკირს ვხედავ, ამოწკეპილი ულვაშითა და გაბერილი ლოყებით. დროის განმავლობაში კლებერების წყვილს უეჭველად გაუჩნდება შვეიცარიის გვარდიის მთელი ბატალიონი.

უნდა გამოგიტყდეთ, ჩემო ნაზად თაყვანსაცემო ემილი, გულს მირევს ფეხმძიმე ქალების სანახაობა. საძაგლები არიან! ეს უაზრო-ცხოველური ღიმილი, ეს მდაბიური მუდმივი დაყურადება საკუთარი სტომაქისა! ვცდილობ მადამ კლებერიდან შორს დავიჭირო თავი. შემომფიცეთ, ძვირფასო, რომ ჩვენ არასდროს გვეყოლება შვილები. სქელი ბურჟუა ათასგზის მართალია! რა საჭიროა ბავშვები? ჩვენ ხომ ისედაც უსაზღვროდ ბედნიერები ვართ. საჭიროა მხოლოდ დაველოდოთ ამ იძულებითს განშორებას. თუმცა თერთმეტს უკლია ორი წუთი. დროა აზომვა გავაკეთო.

ჯანდაბა! მთელი კაიუტა გადავაქოთე. ჩემი სექსტანტი გაქრა. ეს ბოდვა არ არის! ზანდუკში იდო, ქრონომეტრთან და კომპასთან ერთად, ახლა კი აღარ არის! მეშინია, ემილი! ო, მე წინდაწინ ვგრძნობდი!

გამართლდა ჩემი უარესი ეჭვები!

რატომ? რისთვის? ისინი ნებისმიერი სიბილწისთვის მზად არიან, ოღონდ არ დაუშვან ჩვენი შეხვედრა! ახლა როგორღა შევამოწმო, როგორი კურსით მიდის ორთქლმავალი? რენიემ წაიღო, ვიცი! შევამჩნიე, როგორი თვალებით შემომხედა, როცა გასულ დამეს გემბანზე დაინახა ჩემი მანიპულაციები სექსტანტით. არამზადა!

წავიდე კაპიტანთან, მოვითხოვო შურისძიება. და თუკი ორივენი შეთქმულნი არიან? ღმერთო, ღმერთო, შემიწყალე.

პაუზის გაკეთებამ მომიწია. ისე ავღელდი, რომ იძულებული შევიქმენ, დოქტორ ჯენკინსის გამოწერილი წვეთები მიმეღო. და, როგორც მან მიბრძანა, სასიამოვნო რამეზე დავიწყე ფიქრი. იმაზე, თუ მე და თქვენ როგორ ვისხდებით თეთრ ვერანდაზე და შორს დავიწყებთ ცქერას, ვეცდებით გამოვიცნოთ, სად მთავრდება ზღვა და სად იწყება ცა. თქვენ გაიღიმებთ და მეტყვით: `მვირფასო რეჯი, აი, ჩვენ ერთად ვართ~. მერე კაბრიოლეტში ჩავსხდებით და სანაპიროს გაყოლებაზე გავსწევთ სასეირნ...`

ღმერთო, რას მივედ-მოვედები! რა კაბრიოლეტი!

მე ურჩხული ვარ, და შენდობა არა მაქვს.

რენატა კლებერი

მშვენიერ გუნებაზე გამოიღვიძა. გულითადად გაუღიმა მზის ყურცქვიტა სხივს, ბალიშით გამობერილ მრგვალ ლოყაზე რომ შემოსცოცებოდა, მერე მუცელს დააყურადა. ნაყოფი წყნარად იყო, მაგრამ ძალიან მოუნდა ჭამა. საუზმემდე მთელი ორმოცდაათი წუთი იყო დარჩენილი, მაგრამ რენატა მოთმინებით ვერ დაიკვებნიდა, ხოლო მოწყენა არ შეეძლო. დილ-დილაობით ძილი ისევე საჩქაროდ სტოვებდა, როგორც საღამოობით დაატყდებოდა ხოლმე – ბუტერბროდებზე დაწყობილ ხელიეგულებზე მისდებდა თავს და მომდევნო წამში უკვე ხედავდა სასიამოვნო და მხიარულ სიზმარს.

ჩიტირეკიული სიმღერით საწყალ ჟორჟეტზე, მესაყვირე რომ შეუყვარდა, რენატამ დილის ტუალეტი მოითავა, ლავანდის ნაყენით გაიწმინდა ნამძინარევი სახე, მერე კი სწრაფად და მარჯვედ დაივარცხნა: შუბლზე სწორად ჩამოიყარა ნაწილი; სქელი, წაბლისფერი თმა გლუვ კვანძად დაიხვია, საფეთქლებზე კიდევ ორი ცალად ჩამოუშვა. სწორედ ის გამოვიდა, რაც საჭირო იყო – მოკრძალებულად და კოხტად. ილუმინატორში გაიჭვრიტა. ისევ იგივე: თანაბრად მოარშიებული არხი, ყვითელი ქვიშა, საბრალო სოფლის თეთრი, თიხითნალესი ქოხები. სიცხე იქნება. ესე იგი, თეთრი, ფურფუქელებიანი კაბა, ჩალის ქუდი წითელი ბაფთით და ქოლგა არ დაავიწყდეს – საუზმის მერე დაუყოვნებელი მოციონი. სხვათაშორის, ქოლგით სიარული ეზარება. რა უჭირს, ვინმე მოუტანს.

რენატა შესამჩნევი კმაყოფილებით დატრიალდა სარკის წინ, გვერდულად დადგა, მუცელზე დაიქაჩა კაბა. მართალი ითქვას, ჯერ-ჯერობით საყურებელიც არა იყო რა.

ფეხმძიმის უფლებით საუზმეზე დადგენილზე ადრე მივიდა – ოფიციატები ჯერ კიდევ აწობდნენ სუფრას. რენატამ დაუყოვნებლივ მოითხოვა, რომ მოერთმიათ ფორთოხლის წვენი, ჩაი, ფუნთუშების რქები კარაქით და ყველაფერი დანარჩენი. როცა გამოჩნდა მაგიდის მეზობელთაგან პირველი – სქელი მუსიე გოში, აგრეთვე დილის ტოროლა, - მომავალი დედა უკვე გაუმკლავდა სამ რქას და სოკოებიან ომლეტს ეპარებოდა. `ლევიათანზე~ რაიმე კონტინენტური კი არა, ნამდვილი ინგლისური საუზმე მოჰქონდათ: როსტბიფი, კვერცხის კერძები, პუდინგი და ფაფა. კონსორციუმის ფრანგულ ნაწილს მხოლოდდა კრუასანები წარმოადგენდა. სამაგიეროდ, სადილად და ვახშმად მენიუში განუხრელად ბატონობდა ფრანგული სამზარეულო. აბა, `უინძორის~ სალონში თირკმელებს ხომ არ მიიტანდნენ`

ბარდით?

კაპიტნის პირველი თანაშემწე, როგორც ყოველთვის, ზუსტად ცხრაზე გამოცხადდა. მზრუნველად დაინტერესდა თუ როგორ გრძნობდა თავს მადამ კლებერი. რენატამ იცრუა, რომ ცუდად ეძინა და თავს სრულიად დათრგუნულად გრძნობს, ხოლო ეს ყველაფერი იმის გამოისობით, რომ ილუმინატორი ცუდად იღება და სული ეხუთება. ლეიტენანტი რენიე აწრიალდა, დაჰპირდა, რომ პირადად შეივლის და უწესრიგობას აღმოფხვრის. კვერცხს და როსტბიფს თანაშემწე არა ჭამდა – რაღაც ჭკვიანურ დიეტას იცავდა და ძირითადად მწვანილეულით იკვებებოდა. ამის გამო რენატას ეცოდებოდა.

ნელ-ნელა გამოჩნდნენ დანარჩენებიც. საუზმეზე საუბარი, როგორც წესი, დუნე გამოდიოდა ხოლმე – ისინი, ვინც ასაკში იყვნენ, ჯერ კიდევ ვერ გამოგონებულ იყვნენ სამაგლად გატარებული ღამის შემდეგ; ახალგაზრდებს კი ჯერაც არ გაღვიძებოდათ საბოლოოდ. თავშესაქცევი იყო დაკვირვება, თუ როგორ სთავაზობდა კერძებს გაფაციცებული კლარისა სტამპი მორიდებულ დიპლომატს. რენატამ თავი გადააქნია: ასე რატომ უნდა მოისულელო თავი. ეგ ხომ შენ, საყვარელო, შვილად გერგება, ეს იმპოზანტური ჭაღარა ისე აქვს. ასეთი ღამაში კაცი შეგფერის, შე ბებერო პრანჭია?

ყველაზე ბოლოს ჟღალთმიანი გიჟი (თავისთვის ასე ეძახდა რენატა ინგლისელ ბარონეტს) მოვიდა. თმა ბლუჯა-ბლუჯა ადგას, თვალები დაწითლებია, პირის კუთხე დაუხტის – საზარლობა და საშინელება. მაგრამ მადამ კლებერს მისი ოდნავადაც არ ეშინია, ხოლო თუ შემთხვევა მიეცემოდა, ხელიდან არ გაუშვებდა, რომ მსუბუქად არ დაეცინა. აი, ახლაც მიამიტ-თბილი ღიმილით გიჟს სარძევე გაუწოდა დასასხმელად. მილფორდ-სტოუკსმა (რა სახელი აქვს!), როგორც მოსალოდნელი იყო, უმალ გასწია თავისი ფინჯანი. რენატამ გამოცდილებით იცოდა, რომ ახლა სარძევეს აღარ მიეკარება, მარტო ყავას შესვამს.

- რა გან-განზე ხტით, პატივცემულო? – ათროლოებული ხმით თქვა, - ნუ გეშინიათ, ფეხმძიმობა ავი სნეულება არაა. – და ყოველგვარი ხმისკანკალის გარეშე დაამთავრა, - ყოველ შემთხვევაში, კაცებისთვის. გიჟმა ანთებული მზერა ესროლა, რომელიც შემხვედრზე – გასხვიოსნებულზე და წყნარზე - შიშხინით ჩაქრა. ლეიტენანტმა რენიემ ხელისგულით დამალა სიცილი, რანტიემ ჩაიფხუკუნა. იაპონელსაც კი გაეღიმა რენატას გამოხდომაზე. მართალია, ეს მუსიე აონო სულ იღიმის, მიზეზის გარეშეც კი. შეიძლება მაგათთან, იაპონელებთან ღიმილი მხიარულებას კი არა, რაღაც სულ სხვას ნიშნავს. მაგალითად, მოწყენილობას ანდა ზიზღს.

სიცილი რომ მოათავა, მუსიე აონომ თავისი ჩვეულებრივი საქციელი ჩაიდინა, რისგანაც მაგიდის მეზობლებს ღამის გულ-მუცელი ამოუტრიალდათ: ჯიბიდან ქაღალდის სახოცი ამოიღო, ხმამაღლა მოიწმინდა შიგ ცხვირი, შეახვია და სველი შეკვრა რიგიანად დადო თავისი გამოსაცვლელი თევზის კიდეზე. დატკბი ახლა ამ იკებანით. იკებანაზე რენატამ პიერ ლოტის რომანში წაიკითხა და დაიმახსოვრა ეს მჟღერი სიტყვა. საინტერესო იდეაა – უბრალოდ კი არ შეკრა თაიგულები, არამედ ფილოსოფიური აზრით.

- თქვენ რომელი ყვავილები გიყვართ? – შეეკითხა ექიმ ტრუფოს.

იმან თავის ჯაგლაგს გადაუთარგმნა შეკითხვა, მერე მიუგო:

- სამფერა ია.

და პასუხიც გადათარგმნა: პანსიეს.

- ჭკუას ვკარგავ ყვავილებზე! – წამოიძახა მის სტამპმა (გამომივიდა ეგეც ინჟენიუ). – ოღონდ ცოცხლები. ყვავილებიან მდელოზე მიყვარს სეირნობა! მე უბრალოდ გული მისკდება, როცა ვხედავ, თუ როგორ ჭკნებიან და ფურცლები სცვივით საცოდავ მოჭრილ ყვავილებს! ამიტომ არავის მივცემ უფლებას, რომ თაიგულები მომართვას. – და მიბნედილი მზერა მშვენიერი რუსისკენ მიაპყრო.

ეგ რომ არ გეთქვა, ისე ხომ სულ თაიგულებში ჩაგძირავდნენ, გაიფიქრა რენატამ, ხმამაღლა კი გამოაცხადა:

- ჩემის აზრით, ყვავილები ღვთის ქმნილებათა გვირგვინებია და ყვავილებული მდელოს გათელვა დანაშაულად მიმაჩნია.

- პარიზის პარკებში ეს სწორედ რომ დანაშაულად ითვლება, - წარმოთქვა მუსიე გოშმა. – სასჯელი ათი ფრანკი. და თუკი ქალბატონები ჩიბუხის გაბოლების ნებას მისცემენ ბებერ ხეპრეს, ერთ გასართობ ამბავს გაიმბობთ ამ თემაზე.

- ო, ქალბატონებო, შემწყნარებლობა გამოიჩინეთ! – ა-ლა დიზრაელის მაგვარი წვერის ცახცახით შესძახა შუშაბანდებიანმა ინდოლოგმა სვიტჩაილდმა. – მუსიე გოში ხომ დიდებული მთხრობელია! ყველა ფეხმძიმე რენატასკენ მიბრუნდა, რომელზეც დამოკიდებული იყო გადაწყვეტილება და იმანაც ჩვეულებისამებრ შუბლზე გადაისვა ხელი. არა, თავი ოდნავადაც არა სტკიოდა – რენატა სასიამოვნო მომენტს იხანგრძლივებდა. თუმცა ამბის მოსმენა იმასაც აინტერესებდა და ამიტომ მსხვერპლის გამღების გამომეტყველებით დაუქნია თავი:

- კარგი, მოსწიეთ. ოღონდ ვინმემ გამინიავოს მარაოთი.

რაკი კაპასმა კლარისამ, მდიდრული სტრაუსის მარაოს მფლობელმა, ისეთი სახე მიიღო, რომ თითქოს ეს იმას არ ეხებოდა, იაპონელს მოუწია დაბერვა. გინტარო აონო გვერდით ჩამოუჯდა და ისეთი გულმოდგინებით მოჰყვა გაჭირვებულის ცხვირის წინ თავისი ნათელი და პეკლებიანი მარაოს ქნევას, რომ ერთი წუთის მერე ამ კალეიდოსკოპისგან რენატას მართლა გაურატრატდა თავი. იაპონელმა მეტისმეტი მონდომებისთვის რეპრიმანდი მიიღო.

რანტიე კი თავის გუნებისად გაიშალა, სურნელოვანი ბოლის ღრუბელი გამოუშვა და მოყოლას შეუდგა: - თუნდ დაიჯერეთ, თუნდ არა, მაგრამ ამბავი ნამდვილია. ლუქსემბურგის ბაღში ერთი მებაღე მსახურობდა, მამილო პიკარი. ორმოცი წელიწადი რწყავდა და კრეჭდა ყვავილებს, და პენსიამდინ სულ სამიდე წელი რჩებოდა. ერთ დილასაც მამილო პიკარი სარწყავით გამოვიდა, ხედავ – ტიტების ყვავილნარზედ ფრაკიანი ბატონი დაწოლილა. გაიჭიმა ადრიან შზეხედ, მოეწყო. ეტყობა, ღამით დროის გამტარებელია – ალიონამდე ქეიფს ეწეოდა, შინამდე კი ვეღარ მიაღწია, კისერი მოსტყდა. – გოშმა თვალები მოწკურა, იქ მყოფთ ცბიერი გამოხედვა მიაპყრო. – პიკარი, რასაკვირველია, გაბრაზდა – ტიტები გათელილია – და ეუბნება: `ადექით, მუსიე, ამ ჩვენს პარკში ყვავილნარზე წოლა არ შეიძლება! ამაზედ ჯარიმას ვიღებთ, ათ ფრანკს`. დარდიმანდმა ცალი თვალი გაახილა, ოქროს მონეტა ამოიღო. `აჰაო, ეუბნება, ბერიკაცო და თავი დამანებე. კარგა ხანია ეგრე კარგად აღარ დამისვენია`. მებაღემ მონეტა კი გამოართვა, მაგრამ თავად არ მიდის. `ჯარიმა კი გაისტუმრეთ, მაგრამ თქვენი აქ დატოვების უფლება არა მაქვს. კეთილი ინებეთ და ადექით`. აქ ფრაკიანმა ბატონმა მეორე თვალიც დაახილა, თუმცა ადგომას არ ჩქარობს. `რამდენი უნდა გადაგიხადო, რომ მზე არ მომიჩრდილო? ნებისმიერ თანხას ვიხდი, თუკი დამეხსნები და ერთი საათით წათვლემის უფლებას მომცემ. მამილო პიკარმა კეფა მოიქექა, რაღაც აწონდაწონა ჭკუაში, ტუჩები ააცმაცუნა. `მაშ, კარგიო, ეუბნება, თუკი თქვენ, ბატონო, გასურთ შეიძინოთ ერთი საათის კოტრიალი ლუქსემბურგის ბაღის ყვავილნარში, ეს დაგიჯდებათ ოთხმოცდაოთხი ათასი ფრანკი და არც ერთი სუთი ნაკლები`. – ზორბაულვაშიანმა ფრანგმა მხიარულად გაიღიმა და თავი გადააქნია, თითქოს მებაღის თავხედობით იყო აღტაცებული. – და არც ერთი სუთი ნაკლებიო, ეუბნება. აი, ასე. ახლა კი უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს დარდიმანდი ბატონი უბრალო კაცი კი არა, თავად ბანკირი ლაფიტი იყო, მთელს პარიზშიდ უმდიდრესი ადამიანი. სიტყვის ტყუილად თქმას დაჩვეული არ გახლდათ, თქვა `ნებისმიერი თანხა` და რა უნდა ექნა. სამარცხვინო იყო, ყავარზე გაედო კუდი და თავისი სიტყვიდან გადასულიყო. მაგრამ არც ამხელა ფულის მიცემა ეხალისებოდა ნებისმიერი პირველი შემხვედრი თავხედისთვის. რა უნდა ექნა? – გოშმა მხრები აიჩეჩა, გართულების უკიდურესი ხარისხი გამოხატა. – ლაფიტმაც აიღო და უთხრა: `კარგი, ბებერო გაიმკერავ, მიიღებ შენ იმ ოთხმოცდაოთხ ათასს, ოღონდ ერთი პირობით: დამიმტკიცე, რომ ამ შენს მაიმუნურ ყვავილნარზე ერთი საათით წოლა ნამდვილად ამდენი ღირს. და ვერ დაგიმტკიცებია – ახლავ ავდგები, ამ ტროსტით გვედებს აგინთებ და ეს წვრილმანი ხულიგნობა ორმოცი ფრანკი დამიჯდება ადმინისტრაციული ჯარიმით`. – შერეკილმა მილფორდ-სტოუკსმა ხმამაღლა გაიცინა და თანხმობის ნიშნად ჟღალი კულულები აუქანავდა, ხოლო გოშმა

მოწვევისგან გაყვითლებული თითი ასწია: დაიცადეო რა და რა გიხარია, ჯერ არ დამთავრებულაო. – და როგორ გგონიათ, ქალბატონებო და ბატონებო? მამილო პიკარს სულაც არ დაურცხვენია, ბალანსის გამოყვანას შეუდგა. `ნახევარ საათში, ზუსტად რვაზე ბალის ბატონი დირექტორი მოვა, დაგინახავთ ყვავილნარზე და ყვირილს დაიწყებს, რომ აქედან გამოგიყვანოთ. მე ამას ვეღარ ვიზამ, რადგან თქვენ გადამიხდით ნახევარი საათისას კი არა, მთელი საათისას. ბატონ დირექტორთან კამათს დავიწყებ და ისიც სამსახურიდან გამაგდებს პენსიონის და გამოსასვლელი საშუალების გარეშე. მე კიდევ სამი წელიღა დამრჩა პენსიამდე. პენსია ათას ორასი ფრანკი მერგება წელიწადში. მშვიდად ცხოვრებას ესე ოც წლამდე ვაპირებ, ეს უკვე ოცდაათი ათასია. სახელმწიფო ბინიდან მე და ჩემ მეუღლეს ამოგვწერენ. საკითხავია, სად ვიცხოვროთ? სახლია საყიდელი. და მოკრძალებული სახლი სადმე ლუარაში ყველაზე ნაკლებ კიდევ ერთ ოცი ათასამდე გაქაჩავს. ახლა, ბატონო, ჩემს რეპუტაციაზეც იფიქრეთ. ამ ბაღში ორმოცი წელიწადი პატიოსნად და მუხლჩაუხრელად ვიმუშავე, და ნებისმიერი გეტყვით, რომ მამილო პიკარი – ალალმართალი კაცია. და როგორი ლაფი დამესხმება ამ თეთრ თმაზე. ეს ხომ ქრთამია, მოსყიდვა! და ვფიქრობ, ათასი ფრანკი ალალმართალი სამსახურის თითოეული წლისთვის ბევრი არ არის მორალური კომპენსაციის კუთხით. ჰოდა, სულ ოთხმოცდაათი ათასი გამოდის~. გაიცინა ლაფფიტმა, ყვავილნარში უფრო მოხერხებულად მოთავსდა და ისევ დახუჭა თვალები. `მოდით ერთ საათში, - ეუბნება, - გადაგიხდით შენ ფულს, ბებერო მაიმუნო~. აი, ასეთი დიდებული ამბავია, ბატონებო და ქალბატონებო.

- ესე იგი, ალალმართალი მუშაობის თითო წელი -ათას ფრანკად წავიდა? – გაიცინა რუსმა დიპლომატმა. – ძვირი არ არის. ეტყობა, რაკი მთლიანად ჰყიდოდა, იმიტომ დაუკლო.

იქ მყოფებმა ცოცხლად დაიწყეს მონაყოლის განხილვა, საპირისპირო აზრებს გამოთქვამდნენ, რენატა კი ინტერესით მიაჩერდა მუსიე გოშს, რომელმაც კმაყოფილი სახით გახსნა თავისი შავი საქალაქი, შეგრილებული შოკოლადი მოსვა და ქალაქდები ააშრილა. საინტერესო ეგზემპლარია ეს პაპა, ვერაფერს იტყვი. და რა საიდუმლოებები აქვს ამისთანა? რატომ აიფარა იდაყვი?

რენატას დიდი ხანია მოსვენებას უკარგავდა ეს საკითხი. მომავალი დედის უფლებით რამდენჯერმე სცადა კიდევ, რომ მხარს ზემოდან ჩაეხედა გოშისთვის, მაგრამ არსაითი უღვაშა საკმაოდ უხეშად ცხვირწინ დაუხურავდა ხოლმე დოსიეს, თან თითითაც ემუქრებოდა – არ შეიძლებაო.

თუმცა დღეს ერთი რაღაცა მოხდა. როცა მუსიე გოში, ჩვეულებრივ, სხვებზე ადრე წამოდგა მაგიდიდან, მისი საიდუმლო საქალაქიდან უხმაუროდ გამოცურდა ერთი ფურცელი და ჩუმად დაეშვა იატაკზე. რომელიღაც დარდიან ფიქრებში წასულმა რანტიემ ეს ვერ შენიშნა და სალონიდან გავიდა. კარი ჯერ არ დახურულიყო, რომ რენატამ მკვირცხლად წამოსწია სკამიდან წელისკენ ოდნავ გაგანიერებული სხეული. მაგრამ მარტო ის არ გამოდგა ამისთანა დაკვირვებული. კარგად აღზრდილი მისს სტამპი, - ვერ უყურებ, როგორი ცქციტი ყოფილა – პირველი მივარდა ფურცელთან.

- აჰ, ბატონ გოშს მგონი რაღაც დაუვარდა! – წამოიძახა, მკვირცხლად აიღო ქალაქი და ხარბად ჩახედა თავისი მახვილი თვალებით. – წამოვეწევი, დავუბრუნებ.

მაგრამ მადამ კლებერმა ქალაქის კუთხე მოიგდო მაგარ თითებში და გაშვებას არ აპირებდა.

- ეს რა არის? – შეეკითხა. – გაზეთის ამონაჭერი? რა საინტერესოა!

მაღე ორივე ქალბატონის გარშემო ყველა იქმყოფი მოგროვდა, მხოლოდ ყვეყჩი იაპონელი ინიავებდა თავისი მარათი და მისის ტრუფოც დაყვედრებით უმზერდა ამგვარ აშკარა შეჭრას პრივაცე-შიდ.

ამონაჭერი ასე გამოიყურებოდა:

‘საუკუნის დანაშაული’: ახალი მოსახვევი?

ათი ადამიანის ემპაკისეული მკვლელობა, უკვე მესამე დღეა რომ მოხდა გრენელის ქუჩაზე, პარიზელთა ჭკუას აფორიაქებს. აქამდე ორი ვერსია იმარჯვებდა: ექიმ-მანიაკზე და სისხლისმწყურვალ ფანატიკოს

ინდუსთა სექტაზე, ღმერთ შივაზედ რომ ჰლოცულობდა. თუმცაკი ჩვენმა 'სუარმა', დამოუკიდებელ გამოძიებას რომ აწარმოვებს, შესძლო დაედგინა ახალი გარემოებები, რომელნიც, შესაძლოა, საქმეს სულ სხვა მიმართულებას აძლევენ. აღმოჩნდა, რომ ბოლო კვირას განსვენებული ლორდი ლიტლბი ორჯერ მაინც დაინახეს საერთაშორისო ავანტიურისტის, მარი სანფონის საზოგადოებაში, რომელიც ბევრი ქვეყნის პოლიციისთვის კარგად გახლავსთ ცნობილი. ბარონმა დე მ., მოკლულის უახლოესმა მეგობარმა განაცხადა, რომ მილორდი გატაცებული იყო ერთი ქალბატონით და თხუთმეტი მარტის საღამოს, როგორც სჩანს, აპირებდა სპაში წასვლას რომელიღაც რომანტიკულ პაემანზედ. ქალბატონ სანფონთან ხომ არ იყო დანიშნული ეს შეხვედრა, რომელსაც ხელი შეუშალა ნიკრისის ქარების შემოტევამ, ასე უდროოდ რომ შეემთხვა ბედკრულ კოლექციონერს? რედაქცია თავის თავზედ ვერ აიღებს საკუთარი ვერსიის გამოთქმის სითამამეს, თუმცა თავის მოვალეობად სთვლის, კომისარ გომის ყურადღება მიაპყროს ამ შესამჩნევ გარემოებას. დაელოდეთ ჩვენს ახალ ცნობებს ამ თემაზედ.

ქოლერის ეპიდემია სუსტდება

ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური სამმართველო აცხადებს, რომ ქოლერის კერები, რომელთან ბრძოლაც ზაფხულიდან მომდინარეობს, საბოლოოდ ლოკალიზებულია. პარიზელ მედიკოსთა ენერგიულმა პროფილაქტიკურმა ზომებმა დადებითი შედეგი მოგვცეს, და შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ამ სახიფათო დაავადების ეპიდემია, ჯერ კიდევ ივლისში რომ დაიწყოს.

- ეს რად უნდა? - შუბლი შეიჭმუნა შეფიქრიანებულმა რენატამ. - რომელიღაც მკვლელობა, თანაც ქოლერა.
- მოკლედ, ქოლერა აქ ნამდვილად არაფერ შუაშია, - თქვა პროფესორმა სვიტჩაილდმა. - უბრალოდ გვერდია ასე მოხეული. ეს, რასაკვირველია, ღიუ დე გრენელზე მომხდარ მკვლელობას ეხება. ნუთუ არა გსმენიათ რა? ყველა გაზეთი წერდა ამ გახმაურებულ საქმეზე.
- მე გაზეთებს არ ვკითხულობ, - ღისეულად მიუგო მადამ კლებერმა. - ჩემს მდგომარეობაში ეს ძალიან მანერვიულებს. ყოველშემთხვევაში, რაში მარგია ათასნაირი სისამაგლის გაგება.
- კომისარი გომი? - ერთხელ კიდევ ჩახედა შენიშვნას და ლეიტენანტმა რენიემ თვალები მოჭუტა. - ეს ჩვენი მუსიე გომი ხომ არ არის?
- მისის სტამპმა ამოიკვნესა:
 - შეუძლებელია!
- ამ დროს ექიმის ცოლიც მიუახლოვდათ. ნამდვილი სენსაცია გამოდიოდა და ყველა ერთბაშად ალაპარაკდა:
 - პოლიცია, აქ ფრანგული პოლიციაა ჩარეული! - აღტკინებით წამოიძახა სერ რეჯინალდმა.
- რენიემ ჩაილაპარაკა:
 - იმიტომ არის, რომ კაპიტანი სულ მეკითხება ხოლმე სალონ 'უინძორზე'...
- მისტერ ტრუფო ჩვეულებისამებრ უთარგმნიდა თავის მეუღლეს, რუსი კი ამონაჭერს დაუფებოდა და ყურადღებით სწავლობდა.
 - ინდოელ ფანატოკოსებზე - აბსოლუტური სისულელეა, - გამოაცხადა სვიტჩაილდმა. - მე თავიდანვე ამას ვამტკიცებდი. ჯერ ერთი, შივას მიმდევრებში არავითარი სისხლისმწყურვალი სექტა არ არსებობს. და მეორეც, როგორც ცნობილია, სტატუეტი აღმოაჩინეს. რელიგიური ფანატიკოსი სენაში გადაადგებდა?
 - ჰო, ოქროს შივაზე გამოცანაა, - თავი დაუქნია მისის სტამპმა. - წერდნენ, რომ ეს ლორდ ლიტლბის კოლექციის მარგალიტია. მართალია, ბატონო პროფესორო?
- ინდოლოგმა უმაღ აიჩქა მხრები:

- რა მოგახსენოთ, ქალბატონო. ლორდ ლიტლბის კოლექცია ახლახანს შეიქმნა, ოცი წლის წინათ. ამ დროის მანძილზე ძნელია რაიმე შესანიშნავი იშოვნო. ამბობენ, განსვენებული საკმაოდ გამდიდრდა სიპაების აჯანყების ჩახშობისას 1857 წელს. ეს სახელგავარდნილი შივა, მაგალითად, ლორდს 'აჩუქა' ვიღაც მაჰარაჯამ, რომელსაც აჯანყებულებთან შარიშურისთვის სამხედრო-საველე სასამართლო ელოდა.

ლიტლბიმ ხომ მრავალი წელიწადი იმსახურა ინდოეთის სამხედრო პროკურატურაში. რასაკვირველია, მის კოლექციაში ბევრი ფასეული ნივთია, მაგრამ საკმაოდ უთავბოლო შერჩევაა.

- მთავრად, ბოლოსდაბოლოს, რატომ მოკლეს ეგ თქვენი ლორდი? – მოითხოვა რენატამ. – აი, არც მუსიე აონომ იცის რამე, ხომ მართალია? – მხარდასაჭერად მიუბრუნდა იაპონელს, ყველასგან განცალკევებით რომ იჯდა.

იაპონელმა მხოლოდ ტუჩებით გაიღიმა და თავი დაუკრა, ხოლო რუსმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს აპლოდისმენტს უპირებდა:

- ბრავო, მადამ კლუბერ. თქვენ სავსებით მართებულად გამოყავით ყველაზე მ-მთავარი შეკითხვა. მე ამ საქმეს თვალს ვადევნებდი პრესიდან. და დანაშაულის მიზეზი, ჩემი აზრით, აქ ყველაზე მ-

მნიშვნელოვანია. თავსატეხის გასაღები იქ იმალება. სწორედ 'რატომ'! რა მიზნით მოკლეს ცხრა კაცი?

- აჰ, ამაზე ადვილი არაფერია! – მხრები აიჩეჩა მისის სტამპმა. – ჩანაფიქრი იყო, რომ კოლექციიდან ყველაფერი ფასეული მოეპარათ, თუმცა დამნაშავემ სიმშვიდე დაკარგა, როცა მოულოდნელად გადაეყარა პატრონს. ხომ იცოდა, რომ ლორდი შინ არ იყო. ალბათ, სულ სხვაა შპრიცის ჩხვლეტა და სულ სხვა კიდეც, კაცს რომ თავი გაუტეხო. სხვათაშორის, არ ვიცი, არ გამომიციდია. – მხრები შეათამაშა. – ბოროტმოქმედს ნერვებმა უმტყუნა და საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. ხოლო რაც შეეხება გადაგდებულ შივას... – მისის სტამპი ჩაფიქრდა. – შესაძლოა, ეს სწორედ ის მძიმე საგანია, რითაც ბედკრულ ლიტლბის თავის ქალა ჩაუმსხვრიეს. ალბათ, დამნაშავესთვის მთლად უცხო არ გახლავთ ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები და ვერ აიტანა მკვლელობის იარაღი ხელში ანდა შეეშინდა კიდეც. საწყლისპირომდე მიაღწია და სენაში ისროლა.

- მკვლელობის იარაღზე გეთანხმებით? – მხარი დაუჭირა დიპლომატმა. – მეც ამავე აზრისა ვარ.

შინაბერამ სიამოვნებისგან ამოიხვნეშა და დაუფარავად შეიმშუმნა, რაკი რენატას დამცინავი გამოხედვა დაიჭირა.

- You are saying outrageous things, - ნათქვამის თარგმანი რომ მოისმინა, კლარისა სტამპს მოუჭრა ექიმის ცოლმა. – Shouldn't we find a more suitable subject for take talk? ('საშინელ რაღაცეებს ლაპარაკობთ.

საუბრისთვის უფრო შესაფერის თემა ხომ არ მოგვეძებნა?' - ინგლ.).

მაგრამ უფერული არსების მოწოდება უყურდღებოდ დარჩა.

- ჩემი აზრით კი, აქ ყველაზე გამოუცნობია მსახურთა სიკვდილი! – კრიმინალისტურ დისკუსიაში ჩაება აყლაყუდა ინდოლოგი. – როგორ მისცეს საშუალება, რომ ნებისმიერი სამაგლობა ეჩხვლიტათ?

სინამდვილეში, პისტოლეტით მუქარის შედეგად ხომ არა? მათ შორის ხომ ორი მცველი იყო და თითოეულს ტყავის ბუდე ეკიდა რევოლვერით. აი, სად არის თავსატეხი!

- მე მაქვს ჩემი ჰიპოთეზა, - ღირსეული გამომეტყველებით წარმოთქვა რენიემ. – და მზად ვარ, დავიცვა კიდეც, სადაც გნებავთ. ღიუ დე გრენელზე დანაშაული ჩადენილია იმ ადამიანის მიერ, ვინც ჰფლობს წარმოუდგენელ მესმერულ ნიჭს. მსახურები მესმერული ტრანსის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ეს ერთადერთი ესაძლო ახსნაა! 'ცხოველური მაგნეტიზმი' - საშინელი ძალაა! გამოცდილი მანიპულატორი რასაც უნდა, იმას გაგიკეთებთ. დიახ-დიახ, მადამ, - ლეიტენანტმა მიმართა ეჭვით გაწეულ მისის ტრუფოს, - აბსოლუტურად ყველაფერი.

- Not if he is dealing with a lady ('ოღონდ მაშინ ვერა, როცა საქმე ლედისთან აქვს' - ინგლ.), - მკაცრად მიუგო მან.

მთარგმნელის როლით გადაღლილმა მისტერ ტრუფომ ცხვირსახოცი მოიწმინდა დანაოჭებული შუბლი

და მეცნიერული მსოფლმხედველობის დასაცავად გამოიღო თავი.

- ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმოთ, - დამარცვლა ფრანგულად და თანაც საკმაოდ ძლიერი აქცენტით. - ბატონი მესმერის სწავლება დიდი ხანია მეცნიერულად შეუმდგარად გახლავთ აღიარებული. მესმერიზმის ძალა, ანუ, როგორც ახლა უწოდებენ, ჰიპნოტიზმა, მეტისმეტად გადაჭარბებულია. პატივცემულმა მისტერ ჯეიმს ბრეიდმა ჩინებულად დაამტკიცა, რომ ჰიპნოზურ ზემოქმედებას ემორჩილებიან მხოლოდ ფსიქიკურად აშლილი ინდივიდუუმები, თანაც ისიც იმ შემთხვევაში, თუკი სრულიად ენდობიან ჰიპნოტიორს და თანახმანი არიან, ჩაუტარდეთ ჰიპნოზური სეანსი.

- როგორ გეტყობათ, ძვირფასო ექიმო, რომ აღმოსავლეთში არ გიმოგზაურიათ! - თეთრი კბილები გამოაჩინა რენიემ. - ნებისმიერ ინდურ ბაზარში ფაკირი მესმერული ხელოვნების ისეთ საოცრებებს გაჩვენებთ, რომ ყველაზე მკტიცე სკეპტიკოსს თვალები შუბლზე აუვა. და ფოკუსებზე აღარაფერს ვამბობ! ერთხელ ყანდალარში სახალხო ეგზეკუციას ვუყურე. მუსულმანური კანონით ქურდობა ისჯება მარჯვენა ხელის მოკვეთით. ეს პროცედურა იმდენად მტანჯველია, რომ ბევრი მტკივნეული შოკისგან კვდება. იმჯერად ქურდობისას პატარა ბავშვი იყო დაჭერილი. რაკილა მეორედ დაიჭირეს, მოსამართლეს მეტი გზა აღარ ჰქონდა, ქურდის მომზადება მოუწიათ შარიათით დადგენილი კანონით დასასჯელად. მაგრამ მოსამართლე კეთილი კაცი იყო და ბრძანა, ის დერვიში მოეყვანათ, რომელიც თავისი სასწაულმოქმედი ნიჭით იყო ცნობილი. დერვიშმა საფეთქლებით დაიჭირა სასჯელმისჯილი, თვლებში ჩახედა, რაღაც უჩურჩულა - და ბიჭუნა დამშვიდდა, აღარ კანკალებდა. სახეზე უცნაური ღიმილი აუთამაშდა, რომელიც მაშინაც კი არ გამქრალა, როცა ჯალათის სეკირამ ხელი იდაყვში მოჰკვეთა! და ეს ჩემი თვალთ ვნახე, გეფიცებით.

რენატა გაბრაზდა:

- ფუჰ, რა საზიზღრობაა! ერთი თქვენც, შარლ და ეგ თქვენი აღმოსავლეთიც. ახლა ცუდად გავხდები!
- მაპატიეთ, მადამ კლებერ! - მოიბოდიშა ლეიტენანტმა. - მე მხოლოდ იმის დამტკიცება მიხდოდა, რომ ამასთან შედარებით რაღაც ჩხვლეტები - არაფერია.
- მაინც უფლებას მივცემ საკუთარ თავს, რომ არ დაგეთანხმოთ... - ჯიუტი ექიმი თავისი თვალსაზრისის დასაცავად მოემზადა, მაგრამ ამ დროს სალონის კარი გაიხსნა და შემოვიდა ან რანტიე, ანდა პოლიციელი - მოკლედ, მუსიე გომი.

ყველა ცოტა უხერხულად შებრუნდა მისკენ, თითქოს უჩვეულო საქმიანობაში წაასწრესო.

გომმა გამჭრიახი მზერა მოატარა ყველას, ის საბედისწერო ამონაჭერი დიპლომატის ხელში შეამჩნია და მოიდრუბლა.

- აი, სად ყოფილა... სწორედ ამისი მეშინოდა.

რენატა ჭადარაულვამიან პაპასთან მივიდა, ეჭვით შეათვალა თავიდან ფეხებამდე და მიახალა:

- მუსიე გომ, ნუთუ თქვენ პოლიციელი ხართ?

- სწორედ ის კომისარი გომი, რ-რომელსაც 'საუკუნის დანაშაულის' გამოძიება მიჰყავდა? - შეკითხვა დააზუსტა ფანდორინმა (აი, რა ჰქვია ამას, ამ რუს დიპლომატს, გაიხსენა რენატამ). - მაშინ რით ავხსნათ ეს თქვენი მასკარადი და საერთოდ, თქვენი ყ-ყოფნა ბორტზე?

გომმა პატარაზე წაუძღერა, წარბები შეათამაშა, ჩიბუხის ძეგნას შეუდგა. ეტყობოდა, გამალებული ფიქრობდა, უნდა გადაეჭტყვიტა, რა ექნა.

- დაბრძანდით, ბატონებო და ქალბატონებო, - საოცრად შთამბეჭდავი ბასით თქვა გომმა და გასაღების გადატრიალებით კარი გადაკეტა. - რაკი ეგრე გამოვიდა, ღიად ვითამაშებთ. დაბრძანდით, დაბრძანდით, თორემ ვინმე უდროოდ დროს არ ჩაიკეცოს.

- ეს რა ხუმრობაა, მუსიე გომ? - უკმაყოფილოდ წარმოთქვა ლეიტენანტმა. - ვინ მოგცათ აქ მბრძანებლობის უფლება, თანაც კაპიტნის პირველი თანაშემწის თანდასწრებით?

- ამას კი, ყმაწვილო, თავად კაპიტანი აგისხნით, - უკმაყოფილოდ მიუგო გომმა. - საქმის კურსშია.

რენიე ჩაჩუმდა და სხვებივით მიუჯდა მაგიდას.

ყბედი და კეთილი ბუზუნა, როგორაც რენატა სთვლიდა პარიზელ რანტიეს, რაღაც სულ სხვანაირად იქცეოდა. მის მხრებს წარმოსადგეობა მიემატა, ქესტები მბრძანებლური გახდა, თვალები მკაცრად აუღელვარდა. ჯერ მარტო ის, თუ როგორ მშვიდად და მტკიცედ იცავდა გაგრძელებულ პაუზას, ძალიან ბევრს ამბობდა. უცნაური რანტიეს დაჟინებული მზერა რიგ-რიგობით ჩერდებოდა იქ მყოფებზე, და რენატა ხედავდა, თუ როგორ იბუზებოდა ზოგიერთი ამ მზიმე გამოხედვისგან. და თავად ისიც, რომ ელიარებინა, აფორიაქდა, მაგრამ შერცხვენილმა რენატამ თავი გადააქნია: იყოს პოლიციის კომისარი, მერე რა. მაინც მოღუშული, ქაქანა ბერიკაცია და მეტი არაფერი.

- გეყოფათ ჩვენი დაინტრიგება, მუსიე გომ, - დამცინავად თქვა მან. - მღელვარება ჩემთვის მავნებელია. - მღელვარების მიზეზი აქ მყოფთაგან ალბათ ერთს აქვს, - გამოუცნობლად მიუგო გომმა. - მაგრამ ამას მერე დავუბრუნდებით. თავდაპირველად ნება მიბოძეთ პატივცემულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ წარვუდგე. დიახ, მე გუსტავ გომი ვარ, მაგრამ რანტიე არა - სამწუხაროდ არსაიდან მაქვს რენატა მისაღები. მე, ქალბატონებო და ბატონებო, პარიზის სისხლის სამართლის პოლიციის კომისარი ვარ და ვმუშაობ განყოფილებაში, რომელიც იკვლევს შედარებით მძიმე და ჩახლართულ დანაშაულებს. ჩემს თანამდებობას კი ჰქვია 'განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი', - მრავალმნიშვნელოვნად ხაზი გაუსვა კომისარმა.

სალონში სამარისებური მდუმარება ჩამოვარდა, რომელსაც ექიმ ტრუფოს გაჩქარებული ჩურჩული არღვევდა.

- What a scanda! ('რამხელა სკანდალია!~ - ინგლ.) - ამოიკვნესა ექიმის ცოლმა.

- იძულებული შევიქმენ, ამ რეისს გამოვყოლოდი, თანაც ინკოგნიტოდ, რადგან... - გომმა ენერგიულად აამოძრავა ლოყები, რათა ნახევრადჩამქრალი ჩიბუხი ისევ გაეჩაღებინა. - რადგან პარიზის პოლიციას აქვს საკმაო საფუძელი ვარაუდისა, რომ 'ლევიათანზე' იმყოფება ადამიანი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა ღიუ დე გრენელზე.

სალონში ხმადაბალ ჩურჩულად გაისმა ერთობლივი 'აჰ!~'.

- იმედი მაქვს თქვენ უკვე იმსჯელებთ ამ მრავალი კუთხით იდუმალ საქმეზე. - კომისარმა ორმაგი ღაბაბი გააქნია საგაზეთო ამონაჭრისკენ, რომელიც ისევ ფანდორინს ეჭირა ხელში. - და ჯერ არ დამიმთავრებია, ქალბატონებო და ბატონებო. კიდევ ისიც ვიცი, რომ მკვლელი პირველი კლასით მგზავრობს... (ისევ ერთობლივი ამოხვრა)... და უფრო მეტიც, ამჟამად ამ სალონში იმყოფება, - მხნედ დაასრულა გომმა, ფანჯარასთან მდგარ ატლასის სავარძელში ჩაჯდა და მოლოდინით დაიკრიფა გულხელი თავისი ვერცხლის საათის ძეწკვის ქვემოთ.

- შეუძლებელია! - შეჰვივლა რენატამ, უნებურად მუცელზე იტაცა ხელები.

ლეიტენანტი რენიე ფეხზე წამოხტა.

ჟრალთმიანმა ბარონეტმა გადაიხარხარა და დემონსტრირებულად შემოჰკრა ტაში.

პროფესორმა სვიტჩაილდმა კრუნჩხვით გადაყლაპა ნერწყვი და სათვალე მოიხსნა.

კლარისა სტამპმა თითები თავის საყელოზე მიმაგრებულ აქატის სამშვენისს შეავლო და ასე გაქვავდა.

იაპონელს ერთი კუნთიც კი არ შერხევია სახეზე, მაგრამ უცაბედად გაუქრა თავაზიანი ღიმილი.

ექიმმა ტრუფომ თარგმანი გადაივიწყა და ცოლს იდაყვში სწვდა, მაგრამ შიშით თვალებ გადმოკარკლული მისის ტრუფო თავადაც მიხვდა, რაში იყო საქმე.

დიპლომატმა კი ხმადაბლა ჰკითხა:

- საფუძველი?

- ჩემი აქ ყოფნა, - მტკიცედ მიუგო კომისარმა. - ეს საკმარისია. არის სხვა მოსაზრებებიც, მაგრამ თქვენ მათი ცოდნა რას გარგებთ... რას ვიზამთ. - პოლიციელის ხმაში გაწბილება ჟღერდა. - როგორც ვხედავ, არავინ ჩქარობს გულისწასვლას და არც ყვირის: 'მე დამაპატიმრეთ, ჩემი მოკლულია!~' მე, რასაკვირველია, ეს არც

მეგონა. მაშინ აი, რა. – მრისხანედ ასწია მოკლე თითი. – სხვა მგზავრებთან ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება. თანაც ეს თქვენს ინტერესებში არ არის – ხმა უცებ გავარდება და ისე დაგიწყებენ ყურებას, როგორც ჭირიანებს. ნუ შეეცდებით სხვა სალონში გადაბარებას – ეს მხოლოდ გაადლიერებს ჩემს ეჭვს. თანაც არაფერი გამოგივათ, კაპიტანთან ვარ მოლაპარაკებული.

რენატამ მთრთოლვარე ხმით წარმოთქვა:

- მუსიე გოშ, ცუნცულიკო, არ შეიძლება მე მაინც ამაცილოთ ამ კოშმარს? მკვლელთან ჯდომის მეშინია. შხამი რომ ჩამიყაროს? ლუკმას ვეღარ გადავცლაპავ. ჩემთვის ხომ მღელვარება სახიფათოა. არავის, სულ არავის ვეტყვი, პატიოსან სიტყვას გამლევთ!

- ძალიან ვწუხვარ, მადამ კლებერ, - ცივად მიუგო მაძებარმა. – მაგრამ გამონაკლისებს არ დავუშვებ. მე მაქვს საფუძველი ეჭვი მივიტანო ყველა აქ მყოფზე და თქვენ მათ შორის ბოლო არ ხართ.

სუსტი ოხვრით რენატა სკამის საზურგეს მიესვენა, ხოლო ლეიტენანტმა რენიემ იატაკს ბრაზით დაჰკრა ფეხი:

- თავს ზედმეტის უფლებას აძლევთ, მუსიე... განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა გამომძიებელი! ყველაფერ ამას დაუყოვნებლივ მოვახსენებ კაპიტან კლიფს!

- შეაყოლეთ, - გულგრილად თქვა გოშმა. – მაგრამ ჯერ არა, ცოტა მოგვიანებით. ჯერ არ დამისრულება ჩემი პატარა სიტყვა. მაშ ასე, ჯერ ზუსტად არ ვიცი, თქვენგან რომელია ჩემი კლიენტი, თუმცა ახლოს ვარ, ძალიან ახლოს ვარ მიზანთან.

რენატა ელოდა, რომ ამ სიტყვებს მჭევრმეტყველური გამოხედვა მოჰყვება და წინ გადმოიწია, მაგრამ პოლიციელი იმ თავის სულელურ ჩიბუხს უყურებდა. ალბათ უფრო ცრუობდა – არავინ ჰყავდა ნიშანში ამოღებული.

- თქვენ ქალზე გაქვთ ეჭვი, ეს ცხადია! – ხელები ნერვიულად აიქნია მის სტამპმა. – აბა, მაშ რატომ დაგაქვთ ამონაჭერი ვიღაც მარი სანფონზე? ვინ არის ეს მარი სანფონი? და ვინც არ უნდა იყოს! რა სიბრიყვეა, ქალზე ეჭვის მიტანა! განა ქალს ხელეწიფება ამისთანა მხეცობა?

მისის ტრუფო მყის ზეწამოიჭრა, ეტყობა, მზად გახლდათ, რომ ქალური სოლიდარობის დროშის ქვეშ დამდგარიყო.

- მადმუაზელ სანფონის თაობაზე სხვა დროს ვილაპარაკებთ, - მიუგო მაძებარმა და კლარისა სტამპი გამოუცნობი მზერით აწონ-დაწონა. – და ამონაჭრები აქ უამრავი მაქვს, თითოეულში კი თავისი ვერსია. – შავი საქალაღდე გახსნა და ამონაჭრები ააშრიალა. მართლა რამდენიმე ათეული იქნებოდა. – და მორჩა, ქალბატონებო და ბატონებო, გთხოვთ აღარ შემაწყვეტინოთ! – პოლიციელის ხმაში რკინამ გაიჟღერა. – დიახ, ჩვენს შორის საშიში დამნაშავეა. შესაძლოა, ფსიქოპათიური ხასიათისაც. (რენატამ შეამჩნია, თუ როგორ მოსცილდა ნელ-ნელა პროფესორი თავისი სკამიანად სერ რეჯინალდს). ამიტომ ყველას გთხოვთ სიფრთხილის დაცვას. თუკი რამე უჩვეულოს შეამჩნევთ, სულ უმცირეს წვრილმანსაც კი, - მაშინვე უნდა შემატყობინოთ. ისე, უკეთესი იქნებოდა, მკვლელს გულითადად მოენენიებინა, მაინც ვერსაც გადაიკარგება. აი, ახლა კი მოვრჩი.

მისის ტრუფომ მოწაფურად აიწია ხელი:

- In fact, I have seen something extraordinary only yesterday! A charcoal-black face, definitely inhuman, looked at me from the outside while I was in our cabin! I was so scared! (მე მართლა ვნახე ვიღაც ექსტრაორდინარული, ოღონდ გუშინ! ნახშირივით შავმა, ძალიან არაადამიანურმა სიფათმა შემომხედა ფანჯრიდან, როცა კაუტაში ვიყავი! და ძალიან შევშინდი!~ - ინგლ.) – მერე თავის თანამეცხედრეს მიუბრუნდა და ხელიგული დაჰკრა.

- I told you, but you paid no attention! (მე თქვენ გითხარით, მაგრამ თქვენ ყურადღება არ მიაქციეთ!~ - ინგლ.).

- ვაი, - შეკრთა რენატა. – მე კიდევ ჩემი ტუალეტის ნაკრებიდან სარკე დავკარგე, ნამდვილი კუს ბაკნის ჩარჩოში.

მუსიე შეშლილსაც უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ვეღარ მოასწრო – კომისარმა ბრაზით დახურა

საქალაქადე:

- მთლად იდოტად ნუ გამომიყვანთ! მე – ბებერი მამებარი ვარ! გუსტავ გოშს კვალიდან ვერ ააცდენ! თუ დამჭირდა – ნაპირზე გადავსვამ მთელ ამ პატიოსან კომპანიას და თითოეულთან ცალ-ცალკე გავარკვევთ ყველაფერს! ცხრა სულია მკვდარი, თქვენ ეს ხუმრობა ხომ არ გგონიათ! იფიქრეთ, ქალბატონებო და ბატონებო, იფიქრეთ!

სალონიდან გავიდა და ხმამალა გაიჯახუნა კარი.

- ბატონებო, ცოტა შეუძლოდ ვარ, - სუსტი ხმით წარმოთქვა რენატამ. – ჩემთან წავალ.

- მე გაგაცილებთ, მაღამ კლებერ, - დაუყოვნებლივ მასთან მიიღბინა შარლ რენიემ. – გაუგონარი ამბავია! დიდი თავხედობა!

რენატამ შეაჩერა:

- გმდლობ, საჭირო არ არის. კაიუტამდე თავად მივალ.

ნერვიული ნაბიჯით გადაკვეთა სალონი, კართან რამდენიმე წამით მიეყრდნო კედელს. დერეფანში, სადაც არავინ იყო, ფეხს აუჩქარა. რენატამ თავისი კაიუტა გაალო, დივანის ქვემოდან საკვოიაჟი გამოსწია და აკანკალებული ხელი აბრეშუმის ნაკერის შიგნით ჩაყო. სახე გაფითრებული, მაგრამ მტკიცე ჰქონდა. თითებმა უცებ იგრძნეს მეტალის კოლოფი.

კოლოფში შპრიცი იდო - მინითა და ფოლადით ცივად მოელვარე.

კლარისა სტამპი

უსიამოვნებები დილიდანვე დაიწყო. სარკეში კლარისამ აშკარად დაინახა ორი ახალი ნაოჭი – ძლივს შესამჩნევ სხივებად თვალის კუთხებიდან საფეთქლებსკენ მიდიოდნენ. სულ მზის ბრალია. ისეთი კამკამა, რომ არც ქოლგა შველის და არც კიდევ შლაპა. კლარისა დიდხანს ათვალირებდა საკუთარ თავს სარკის დაუნდობელ, აპრიალეზულ ზედაპირზე, თითებით კანს ქაჩავდა, იქნებ ეს ნაოჭები ძილის ბრალიაო. ჰოდა, იმდენი ათვალირა, კისერი ისე მიაბრუნა, რომ ყურს უკან ჰქადარა თმის ღერი დაინახა. აი, აქ კი საბოლოოდ მოიწყინა. იქნებ, ესეც მზის ბრალია? თმა ირუჯება? არა, მისის სტამპ, თავს ნუ მოიტყუებთ. როგორც პოეტმა თქვა:

და თეთრმა სუნთქვამ ნოემბრისამ

დარდებს გადამცა, თმა მომივერცხლა.

ჩვეულებრივზე უფრო მეტად მოიყვანა თავი წესრიგში. ჰქადარა ღერი დაუნდობლად ამოიგლიჯა.

სისულელეა, რასაკვირველია. მგონი, ჯონ დონთან არის ნათქვამი, რომ ქალური ბედნიერების საიდუმლო – ერთი ასაკიდან მეორეში გადასვლის უნარია, ხოლო ქალს სამი ასაკი აქვს: ქალიშვილი, ცოლი და დედა.

მაგრამ როგორ უნდა გადავიდეს მეორე სტატუსიდან მესამეში, თუკი არასდროს ყოფილა გათხოვილი?

ამგვარი აზრების მოსაგერიებლად საუკეთესო საშუალება – სუფთა ჰაერზე გასეირნებაა, და კლარისამ

გემზანზე სასეირნოდ გასწია. მთელი თავისი სიდიადის მიუხედავად `ლევიათანი~ უკვე კაი ხნის

გაზომილი გახლდათ თანაბარი, აუჩქარებელი ნაბიჯით – ყოველ შემთხვევაში, მისი ზედა გემზანი,

პირველი კლასის მგზავრებისთვის რომ იყო განკუთვნილი. მაგალითად, სამას ორმოცდათხუთმეტი

ნაბიჯი. შვიდ ნახევარი წუთი, თუკი ზღვით არ დატკებოდა და ნაცნობებთან არ იყბედებდა.

ადრიანი დროის გამო გემზანზე ნაცნობები არ იყვნენ და კლარისამაც დაუბრკოლებლივ გაიარა მარჯვენა

ბორტის გაყოლებით კიჩომდე. ორთქლმავალი რბილად ჰკვეთდა მეწამული ზღვის მუქ ზედაპირს,

მძლავრი პროპელერის მეოხებით ჰორიზონტისკენ მიიწელებოდა ზანტი და ვერცხლისფერი ორნატი. ოჰ, ცხელა.

კლარისა შურით უყურებდა მატროსებს, რომლებიც ერთი იარუსით დაბლა მოაჯირს სპილენძის ბალთებს უწმენდდნენ. ალბათ, რა კარგად არიან იმ თავიანთ ტილოს შარვლებში – არც ლიფი, არც პანტალონი, არ

წინდები მოძაგრული აჭიმებით, არც გრძელი კაბა. შენდაუნებურად ველური მისტერ აონოსი შეგშურდება, რომელიც ხომალდზე თავის იაპონურ საშინაო ხალათით დაიარება და ეს არავის აკვირვებს – აზიატია. წარმოიდგინა, რომ ტილოს შეზღონგზე მთლად უყველაფროდ წევს. არა, სჯობს მსუბუქ ტუნიკაში იყოს, როგორც ძველი ბერძენი. და დიდი არაფერი. ასი წლის შემდეგ, როცა კაცობრიობა საბოლოოდ განთავისუფლდება ცრურწმენებისგან, ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნება.

ამერიკულ სამთვალა ველოსიპედზე მისტერ ფანდორინი იჯდა და კაუჩუკის ბორბლების შარიშაურით მისკენ მოქროდა. ამბობენ, ამგვარი ეგზერსისი კუნთების ელასტიურობას ანვითარებს და გულსაც ამავრებს. დიპლომატი მსუბუქ სპორტულ კოსტუმში იყო: უჯრედულა პანტალონი, გუტაფისი ფეხსაცმელი გამაშებით, მოკლე პიჯაკი, თეთრი ხალათი გახსნილი საყელოთი. მხისგან გარუჯული მოოქროვილი სახე სალმიანი ღიმილით განათდა. მისტერ ფანდორინმა თავაზიანად აიწია ზარხუფი და გვერდით ჩაუშრიალა. არ გაჩერებულა.

კლარისამ ამოიხზრა. გასეირნების წამოწყება წარუმატებელი გამოდგა – მხოლოდ თეთრეული აევსო ოფლით. კაიუტაში დაბრუნება და გამოცვლა მოუწია.

კლარისას საუზმე კი ამ დადრეცილმა მადამ კლებერმა წაუხდინა. განსაცვიფრებელი უნარი აქვს, რომ თავისი სისუსტისგან ექსპლუატაციის იარაღი შექმნას! სწორედ მაშინ, როცა კლარისას ფინჯანში ყავა საჭირო ტემპერატურამდე გაცივდა, აბეზარმა შვეიცარიელმა დაიჩვილა, რომ სული ეხუთება, და ითხოვა, რომ თასმა მოეშვათ კაბაზე. საერთოდ, კლარისა ისეთ გამომეტყველებას იღებდა, თითქოს არ ესმოდა რენატა კლებერის ნართაულები, და უმაღვე გამოჩნდებოდა ვინმე მოხალისე, თუმცა ასეთი დელიკატური საქმისთვის მამაკაცები არ გამოდგებოდნენ, მისის ტრუფო კი, თითქოსდა ჯიბრზე, იქ არ იყო – ვიღაც ავად გამხდარი ქალბატონისგან ქმარს სარგებლის მიღებაში ეხმარებოდა. როგორც ჩანს, ადრე ეს მოსაწყენი არსება მოწყალების დად მუშაობდა. თუმცა, როგორი სოციალური აფრენაა: მთავარი ექიმის ცოლი, პირველ კლასში იკვებება. ჭემმარიტ ბრიტანელ ლედიდ მოაქვს თავი, ოღონდ ცოტა ამლაშებს. მოკლედ, მადამ კლებერის თასმასთან ჭიდილი მოუწია, ამ ხნის განმავლობაში კი ყავა უიმედოდ გაცივდა. წვრილმანია, რა თქმა უნდა, მაგრამ ასე კი არის და.

საუზმის მერე გასეირნა, ათი წრე დაარტყა, დაილალა. ერთხელ, იმით ისარგებლა, რომ ახლომახლო არავინ იყო, ფრთხილად შეიხედა # 18-ე კაიუტის ფანჯარაში. მისტერ ფანდორინი სეკრეტერთან იჯდა თეთრ ხალათში, წითელ-ცისფერ-თეთრ აჭიმებში და პირის კუთხეში სიგარაგაჩრილი, საშინლად ხმამაღლა უკაკუნებდა თითებს რაღაც ველურ აპარატს – შავს, რკინისას, მრგვალი ლილვაკით და უამრავი ღილაკით. დაინტრიგებულმა კლარისამ სიფხიზლე დაკარგა და დანაშაულის ადგილზე წაასწრეს. დიპლომატი წამოხტა, თავი დაუკრა, პიჯაკი მოიხურა და ღია ფანჯარასთან მივიდა.

- ეს ს-საწერი მანქანა 'რემინგტონია', - აუხსნა მან. – უახლოესი მოდელი. ახლახანს გამოვიდა გაყიდვაში. მეტად მოხერხებული ნივთია, მის სტამპ, და სულაც არ არის მძიმე. ორ მტვირთავს უწვალეზლივ გადააქვს. მ-მოგზაურობაში შეუცვლელი ნივთია. აი, სწრაფ წერაში ვვარჯიშობ. რაღაც-რაღაცეებს ვიწერ ჰობსიდან. სირცხვილისგან ჯერ კიდევ აწითლებულმა კლარისამ ოდნავ დაუკრა თავი და გაეცალა.

შორიახლოს ჩამოჯდა, ზოლიანი საჩიხის ქვეშ, ჩრდილში. ნიავი უბერავდა. 'პარმის სავანე' გადაშალა, მშვენიერი, მაგრამ სიბერეშეპარული ჰერცოგინია სანსევერინის უპასუხისმგებლო სიყვარულის ამბის კითხვას შეუდგა ახალგაზრდა ფაბრიციო დელ დონგოს მიმართ. გრძნობა მოერია, ცხვირსახოცი თოიწმინდა წამოსული ცრემლი – და თითქოს საგანგებოდ, გემზანზე გამოდის მისტერ ფანდორინი: თეთრ კოსტუმში, ფართოფარფლიანი პანამით, ტროსტით. უჩვეულოდ კარგია.

კლარისამ დაუძახა. ის მივიდა, თავი დაუკრა, გვერდით ჩამოჯდა. გარეკანს შეხედა, თქვა:

- სანამდღეს ჩ-ჩამოვდივარ, რომ ვატერლოოსთან ბრძოლის აღწერილობა გამოტოვეთ. და სულ ტყუილად – ეს საუკეთესო ადგილია მთელ სტენდალში. ომის უფრო ზუსტი აღწერილობა მე ჯერ არ წამიკითხავს.

რაც არ უნდა უცნაური იყოს, კლარისა, მართლაც, უკვე მეორედ კითხულობდა 'პარმის სავანეს' და

ორივეჯერ ბრძოლის სცენა წაკითხულს მიაფურცლა.

- საიდან გაიგეთ? – ცნობისმოყვარეობით შეეკითხა ქალი. – ნათელმხილველი ხართ?

- ქალები ყოველთვის სტოვებენ ბ-ბატალურ ეპიზოდებს, - მხრები აიჩეჩა ფანდორინმა. – ყოველ შემთხვევაში, თქვენეული სულიერი წყობის ქალები.

- და მაინც როგორი წყობა მაქვს? – მოკლედ შეეკითხა კლარისა, თავადვე გრძნობდა, რომ უხეიროდ კეკლუცჯბს.

- სკეპტიკური დამოკიდებულება საკუთარ თავთან, რომანტიკული – გარემომცველ სამყაროსთან. – ფანდორინი ოდნავ თავგადახრილი უყურებდა. – და კიდევ, თქვენს შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ამასწინათ თქვენს ცხოვრებაში მკვეთრი ც-ცვლილება მოხდა უკეთესობისკენ და თქვენ რაღაც ელდა გადაიტანეთ.

კლარისა შეხტა და თანამოსაუბრეს დაუფარავი შიშით შეხედა.

- ნუ შემინდებით, - დაამშვიდა საკვირველმა დიპლომატმა. – მე თქვენს შესახებ არაფერი არ ვ-ვიცი.

უბრალოდ, საგანგებო სავარჯიშოებით ჩემში დაკვირვებულობა და ანალიტიკური ნიჭი განვავითარე.

ჩვეულებრივ, უმნიშვნელო დეტალები მყოფნის მთელი ს-სურათის აღსადგენად. მაჩვენეთ აი ამისთანა შაურიანი ორი ნასვრეტით (მან დელიკატურად მიუთითა დიდ ვარდისფერ ღილზე, ქალის ჟაკეტს ღომ ამშვენებდა), და მაშინვე გეტყვით, ვის დაუვარდა – ძალიან დ-დიდ ღორს თუ ძალიან პატარა სპილუკას.

გადიმებულმა კლარისამ ჰკითხა:

- და თქვენ ყველას მთლიანად ხედავთ?

- მთლიანად ვერა, მაგრამ ცოტას ვხედავ. მაგალითად, რა შეგიძლიათ მითხრათ აი იმ ბატონზე?

ფანდორინმა დაანახვა ჩადგმული მამაკაცი დიდი ულვაშით, ბინოკლით რომ ათვალიერებდა უდაბურ ნაპირს.

- ეს მისტერ ბაბლია, ის...

- აღარ გააგრძელოთ! – შეაწყვეტინა ფანდორინმა. – ვეცდები თავად მივხვდე.

ნახევარი წუთი უყურებდა მისტერ ბაბლს, მერე თქვა:

- აღმოსავლეთში პირველად მიდის. ამასწინათ ცოლი მოიყვანა. ფაბრიკანტია. ს-საქმე არცთუ კარგად მისდის, ამ ბატონს სწრაფი გაკოტრების სუნს უდის. თითქმის მთელ დროს საბილიარდოში ატარებს, მაგრამ ცუდად თამაშობს.

კლარისა ყოველთვის ამაცობდა თავისი დაკვირვებულობით და მისტერ ბაბლს, მანჩესტერელ მრეწველს მიაჩერდა ყურადღებით.

ფაბრიკანტი? ამის მიხვედრა, შეიძლება. რაკი პირველი კლასით მოდის, - ესე იგი, მდიდარია.

არისტოკრატი რომ არ არის – სახეზე აწერია. კომერსანტსაც არა ჰგავს – ტომარისებური სერთუვი,

სიმკვირცხლეც არ მოუჩანს. გასაგებია.

ამასწინათ ცოლი? ჰო, ეს ადვილია – უსახელო თითზე ბეჭედი ისე უბრწყინავს, რომ უცებ მიხვდები – ახალთახალია.

საბილიარდოში? ეს საიდანღა არის? აჰა, პიჯაკი ცარცით აქვს დასვრილი.

- საიდან მოიტანეთ, რომ მისტერ ბაბლი აღმოსავლეთში პირველად მოდის? – შეეკითხა კლარისა. – რატომ უდის გაკოტრების სუნს? და რით არის გამოწვეული მტკიცება, რომ ის ბილიარდის ცუდი მოთამაშეა? თქვენ იქ იყავით და ნახეთ, როგორ თამაშობს?

- არა, მე ს-საბილიარდოში არ ვყოფილვარ, რადგან აზარტულ თამაშებს ვერ ვიტან. და საერთოდ, ამ ჯენტლმენს პირველად ვხედავ, - მიუგო ფანდორინმა. – იმას, რომ ამ მარშრუტს პირველად მიუყვება, ამჟღავნებს ბრიყვული სიჯიუტე, რომლითაც შიშველ ნაპირს ათვალიერებს. ასე რომ არა, მისტერ ბაბლს ეცოდინებოდა, რომ ბაბ-ელ-მანდების ყურემდე იმ მხარეს საინტერესოს ვერაფერს დაინახავს. ეს ერთი. ამ ბატონის საქმეები ძალიან ცუდად მიდის, თუ არა და, ასეთ გრძელ მოგზაურობაში არ წამოვიდოდა, თანაც

ქორწინებიდან მალევე. ამისთანა მ-მაჩვმა რომ თავისი სორო მიატოვოს? მხოლოდ სამყაროს აღსასრულისას, არავითარ შემთხვევაში უფრო ადრე. ეს ორი.

- და თუკი საქორწინო მოგზაურობაში წამოვიდა ცოლთან ერთად? – შეეკითხა კლარისა, თან ისიც იცოდა, რომ მისტერ ბაბლი მარტო მოგზაურობდა.

- და გემბანზე მარტოობაშია და ს-საბილიარდოში დაძვრება? არადა, ძალიან ცუდად თამაშობს – აგერ პიჯაკი თეთრი აქვს წინიდან. მხოლოდ უხეირო მოთამაშეები ეხახუნებიან ასე მუცლით ბილიარდის კიდეს. ეს სამი.

- მაშ, კარგი. აი იმ ქალბატონზე რაღას იტყვით?

თამაშით გატაცებულმა კლარისამ მისის ბლეკპული აჩვენა, დიდებულად რომ მოდიოდა თავისი კომპანიონი ქალის ხელკავით.

ფანდორინმა საპატიო ქალბატონი უინტერესო მზერით შეათვალიერა.

- ამას ყველაფერი სახეზე აწერია. ინლისიდან ქმართან ბრუნდება. წამოზრდილი შვილების სანახავად იყო. ქმარი სამხედროა. პოლკოვნიკი.

მისტერ ბლეკპული მართლა პოლკოვნიკი იყო და გარნიზონს მეთაურობდა ჩრდილოეთ ინდოეთის რომელიღაც ქალაქში. ეს უკვე მეტისმეტი იყო.

- ამიხსენით! – მოითხოვა კლარისამ.

- ასეთი ქალბატონები თავისით ინდოეთში არ მოგზაურობენ, მხოლოდ ქმრის სამსახურის ადგილზე მიდიან. უკვე იმ ასაკში აღარ არის, რომ ამისთანა მ-მოგზაურობაში პირველად წამოვიდეს – ალბათ, უკან ბრუნდება. რატომ უნდა წასულიყო ინგლისში? მხოლოდ შვილების სანახავად. მისი მშობლები, მე მგონი, უკვე იმქვეყანას არიან. სახის მკიცე და მედიდური გამომეტყველებით ჩანს, რომ ეს ქალი მბრძანებლობას მიეჩვია. სწორედ ასე გამოიყურებიან გარნიზონის ანდა პოლკის პირველი ქალბატონები. მათ ჩვეულებრივ თავად მეთაურის უფროსადაც სთვლიან. გინდათ იცოდეთ, რატომ მაინცდამაინც პოლკოვნიკის ცოლი? იმიტომ, რომ გენერლის ცოლი რომ ყოფილიყო, პირველი კლასით იმგზავრებდა, ამას კი, ხედავთ, ვერცხლის ნიშანი აქვს. კარგი, წვრილმანებზე დროს ნუ დაგვარგავთ. – ფანდორინი გადაიხარა და უჩურჩულა. – მოდით, აგერ იმ ორანგუტანგზე მოგიყვებით. საინტერესო სუბიექტია.

მისტერ ბაბლის მახლობლად მაიმუნის მსგავსი მუსიე ბუალო გაჩერდა, ყოფილი უინძორელი, თავის დროზე რომ დატოვა ბედნავის სალონი და ამიტომ გასხლტა კომისარ გოშის ბადიდან.

დიპლომატმა დაბალ ხმაზე უთხრა კლარისას ყურში:

- კაცი, რომელსაც ხედავთ, - დანაშავე და ბოროტმოქმედი. უფრო მეტიც, ოპიუმით მ-მოვაჭრეა. ცხოვრობს ჰონკონგში. ცოლად ჩინელი ჰყავს.

კლარისამ გადაიკისკისა:

- აი აქ კი მაგრად ააცდინეთ! ეს მუსიე ბუალოა ლიონიდან, ფილანტროპი და თერთმეტი სავსებით ფრანგი შვილის მამა. და ოპიუმით კი არა, ჩაით ვაჭრობს.

- რაღაც არა მგონია, - აუღელვებლად მიუგო ფანდორინმა. – დააკვირდით, მანჟეტი გახსნია და სვირინგის ლურჯი წ-წრე მოუჩანს მაჯაზე. ამისთანას ერთ წიგნში გადავეყარე, ჩინეთზე რომ იყო. ეს ერთ-ერთი ჰონკონგური ტ-ტრიადის ნიშანია, საიდუმლო კრიმინალური ორგანიზაციისა. ევროპელი რომ ამ ტრიადის წევრი გახდეს, დამნაშავეთა არცთუ სახუმარო მასშტაბის მამზრიალებელი უნდა იყოს. და, რაღა თქმა უნდა, ჩინელი უნდა მოიყვანოს ცოლად. შ-შეხედეთ ამ 'ფილანტროპის' ფიზიონომიას და ყველაფერი ნათელი გახდება თქვენთვის.

კლარისამ არ იცოდა, დაეჯერებინა თუ არა, ფანდორინმა კი სერიოზული სახით თქვა:

- ჯერ ეს რა არის, მისის სტამპ. მე თვალახვეულიც კი ბევრ რამეს გეტყვით ადამიანზე – მისი ხმაურისა და სუნის მოხედვით. თავად დარწმუნდით.

იქვე მოიხსნა ატლასის დიდი ჰალსტუხი და კლარისას გაუწოდა.

ქალმა მჭიდრო, გაუმჭვირვალე ნაჭერს გადაუსვა ხელი და მაგრად აუკრა თვალები დიპლომატს.

თითქოსდა უნებლიედ შეეხო სუფთა, ცხელ ლოყაზე.

მალე კიჩოს მხრიდან გამოჩნდა იდეალური კანდიდატურა – ცნობილი სუფრაჟისტი ლედი კემპბელი, რომელიც იმიტომ მიემგზავრებოდა ინდოეთში, რათა პეტიციაზედ ხელმოწერები შეეგროვებინა გათხოვილი ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების შესახებ. კაცისებური, მასიური, თმაშეჭრილი ისე დააბოტებდა გემბანზე, როგორც პერშერონი, ანუ მძიმე საზიდარში შესაბმელი ჯიშის ცხენივით. მიდი და გამოიცანი, რომ ეს ლედია და არა ბოცმანი.

- აბა, ვინ მოდის აქეთ? – შეეკითხა კლარისა, თან წინდაწინ მოსდიოდა სიცილი.

სამწუხაროდ, დიდხანს არ მოუწია მხიარულება.

ფანდორინმა შუბლი შეიწმუხნა და მოწყვეტით წარმოთქვა:

- ქვედაბოლო შრიალებს. ქალია. ნაბიჯები მ-მძიმეა. მტკიცე ხასიათი აქვს. ხანშია შესული. ულამაზოა. თამბაქოს ეწევა. თმა მოკლედ აქვს შეჭრილი.

- რატომ მოკლედ შეჭრილი? – ამოიკვნესა კლარისამ და თვალებზე ხელეზავრებულმა სუფრაჟისტის სპილოსებურ სიარულს დააყურადა. როგორ, როგორ აკეთებს ამას?!

- თუკი ქალი ეწევა, ესე იგი, თმაშეჭრილი და მოწინავეა, - ისმოდა ფანდორინის თანაბარი ხმა. – ეს კი რატომღაც ვერ იტანს მოდას, რაღაც უფორმო ბალახონს ატარებს, ღია მწვანე ფერისას, მაგრამ ალისფერი სარტყელით.

კლარისა გაქვავდა. წარმოუდგენელია! სახიდან ცრურწმენის შიშისგან მოიცილა ხელისგულები და დაინახა, რომ ფანდორინს უკვე მოესწრო ჰალსტუხის მოხსნა და დახვეწილი ნასკვიც კი გაეკეთებინა.

დიპლომატის ცისფერი თვალები მხიარულ ნაპერწკლებს ისროდა.

ეს ყველაფერი ძალიან კარგი იყო, მაგრამ მათი მუსაიფი ავად დასრულდა. სიცილის მერე კლარისამ ერთობ ფრთხილად გადაიყვანა ლაპარაკი ყირიმის ომზე. რამხელა ტრაგედია იყო ევროპისთვისაც და რუსეთისთვისაცო. ფრთხილად შეეხო თავის იმდროინდელ მოგონებებს, რომლებიც უფრო ბავშვურად გადააქცია, ვიდრე სინამდვილეში იყო. მოელოდა საპასუხო გულახდილობას – იმედი ჰქონდა, გაეგო, მაინც რამდენი წლის იყო ფანდორინი. ყველაზე უარესი აუცხადდა:

- მე მაშინ დაბადებულნი არ ვიყავი, - ალაღად აღიარა მან და კლარისას ფრთები შეაჭრა.

ამის შემდეგ ყველაფერი უკუღმართად წავიდა. კლარისამ სცადა, ფერწერისკენ გადაეხვია, მაგრამ დაიბნა, ვერ შეძლო აეხსნა, პრერაფაელისტებმა რატომ დაირქვეს პრერაფაელისტები. ალბათ, იმან იფიქრა, რომ კლარისა დასრულებული იდიოტია. აჰ, რაღა მნიშვნელობა აქვს!

თავის კაიუტაში ბრუნდებოდა დარდიანი და ამ დროს საშინელება მოხდა.

დერეფნის დაბინდულ კუთხეში გიგანტური შავი ლანდი შეირხა. კლარისამ უჩვეულოდ დაიკვნესა, გულზე იტაცა ხელი და მთელი ძალით გაიქცა თავისი კარისკენ. კაიუტაში დიდხანს ვერ დაიწყნარა გული, გამალებით რომ უცემდა. ეს რა იყო? არც კაცი, არც ცხოველი. რაღაც ნაწილი ბოროტი, დამანგრეველი ენერჯისა. ბინძური სინდისი. პარიზის კოშმარის ფანტომი.

დაუყოვნებლივ უყვირა საკუთარ თავს: მორჩა, იმას ჯვარი აქვს დასმული. არაფერიც არა ყოფილა. ბანგია, საცდური. საკუთარ თავს ფიცი მისცა – არ დატანჯულიყო. უკვე ახალი ცხოვრებაა, ნათელი და სასიხარულო. და სანეტარო ლამაზადით უნდა იყოს შენი სასახლე გასხივოსნებული.

დასამშვიდებლად ყველაზე ძვირფასი ძველი კაბა ჩაიცვა, ჯერ ერთხელაც არ ეხმარა (თეთრი ჩინური აბრეშუმში, უკან, წელზე ბანტია გაფითრებულ-მწვანე ფერისა), კისერზე – ზურმუხტის მძივი. ქვების ელვარებით დატკბა.

ჰო, ახალგაზრდა აღარ არის. ჰო, ულამაზოა. სამაგიეროდ, სულელი არ არის და ფულიც აქვს. ეს კი

გაცილებით უკეთესია, ვიდრე ხნიერი ჩერჩეტი მახინჯი, ერთი პენიც რომ არ ახადია.

ზუსტად ორ საათზე შევიდა კლარისა სალონში, მაგრამ მთელი კომპანია უკვე შეკრებილიყო. საკვირველი ამბავი იყო, მაგრამ კომისრის გუშინწინდელმა გამაოგნებელმა განცხადებამ კი არ განაცალკევია, არამედ უფრო გააერთიანა უინძორის საზოგადოება. საერთო საიდუმლო, რომელსაც ვერავის გაანდობდნენ, საერთო საქმეზე ანდა საერთო ინტერესზე უფრო მჭიდროდ აკავშირებდათ. კლარისამ შეამჩნია, რომ მისი თანამესუფრეები მაგიდასთან საუზმისთვის, სადილისთვის, ფაიფო-კლოკისთვის და ვახშმისთვის დანიშნულ დროზე ადრე იკრიბებოდნენ, თანაც უფრო მეტხანს რჩებიან, რაც ადრე თითქმის არა ხდებოდა. კაპიტნის პირველი თანაშემწეც კი, რომელსაც ამ ამბავთან ირიბი დამოკიდებულება აქვს, არ მიიჩქაროდა სამსახურებრივ საქმეებზე და დანარჩენებთან ერთად დიდხანს იჯდა `უინძორში` (სხვათაშორის, გამორიცხული არ არის, რომ ლეიტენენტი კაპიტნის დავალებით მოქმედებდა). ყველა უინძორელი თითქოსდა რომელიღაც ელიტარული კლუბის წევრები გახდნენ, დახურული რომ იყო გაუნდობელთათვის. კლარისა არაერთხელ დაიჭირა ჩუმად გამოპარებული სწრაფი გამოხედვები. ამ გამოხედვებს მხოლოდ ორიდან ერთი შეიძლება აღენიშნათ: `თქვენ ხომ არა ხართ მკვლეელი?` ანდა `ხომ არ მიხვდით, რომ მკვლეელი მე ვარ?` ყოველთვის, როცა ამისთანა რამ ხდებოდა, სადღაც შიგნიდან, ჯურღმულიდან ტკბილ კრუნჩხვად მოდიოდა მძაფრი შეგრძნება, შიშისა და აღგზნების ნაერთი. თვალწინ ცხადად უდგებოდა გრენელის ქუჩა – საღამოობით როგორც იყო: შემპარავად წყნარი, უდაბური, და შავი წაბლებიც არხევენ შიშველ ტოტებს. ისღა აკლდა, რომ კომისარს რამენაირად ეყნოსა `ამბასადორის` შესახებ. მარტო ამაზე ფირისასაც კი კლარისას შიშის ზარი დაეცემოდა ხოლმე და წარბებსქვემოდა თვალს აპარებდა პოლიციელისკენ.

გოში ამ საიდუმლო სექტის უმაღლესი ქურუმით იჯდა მაგიდასთან. თითოეულს ახსოვდა მისი იქ ყოფნა, თვალის კუთხით აკვირდებოდა მისი სახის გამომეტყველებას, ხოლო გოში, ეტყობა, ამას საერთოდ ვერ ამჩნევდა. გულკეთილ რეზონიორს განასახიერებდა და ხალისით ჰყვებოდა თავის `ამბებს`, რომლებიც დამაბული ყურადღებით ისმინებოდა.

უსიტყვო შეთანხმებით, ამას მხოლოდ სალონში და მხოლოდ გოშის თანდასწრებით განიხილავდნენ. თუკი ორი უინძორელი სადმე ნეიტრალურ სივრცეში – მუსიკალურ სალონში, გემბანზე, სამკითველო დარბაზში – გადაეყრებოდა ერთმანეთს – ამაზე არავითარ შემთხვევაში არ ლაპარაკობდა. დარბაზშიც ამ მომხიბვლელ თემას ყოველთვის არ უბრუნდებოდნენ. ეს, ჩვეულებრივ, თავისით ხდებოდა, რაღაც სრულიად სხვა შენიშვნის გამო.

დღეს, მაგალითად, საუზმეზე საერთო საუბარი საერთოდ არ აეწყო, სამაგიეროდ, ახლა, როცა კლარისა თავის ადგილას დაჯდა, მსჯელობა გახურებული იყო. მოწყენილი სახით დაიწყო მენიუს შესწავლა – თითქოს გადაავიწყდა, რა შეუკვეთა სადილად, თუმცა ნაცნობი აღგზნება უცებ გაჩნდა.

- ის, რაც მოსვენებას მიკარგავს, - ამბობდა ექიმი ტრუფო, - ამ დანაშაულის შეუწყნარებელი უაზრობაა. გამოდის, რომ ამდენი ადამიანი დაღუპეს სულ ტყუილად. ოქროს შივა სენაში აღმოჩნდა, მკვლეელი კი ხელცარიელი დარჩა.

ვანდორინმა, რომელიც მსჯელობებში იშვიათად მონაწილეობდა და მეტწილად სდუმდა, ამჯერად საჭიროდ ჩათვალა აზრი გამოეთქვა:

- მთლად ასე არ არის. დამნაშავეს ხელსახოცი დარჩა.

- რა ხელსახოცი? – ვერ მიხვდა ექიმი.

- ინდური, მოქარგული. რომელშიც, თუკი გაზეთებს დავუჯერებთ, მკვლელმა გატაცებული შივა გაახვია. ეს ხუმრობა გარკვეული ნერვიული სიცილით იქნა მიღებული.

ექიმმა სასურათედ გაშალა ხელები:

- ნუთუ მართლა ხელსახოცი?!

უცებ პროფესორი სვიტჩაილდი შეირხა და ცხვირიდან სათვალე ჩამოიგდო – ეს ჟესტი მის ძლიერ

მღელვარებაზე მეტყველებდა.

- სულ ტყუილად იცინით! მე ხომ დავინტერესდი, მაინც რომელი ხელსახოცი მოიპარეს. ო, ბატონებო, ეს ქსოვილის საკმაოდ უჩვეულო ნაჭერია, მას მთელი ამბავი უკავშირდება. ოდესმე თუ გსმენიათ რამე ზურმუხტის რაჯაზე?

- ეტყობა, ეს რომელიღაც ინდოელი ნაბობია, ხომ? – იკითხა კლარისამ.

- ლეგენდარული კი არა, სავსებით რეალური, მაძამ. ასე ეძახდნენ რაჯა ბაღდასარს, ბრაჰმპურის სათავადოს მმართველს. სათავადო მდებარეობს დიდ, ნაყოფიერ ველზე, ყოველი მხრიდან მთები არტყია. რაჯები დიადი ბაბურის შთამომავლები არიან და ისლამს აღიარებენ, თუმცა ამას მათთვის ხელი არ შეუშლია სამასი წლის განმავლობაში მშვიდობიანად ემართათ თავიანთი პატარა ქვეყანა, რომლის მოსახლეობის უმეტესობას ინდუსები შეადგენენ. მმართველ კასტასა და ქვეშევრდომებს შორის რელიგიური განსხვავების მიუხედავად, სათავადოში არც ერთხელ არ მომხდარა აჯანყება ან შუღლი, რაჯები მდირდდებოდნენ, და ბაღდასარის ხანაში ბრაჰმპურის გვარი მთელ ინდოეთში ითვლებოდა ყველაზე მდიდრად ჰაიდარაბადის ნიზამების შემდეგ, რომლებიც, როგორც თქვენთვის, რასაკვირველია, ცნობილია, სიმდიდრით ყველა მონარქს აფერმკრთალებენ, დედოფალ ვიქტორიასა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს ჩათვლით.

- ჩვენი დედოფლის სიდიადე მისი პირადი საგანძურის მოცულობისა არ არის, არამედ მისი ქვეშევრდომების სიმდიდრეშია, - მკაცრად თქვა ამ განცხადებით ოდნავ განაწყენებულმა კლარისამ.

- რასაკვირველია, - დაეთანხმა სვიტჩაილდი, რომელმაც უკვე შეუბერა – ველარ გააჩერებდი. – თუმცა ბრაჰმპურის რაჯების სიმდიდრე სრულიად განსხვავებული ხასიათის იყო. ოქროს არ აგროვებდნენ, ზანდუკებს ვერცხლით არ ავსებდნენ, ვარდისფერი მარმარილოთი არ აშენებდნენ სასახლეებს. ო, არა, სამასი წლის განმავლობაში ეს მმართველები სცნობდნენ მხოლოდ ერთ ვნებას – ძვირფასი ქვები.

თქვენთვის ცნობილია თუ არა `ბრაჰმპურის სტანდარტი`?

- ალბათ, ალმასის რაღაც ზომა, არა? – ყოყმანით ივარაუდა ექიმმა ტრუფომ.

- `ბრაჰმპურის სტანდარტი` იუველირული ტერმინია, რომლითაც აღნიშნავენ ალმასს, საფირონს, ლალს ან ზურმუხტს, შემოფარგლულს განსაკუთრებულად და ზომით კაკლის ტოლებს, რაც შეესატყვისება ას სამოც თანდულას, ანუ წონის ოთხმოც კარატს.

- მაგრამ ეს ძალიან დიდი ზომაა, - გაოცდა რენიე. – ამისთანა ქვები ძალზე იშვიათად გვხვდება. თუკი მეხსიერება არ მძალატობს, თვით ალმასი `რეგენტი`, საფრანგეთის სახელმწიფო საგანძურის მშვენება, ბევრით მეტი კი არ არის.

- არა, ლეიტენანტო, ალმასი `პიტი`, იგივე `რეგენტი` თითქმის ორჯერ დიდია, - ავტორიტეტული გამომეტყველები შეუსწორა მეზღვაურს პროფესორმა, - მაგრამ ოთხმოცი კარატი, თუკი ლაპარაკია წმინდა ქვებზე – ძალიან ბევრია. ასე რომ, ქალბატონებო და ბატონებო, წარმოიდგინეთ, რომ ბაღდასარს ამისთანა ქვები, თანაც ყველაზე საუკეთესო ხარისხის, ხუთას თორმეტი ჰქონდა!

- შეუძლებელია! – წამოიძახა სერ რეჯინალდმა.

ფანდორინმა კი იკითხა:

- რ-რატომ მაინცდამაინც ხუთას თორმეტი?

- წმინდა რიცხვ რვის გამო, - ხალისით აუხსნა სვიტჩაილდმა. – 512 არის 8 X 8 X 8, ანუ რვა სამ განზომილებაში, კუბში, ეგრეთ წოდებული `იდეალური რიცხვი`. აჰ, რასაკვირველია, ჩანს ბუდიზმის გავლენა, რომელიც რვიანს განსაკუთრებული პატივისცემით ეკიდება. ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ბრაჰმპური მდებარეობს, რელიგიები ერთობ უცნაურად არის გაერთიანებული. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, სად და როგორ ინახებოდა ეს საგანძური.

- მაინც სად ინახებოდა? – ცნობისმოყვარეობით იკითხა რენატა კლებერმა.

- თიხის უბრალო სკივრში, რომელიც მოკლებული იყო ნებისმიერ სამშვენისებს. მე 1852 წელს, ჯერ კიდევ

ახალგაზრდა არქეოლოგი, ბრაჰმაპურაში ვიყავი და შევხვდი რაჯა ბაღდასარს. სათავადოს ტერიტორიაზე, ჯუნგლებში, აღმოაჩინეს ძველი ტაძრის ნანგრევები და მისმა უდიდებულესობამ მიმიწვია აღმოჩენის შესაფასებლად. მე ჩავატარე აუცილებელი გამოკვლევები და როგორ გგონიათ? აღმოჩნდა, რომ ეს ტაძარი აშენებული იყო მეფე ჩანდრაჰუპტის ხანაში, როცა...

- სდექ-სდექ-სდექ! – სწავლულს შეაწყვეტინა კომისარმა. – არქეოლოგიაზე სხვა დროს გვიამბეთ. მოდით, ისევ რაჯას დავუბრუნდეთ.

- აჰ, დიახ. – პროფესორმა წამწამები ააფახულა. – მართლა ასე აჯობებს. მოკლედ, რაჯა კმაყოფილი დარჩა და განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშნად თავისი ლეგენდარული სკივრი მაჩვენა. ო, ვერასოდეს დავივიწყებ ამ სანახაობას! – სვიტჩაილდი შეუჭმუნა. – წარმოიდგინეთ, ბნელი მიწისქვეშეთი, სადაც კარის მახლობლად ერთადერთი მამხალა ანთია. რომელიც ბრინჯაოს სამაგრშია ჩასმული. ორნი ვიყავით – რაჯა და მე, დაახლოებული ხალხი მასიურ კართან დარჩა, რომელსაც დუჟინი (თორმეტი) მცველი იცავდა. განძსაცავის მოწყობილობას თვალი ვერ შევასწარი – თვალეზმა ვერ მოასწრეს ბინდის შეჩვევა. მარტო ის მესმოდა, რომ მისი უდიდებულესობა რაღაც კლიტეებს აჩხაკუნებს. მე რე ბაღდასარი ჩემსკენ შემობრუნდა და მის ხელში მიწისფერი კუბი დავინახე, ეტყობა, საკმაოდ მძიმე. ზომით იქნებოდა... – სვიტჩაილდმა თვალეზი გააღო და ირგვლივ მიმოიხედა. ყველა მოჯადოებულებით უსმენდა, ხოლო რენატა კლებერმა ბავშვივით დაალო პირი. – აბა, რა ვიცი. ალბათ, მისის სტამპის ქუდის ხელა, ეს თავსარქველი რომ კვადრატულ კოლოფში მოვათავსოთ. – ყველა, გეგონებათ, უბრძანესო, პატარა, ხოხბის ბუმბულიან ტიროლურ შლაპას მიაცქერდა. კლარისამ ღირსეული ღიმილით გადაიტანა ეს public scrutiny (‘ყოველმხრივი ცქერა’ - ინგლ.) – როგორც ბავშვობაში ასწავლიდნენ. – ალბათ ეს კუბი ყველაზე მეტად თიხის ერთ ჩვეულებრივ აგურს მიაგავდა, სამშენებლოდ რომ იყენებენ იმ ადგილებში. მოგვიანებით მისმა უდიდებულესობამ ამიხსნა, რომ თიხის უხეში, მონოტონური ზედაპირი გაცილებით უკეთ გამოხატავს ქვების შუქების თამაშს, ვიდრე ოქრო ან სპილოს ძვალი. შესაძლებლობა მქონდა, ამაში დავრწმუნებულიყავი. ბაღდასარმა ნელიად წაიღო ბეჭდებით დამძიმებული ხელი სკივრის სახურავისკენ, უცაბედი ჟესტით გახსნა და... მე დავბრმავდი, ბატონებო! – პროფესორს ხმა აუთრთოლდა. – ამის... ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია! წარმოიდგინეთ იდუმალი, მოციმციმე, მრავაფეროვანი ნათება, შავი კუბიდან ამოსული და მიწისქვეშეთის მოქუშულ თაღებზე ათამაშებული! მრგვალი ქვები რვა ფენად ეწყობოდა და თითოეულში სამოცდაათი დაწახნაგებულ-თლილი აუტანელი ელვარების წყარო! ეს ეფექტი, რასაკვირველია, ძლიერდებოდა ერთადერთი მოციანგე მამხალით. აი, ასე ვხედავ რაჯა ბაღდასარის სახეს, რომელიც დაბლიდან ნათდება ამ ჯადოსნური შუქით...

სწავლულმა კვლავ დახუჭა თვალეზი და გაჩუმდა.

- ნეტავი, რა ღირს ეს ფერადი მინები? – გაისმა კომისარის ჭრიალა ხმა.

- ნეტავ, მართლა, რამდენი? – გამოცოცხლდა მადამ კლებერიც. – ვთქვათ, თქვენს ინგლისურ ფუნტებში? კლარისამ გაიგონა, მისის ტრუფომ საკმაოდ ხმამაღლა როგორ უჩურჩულა ქმარს:

- She's so vulgar! (‘ძალიან ვულგარულია!’ - ინგლ.) – თუმცა ყურებიდან მოიცილა თავისი უფერული კულულები, რათა სიტყვაც კი არ გამორჩენოდა.

- იცით, - ალაღად გაიღიმა სვიტჩაილდმა, - მე დავინტერესდი ამ შეკითხვით. პასუხი არც ისე იოლია, რაღაი ძვირფასი ქვების ფასები მერყეობს ბაზართან დამოკიდებულების გამო, მაგრამ ახლანდელი მდგომარეობით...

- ჰო-ჰო, ახლანდელი, თუ შეიძლება, მეფე ჩანდრაჰუპტის ხანის გარეშე, - ჩაიბურტყუნა გოშმა.

- ჰო... ზუსტად არ ვიცი, რამდენი ბრილიანტი, რამდენი საფირონი და რამდენი ლალი ჰქონდა რაჯას. მაგრამ ჩემთვის ცნობილია, რომ ყველაზე მეტად იგი ზურმუხტს აფასებდა, რისთვისაც მეტსახელიც დაიმსახურა. მისი მმართველობის წლებში შეიძენს შვიდი ბრაზილიური ზურმუხტი და შვიდი ურალური, თანაც თითოეულში ბაღდასარმა თითო ბრილიანტი მისცა და ზედ ფულიც დაურთო. როგორც ცნობილია,

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა საიტმა: www.PDF.ChiatuaraINFO.GE

მის ყოველ წინაპარს თავისი საყვარელი ქვა ჰქონდა, რომელსაც სხვებთან შედარებით უპირატესობას აძლევდა და ცდილობდა პირველი რიგში ის შეეძინა. მაგიურ რიცხვ 512-ს ჯერ კიდევ ბაღდასარის პაპის დროს მიაღწიეს და მას შემდეგ მმართველის მთავარი მიზანი ქვების რაოდენობის გაზრდა კი არა, მათი ხარისხის ამაღლება გახდა. ის ქვები, რომლებსაც ოდნავ თუ აკლდათ სრულყოფილობამდე ანდა რატომღაც არ სარგებლობდნენ მმართველი თავადის კეთილგანწყობით, იყიდებოდა – აქედან მოდის 'ბრაჰმპურის სტანდარტის' დიდება, ცოტ-ცოტაობით მთელ მსოფლიოში რომ გავრცელდა. სამაგიეროდ სკივრში თავსდებოდნენ სხვები, უფრო ფასეული. მანიაკალური 'ბრაჰმპურის სტანდარტით' შეპყრობილობა ბაღდასარის წინაპრებში უგუნურებამდე აღწევდა! ერთმა მათგანმა სპარსეთის მეფის შაჰ-აბას დიადისგან ყვითელი საფირონი იყიდა წონით სამასი თანდული, ამ საოცრებაში ათი ქარავანი სპილოს ძვალი გადაიხადა, მაგრამ ქვა დადგენილ ზომაზე დიდი იყო და რაჯას იუველირებმა ზედმეტობები ჩამოათალეს!

- ეს, რა თქმა უნდა, საშინელებაა, - თქვა კომისარმა, - მაგრამ, მოდით, მაინც ფასს დავუბრუნდეთ. თუმცა ინდოლოგის საჭირო კალაპოტში დაბრუნება ადვილი არ აღმოჩნდა.

- მოიცადეთ მაგ თქვენი ფასიანად! – მაძებარს უზრდელურად აუქნია ხელი. – მთავარი ეგ კი არა არის! როცა საუბარია ამხელა ზომისა და ხარისხის კეთილშობილ ქვაზე, ფულს კი არ იხსენებ, არამედ ჯადოსნურ თვისებებს, ძველთაგანვე რომ მიაწერდნენ. ალმასი, მაგალითად, სისუფთავის სიმბოლოდ ითვლება. ჩვენი წინაპრები თავიანთი ცოლების ერთგულებას ასე ამოწმებდნენ: მძინარე მეუღლეს ბალიშის ქვეშ უცურებდნენ ალმასს. თუკი ცოლი ერთგული იყო, დაუყოვნებლივ გადაბრუნდებოდა ქმრისკენ და გაუღვიძებლად მოეხვეოდა. თუკი ღალატობდა, მაშინ იტრიალებდა და შეეცდებოდა ქვა იატაკზე გადმოეგდო. და კიდევ ალმასი დაუმარცხებლობის გარანტად ითვლებოდა. ძველ არაბებს სწამდათ, რომ ბრძოლაში ის სარდალი გაიმარჯვებს, რომელსაც უფრო დიდი ზომის ალმასი აქვს.

- ძვერი არაბები ეშლებოდათ, - აღტკინებულ ორატორს მოულოდნელად გააწყვეტინა გინტარო აონომ. ყველა გაოცებული მიაჩერდა იაპონელს, იშვიათად რომ ღებულობდა მონაწილეობას საერთო საუბარში და არასოდეს აწყვეტინებდა ვინმეს ლაპარაკს. აზიატმა სასწრაფოდ განაგრძო იმავე სასაცილო აქცენტით:

- სენ-სირის აკადემიასი ცვენ გვასცავლიდნენ, რომ ბურგუნდიის ჰერცოგი კარს გურადი საგანგებოდ ცაიგო სვეიცარიელებთან ომისას ალმასი 'სან-სი', მაგრამ ამან ვერ გადაარცინა დამარცხებისგან. კლარისას შეებრალა ეს ბედკრული – ძლივს იფიქრა ცოდნის გამოჩენა და ასე უადგილოდ. იაპონელის რეკლიკას სამარისებური დუმილით შეხვდნენ, აონო კი ტანჯვისგან გაწითლდა.

- ჰო-ჰო, კარლ გულადი... – თავი უკმაყოფილოდ დაიქნია პროფესორმა და ადრინდელი აღტკინების გარეშე დაასრულა. – საფირონი არის სიმბოლო თავდადებისა და მუდმივობისა, ზურმუხტი აძლიერებს გამოხედვის სიმახვილეს და შორსმხედველობას, ლალი გვიფარავს ავადმყოფობებისგან და თვალისცემისგან... მაგრამ თქვენ კითხულობდით ბაღდასარის საგანძურის ღირებულებას?

- მე მესმის, რომ თანხა იგავმიუწვდომლად დიდი იქნება, მაგრამ მაინც თუ შეგიძლიათ ივარაუდოთ, რამდენი ნული იქნება მასში? – გამოკვეთილად, თითქოს ჩერჩეტ მოწაფეს მიმართავსო, წარმოთქვა მადამ კლებერმა, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბანკირის ცოლი სულ ასეთად დარჩება.

კლარისა კიდევ სიამოვნებით მოუსმენდა ძვირფასი ქვების ჯადოსნური თვისებების შესახებ ლაპარაკს, ამჯობინებდა ფულზე საუბრისთვის გვერდი აეველოთ. სხვა ათასი მიზეზის გარდა, ეს ვულგარულია.

- ჰოდა, მოდით, დაახლოებით გამოვითვალოთ. – სვიტჩაილდმა ჯიბიდან ფანქარი ამოიღო და ქაღალდის ხელსახოცზე საწერად მოემზადა. – ადრე ყველაზე ძვირფას ქვად ალმასი ითვლებოდა, მაგრამ სამხრეთაფრიკული საბადოების გახსნის შემდგომ შაგრძობლად დაიკლო ფასში. დიდი საფირონები ხშირად გვხვდება, ვიდრე სხვა ძვირფასი ქვები, ამიტომ საშუალოდ ოთხჯერ იაფია ბრილიანტზე, მაგრამ ეს არ ეხება ყვითელ და ვარსკვლავისებურ საფირონებს და სწორედ ისინი შეადგენენ ბაღდასარის კოლექციის უმეტესობას. სუფთა, უდიდესი ლალი და ზურმუხტი ძალიან იშვიათია და იმავე წონის ბრილიანტზე ძვირად ფასობს... კარგი, ადვილი რომ იყოს, წარმოვიდგინოთ, რომ ყველა, 512 ქვა

ბრილიანტია, თანაც ერთნაირი ფასისა. თითოეულის წონა, როგორც უკვე ვთქვი, 80 კარატია. ტავერნიეს ფორმულის მიხედვით, რომლითაც მთელი მსოფლიოს იუველიერები სარგებლობენ, ერთი ქვის ღირებულება იანგარიშება ასე: უნდა ავიღოთ ერთკარატიანი ალმასის საბაზრო ფასი და გავამრავლოთ მოცემული ქვის კარატების კვადრატზე. გამოდის... ერთკარატიანი ბრილიანტი ანტვერპენის ბირჟაზე ღირს თხუთმეტი ფუნტი. ოთხმოცის კვადრატი არის ექვსი ათას ოთხასი. გავამრავლოთ თხუთმეტზე... ეეე... ოთხმოცდათექვსმეტი ათასი ფუნტი სტერლინგი – აი ბრაჰმაპურის სკივრის ერთი საშუალო ქვის ფასი... გავამრავლოთ ხუთას თორმეტზე... დაახლოებით ორმოცდაათი მილიონი ფუნტი სტერლინგი. სინამდვილეში კი უფრო მეტი, იმიტომ, რომ, როგორც უკვე აგისენით, ასეთი დიდი ზომის ფერადი ქვები ბრილიანტზე ძვირად ფასობს, - საზეიმოდ შეაჯამა სვიტჩაილდმა.

- ორმოცდაათი მილიონი ფუნტი? ამდენი? – ჩახლეჩილი ხმით იკითხა რენიემ. – ეს ხომ მთელი მილიარდ-ნახევარი ფრანკია!

კლარისას სუნთქვა შეეკრა, ქვების რომატიკული თვისებები აღარ ახსოვდა, ისეთი გაოგნებული იყო ამ ასტრონომიული თანხით.

- ორმოცდაათი მილიონი! ეს ხომ მთელი ბრიტანეტის იმპერიის წლიური ბიუჯეტის ნახევარია! – ამოიოხრა მან.

- ეს სამი სუეცის არხია! – წაიბურტყუნა ქერათმიანმა მილფორდ-სტოუკსმა. – და მეტიც!

კომისარმაც ხელსაწმენდი მიიჩოჩა და რაღაცის ანგარიშში ჩაეფლო.

- ეს არის ჩემი ხელფასი სამასი ათასი წლის განმავლობაში, - დაბნეულად გამოაცხადა მან. – ხომ არ გადააჭარბებთ, პროფესორო? ვიღაცა იქაურ მეფუკას საიდან ექნება ამისთანა საგანძური?

სვიტჩაილდმა ამაყად უპასუხა, თითქოს მთელი ინდოეთის სიმდიდრე მისიაო:

- ჯერ ეს რა არის! ჰაიდარაბადელი ნიზამის ძვირფასეულობას სამას მილიონად აფასებენ, ოღონდ იმას უკვე ერთ პატარა სკივრში ვეღარ მოათავსებ. ბაღდასარის საგანძურს კომპაქტურობის მიხედვით ვერაფერი გაუტოლდება.

ფანდორინი ფრთხილად შეეხო ინდოლოგს სახელოზე:

- მე მ-მანც ვფიქრობ, რომ ეს თანხა სიმბოლურია. ალბათ მთლიანად ვერავინ შეძლებდა გ-გიგანტური ძვირფასი ქვების ამ რაოდენობით გაყიდვას. ეს ბაზარზე ფასს დააგდებდა.

- სულ ტყუილად ფიქრობთ ასე, მუსიე დიპლომატო, - უმაღ მიუგო სწავლულმა. - `ბრაჰმაპურის სტანდარტის` პრესტიჟი ისეთი მაღალია, რომ მყიდველებისგან მოსვენება აღარ იქნებოდა.

დარწმუნებული ვარ, ქვების ნახევარი ინდოეთიდან არც კი გამოვიდოდა – ადგილობრივი თავადები შეიძენდნენ და პირველ რიგში იგივე ნიზამი. დანარჩენ ქვებზე კი ჩხუბი მოუვიდოდათ ევროპისა და ამერიკის საბანკო სახლებს, თან ევროპელი მონარქებიც ხელიდან არ გაუშვებდნენ შესაძლებლობას, რომ ბრაჰმაპურის შედეგებით დაემშვენებინათ თავიანთი საგანძური. ო-ო, სათანადო სურვილის შემთხვევაში ბაღდასარს შეეძლო თავისი სკივრის შიგთავსი სულ რამდენიმე კვირაში გაეყიდა.

- თქვენ ამ ადამიანზე სულ წ-წარსულ დროში ლაპარაკობთ, - შენიშნა ფანდორინმა. – გარდაიცვალა? თუკი ასეა, მაშინ რა მოუვიდა მის სკივრს?

- ეს, სამწუხაროდ, არავინ იცის. ბაღდასარის აღსასრული ტრაგიკულია. სიპაების აჯანყებისას რაჯამ გაუფრთხილებლობა გამოიჩინა და საიდუმლო ურთიერთობაში იყო მეამბოხებთან, და ვიცე-მეფემ ბრაჰმაპური მტრულ ტერიტორიად გამოაცხადა. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ ბრიტანეთმა ბაღდასარის საგანძურის ხელში ჩაგდება მოინდომა, მაგრამ ეს, რასაკვირველია, ტყუილია – ჩვენ, ინგლისელები ასეთი მეთოდებით არ ვმოქმედებთ.

- ო, დიახ, - ცუდი ღიმილით თავი დაუქნია რენიემ და კომისარს გადახედა.

კლარისამ ფრთხილად შეხედა ფანდორინს – ნუთუ ესეც ანგოფობიის ბაცილით არის დაავადებული, მაგრამ რუსი დიპლომატი აღუშფოთებელი გამომეტყველებით იჯდა.

- ბაღდასარის სასახლეში დრაგუნთა ესკადრონი გაიგზავნა. რაჯა ავღანეთში გაქცევით ცდილობდა თავის გადარჩენას, მაგრამ კავალერია განგის ფონთან წამოეწია. ბაღდასარმა დაპატიმრება თავისი ღირსებისთვის შეუფერებლად ჩათვალა და შხამი მიიღო. სკივრი თან არ აღმოაჩნდა, მხოლოდ ერთი ბოხჩა იპოვეს, შიგ მოთავსებული ინგლისურენოვანი წარწერით. ჩანაწერი ბრიტანეთის ხელისუფლებას ეხებოდა. იქ რაჯა თავის უდანაშაულობას იფიცებოდა და ითხოვდა, ეს ბოხჩა თავისი ერთადერთი შვილისთვის გადაეგზავნათ. ბაღდასარის ბიჭი ევროპის რომელიღაც კერძო პანსიონში სწავლობდა. ახალი ფორმაციის ინდოელი მმართველებისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. უნდა ითქვას, რომ ბაღდასარისთვის უცხო არ იყო ცივილიზაციის ქართა ქროლვა, არაერთხელ ყოფილა ლონდონში და პარიზში. ფრანგიც კი მოიყვანა ცოლად.

- აჰ, რა უცნაურია! – შესძახა კლარისამ. – ინდოელი რაჯას ცოლი რომ იყო! იმას რაღა მოუვიდა?

- ჯანდაბას ის ცოლი, სჯობს, რომ ბოხჩაზე გვიამბოთ, - მოუთმენლად თქვა კომისარმა. – შიგ რა იყო?

- გულახდილად რომ ვთქვათ, საინტერესო არაფერი, - პროფესორმა მწუხარედ აიჩქია მხრები. – ყურანის ტომი. სკივრი კი უკვალოდ გაქრა, თუმცა ყველგან ეძებდნენ.

- და ეს ჩვეულებრივი ყურანი იყო? – შეეკითხა ფანდორინი.

- უფრო მეტად ჩვეულებრივი რომ აღარც შეიძლება, დაბეჭდილი ბომბეის სტამბაში, მინდვერბზე კი განსვენებულის კეთილშობილ აზრთა მინაწერებით. ესკადრონის მეთაურმა შესაძლებლად ჩათვალა დანიშნულებისამებრ გაგზავნა ყურანი, თავისთვის კი ამ ექსპედიციის სამახსოვროდ დაიტოვა ხელსახოცი, რომელშიც გახვული იყო წიგნი. შემდეგ ის ხელსახოცი ლორდმა ლიტლბიმ შეიძინა და თავის აბრეშუმზე ნაქარგობის კოლექციაში შეიტანა.

კომისარმა დააზუსტა:

- ეს ის ხელსახოცია, რომელშიც მკვლელმა შივა გაახვია?

- სწორედ ის. ხელსახოცი მართლა უჩვეულოა. უწვრილესი, უწონო აბრეშუმისგან არის ნაქსოვი. ზედ ნახატი საკმაოდ ტრივიალურია – სამოთხის ჩიტის, ტკბილად მომღერალი კალავინკის გამოსახულება, მაგრამ არის ორი უნიკალური თავისებურება, რომლებსაც სხვა ინდურ ხელსახოცებზე არ შევხვედრივარ. ჯერ ერთი, კალავინკის თვალის მაგივრად ნახვრეტი აქვს, რომლის კიდეებიც იუველირულად არის ამოხვეული ფარჩის ძაფით. და მეორეც, ხელსახოცის ფორმაა საინტერესო – ოთხკუთხედი კი არა, კონუსისებური. თავისებური არასწორი სამკუთხედი: ორი მხარე არათანაბარია, ერთი მთლად სწორია.

- ხელსახოცს დ-დიდი ფასი აქვს? – იკითხა ფანდორინმა.

- ხელსახოცი საინტერესო არ არის, - ქვედა ტუჩი კაპრიზულად ამოიბრუნა მადამ კლებერმა. – ისევ იმ ძვირფასეულობაზე გვიამბოთ! კარგად უნდა მოეძებნათ.

სვიტჩაილდმა გაიცინა:

- ო, მადამ, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა ამაოდ ეძებდა ახალი რაჯა! ერთ-ერთი ადგილობრივი სათავისო კაცი იყო, ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია სიპაიების ომისას და ჯილდოდ ბრაჰმპურის ტახტი მიიღო. იმ უბედურს სიხარბისგან გონება დაუბნელდა. ვიღაც ჭკუისკოლოფმა უჩურჩულა, რომ ბაღდასარმა სკივრი ერთ-ერთი სახლის კედელში დამალა. და რაკი ის სკივრი სინამდვილეში ზომით ჩვეულებრივი თიხის აგურისხელა იყო, ახალმა რაჯამ ბრძანა, ყველა შენობა დაეშალათ, რომლებიც ასეთი აგურებისგან გახლდათ აშენებული. სახლებს ერთი მეორის მიყოლებით შლიდნენ და თითოეულ აგურს ბატონის უშუალო ზედამხედველობით ამტვრევდნენ. თუკი მხედველობაში მივიღებთ, რომ ბრაჰმპურაში ყველა ნაგებობის ოთხმოცდაათი პროცენტი თიხის აგურებისგან არის აშენებული, რამდენიმე თვეში აყვავებული ქალაქი ნანგრევების გროვებად იქცა. იმის შიშით, რომ მოსახლეობა სიპაებზე უარეს აჯანყებას წამოიწყებდა, უგნური რაჯა თავისივე ახლობლებმა შხამით გაისტუმრეს საიქიოში.

- ეგრეც უნდა მოქცედნენ იმ იუდას, - გრძნობით თქვა რენიემ. – ღალატზე ამაზრზენი არაფერია ამქვეყნად. ფანდორინმა მოთმინებით გაიმეორა თავისი შეკითხვა:

- და მაინც, პროფესორო, დიდია იმ ხელსახოცის ღირებულება?
 - არა მგონია. ეს უფრო რარიტეტია, საკვირველება.
 - და რატომ ახვევენ იმ ხ-ხელსახოცში ერთთავად რაღაცეებს – ხან ყურანს, ხანაც შივას? ამ ნაჭერს რაიმე საკრალური მნიშვნელობა ხომ არა აქვს?
 - მსგავსი არა მსმენია რა. უბრალო დამთხვევაა.
 კომისარი გოში ხვნიშით წამოდგა, მხარი გამართა.
 - მ-და, თავშესაქცევი ამბავია, მაგრამ ჩვენს გამოძიებას, სამწუხაროდ, ვერაფრით შეეწევა. არა მგონია, მკვლელს ეს ნაჭერი სანტიმენტალური სუვენირის სახით შეენახა. – ოცნებით წარმოთქვა. – არადა, ურიგო არ იქნებოდა. ამოიღებდა რომელიმე თქვენგანი, ძვირფასო ეჭვიმტანილებო, აბრეშუმის ხელსახოცს, სამოთხის ჩიტით – ისე, დაბნეულობით – ცხვირს მოიხოცავდა. აი, მაშინ კი ბებერ გოშს ეცოლინებოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო.
 და გამომძიებელმა გაიცინა, ეტყობა, თავის ხუმრობას ძალზე მახვილგონივრულად სთვლიდა. კლარისა საყვედურით უყურებდა ამ ხეპრეს.
 კომისარმა მისი მზერა დაიჭირა და შეიშმუშნა:
 - სხვათაშორის, მადმუაზელ სტამპ, თქვენს უცხო შლაპაზე მინდოდა მეთქვა. მოდური რამეა, პარიზის ბოლო ფუფუნება. როდის მოინახულეთ პარიზი?
 კლარისა შინაგანად ყალყზე შედგა და ცივი ტონით მიუგო:
 - შლაპა ლონდონშია ნაყიდი, კომისარო. პარიზში კი არასოდეს არა ვყოფილვარ.
 ასე დაჟინებით საით იყურება მისტერ ფანდორინი? კლარისამ მის მზერას გააყოლა თვალი და გაფითრდა: დიპლომატი მის სირაქლემას მარაოს უყურებდა, რომლის სახელურზე ჩანდა მოოქროვილი წარწერა: *Мейлლეურს სოუვენირს! Хотел "AMBAშშADEUლ". ღუე დე გრენელლე, პარის (კეთილი მოგონებები! ოტელი `ამბასადორი`. გრენელის ქუჩა, პარიზი - ფრ.)*.
 როგორი მიუტევებელი წინდაუხედაობაა!

გინტარო აონო

(ამ პერსონაჟის თავებში ტექსტი შებრუნებულია მარცხნივ და მიდის ორ სვეტად)

მეოთხე თვის მეხუთე დღე
 ერთრეის სანაპიროს ხედი.

ქვემოთ ზღვის მწვანე ზოლია,
 შუაში - ქვიშის ყვითელი ზოლი,
 ზემოთ კი ზეცის ცისფერი ზოლი.
 აი, ასეთი ფერებისაა
 აფრიკის დროშა.

ეს ტრივიალური ხუთსტრიქონედი ჩემი საათნახევრიანი დაძაბულობის ნაყოფია, სულიერი ჰარმონიის მოსაპოვებლად. ამ წყეულ სულიერ ჰარმონიას არაფრით სურდა აღდგენა.
 კიჩოზე ვიჯექი ეულად, აფრიკის სევდიან ნაპირს გავეყურებდი და მძაფრად, ვიდრე ოდესმე, ვგრძნობდი საკუთარ უსაზღვრო მარტოობას. კიდევ კარგი, ბავშვობიდან მიმაჩვიეს ისეთ კეთილშობილ საქმეს, როგორც დღიურის წერაა. შვიდი წლის წინათ, სასწავლებლად რომ მივემგზავრებოდი შორეულ ქვეყანა ფურანსუში, ჩუმად ვოცნებობდი, რომ ოდესმე ჩემი მოგზაურობის დღიური წიგნად გამოვა და დიდებას მომიტანს მეც და მთელ აონოების საგვარეულოს. მაგრამ, სამწუხარო, ჩემი გონება ძალზე

არასრულყოფილია, ხოლო გრძნობები მეტად ჩვეულებრივი, რომ ამ საცოდავმა ფურცლებმა მეტოქეობა გაუწიონ გარდასული ხანის ლიტერატურას დღიურებში.

და მაინც, ამ ყოველდღიური ჩანაწერების გარეშე ნამდვილად ჭკუიდან გადავიდოდი.

აქაც კი, იმ ხომალდზე, აღმოსავლეთ აზიაში რომ მიცურავს, მხოლოდ ორი წამომადგენელი ვართ ყვითელი რასისა – მე და საჭურისი-ჩინელი, სასახლის მეთერთმეტე რანგის მოხელე, პარიზში რომ იმყოფებოდა იმპერატორის ცოლის, ცი სისთვის პარფიუმერული და კოსმეტიკური სიახლეების საყიდლად. ეკონომიის გამო მეორე კლასით მოგზაურობს, ძალიან რცხვენია ამისი, და ჩვენი საუბარი სწორედ იმ წამს შეწყდა, როცა გამოირკვა, რომ მე პირველით მოვდივარ. რამხელა სირცხვილია ჩინეთისთვის! მე იმ მოხელის ალაგას ალბათ დამცირებისგან მოვკვდებოდი. თითოეული ჩვენგანი ამ ევროპულ ხომალდზე ხომ დიდ აზიურ სახელმწიფოებს წარმოადგენს. მე მესმის მოხელე ჩჯანის სულიერი მდგომარეობა, მაგრამ მაინც ძალიან მწყინს, რომ თავისი ვიწრო კაიუტიდან გამოხედვის რცხვენია – ბევრ რამეზე ვილაპარაკებდით. ანუ, რასაკვირველია, კი არ ვილაპარაკებდით, ქალაქისა და ფუნჯის საშუალებით დავამყარებდით ურთიერთობას. მართალია, სხვადასხვა ენებზე ვლაპარაკობთ, მაგრამ იეროგლიფები ხომ ერთი და იგივეა. არაუშავს, საკუთარ თავს ვეუბნები, გამაგრდი. ძალიან ცოტაა დარჩა. სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ შენ დაინახავ ნაგასაკის სინათლეებს, იქიდან კი მშობლიურ კაგოსიმამდე ერთი ხელის გაწვდენაა. თუნდაც დაბრუნება დამცირებას და შერცხვენას მიქადდეს, თუნდაც ყველა ჩემმა მეგობარმა მასხარად ამიგდოს! ბოლოს და ბოლოს, ვერავინ გაბედავს პირში დამცინოს – ყველამ ხომ იცის, რომ მე მამაჩემის სურვილებს ვასრულებდი, ბრძანებებში კი, როგორც ცნობილია, ეჭვი არ შეაქვთ. მე ის ვქენი, რაც უნდა გამეკეთებინა, რასაც მოვალეობა მავალდებულებდა. ჩემი ცხოვრება დაღუპულია, მაგრამ თუკი ეს საჭიროა იაპონიის კეთილდღეობისთვის... და გეყოფა, მორჩა ამაზე!

ოღონდ ვინ იფიქრებდა, რომ სამშობლოში დაბრუნება, შვიდწლიანი გამოცდის ბოლო ეტაპი, ასეთი რთული გამოდგებოდა? საფრანგეთში, ბოლოს და ბოლოს, შემეძლო ცალკე მეჭამა, შემეძლო სეირნობით, ბუნებასთან ურთიერთობით დავმტკბარიყავი. აქ კიდეც, ხომალდზე, საკუთარი თავი ბრინჯის მარცვალი მგონია, შეცდომით რომ ჩავარდნილა ატრიის ჯამში. ცხოვრების შვიდმა წელიწადმა ქერათმიან ბარბაროსთა შორის მაინც ვერ შემათვისებინა ზოგიერთი მათი საზიზღარი ჩვევა. როცა ვხედავ, ეს გამწლიკვული კლებერ-სანი როგორ ჭრის სისხლიან ბივმტექსს დანით და მერე კი გაწითლებულ ტუჩებს ენით ილოკავს, გულს მაზიდებს. ეს ინგლისური პირსაბანები კიდეც, რომლებშიც წყალი უნდა ჩაასხა, საცობი გაუკეთო და სახე დაბიძურებული წყლით დაიბანო! მერე კიდეც გარყვნილი გონების მოგონილი ეს კოშმარული ტანისამოსი?! იმაში თავი ჭანარი გგონია, გაზეთილ ქალაქში რომ გაახვიეს და ნაკორჩხლებზე სწვავენ. ყველაზე მეტად გახამებული საყელოები მეჯავრება, ნიკაპი რომ გამოგეფიფქება წითლად, და ტყავის ფეხსაცმელი, წამების ნამდვილი იარაღი. ველური აზიატის უფლებით თავს ნებას ვაძლევ გემბანზე მსუბუქ იუკატში ვისეირნო, ჩემი მაგიდის ბედნავსი მეზობლები კი თავის ტანისამოსში იხუთებიან დილიდან საღამომდე. ჩემი მგრძნობიარე ნესტოები ძალიან იტანჯებიან ევრუპული ოფლის მძაფრი, ზეთოვან-ხორცოვანი სუნისგან. აგრეთვე საშინელია მრგვალთვალებიანთა ჩვევა, ცხვირსახოცებში მოიხოცონ ცხვირი, მერე ცინგლებთან ერთად შეინახონ ჯიბეში, მერე ისევ ამოიღონ და ისევ მოიხოცონ! შინ ამას არ დამიჯერებენ, ჩათვლიან, რომ ყველაფერი მე მოვიგონე. თუმცა შვიდი წელიწადი დიდი დროა. შეიძლება, ჩვენთანაც ატარებენ ქალები ამ სასაცილო ტურნურებს (პატარა ბალიში, რომელსაც იდებდნენ ქალები კაბის ქვეშ წელს ზემოთ; ფართო ქვედატანი, რომელსაც ასეთ ბალიშებთან ერთად იცვამდნენ. ხმარობდნენ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს) უკანალზე და მაღალ ქუსლებზე შემდგარნი კოჭლობით დაეთრევიან. საინტერესო იქნებოდა, ასე გამოწყობილი კიოკო-სანი მენახა. ის ხომ ძალიან დიდია – ცამეტი წლისაა. კიდეც ერთი-ორი წელი და დაგვაქორწინებენ. შეიძლება, ეს ამბავი ადრეც მოხდეს. მალე მაინც მივიდე შინ.

დღეს სულიერი ჰარმონიის მოპოვება ძალიან გამიჭირდა, იმიტომ, რომ

1) აღმოვაჩინე, რომ ჩემი საკვოიაჟიდან გაქრა საუკეთესო ინსტრუმენტი, რომელსაც შეეძლო ადვილად გაეკვეთა ყველაზე მსხვილი კუნთი. რას ნიშნავს ეს უცნაური ქურდობა?

2) საუზმეზე ისევ დამამცირებელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი – უფრო უარესში, ვიდრე კარლოს მამაციის შემთხვევაში (იხილე გუშინდელი ჩანაწერი). ფანდორინ-სანმა, რომელსაც კვლავაც ძალიან აინტერესებს იაპონია, გამოკითხვა დამიწყო ბუსიდოზე და სამურაების ტრადიციებზე. ლაპარაკი გაგრძელდა ჩემს ოჯახზე, ჩემს წინაპრებზე. ვინაიდან მე ოფიცრად წარვუდექი, რუსი შეკითხვებს მისვამდა შეიარაღებაზე, მუნდირებზე, იმპერატორის არმიის საბრძოლო წესდებაზე. ეს საშინელება იყო! როცა გამოირკვა, რომ არაფერი მსმენია ბერდანის შამხანაზე, ფანდორინ-სანმა ძალიან უცნაურად შემომხედა. ალბათ იფიქრა, რომ იაპონიის არმიაში მთლად უვიცები მსახურობენ. სირცხვილისგან სულ გადამავიწყდა თავაზიანობა და სალონიდან გამოვიქეცი, რითაც, რასაკვირველია, კიდევ უფრო გავაღრმავე უხერხულეობა. დიდხანს ვერ დავმშვიდდი. ჯერ კანჯოების გემბანზე ავედი, სადაც ძალიან აჭერს მზე და ამიტომ არავინ არის. წელს ზემოთ გავიხადე და ნახევარი საათი მავასი-გირის დარტყმას ვსრულყოფდი. როცა სათანადო კონდიციას მივაღწიე და მზე ვარდისფრად მეჩვენებოდა, ძაძენის პოზაში დავჯექი და ორმოცი წუთი ვცდილობდი მედიტაციას. მხოლოდ ამის შემდეგ ჩავიცვი და კიჩოსკენ გავწიე ტანკის შესათხზველად. ამ ვარჯიშებმა მიშველეს. უკვე ვიცი, როგორ გადავირჩინო თავი. ფანდორინ-სანს ვახშამზე ვეტყვი, რომ უცხოელებთან აკრძალული გვაქვს იმპერატორის არმიაზე ლაპარაკი, სალონიდან კი ასე ჩქარა იმიტომ გამოვიქეცი, რომ საშინელი ფადართი მაქვს. მე მგონი, ეს დამაჯერებლად გაიჟღერებს და მეზობლების თვალში უზრდელი ველური აღარ ვიქნები.

იგივე დღე, საღამო

რომელ ჰარმონიაზეა ლაპარაკი! რაღაც კატასტროფული მოხდა. სირცხვილით ხელები მიკანკალებს, მაგრამ დაუყოვნებლივ უნდა ჩავიწერო ყველა წვრილმანი. ეს გულისყურის მოკრებაში და მართებული გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარება. ჯერ მხოლოდ ფაქტები, დასკვნები მერე.

მაშ, ასე.

ვახშამი სალონ `უინდორში` ჩვეულებრივ რვა საათზე დაიწყო. მართალია დღისით ჭარხლის სალათი (რედ ბეეტ) დავუკვეთე, ოფიცინტმა ნახევრად უმი ძროხის ხორცი მომიტანა სისხლით. თურმე რედ ბეეფ გაუგონია. ჩანგალს ვარჭობდი სისხლში მცურავ მოკლული ცხოველის ხორცს და ჩუმი შურით ვუყურებდი კაპიტნის პირველ თანაშემწეს, რომელიც ბოსტნეულის უგემრიელეს რაგუს ჭამდა ქათმის მჭლე ხორციით. კიდევ რა იყო?

განსაკუთრებული არაფერი. კლებერ-სანი, როგორც ყოველთვის, შაკიკს უჩიოდა, მაგრამ ძალიან გემრიელად ჭამდა. მშვენიერი ფერი ადევს სახეზე, აი მსუბუქად გადასატანი ფეხმძიმობის კლასიკური მაგალითი. მჯერა: დრო მოვა და ბავშვი ისე ამოუხტება, როგორც საცობი შუშუნა ფრანგული ღვინიდან. ლაპარაკობდნენ სიცხეზე და ადენში ხვალინდელ ჩასვლაზე, ძვირფას ქვებზე. მე და ფანდორინ-სანი იაპონური და ინგლისური გიმნასტიკის ღირსებებს ვადარებდით. ჩემს თავს უფლება მივეცი, შემწყნარებელი ვყოფილიყავი, ვინაიდან ამ სფეროში აღმოსავლეთის უპირატესობა დასავლეთთან უცხადესია. მთავარი ის არის, რომ მათთვის ფიზიკური ვარჯიში არის სპორტ, თამაში, ჩვენთვის კი – გზაა სულიერი თვითსრულყოფისკენ. სწორედაც სულიერი, რადგან ფიზიკურ განვითარებას მნიშვნელობა არა აქვს და მარტო თავის თავს მისდევს, როგორც ვაგონები ორთქლმავალს. უნდა ითქვას, რომ რუსი ძალიან დაინტერესებულია სპორტით და რაღაც-რაღაცეები სმენია იაპონიის და ჩინეთის საბრძოლო სკოლებზე. დღეს დილით კანჯოების გემბანზე მედიტაციებს ვაკეთებდი და იქ ფანდორინ-სანი დავინახე. მხოლოდ თავის დაკვრები გავუცვალეთ ერთიმეორეს, მაგრამ ლაპარაკი არ დაგვიწყია, რადგან ორივენი ჩვენ-ჩვენ საქმეს ვაკეთებდით: მე ახალი დღის შუქით ვიბანდი სულს, ის კი, გიმნასტიკურ ტრიკოში ჩაცმული

ჩაჯდომებს აკეთებდა, ცალ-ცალ ხელზე იწეოდა რიგ-რიგობით და დიდხანს სწევდა გირებს, რომლებიც ძალიან მძიმე ჩანდა.

გიმნასტიკისადმი საერთო ინტერესმა ჩვენი სადამოს მუსაიფი ძალდაუტანებელი გახადა, უფრო შეუბოჰავად ვგრძნობდი თავს. რუსს მიუძღვებოდა ვუყვებოდი. შეუწელებელი ინტერესით მისმენდა. დაახლოებით ცხრის ნახევარზე (ზუსტი დრო ვერ შევამჩნიე) კლებერ-სანმა, რომელმაც ჩაიც დალია და ორი ღვეზელიც მიაყოლა, დაიჩვილა, თავბრუ მეხვევაო. მე ვთქვი, რომ ასე ემართებათ ფეხმძიმეებს, როცა ბევრს ჭამენ. ჩემი სიტყვები რატომღაც საწყენად მიიღო, მე კი გონს მოვეგე, მეტისმეტი მომივიდა მეთქი. რამდენჯერ დავიფიცე, რომ პირი არ მომეხსნა. აკი მასწავლიდნენ ბრძენი მასწავლებლები: თუკი უცხო კომპანიაში აღმოჩნდები, იჯექი, უსმინე, სულ თავაზიანად იღიმე და დროდადრო თავიც აკანტურე – ზრდილობიანი კაცის სახელი გაგივარდება და თანაც სისულელეს მაინც არ იტყვი. ეს `ოფიცერიც` კარგი ვინმეა, სამედიცინო რჩევებს რომ იძლევა!

რენიე-სანი მაშინვე წამოხტა და ქალბატონის კაიუტამდე მიცილება მოინდომა. ეს კაცი საერთოდ ფრთხილია, კლებერ-სანთან კი განსაკუთრებულად. ეს კაცი ერთადერთია, ვისაც ჯერ არ მომეზრებია კლებერ-სანი თავისი გაუთავებელი ახირებებით. მუნდირის ღირსებას უფრთხილდება, ყოჩად. ისინი რომ გავიდნენ, მამაკაცები სავარძლებში გადაბარგდნენ და გააბოლეს. ხომალდის იტალიელი ექიმი და მისი ინგლისელი ცოლი რომელიღაც პაციენტთან წავიდნენ, მე კი ვცდილობდი ოფიციალისთვის ამეხსნა, რომ ჩემს ომლექტში საუზმისთვის არც ბეკონი უნდა ჩაედოთ და არც შაშხი. უკვე რამდენი დღე გავიდა, ხომ უნდა მიჩვეოდნენ ამას.

ალბათ ორიოდე წუთი გავიდა და ქალის გულგამგმირავი კვილი გავიგონეთ.

ჯერ ერთი, მაშინვე ვერ გავიგე, რომ კლებერ-სანი კიოდა. და მეორეც, ვერ მივხვდი, რომ გულდამმმარავი `ოსკურ! ოსკურ!` ნიშნავდა `აუ სეცოურს! აუ სეცოურს!` (`მიშველეთ!` - ფრ.). მაგრამ ეს არ ამართლებს ჩემს საქციელს. სამარცხვინოდ მოვიქეცი, სამარცხვინოდ. მე ღირსი არა ვარ სამურაის სახელისა! მაგრამ თანმიმდევრობით მივყვეთ.

პირველად ფანდორინ-სანი გავარდა კარში, მას პოლიციის კომისარი მიჰყვა, მერე მილფორდ-სტოუკს-სანი, მე მაინც ადგილზე ვიყავი ატუზული. ყველამ, რასაკვირველია, დაადგინა, რომ იაპონიის არმიაში ბედკრული ლაჩრები მსახურობენ! სინამდვილეში, მალე ვერ მივხვდი, რა ხდებოდა.

და როცა მივხვდი, გვიანი იყო – შემთხვევის ალაგას ბოლოს მივირბინე, სტამპ-სანსაც კი ჩამოვრჩი. კლებერ-სანის კაიუტა სალონის მახლობლად იყო – დერეფნის მარჯვნივ, მეხუთე.

ჩემზე ადრე მირბენილების მიღმა წარმოუდგენელი სურათი დავინახე. კაიუტის კარი მოფარღღავებული იყო. იატაკზე დაწოლილი კლებერ-სანი საცოდავად კვნესოდა და ზედ დამხოზოდა რაღაც შავი, მზინვარე და უძრავი. მაშინვე ვერ მივხვდი, რომ ეს უზამაზარი ზანგი იყო. ტილოს თეთრი შარვალი ეცვა. ზანგის კეფიდან საზღვაო ხანჯლის სახელური მოჩანდა. სხეულის მდგომარეობით მაშინვე მივხვდი, რომ ზანგი მკვდარია. ასეთი დარტყმა, რომელიც თავის ქალის საფუძველშია მიყენებული, მოითხოვს დიდ ძალასა და სიზუსტეს, სამაგიეროდ უცაბედად ჰკლავს, როგორც ჩანს.

კლებერ-სანი ამაოდ ფართხალეზდა, ზედდამხოზილი ხორცის მასიდან გამოძრომა უნდოდა. იქვე ბორგავდა ლეიტენანტი რენიე. სახე ხალათის საყელოზე თეთრი ჰქონდა. გვერდზე დაკიდული ხანჯლის ქარქაში ცარიელი ჰქონდა. ლეიტენანტი საბოლოოდ დაბნეულიყო – ხან ფეხმძიმე ქალს მივარდებოდა უსიამოვნო ტვირთის გადასაგდებად, ხან ჩვენ მოგვიბრუნდებოდა და არეულად უხსნიდა კომისარს მომხდარს.

ყველა იქ დამსწრიდან ერთადერთი ფანდორინ-სანი არ აღელვებულა. არცთუ დიდი დამაბვით ასწია და გვერდზე გადაათრია მძიმე გვამი (მაშინვე გამახსენდა გიმნასტიკა გირებით), კლებერ-სანს სავარძელზე დაჯდომაში მიეხმარა და წყალი მიაწოდა. ამ დროს მეც მოვედი გონზე – ქალთან მივედი და სასწრაფოდ შევამოწმე: ეტყობოდა, არც ჭრილობები ჰქონდა და არც დამავებები. აქვს თუ არა შინაგანი დაზიანება,

მოგვიანებით გაირკვევა. ყველა ისე აღელვებული იყო, რომ ჩემგან ჩატარებული დათვალიერება არავის შეუნიშნავს. თეთრები დარწმუნებული არიან, რომ ყველა აზიატი ცოტათი მაინც შამანია და ექიმობის ხელოვნებას ჰფლობენ. კლებერ-სანს 95 ჰქონდა პულსი, რაც გასაგები ამბავია. დაშავებულმა და რენიე-სანმა ერთმანეთის შეწყვეტინებით შემდეგი მოჰყენენ.

ლეიტენანტი:

კლებერ-სანი კაიუტამდე მიაცილა, სასიამოვნო სადამო უსურვა და გამოეთხოვა. ოღონდ ორი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ ქალის საშონელი კივილი გაიგონა.

კლებერ-სანი:

შევიდა, აანთო ელექტრული ლამფა და ტუალეტის მაგიდასთან გიგანტური შავი ადამიანი დაინახა, რომელსაც ხელში მისი მარჯნის მძივი ეჭირა (მე ეს მძივი მერე მართლა ვნახე იატაკზე). ზანგი უხმოდ მივარდა, იატაკზე დასცა და თავისი უშველებელი ხელები ყელში წაუჭირა. ქალმა დაიკვილა.

ლეიტენანტი:

კაიუტაში შევარდა, დაინახა საშინელი (‘ფანტასტიკურიო’ თქვა თავად) სცენა და თავიდან დაიბნა. ზანგს მხრებში ჩაეჭიდა, მაგრამ ეს გოლიათი ერთი დიუმითაც ვერ გამოსწია. მერე ჩექმით დაარტყა თავში, მაგრამ ისევ ამაოდ. მხოლოდ ამის შემდეგ, რაკი მადამ კლებერისა და ბავშვის სიკვდილისა შეეშინდა, ქარქაშიდან საზღვაო ხანჯალი იმიშვლა და ერთხელ, სულ ერთადერთხელ დაჰკრა.

მე ვიფიქრე, რომ ლეიტენანტის ქარიშხლიანმა ყმაწვილკაცობამ ალბათ ტავერნებსა და საროსკიპოებში ჩაიარა, სადაც დანის ფლობაზე დამოკიდებული თუ მეორე დღეს ვინ გამოფხიზლდება და ვის წაასვენებენ სასაფლაოზე.

კაპიტანმა კლიფმა და ექიმმა ტრუფომ მოირბინეს. კაიუტაში ტევა აღარ იყო. ვერავინ ხვდებოდა, საიდან მოხვდა ‘ლევიათანზე’ ეს აფრიკელი. ფანდორინი ყურადღებით დააკვირდა სვირინგებს, მოკლულის მკერდს რომ ჰფარავდა და თქვა, რომ ამისთანები უკვე უნახავს. გაირკვა, რომ ამასწინანდელი ბალკანეტის კონფლიქტისას თურქების ტყვეობაში იმყოფებოდა და იქ შავკანიანი მონები ნახა სწორედ ამისთანა ზიგზაგური ნიშნებით, კონცენტრირებულად რომ გამოდიან კერტებიდან. ეს რიტუალური მოხატულობაა ნდანგას ტომისა, რომელიც ამასწინათ აღმოაჩინეს არაბმა მონათმოვაჭრეებმა ეკვატორული აფრიკის შუაგულში. ნდანგას მამაკაცები დიდი მოთხოვნილებით სარგებლობენ მთელ აღმოსავლეთში.

მე მომეჩვენა, რომ ფანდორინ-სანი ამ ყველაფერს რამდენადმე უცნაურის გამომეტყველებით ჰყვებოდა, გეგონება რაღაც აფორიაქებსო. თუმცა შესაძლოა ვცდებოდე, რაკილა ევროპელების მიმიკა საკმაოდ უცნაურია და არაფრით ემთხვევა ჩვენსას.

კომისარმა გომმა უყურადღებოდ მოუსმინა დიპლომატს. მან განაცხადა, რომ როგორც კანონიერების წამომადგენელს, აქვს ორი შეკითხვა: როგორ შემოაღწია ზანგმა ხომალდზე და თავს რატომ დაესხა მადამ კლებერს.

აქ გამოირკვა, რომ იქ მყოფთაგან ზოგიერთს საიდუმლო ვითარებაში დაეკარგათ კაიუტებიდან ნივთები. მეც გამახსენდა ჩემი დანაკარგი, მაგრამ, რასაკვირველია, გაჭუმდი. შემდეგ დადგინდა, რომ ზოგიერთმა უშველებელი შავი ჩრდილი დაინახა (მადამ სტამპი) ანდა ფანჯრიდან მოჭვრიტინე შავი სახე (მისის ტრუფო). ახლა ცხადია, რომ ეს არც ჰალუცინაციები იყო და არც ქალური გრძნობიერების ნაყოფი. ყველა კაპიტანს დაეტაკა. გამოდის, რომ თითოეულ მგზავრს სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა, ხოლო გემის ხელმძღვანელობა ამას ვერც კი ხვდებოდა. კლიფ-სანი სირცხვილისგან წამოჭარხლდა. იძულებულნი ვართ, ვაღიაროთ, რომ მის პრესტიჟს შესამჩნევი დარტყმა მიაყენეს. მე ტაქტიკაზე შევაქციე ზურგი, რათა ნაკლებად განეცადა შეურაცხყოფისგან სახის დაკარგვა.

მერე კაპიტანმა ამ ინციდენტის ყველა დამსწრეს გვთხოვა, რომ ‘უინდორის’ სალონში გადავსულიყავით და მოგვმართა სიტყვით, რომელიც ძალითა და ღირსებით იყო აღსავსე. პირველ რიგში, ბოდიში მოიხადა მომხდარის გამო. გვთხოვა, რომ არავისთვის მოგვეყოლა ამ ‘სამწუხარო შემთხვევის’ გამო, რადგან

ორთქლმავალზე შეიძლება მასობრივი ფსიქოზი დაიწყოს. დაგვირდა, რომ მატროსები დაუყოვნებლივ შეამოწმებენ ყველა ტრიუმს, ღრუვთმორისი სივრცეს, სარდაფებს, საწყობებს და ქვანახშირის ორმოებსაც კი. დაგვირდა, რომ არავითარი შავკანიანი ქურდი ხომალდზე აღარ იქნება.

კარგი კაცია კაპიტანი. ნამდვილი ზღვის მგელი. უხეშად ლაპარაკობს, მოკლე ფრაზებით, მაგრამ ეტყობა, რომ ძლიერი სული აქვს და თავის საქმეზე გული შესტკივა. მე მოვისმინე, ერთხელ როგორ უყვებოდა ტრუფო-სენსეი კომისარს, რომ კაპიტანი კლიფი ქვრივია და ძალიან უყვარს ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც რომელიღაც პანსიონში იზრდება. მე მგონი, ეს ძალიან სულისშემძვრელია.

აი, მგონი, უკვე გონს მოვდივარ. სტრიქონებიც გასწორდა, ხელი აღარ მიკანკალებს. შემოდგომა ყველაზე უსიამოვნო ამბავზე გადავიდე.

მადამ კლებერის მსუბუქი დათვალიერებისას ყურადღება მივაქციე სისხლჩაქცევების არარსებობას.

მწქონდა რაღაც მოსაზრებებიც, რომლებიც ღირდა, რომ კაპიტანისთვისა და კომისრისთვის გამენდო.

მაგრამ ყველაზე მეტად მინდოდა დამემშვიდებინა ფეხმძიმე ქალი, რომელიც გონს ვეღარ მოდიოდა ამ თავზარის შემდეგ და პირიქით, მტკიცედ გადაეწყვიტა, ისტერიამდე მიეყვანა საკუთარი თავი.

ძალიან ალერსიანი ტონით ვუთხარი:

- იქნებ ამ შავკანიანს სულაც არ უნდოდა თქვენი მოკვლა, მადამ. თქვენ მოულოდნელად შეხვედით, ელექტრობა ჩართეთ და იმას შეეშინდა. ის ხომ...

აღარ დამამთავრებინა:

- შეეშინდა? – კლებერ-სანმა მოულოდნელი გააფთრებით დაისისინა. – ანდა, იქნებ თქვენ შეგეშინდათ, მუსიე აზიატო? თქვენ გგონიათ, ვერ შევამჩნიე, როგორ ჰყოფდით ვიღაცების ზურგებიდან თქვენს ყვითელ სიფათს?

ასეთი შეურაცხყოფა არავის და არასოდეს მოუყენებია ჩემთვის. ყველაზე უარესი ის იყო, რომ ვერ შევძელი ისეთი სახის მიღება, რომ თითქოს ეს ისტერიული სულელი ქალის ბოდვაა, და ქედმაღლური ღიმილით ვერ შემოვიფარგლე. კლებერ-სანმა ყველაზე სუსტ ადგილას მიჩხვლიტა!

საპასუხო არაფერი იყო. მე სასტიკად ვიტანჯებოდი, იმას კიდევ ნამტირალევ, გაბოროტებულ სახეზე გამანადგურებელი გრიმასა დასდებოდა და ასე მიყურებდა. ამ მომენტში შესაძლებელი რომ ყოფილიყო ქრისტიანების სახელგანთქმულ ჯოჯოხეთში ჩასავარდნად, დაუყოვნებლივ დავაჭერდი ლიუკის ბერკეტს.

ყველაზე საშინელი ის იყო, რომ თვალეზზე გაშმაგების წითელი ზეწრები ჩამომეფარა, არადა ამ მდგომარეობისა ყველაზე ძალიან მემშინა. სწორედ გაშმაგების მდგომარეობაში სჩადის სამურაი საქციელებს, რომლებიც დამლუპველია მისი კარმისთვის. მერე მთელი ცხოვრება მოგიწევს გამოისყიდო დანაშაული საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვის ერთადერთი წამისთვის. შეიძლება ისეთი რამე ჩაიდინო, რომ სეპპუკუც კი არ იყოს საკმარისი.

სალონიდან გამოვედი, შემეშინდა, რომ თავს ვერ შევიკავებდი და რაღაც საშინელებას გავუკეთებდი ორსულ ქალს. არ ვიცი, თავს შევიკავებდი თუ ვერა, ამისთანა რამე მამაკაცს რომ ეთქვა ჩემთვის.

ჩემს კაიუტაში ჩავიკეტე, ეგვიპტური გოგრებით სავსე ტომარა გამოვიდე, პორტ-საიდის ბაზარში რომ ვიყიდე. პატარებია, ადამიანის თავისტოლები და ძალიან მაგრები. ორმოცდაათი ცალი ვიყიდე.

თვალეზიდან რომ ალისფერი ზეწრები ამომერეცხა პირდაპირი დარტყმის დამუშავება დავიწყე ხელისგულის კიდით. უკიდურესი მღელვარების მეოხებით უხეირო დარტყმა გამომდიოდა: გოგრები ორ თანაბარ ნაწილად კი არ სკდებოდა, არამედ შვიდ ან რვა ნაჭრად.

ძნელია.

მეორე ნაწილი

გინტარო აონო

მე-4 თვის მე-7 დღე
ადენში

რუსი დიპლომატი ღრმა, ლამის იაპონური ჭკუის ადამიანია. ფანდორინ-სანი ჰფლობს ნიჰს – მთელი თავისი სისრულით დაინახოს მოვლენა და არ გაიხლართოს პატარა დეტალებში და ტექნიკურ წვრილმანებში. ევროპელები – შეუდარებელი ექსპერტები არიან იმ ყველაფერში, რაც კეთებას შეეხება, მათ შესანიშნავად იციან – როგორ. ჩვენ კი, აზიატები ვართ სიბრძნის მფლობელები, ანუ გვესმის, რატომ. თმინებისთვის მოძრაობის პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საბოლოო მიზანი, ჩვენ კი თვალს არ ვაშორებთ შორს მოციმციმე, გზისმაჩვენებელ ვარსკვლავს და ამიტომ ხშირად ვერ ვიცლით ირგვლივ მიმოსახედად. აი, რატომ არის, რომ თეთრები გაბმით გამარჯვებულები არიან წვრილმან შეხლა-შემოხლაში, ხოლო ყვითელი რასა კი ურყევ სიმშვიდეს ინარჩუნებს, რადგან მშვენივრად იცის, რომ ეს ყველაფერი – ამო ფაფხურია, ყურადღებას რომ არ იმსახურებს. მთავარში, ერთადერთ არსებითში გამარჯვება მაინც ჩვენს მხარეს იქნება.

ჩვენმა იმპერატორმა დიადი ექსპერიმენტი წამოიწყო: აღმოსავლური სიბრძნე დასავლურ ჭკუასთან შეათავსოს. ჩვენ, იაპონელები მორჩილად ვსწავლობთ ყოველდღიურ გამარჯვებათა ევროპულ მეცნიერებას, მაგრამ იმავედროულად მხედველობიდან არ ვუშვებთ ადამიანური არსებობის საბოლოო მიზანს – სიკვდილს და მის შემდეგ არსებულ ყოფიერების უფრო ზემდგომ ფორმას. ქერათმინები მეტისმეტად ინდივიდუალურები არიან, ძვირფასი `მე` თვალს უბინდავთ, გარემომცველი სამყაროს სურათს უმახინჯებთ და საშუალებას არ აძლევენ, პრობლემას სხვადასხვა კუთხიდან შეხედონ. ევროპელის სული რკინის ლურსმნებით აქვს მიჭედებული სხეულზე, აღმაფრენა არ შეუძლია.

თუკი ფანდორინ-სანს განათების ნიჭი აქვს, ამის გამო ის დავალებულია თავისი სამშობლოს ნახევრადაზიატური არსით. რუსეთი ბევრი რამით ჰგავს იაპონიას: იგივე აღმოსავლეთია, დასავლეთისკენ რომ მიიწევს. ოღონდ, ჩვენგან განსხვავებით, რუსებს ავიწყდებათ ის ვარსკვლავი, რომელზეც კურსი უჭირავს ხომალდს და მეტისმეტად ატრიალებენ კისერს აქეთ-იქით. წინ წამოსწიო შენი `მე` ანდა უძლიერეს `ჩვენში` გააძნო – აი, რაშია ევროპის და აზიის საპირისპიროობა. მეჩვენება, რუსეთში არის კარგი შესაძლებლობა, რომ პირველი გზიდან მეორისკენ გადაუხვიონ.

თუმცა მეტისმეტად ვფილოსოფოსობ. დროა გადავიდე ფანდორინ-სანზე და მისგან გამოვლენილ ჭკუის სინათლეზე. მომხდარს თავიდან აღვწერ.

დაბინდებამდე `ლევიათანი` ადენში ჩავიდა. ამ პორტზე ჩემს გზამკვლევეში წერია: `ადენის პორტი, ეს აღმოსავლეთის გიბრალტარი, ინგლისისთვის შემაერთებელი რგოლია ოსტ-ინდოეთთან. აქ ორთქლმავლები შეივსება ხოლმე ნახშირით და მტკნარი წყლით. ადენის მნიშვნელობა წარმოუდგენლად გაიზარდა სუეცის არხის გახსნის შემდეგ. თავად ქალაქი, სხვათაშორის, დიდი არ არის. აქ არის პორტის ვრცელი საწყობები, ვერფები, რამდენიმე ფაქტორიალი, კანტორები, სასტუმროები. ქალაქი გამოირჩევა მართებული ნაგებობებით. ნიადაგის სიმშრალე კომპენსირდება ოცდაათი ძველი რეზერვუარით, მთებიდან ჩამონადენი წვიმის წყლით რომ ივსება. ადენის მოსახლეობა 34 000-ია, ძირითადად მუსულმანი-ინდოელები`. ჯერ ჯერობით გვიწევს ამ ძუნწი ცნობებით დავკმაყოფილდეთ, რადგან ტრაპი არ არის დაშვებული და ნაპირზე არავის უშვებენ. მიზეზი თითქოს სანიტარულ-საკარანტინო ინსპექციაშია, თუმცა ჩვენ, უინძორის სათავადოს ვასალებმა, ვიცით, რა არის ამ ალიაქოთის მიზეზი: მატროსები და სანაპიროს

პოლიცია მთელ ამ გიგანტურ ხომალდს ჩხრეკს, ზანგებს დაეძებს.

საუზმის შემდეგ სალონში დავრჩით, ჩხრეკის შედეგებს ველოდით. პოლიციის კომისარსა და რუს დიპლომატს შორის სწორედ მაშინ გაიმართა მნიშვნელოვანი საუბარი, რომელსაც ყველა ჩვენთან იესწრებოდა (აი, ჩემთვის უკვე `ჩვენები` გახდნენ).

ჯერ ზანგის სიკვდილზე საუბრობდნენ, შემდეგ ლაპარაკი, როგორც ყოველთვის, პარიზულ მკვლელობაზე გადავიდა. ამ თემაზე მსჯელობაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ დიდი ყურადღებით ვუსმენდი, თუმცა თავდაპირველად მეჩვენებოდა, რომ კიდევ მოინდომებენ მწვანე მაიმუნის დაჭერას ბამბუკის ტყეში და შავი კატისას კიდევ ბნელ ოთახში.

სტამპ-სანმა თქვა: `მოკლედ, სულ გამოცანებია. გაუგებარია, ხომალდზე როგორ შემოაღწია შავკანიანმა, გაუგებარია, რატომ უნდოდა მაძამ კლებერის მოკვლა. სწორედ ისეა, როგორც ღიუ დე გრენელზე. ისევ მისტიკაა`.

და უცებ ფანდორინ-სანი ამბობს: `აქ არავითარი მისტიკა არ არის. ზანგის შემთხვევაში ჯერ ყველაფერი ცხადი არ არის, ხოლო რაც შეეხება შემთხვევას დე გრენელის ქუჩაზე, აქ სურათი, ჩემი აზრით, ასე თუ ისე, ნათელია`.

ყველა გაკვირვებული მიაჩერდა, კომისარმა კი იქედნურად ჩაიცინა: `მართლა? აბა, აბა, საინტერესო მოსასმენი იქნება`.

ფანდორინ-სანი: `ვფიქრობ, ასეთი ამბავი მოხდა. სადამოს ღიუ დე გრენელის ქუჩაზე მდებარე კართან მივიდა ვიღაც...`

კომისარი (ყალბი აღფრთოვანებით): `ბრავო! გენიალური მიხვედრაა!`

ზოგ-ზოგებმა გაიცინეს, მაგრამ უმეტესობა შეუნელეებელი ყურადღებით უსმენდა, ვინაიდან დიპლომატი იმათ რიცხვს არ ეკუთვნის, ვინც ტყუილუბრალოდ არხევს ჰაერს.

ფანდორინ-სანი (წარბშეუხრელად განაგრძო): `... ვიღაც, რომლის გამოჩენამ მსახურებში ოდნავი ეჭვიც კი აღძრა. ეს მედიკოსი იყო, შესაძლოა, თეთრ ხალათში და ალბათ ექიმის საკვოიაჟით. დაუპატიჟებელმა სტუმარმა თქვა, რომ ყველა სახლში მყოფი დაუყოვნებლივ უნდა შეიკრიბოს ერთ ოთახში, რადგან მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით ყველა პარიზელს უნდა გაუკეთდეს პროფილაქტიკური აცრა`.

კომისატი (გაბრაზება დაიწყო): `ეს რა ფანტაზიაა? რატომ უნდა დაეჯერებინათ მსახურებს ვიღაც პირველივე გამვლელისთვის?`

ფანდორინი (მკვეთრად): `მუსიე გომ, უახლოეს ხანში `განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლის` თანამდებობიდან `არცთუ განსაკუთრებულ საქმეთა` გამომძიებლად არ დაგაქვეითონ. თქვენ უყურადღებოდ სწავლობთ საკუთარ მასალებს, ეს კი მიუტევებელია. ერთხელ კიდევ შეხედეთ სტატისას `სუარიდან`, სადაც წერენ ლორდ ლიტლბის კავშირზე საერთაშორისო ავანტურისტ მარი საფრონთან`. მაძებარმა თავისი შავი საქალაქე ამოიქექა, საჭირო შენიშვნა ამოიღო, თვალებით გადაურბინა.

კომისარი (მხრები აიჩეჩა): `და მერე რა?`

ფანდორინი (მიუთითა): `აი, აქ, ქვემოთ. ხედავთ – მომდევნო შენიშვნის დასაწყისს: `ქოლერის ეპიდემია კლებულობს?` და შემდეგ `პარიზელი მედიკოსების ენერგიული პროფილაქტიკური ზომები`.

ტრუფო-სენსეი: `და მართლაც, ბატონებო. პარიზი მთელი ზამთარი ებრძოდა ქოლერის ახლადგაჩენილ კერებს. დღურში სანიტარული კონტროლიც კი დააყენეს კალედან ჩამოსული ბორნებისთვის`.

ფანდორინ-სანი: `აი, რატომ არ გამოიწვია მედიკოსის გამოჩენამ მსახურების ეჭვი. მოსულს ალბათ მტკიცედ ეჭირა თავი და დამაჯერებლად ლაპარაკობდა. შესაძლოა, თქვა, რომ უკვე გვიანია, არადა, კიდევ რამდენიმე სახლი უნდა მოიაროს ანდა რამე ამის მაგვარი. ეტყობა, სახლის პატრონი მსახურებს აღარ შეუწუხებიათ, იცოდნენ, რომ ნიკრისის ქარების შემოტევა აქვს, მცველებს კი, მეორე სართულიდან, რასაკვირველია, დაუძახეს. ინექცია ხომ – წუთის საქმეა`.

მე აღფრთოვანებული ვიყავი დიპლომატის გამჭირახობით, ასე იოლად რომ ამოხსნა არცთუ ადვილი

ამოცანა. და კომისარი გომიც ჩაფიქრდა.

`კარგი, დავუშვათ, - უკმაყოფილოდ თქვა მან. – მაგრამ რით ახსნით იმ უცნაურ გარემოებას, რომ თქვენმა მედიკოსმა მსახურები მოწამლა და კიბით კი არ ავიდა მეორე სართულზე, რატომღაც ქუჩაში გამოვიდა, მესერიდამ ბაღში გადაძვრა და ორანჟერეის ფანჯარა გატეხა?~

ფანდორინ-სანი: `ვიფიქრე მაგაზე. თავში არ მოგსვლიათ, რომ დამნაშავე შეიძლება ორნი ყოფილიყვნენ: ერთი მსახურებს იშორებდა, მეორემ იმავდროულად ფანჯრიდან შეაღწია სახლში?~

კომისარი (საზეიმოდ): `მომსვლია, ბატონო ჭკუისკოლოფო, როგორ არ მომსვლია. სწორედ ამისთანა დასკვნისკენ გვიბიძგებდა მკვლელი. იმას უბრალოდ, კვალის არევა სურდა – ეს ხომ ნათელია! მსახურები რომ მოწამლა, ბუფეტიდან მაღლა ავიდა, სადაც სახლის პატრონს გადაეყარა. უპირველეს ყოვლისა, ალბათ დამნაშავემ ჩაამსხვრია ვიტრინის მინა, რადგან ვარაუდობდა, რომ სახლში სხვა აღარავინ არის. ხმაურზე ლორდმა გამოიხედა საძინებლიდან და მოკლული იქნა. ამ გაუთვალისწინებელი ინციდენტის შემდეგ დამნაშავე დაუყოვნებლივ მიიმალა, ოღონდ კარიდან კი არა, ორანჟერეის ფანჯრიდან წავიდა. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენთვის ჭკუა აერია და საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ორნი იყვნენ. ჰოდა, თქვენც ეს ანკესი გადაყლაპეთ. მაგრამ მამილო გომს ამისთანა იაფფასიანი ხერხით ვერ გააცურებ~.

კომისარის სიტყვებს კარგად შეხვდნენ. რენიე-სანმა თქვა კიდევ: `ჯანდაბა, კომისარო, თქვენ პირში თითი კი არ გაქვთ ჩაყოფილი!~ (ეს ხატოვანი გამოთქმაა სხვადასხვა ევროპულ ენებზე. პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ლეიტენანტს მხედველობაში ის ჰქონდა, რომ გომ-სანი ძალიან ჭკვიანი და დახელოვნებული მამებარია).

ფანდორინ-სანმა ცოტა შეიცადა და ჰკითხა: `ანუ თქვენ ყოველმხრივ შეისწავლეთ ლანჩების აღნაბეჭდები ფანჯრის ქვეშ და დაადგინეთ, რომ კაცი ზემოდან გადმოხტა ქვემოთ და ფანჯრის რაფაზე არ ამძვრალა?~ ამაზე კომისარს არაფერი უპასუხია, მაგრამ რუსს საკმაოდ გაბრაზებულმა შეხედა.

ამ დროს სტამპ-სანმა წარმოთქვა რეპლიკა, რომელმაც საუბარი ახალი, უფრო მძაფრი კუთხით წაიყვანა.

`ერთია დამნაშავე თუ ორი – მე მთავარი მაინც ვერ გავიგე: რაში დასჭირდათ ეს? – თქვა მან. – ცხადია, შივას გულისთვის არა. მაშ, რისთვის? იმ ხელსახოცისთვის, რასაკვირველია, არა, როგორც არ უნდა შესანიშნავი და ლეგენდარული ყოფილიყო!~

ფანდორინ-სანმა ძალიან ჩვეულებრივად თქვა ისეთი რაღაც, თითქოს თავისთავად იგულისხმებო: `რასაკვირველია, მადმუაზელ, სწორედ ხელსახოცის გამო. შივა ყურადღების გადასატანად აიღეს და მაშინათვე გადააგდეს, უახლოეს ხიდთან, რადგან არ სჭირდებოდათ~.

კომისარმა შენიშნა: `რუსი ბოიარებისთვის (დამავიწყდა, ეს სიტყვა რას ნიშნავს, ლექსიკონში ჩახედვა მომიწევს) ნახევარიმილიონი ფრანკი იქნებ დიდი არც არაფერია, მაგრამ ხალხის უმეტესობა სხვანაირად ფიქრობს. ორი კილოგრამი სუფთა ოქრო და არ `სჭირდებოდათ! რაღაც მეტისმეტად გაუტიეთ, ბატონო დიპლომატო~.

ფანდორინ-სანი: `მორჩით, კომისარო, რა არის ნახევარი მილიონი ფრანკი ბაღდასარის საგანძურთან შედარებით?~

`ბატონებო, გეყოფათ დავა! – კაპრიზულად წამოიძახა საძულველმა მადამ კლებერმა. – მე კინალამ მომკლეს, თქვენ კი კინალამ იმავე მდგომარეობამდე მიმიყვანეთ. და სანამ თქვენ, კომისარო, ძველ დანაშაულში იქექებით, კინალამ ახალი არ მოხდა!~

ეს ქალი ვერ იტანს, როცა თავად არ არის ყურადღების ცენტრში. გუშინდელის შემდეგ ვცდილობ ნაკლებად ვუყურო – ძალიან მინდა შუათითი დაკვრა ცისფერ ძარღვზე, მის თეთრ ყელზე რომ ფეთქავს. ერთი დაკვრა საკმარისი იქნება, რომ ეს გველის წიწილი მოკვდეს. მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმ ბოროტი აზრების მხარიდან არის, რომლებიც ნებისყოფიანმა ადამიანმა თავიდან უნდა მიოშოროს. აი, გადმოვაფრქვიე ბოროტი აზრები დღიურში და სიძულვილი ცოტა მომაკლდა.

კომისარმა თავის ადგილზე მოსვა მადამ კლებერი. `გაჩუმდით, ქალბატონო, - მკაცრად თქვა მან. –

მოვუსმინოთ, კიდევ რა მოიფიქრა ბატონმა დიპლომატმა~.

ფანდორინ-სანი: `მთელ ამ ამბავს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა, თუკი გატაცებული ხელსახოცი რამით არის განსაკუთრებით ფასეული. ეს ერთი. პროფესორის სიტყვით, თავად ცხვირსახოცის ღირებულება არც ისე დიდია, საქმე აბრეშუმის ნაჭერში კი არ არის, არამედ იმაში, რასთანას არის დაკავშირებული. ეს ორი. როგორც ვიცით, ხელსახოცი დაკავშირებულია ბრაჰმპურის საგანძურის უკანასკნელი მფლობელის, რაჯა ბალდასარის სიკვდილისწინა ანდერძთან. ეს სამი. გვითხარით, პროფესორო, იყო თუ არა რაჯა მოციქულის მონა-მორჩილი?~

სვიტჩაილდ-სენსეი (ჩაფიქრების შემდეგ): `დაზუსტებით ვერ გეტყვით... მეჩეთეთებს არ აშენებდა, ჩემი იქ ყოფნისას ალლაჰს არ იხსენიებდა. რაჯას ევროპულად უყვარდა ჩაცმა, კუბურ სიგარებს ეწეოდა, ფრანგულ რომანებს კითხულობდა... და სადილზე კიდევ კონიაკს სვამდა! ესე იგი, რელიგიურ აკრძალვებს მეტისმეტად სერიოზულად არ აღიქვამდა~.

ფანდორინ-სანი: `ჰოდა, ესეც თქვენ, მეოთხე: არცთუ ისე ძალიან მორწმუნე ბალდასარი საბოლოო საჩუქრად თავის შვილს რამე სხვას კი არა, ყურანს გადასცემს, თანაც რატომღაც ხელსახოცში გახვეულს. ვეჭვობ, რომ სწორედ ეს ხელსახოცი გვევლინება ამ გზავნილის მთავარ ნაწილად. ყურანი თვალის ასახვევად ერთვოდა... ანდა, ისიც დასაშვებია, წიგნის მინდვრებზე მინაწერებში, ბალდასარის ხელით რომ არის გაკეთებული, იყო ინსტრუქციები, როგორ უნდა ეპოვათ საგანძური ხელსახოცის საშუალებით~.

სვიტჩაილდ-სენსეი: `რატომ მაინცდამაინც ხელსახოცის მეშვეობით? რაჯას შეეძლო თავისი საიდუმლოება იქვე ჩაეწერა, მარგინალიებში!~

ფანდორინ-სანი: `შეეძლო, მაგრამ ეს არ გააკეთა. რატომ? მიგითითებთ ჩემს ნომერ პირველ არგუმენტზე: იმ ხელსახოცს რომ ძალიან განსაკუთრებული მნიშვნელობა არა ჰქონოდა, იმისი გულისთვის არა მგონია, ათი კაცი მოეკლათ. ხელსახოცი არის გასაღები 500 მილიონი მანეთისა, ანუ, თუ გირჩევნიათ, 50 მილიონი ფუნტისა, რაც დაახლოებით ერთი და იგივეა. მე მგონი, კაცობრიობის ისტორიაში არ არსებულა ამხელა მოცულობის დანაგროვი. სხვათაშორის, უნდა გაგაფრთხილოთ, კომისარო, რომ, თუკი თქვენ არ სცდებით და მკვლელი ნამდვილად `ლევიათანზეა~, მოსალოდნელია ახალ-ახალი მსხვერპლი. და რაც უფრო მიუახლოვდებით მიზანს, მით უფრო მეტი შესაძლებლობა იქნება მათი გაჩენისა. ძალიან დიდი შესვლაა გაკეთებული და მეტისმეტად ძვირია გადახდილი საიდუმლოების გასაღებში~.

ამ სიტყვების შემდეგ მკდვრული სიჩუმე გამეფდა. ფანდორინ-სანის ლოგიკა დაურღვეველი გვეჩვენებოდა, და, მე დარწმუნებული ვარ, ბევრს ყინვამ დაჰკრა კანზე. გარდა ერთი ადამიანისა.

პირველად კომისარი მოვიდა გონს. ნერვიული სიცილით თქვა: `უჰ, ეს რა წარმოსახვა გქონიათ, მუსიე ფანდორინ. მაგრამ რაც შეეხება საფრთხეს, აქ მართალი ხართ. ოღონდ თქვენ, ბატონებო, შეგიძლიათ არ იკანკალოთ. საფრთხე მხოლოდ ბებერ გოშს ემუქრება, და მან ეს ჩინებულად იცის. ასეთი პროფესია მაქვს. მაგრამ შიშველი ხელებით მე ვერ ამიყვან!~ და მრისხანე თვალელებით შეგვათვალიერა თითოეული ჩვენგანი, თითქოს საბრძოლველად გვიწვევდა.

სასაცილო გაბერილი ბებერი. ყველა იქ მყოფთაგან ერთი ერთზე მხოლოდ ფეხმძიმე მადამ კლებერს თუ დაჯაბნიდა. ჩემს ტვინში მაცდური სურათი გაჩნდა: გაწითლებულმა კომისარმა იატაკზე დასცა ახალგაზრდა ალქაჯი და თავისი ბანჯგვლიანი თითებით ახრჩობს, მადამ კლებერი კი იხრჩობა, თვალელები გადმოუკარკლია და ის საზიზღარი ენა გადმოუგდია.

`Darling, I am scared!~ ს (`ძვირფასო, მეშინია! – ინგლ.) – წვრილი ხმით ამოუჩურჩულა ექიმს თავისმა ცოლმა. ქმარმა დასამშვიდებლად მხარზე გადაუსვა ხელი.

საინტერესო შეკითხვა დასვა წითელთმანიანმა და მახინჯმა მ.-ს.-სანმა (ძალიან გრძელი გვარია აქ დასაწერად): `პროფესორო, უფრო დაწვრილებით აღგვიწერეთ ხელსახოცი. ფრინველია თვალეების მაგივრად სიცარიელეებით, სამკუთხედიან. კიდევ რა არის შესამჩნევი იმ ხელსახოცში?~

უნდა ითქვას, რომ ეს ახირებული ბატონი ჩემსავით იშვიათად მონაწილეობს საერთო მუსაიფში. და თუ

რამეს იტყვის, ამ სტრიქონების ავტორივით, აუცილებლად უადგილოდ. მით უფრო შესამჩნევია მისი საჭირო დროს დასმული შეკითხვა.

სვიტჩაილდ-სენსეი: 'რამდენადაც მახსოვს, ნასვრეტებისა და უნიკალური ფორმის გარდა ხელსახოცზე განსაკუთრებული არაფერია. სიდიდით დიდი მარაოს ხელაა, ამასთან შეიძლება ადვილად დამალო სათითურში. ბრაჰმაპურში ამისთანა უთხელესი ქსოვილი იშვიათი არ გახლავთ'.

`ესე იგი, გასაღები იმ ფრინველის თვალებში და სამკუთხა ფორმაშია~, - აღფრთოვანებული რწმენით შეაჯამა ფანდორინ-სანმა.

დიპლომატი მართლა დიდებული იყო.

რაც უფრო მეტს ვფიქრობ მის ტრიუმფზე და მთელ ამ ამბავზე, მით უფრო მიძლიერდება უღირსი სურვილი ვაჩვენო ყველას, რომ გინტარო აონოც რაღაცად ღირს. მეც მაქვს რაღაც, რითაც იმათ გავაკვირებ. მაგალითად, მე შემეძლო კომისარ გოშისთვის მომეყოლა შავ ველურთან გუშინდელ ინციდენტზე.

სხვათაშორის, ბრძენმა ფანდორინ-სანმა აღიარა, რომ ამ საკითხში მისთვის ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ არის. მისთვის ნათელი არ არის, ხოლო 'ველური იაპონელი' უცებ 'ტკაც!' და გამოცანას ამოხსნის.

საინტერესო შეიძლება გამოვიდეს, ჰა?

გუშინ, შეურაცხყოფისგან მდგომარეობიდან გამოსულმა დროებით დავკარგე აზრის სიჯანსაღე. მერე, რომ დავმშვიდდი, შევაჯერე, როლებშიც შევედი და გონებაში აეწყო მთელი ლოგიკური სქემა, რომელიც პოლიციელს უნდა შევუდგო. მერე რა არის, თავად იფიქროს. კომისარს კი შემდეგს ვეტყვი.

ჯერ იმ უხეშობას მოვაგონებ, რომელიც მადამ კლებერმა ჩემი მისამართით წარმოთქვა. ეს უკიდურესად შეურაცხყოფელი შენიშვნა იყო, თანაც საზოგადოდ მოცემული. და მომეცა სწორედ იმ მომენტში, როცა ჩემს დაკვირვებებზე უნდა მეთქვა. მადამ კლებერს ხომ არ უნდოდა, რომ ჩემთვის ხმა ჩაეკმინდა? განა საეჭვო არ არის, ბატონო კომისარო?

გავაგრძელოთ. თავს რატომ გვაჩვენებს სუსტად, თუმცა ისეთი ჯანმრთელია, როგორც სუმოს მოჭიდავე? იტყვი, მერე რა, დიდი არაფერიაო. მე კი ამაზე გიპასუხებთ, ბატონო მაძებარო, რომ ადამიანი, რომელიც გამუდმებით თავს იკატუნებს, აუცილებლად მალავს რაღაცას. თუნდაც მე. (ჰა-ჰა. ამას, რა თქმა უნდა, არ ვიტყვი).

მერე კომისარის ყურადღებას იმ ფაქტს მივაპყრობ, რომ ევროპელ ქალებს ძალიან თხელი, თეთრი კანი აქვთ. და იმ ზანგის მძლავრმა თითებმა რატომ არ დატოვა თუნდაც მცირე კვალი? უცნაური არ არის? და ბოლოს, როცა კომისარი გადაწყვეტს, რომ მე არაფრის წარმოდგენა არ შემეძლია გარდა აზიური შურისმაძიებლური ჭკუის საეჭვო ვარაუდებისა, მთავარს გამოვუცხადებ, რისგანაც ბატონი მაძებარი იქვე შეკრთება.

`მსიე გოშ, - ვეტყვი გულითადი ღიმილით, - მე არ გამაჩნია თქვენებრ ბრწყინვალე გონება და სულაც არ ვცდილობ ძიებაში ჩავერიო (იქ ცხვირს როგორ ჩავყოფ მე, უვიცი?), მაგრამ ჩემს მოვალეობად ვთვლი თქვენი ყურადღება კიდევ ერთ გარემოებას მივაპყრო. თქვენ თავად ამბობთ, რომ გრენელის ქუჩის მკვლელი ჩვენს შორის იმყოფება. მსიე ფანდორინმა დამაჯერებელი ვერსია წარმოადგინა იმის შესახებ, თუ როგორ დახოცეს ლორდ ლიტლბის მსახურები. აცრა ქოლერის წინააღმდეგ – ეს ბრწყინვალედ არის დაჭერილი. ესე იგი, მკვლელს შპრიცის ხმარება შეუძლია. და იმაზე რას იტყვით, რომ ღიუ დე გრენელის სახლში მამაკაცი-ექიმი კი არა, ქალი მივიდა, მედდა? ის ნაკლებად საეჭვო იქნებოდა, ვიდრე მამაკაცი, მართალი არ არის? მეთანხმებით? მაშინ გირჩევთ, ისე, სხვათაშორის, შეხედოთ მადამ კლებერს ხელებზე, როცა ის თავისი გველივით თავი ხელისგულებზე ჩამოუდია და ფართო სახელოები იდაყვამდე ჩასცურებია. მკლავების შიგნითა მხარეს დაუნახავთ ძლივს შესამჩნევ წერტილებს, როგორც მე დავინახე. ეს ჩხვლეტების კვალია, ბატონო კომისარო. ჰკითხეთ ექიმ ტრუფოს, უკეთებს თუ არა მადამ კლებერს რაიმე ინექციებს და პატივცემული მედიკოსი იმასვე გიპასუხებთ, რაც დღეს მეც მითხრა: არა, არ უკეთებს, რამეთუ საერთოდ პრინციპული წინააღმდეგია წამლების შინაგანი ჩანერგვისა. ახლა კი ორი ორზე

გამრავლეთ, ო, ბრძენთაბრძენო გომ-სენსეი, და თქვენთვის ნათელი იქნება, რაზე უნდა იტყვიოთ ეგ ჭაღარა თავი. აი, რას ვეტყვი კომისარს და ისიც მადამ კლებერს ააჭიკჭიკებს.

ევროპელი რაინდი იფიქრებდა, რომ მე საზიზღრად ვიქცევი, და ამით გამომჟღავნებოდა მისი შეზღუდულობა. სწორედ ამიტომ აღარ არსებობენ რაინდები ევროპაში, სამურაები კი ისევ არიან. თუნდაც ხელმწიფე იმპერატორმა გაათანაბროს ფენები და ჩვენ აგვიკრძალოს სარტყელზე ორი ხმლის ტარება, მაგრამ ეს სამურაების წოდების მოშლას კი არა, პირიქით, სამურაების ფენის შეყვანას ნიშნავს მთელ იაპონელ ერში, რათა ერთმანეთის წინაშე ბლენძიაობა არ დავიწყოთ ჩვენი გვარიშვილობით. ჩვენ ერთად ვართ, და ჩვენს წინააღმდეგ კი მთელი დანარჩენი სამყაროა. ო, კეთილშობილო ევროპელო რაინდო (აღბათ მხოლოდ რომანებში რომ არსებობდი)! კაცებთან ბრძოლისას კაცური იარაღი გამოიყენე, ქალებთან კი – ქალური. აი, სამურაების ღირსების კოდექსი, და იქ არაფერია საძაგელი, რადგან ქალებს მამაკაცებზე არანაკლებ ხელეწიფებათ ბრძოლა. და მამაკაცი-სამურაის ღირსებას ის ბღალავს, რომ ქალის წინააღმდეგ მაკაცის იარაღი გამოიყენოს, კაცების წინააღმდეგ კი – ქალური. მე აქამდე არასოდეს დავემშვიდობდი. კიდევ ვყოყმანობ, ღირს თუ არა განვახორციელო ჩაფიქრებული მანევრი, მაგრამ ჩემი სულის მდგომარეობა გუშინდელზე უკეთესის მაგალითად არ გამოდგება. იმდენად, რომ წვალების გარეშე არცთუ ისე ურიგო ჰაიკუ შევთხზე:

ყინულის ნაპერწკლად
იფეთქა მთვარემ
ფოლადის ხანჯალზე.

კლარისა სტამპი
(ამ თავიდან თხრობა ჩვეულებრივ გრძელდება)

კლარისა მოწყენილი სახით შემობრუნდა – ვინმე ხომ არ უყურებს და მხოლოდ ამის მერე ფრთხილად გამოიხედა ჯიხურს ამოფარებულმა.
იაპონელი მარტო იჯდა ოკაჩხეზე, ფეხები გადაეჯვარედინებინა. თავი უკან აქვს გადაგდებული, ნახევრადმოხუჭული ქუთუთოებიდან მოუჩანს თვალის სითეთრეები, სახე არამქვეყნიურად მშვიდი აქვს. ბრ-რ-რ! კლარისა დაიძინა. კარგი ვინმეა ეს მისტერ აონო. აქ, კანჯოების გემბანზე, პირველი კლასის გემბანთან შედარებით ერთი იარუსით მაღლა რომ არის განლაგებული, მოსეირნეები არ იყვნენ, მხოლოდ გოგონათა გუნდი სახტუნელაზე ხტოდა და თეთრფითქინა კატერის ჩრდილს ორი სიცხით გულშეღონებული გადია შეჭვარებოდა. ამ ბავშვებისა და უჭკუო აზიატის გარდა ვინ გაჩერდებოდა ამ ხვატში? ამ ბოტდევის მაღლა მხოლოდ სავალი ნაწილია, კაპიტნის ბოგურა და, რასაკვირველია, მიღები, ანძები, იალქნები. თეთრი ზეწრები დაბერილიყვნენ ზურგის ქარის დაწოლით და ბოლქვ-ბოლქვად ბოლის გამომშვები `ლევიათანი~ პირდაპირ ვერცხლისფერი ჰორიზონტის ზოლისკენ მიიჩქაროდა, ირგვლივ კი ქაფის ათინათების თამაშით ციმციმებდა და ბოთლის მინისფრად ციალებდა სულ ოდნავ მოჭმუჭნული ინდოეთის ოკეანის სუფრა. აქედან, ზემოდან ჩანდა, რომ დედამიწა ნამდვილად მრგვალია: ჰორიზონტის ქობა აშკარად `ლევიათანზე~ დაბლა იყო და ხომალდი ისე მიდიოდა მისკენ, როგორც დაღმართზე. მაგრამ კლარისა ზღვის პეიზაჟების სიყვარულით როდი იწურებოდა ოფლში. უნდოდა ენახა, რას აკეთებდა მისტერ აონო ზემოთ? ყოველთვის ასეთი შესამური გამუდმებით სად იკარგება ხოლმე სადილის შემდეგ?

და სწორადაც მოიქცა, რომ დაინტერესდა. აი, ისიც, ნამდვილი სახე გამუდმებით მომდიმარი აზიატისა. ამისთანა გაყინული, ულმობელი სახის ადამიანი ყველაფერზე წამსვლელია. ყვითელი რასის წარმომადგენლები ისეთები მაინც არ არიან, როგორებიც ჩვენ, - და აქ საქმე მარტო თვალის ჭრილებში კი

არ არის. გარეგნულად ძალიან წააგვანან ადამიანებს, მაგრამ სულ სხვა ჯიშისანი არიან. მგლებიც კი ჰგვანან ძაღლებს, მაგრამ ბუნება სხვა აქვთ. რა თქმა უნდა, ყვითელკანიანებს აქვთ საკუთარი ზნეობრივი საფუძველი, მაგრამ ის იმდენად განსხვავებული არ არის ქრისტიანობისგან, რომ ჩვეულებრივ ადამიანს მისი გაგება არ შეეძლოს. უმჯობესი იქნებოდა, ევროპული კაბები არ ეტარებინათ და დანა-ჩანგლის ხმარება არ სცოდნოდათ – ეს ჰქმნის ცივილიზებულიობის სახიფათო ილუზიას, სინამდვილეში კი გადასლექილ-მოლოკილი, გადაყოფილი შავი თმის და გლუვად ყვითელი შუბლის მიღმა ისეთი რამ ხდება, რომლის წარმოდგენა გაგვიჭირდება.

იაპონელი ოდნავ შესამჩნევად შეირხა, თვალები ააფახულა და კლარისა სასწრაფოდ დაიმალა. რასაკვირველია, ისე იქცევა, როგორც სულ უკანასკნელი სულელი, მაგრამ რამე ხომ უნდა გააკეთოს! ეს კომმარი მუდმივად ხომ არ გაგრძელდება. კომისარს მართებულ მხარეს უნდა უბიძგოს, სხვანაირად არავინ იცის, ეს ყველაფერი რით დამთავრდება. მიუხედავად სიცხისა, მცივანასავით აიწურა მხრებში. მისტერ აონოს გარეგნობასა და ქცევაში ნამდვილად არის საიდუმლო. ისევე როგორც გრენელის ქუჩაზე მომხდარ დანაშაულში. უცნაურიც კია, გომმა აქამდე როგორ ვერ გაიგო, რომ ყველა ნიშნებით მთავარი ექვმიტანილი იაპონელი უნდა იყოს.

რანაირი ოფიცერი და სენ-სირის კურსდამთავრებულია, თუკი ცხენებში ვერ ერკვევა? ერთხელაც კლარისამ, მარტოოდენ ადამიანის სიყვარულის გამო, გადაწყვიტა მდუმარე აზიელი საუბარში ჩაერთო და მუსაიფი წაიყვანა ისეთი თემისკენ, რომელსაც სამხედრო კაცი უნდა დაეინტერესებინა – რბოლაზე, დოღებზე, ნორფოლკის ჩორთმავალის ღირსებებზე და ნაკლოვანებებზე. ეგეც მყავს რა ოფიცერი! სულ უბრალო შეკითხვაზე: 'სტიპლჩეიზში თუ მიგიღიათ მონაწილეობა?', უპასუხა, რომ იმპერატორის არმიის ოფიცრებს მკაცრად ეკრძალებათ პოლიტიკაში გარევა. უბრალოს, არ იცოდა, რა არის სტიპლჩეიზი! რასაკვირველია, უცნობია, როგორი ოფიცრები არიან იაპონიაში – ეგება ბამბუკის ჯოხებზედაც კი დაჭენაობენ, მაგრამ ამისთანა უვიცობა გამოავლინოს სენ-სირის კურსდამთავრებულმა? ეს სრულებით გამორიცხებულია.

აი, რა კვალზე უნდა დააყენოს გომი. ანდა დაიცადოს, იქნებ კიდევ შეძლოს რაიმე საეჭვოს გამომჟღავნება? და რით არის ცუდი გუშინდელი შემთხვევა? მეტად საეჭვო ხმებით დაანდამატებული კლარისა მისტერ აონოს კაბინეტის მახლობლად დასეირნობდა დერეფანში. შიგნიდან ისმოდა მშრალი ჭახანი, გეგონება ვიღაც იშვიათი მეთოდურობით ამსხვრევდა ავეჯს. კლარისამ მთელი სიმამაცე მოიკრიბა და დააკაკუნა. კარი მოწყვეტით გაიღო. ღიობში იაპონელი გამოჩნდა – მთლად შიშველი, მხოლოდ თეპოებზე შემოჭერილი სარტყელით! შავგვრემანი სხეული ოფლისგან უბრწყინავს, თვალები სისხლით აქვს ავსებული.

კლარისა რომ დაინახა, სტვენით გამოსცრა:

- ტიკუსიო!

წინდაწინ მომზადებული შეკითხვა ('მისტერ აონო, თან ხომ არა გაქვთ ის საოცარი იაპონური გრავიურები, რომლებზეც ამდენი მსმენია?') თავიდან გამოუფრინდა და კლარისა გაქვავდა. ახლა კაიუტაში შეგითრევს, თავს დაგესხმება! მერე ნაჭერ-ნაჭერ დაგჭრის და ზღვაში გადაგადგებს. სულ ადვილად. და აღარ იქნება მის კლარისა სტამპი, კარგად აღზრდილი ინგლისელი ლედი, არცთუ ისე ბედნიერი, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრის მომლოდინე ამ ცხოვრებიდან.

კლარისამ ამოიდუღუნა, რომ კარი შეეშალა. აონო ჩუმად უყურებდა და ღრმად სუნთქავდა. რაღაც წვეწის სუნი უდიოდა.

კომისართან მოლაპარაკება, ალბათ, მაინც ღირს.

ფაივ-ო-კლოკის წინ 'უინძორის' კარის მახლობლად დაუდარაჯდა მამებარს და თავისი მოსაზრებების

გაზიარება დაუწყო, მაგრამ ეს ხეპრე რაღაც უცნაურად უსმენდა – კლარისას შეჰყურებდა დამცინავი, ჩხვლეტია თვალებით, თითქოსდა რაიმე სამრახისში უტყდებოდა ვინმე.

ერთხელ უღვაშებში ჩაილაპარაკა:

- თქვენ ყველანი ერთმანეთის დასმენის სურვილმა მოგიცვიათ.

და რომ მოუსმინა, უადგილოდ შეეკითხა:

- დედიკო და მამიკო ხომ ჯანმრთელად არიან?

- ვისი, ბატონი აონოსი?

- არა, მადმუაზელ, თქვენი.

- მე ბავშვობიდან ობოლი ვარ, - მიუგო, თან შიშით უყურებდა პოლიციელს. ღმერთო, ეს ხომალდი კი არა, მოცურავე ბედლამი, ანუ საგიჟეთია.

- სწორედ ამის დადგენა იყო საჭირო, - თავი კმაყოფილებით დაუქნია გოშმა და კლარისასთვის რაღაც უცნობი სიმღერის ღიღინით პირველი შევიდა სალონში, რაც უკვე აშკარა უტიფრობა იყო.

ამ საუბრიდან უსიამოვნო შთაბეჭდილება დარჩა. ეს ფრანგები მთელი თავიანთი ნაქები გალანტურობის მიუხედავად ჯენტლმენები მაინც არ არიან. რასაკვირველია, შეუძლიათ იბაქიბუქონ, თავბრუ დაგახვიონ, რაიმე ეფექტური გამოხდომა მოაწყონ, სასტუმროს ნომერში ასი წითელი ვარდი გამოგიგზავნონ (აქ კლარისა მწუხარედ შეიჭმუნა), მაგრამ იმათ არ უნდა დაუჯერო. ინგლისელი ჯენტლმენი, შესაძლოა, უფრო მტკნარია, სამაგიეროდ იცის, რა არის მოვალეობა და წესრიგი. ფრანგი კიდეც, როგორც კი ნდობას დაიმსახურებს, მაშინვე გაგყიდის.

სხვათაშორის, კომისარ გოშს ეს განზოგადებები პირდაპირ არ ეხება. თანაც საუზმეზე გასაგები გახდა მისი ველური საქციელი, თანაც მეტად შემაშფოთებლად.

დესერტის დროს მაძებარმა, აქამდე რომ უჩვეულო, ყველასთვის სანერვიულო სიჩუმეს ინარჩუნებდა, უცებ პირდაპირ შეხედა კლარისას და თქვა:

- აი, თქვენს პასუხად (და სულაც არ იყო `პასუხად`), მადმუაზელ სტამპ, ამას წინათ მარი საფრონზე იკითხეთ. სწორედ ის ქალბატონი, რომელიც თითქოს ლორდ ლიტლბისთან ნახეს მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე.

კლარისა მოულოდნელობისგან შეხტა, დანარჩენები კი გაჩუმდნენ და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ კომისარს, რადგან უკვე იცოდნენ განსაკუთრებული ინტონაცია, როლითაც თავის სხარტ `ამბებს` იწყებდა.

- დაგპირდით, რომ ამ არსებაზე მერე მოგიყვებით მეთქი. ჰოდა, აი, მოვიდა ამის დროც, - განაგრძო გოშმა, თან ისევ მარტო კლარისას უყურებდა და ეს შემოხედვა სულ უფრო და უფრო ნაკლებად მოსწონდა ქალს. – ამბავი გრძელი იქნება, მაგრამ არ მოიწყენთ, რადგან ლაპარაკი არაჩვეულებრივ ქალზე იქნება. და რა გვეჩქარება? მშვენივრად ვსხედვართ, ორანჟადს ვსვამთ. სხვათაშორის, თუ ვინმეს საქმე აქვს, მიბრძანდით და ღმერთმა გიშველოთ, მამილო გოში არ განაწყენდება.

არავინ განძრეულა.

- მაშ, გამბოთ მარი სანფონზე? – ყალბი კეთილგანწყობით იკითხა კომისარმა.

- დიახ-დიახ! დაუყოვნებლივ! – ახმაურდა ყველა.

მხოლოდ კლარისა დუმდა, რადგან იცოდა, რომ საუბარი ტყუილუბრალოდ არ არის წამოწყებული და თავად კლარისას ეძღვნება განსაკუთრებულად. ამას თავად გოშიც აღარ მალავდა.

მადიანად დააქსუტუნა და გააამზადა ჩუბუხი, ქალბატონებისთვის თანხმობაც კი არ უკითხავს.

- თავიდან დავიწყებ. იყო და არა იყო რა, ბელგიის ერთ-ერთ ქალაქ ბრიუგეში ცხოვრობდა პატარა გოგონა, რომელსაც მარის ეძახდნენ. გოგონას მშობლები წესიერი მოქალაქეები იყვნენ, ეკლესიაში იარებოდნენ და თავიანთ ოქროს კულულებიან პატარას თავზე ევლებოდნენ. მარი რომ მეექვსე წელიწადში გადავიდა, პატარა ძმა შეეძინა, პატარა ლუდისმხდელი ქარხნის `სანფონ და სანფონის` მომავალი მემკვიდრე.

გახარებულმა ოჯახმა კიდეც უფრო ბედნიერად დაიწყო ცხოვრება, მერე კი მოულოდნელად უბედურება

მოხდა. ჩვილს ერთი თვეც არ შესრულებოდა, რომ ფანჯრიდან გადავარდა და სასიკვდილოდ დაიმტვრა. უფროსები შინ არ იყვნენ – მხოლოდ ბავშვები და გადია. მაგრამ გადია ნახევარი საათით გავიდა თავის მეგობარ-მეხანძრესთან პაემანზე და სწორედ მისი არყოფნის დროს სახლში შეიჭრა შავ ლაბადიანი და შავ ქუდიანი უცნობი. პატარა მარიმ საწოლის ქვეშ დამალვა მოასწრო, ხოლო მისი ციციქნა ძმა უცნობმა აკვნიდან ამოიყვანა და ფანჯარაში ისროლა. თავად კი დაუყოვნებლივ მიიმალა.

- რა საშინელებებს ჰყვებით! – ჩივილით შეჰკვივლა მადამ კლებერმა და მუცელზე იტაცა ხელი.

- ეს ჯერ დასაწყისია, - ჩიბუხი გააქნია გოშმა, - მერე ნახეთ, რა იქნება. იმ საშინელ "შავ ძიაზე" დედას და მამას სასწაულად გადარჩენილმა მარიმ უამბო. ბოროტმოქმედის ძებნაში სულ გადაატრიალეს მთელი ის ოლქი და გაფიცებულზე ადგილობრივი რაზინიც კი დაიჭირეს, თურმე სულ შავებში იარებოდა ის ბედნავსი. მაგრამ სანფონ-უფროსს მოსვენებას არ აძლევდა ერთი უცნაური დეტალი: რატომ დადგა დამნაშავემ ფანჯარასთან ჯორკო?

- ო, ღმერთო! – ამოიოხრა კლარისამ, გულზე იტაცა ხელი. – ნუთუ...?

- თქვენ წარმოუდგენლად გამჭირახი ხართ, მადმუაზელ სტამპ, - გაიცინა კომისარმა. – დიახ, პატარა მარიმ თვითონ გადააგდო ფანჯრიდან თავისი ძმა.

- How terrible! – მისის ტრუფომ საჭიროდ ჩათვალა შეშინებოდა. - But why? ('რა საშინელებაა! მაგრამ რისთვის?' - ინგლ.).

- გოგონას არ მოეწონა, რომ ყველა პატარას დასტრიალებს და მას აღარავინ აქცევს ყურადღებას. იმას ეგონა, რომ ძმას თუ მოიშორებდა, ისევ ისე ეყვარებათ დედას და მამას, - აუღელვებლად ახსნა გოშმა. – მაგრამ ეს პირველად და უკანასკნელად მოხდა, როცა მარი სანფონმა სამხილი დატოვა და გამომჟღავნდა. ძვირფასმა ბავშვმა ჯერ არ იცოდა კვალის წაშლა.

- და რა უყვეს მცირეწლოვან დამნაშავეს? – იკითხა ლეიტენანტმა რენიემ, მოსმენილ ამბავს რომ გაეოგნებინა. – ხომ ვერ გაასამართლებდნენ?

- არა, არ გაუსამართლებიათ. – კომისრმა ცბიერად გაუღიმა კლარისას. – თუმცა დედამ, ეს დარტყმა ვერ აიტანა, გონება აერია და შეშლილთა სახლში მოათავსეს. ხოლო მუსიე სანფონს აღარ შეეძლო თავისი გოგონას, ოჯახს თავსდამტყდარი უბედურებებს მიზეზის, ნახვა და აღსაზრდელად მიაბარეს ნაცრისფერ მონაზონ-ვინსენტის ნაწილებს. სწორედ იქ იზრდებოდა გოგონა. პირველი იყო ყველაფერში – სწავლაშიც და ღვთისთვის სასურველ საქმეებშიც. და ამბობენ, ყველაზე ძალიან წიგნების კითხვა უყვარდაო. მორჩილი ჩვიდმეტი წლის იყო, როცა სავანეში მეტად უსიამოვნო სკანდალი მოხდა. – გოშმა საქალაქოში ჩაიხედა და თავი დაიქნია. – აი, აქ მიწერია. 1866 წლის 17 ივლისი. ნაცრისფერ მონაზონებს სტუმრობდა თვით ბრიუსელის არქიეპისკოპოსი და სწორედ მაშინ იყო, რომ საპატიო პრელატმა საძინებლიდან ძველისძველი საარქიეპისკოპოსო ბეჭედი დაკარგა დიდი ამთვისტოს თვლით, რომელიც გადმოცემით თავად ლუდოვიკო წმინდანს ეკუთვნოდა. არადა, სწორედ წინა დღეს მონსენიორმა თავის საძინებელში ორი საუკეთესო მორჩილი დაიბარა სალაპარაკოდ, ეს ჩვენი მარი და ერთიც არლელი. ეჭვი, რასაკვირველია, ამ გოგონებზე მიიტანეს. წინამძღვარმა ჩხრეკა მოაწყო და არლელის საწოლში იმ ბეჭდის ხავერდის კოლოფი იპოვეს. ქურდი გამტერდა, შეკითხვებზე პასუხს არ იძლეოდა და კარცერამდე მიაცილეს. როცა ერთი საათის შემდეგ პოლიცია მოვიდა, დამნაშავის დაკითხვა აღარ მოხერხდა – თავისივე გამომამჟღავნებელი ზეწრით ჩამოიხრჩო თავი.

- ეს ყველაფერი სამაგელმა მარი სანფონმა მოაწყო, მივხვდი! – აფეთქდა მილფორს-სტოუკსი. – საზიზღარი ამბავია, საზიზღარი!

- დანამდვილებით არავინ იცის, ოღონდ ის ბეჭედი მაინც ვერ მოიძებნა, – ხელები გაშალა კომისარმა. – ორი დღის შემდეგ კი ატირებული მარი წინამძღვართან მივიდა, უთხრა, ყველა ცერად მიყურებს და გთხოვთ, სავანიდან გამიშვათო. დედა-წინამძღვარმა, უცნაურად რომ გაცივებულიყო თავის ყოფილ რჩეულზე, აღარ დაიჭირა.

- ეგ გვრიტი კარიბჭესთან უნდა გაეჩხრიკათ, - დანანებით თქვა მისტერ ტრუფომ. - ერთიც ვნახოთ და, ის ამეთვისტო სადმე კაბის ქვეშ ეპოვათ.

როცა თავისი სიტყვები მეუღლეს უთარგმნა, იმან თავისი წვეტიანი იდაყვი გვერდში ატაკა, რაკი ეს შენიშვნა უჩვეულოდ ჩათვალა.

- არ ვიცი, გაჩხრიკეს თუ არა, მაგრამ ვერ იპოვეს. და მარი იმ სავანიდან სადმე სხვაგან კი არა, ქალაქ ანტვერპენში წავიდა, რომელიც, როგორც ცნობილია, ძვირფასი ქვების მსოფლიო დედაქალაქად ითვლება. იქ კი ყოფილი მონაზონი მოულოდნელად გამდიდრდა და მას შემდეგ ხელგაშლილად ცხოვრობდა. ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ მხოლოდ ლობიოზე რჩებოდა, მაგრამ დიდხანს არა - მახვილი გონება, ბრწყინვალე სამსახიობო მონაცემები და ნებისმიერი მორალური წესების უგულველყოფა (აქ კომისარმა დამრიგებლურად აუწია ხმას და პაუზაც კი გააკეთა) ეხმარებოდა ხელგაშლილი ცხოვრებისთვის აუცილებელი საშუალებები მოეპოვებინა. ბელგიის, საფრანგეთის, ინგლისის, შეერთებული შტატების, ბრაზილიის, იტალიის და კიდევ რამდენიმე ათეული ქვეყნის პოლიციები აკავებდა მარი სანფონს, როგორც სულ სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილს, მაგრამ ბრალდება ერთხელაც ვერ წაუყენეს: ან ვერაფერს ეჭიდებოდნენ, ანდა სამხილები არ იყო საკმარისი. თუკი ინებებთ, რამდენიმე ეპიზოდს გიამბობთ მისი სამსახურებრივი სიიდან. ხომ არ მოიწყინეთ, მადმუაზელ სტამპ?

კლარისამ არაფერი თქვა, პასუხი თავისი ღირსების დამამცირებლად ჩათვალა. მაგრამ სული აუფორიაქდა.

- 1870 წელი, - საქალაქში ჩახედვის შემდეგ გამოაცხადა გომმა. - პატარა, მაგრამ მდიდარი ქალაქი ფეტბურგი გერმანულ შვეიცარიაში. შოკოლადის და შაშხის წარმოება. ოთხი ათას მცხოვრებზე რვა ათას ნახევარი ღორი მოდის. გასუქებული იდიოტების მხარე - პარდონ, მადამ კლებერ, თქვენი სამშობლოს შეურაცხყოფა არ მინდოდა, - მოგვიანებით გაახსენდა პოლიციელს.

- არაუშავს, - მხარი დაუდევრად აიქნია მადამ კლებერმა. - მე ფრანგული შვეიცარიიდან ვარ. ხოლო იმ ნაწილში, სადაც ფეტბურგია, მართლა აბუეტები ცხოვრობენ. მე მგონი, ეს ამბავი მსმენია და ძალიან სასაცილოა. მაგრამ არაუჭირს რა, მოყვით.

- ვისთვის როგორ. - გომმა საყვედურით ამოისუნთქა და უცებ კლარისას თვალი ჩაუკრა, რაც ყველანაირ საზღვარს სცილდებოდა. - ერთხელ ქალაქის პატიოსანი ბიურგერები ენით აღუწერელ მღელვარებაში ჩავარდნენ. ერთმა გლახმა, გვარად მებიუსმა, ფეტბურგტში რომ უსაქმურად და უტკინოდ ითვლებოდა, დაიკვება, რომ გუმინ თავისი მიწა, ქვიანი, ვიწრო და ცარიელი ზოლი ერთ დიდებულ ქალბატონს მიჰყიდა, რომელიც გაეცნო როგორც გრაფინია დე სანფონი. ოცდაათ აკრ უნაყოფო მიწაში, სადაც ნარშავაც კი არ ხარობდა, სულელმა გრაფინიამ სამი ათასი ფრანკი გაჰკრა. მაგრამ ქალაქის მუნიციპალიტეტში იყვნენ მებიუსზე უფრო გონიერი ადამიანები და იმათ ეს ამბავი საეჭვოდ მოეჩვენათ. რად უნდოდა გრაფინიას ოცდაათი აკრი ქვა და ქვიმა? რაღაცაში იყო საქმე. ყოველი შემთხვევისთვის ციურისში ყველაზე ჯომარდი ვინმე მიავლინეს და იმან დაადგინა, რომ გრაფინია დე სანფონი - ცნობილი არსებია.

ხელგაშლილად და მხიარულად ცხოვრობს, და რაც ყველაზე საინტერესოა - ხშირად ჩანს ბატონი გოლდზილბერის, სახელმწიფო სარკინიგო კომპანიის დირექტორის სიახლოვეს. ამბობდნენ, რომ ბატონ დირექტორს გრაფინიასთან ინტრიგა აქვს. ახლა კი მიხვდნენ ბიურგერები, რაში იყო საქმე. აქ უნდა ითქვას, რომ ქალაქი ფეტბურგი კარგა ხანი იყო ოცნებობდა საკუთარ სარკინიგო ხაზზე, რათა იაფი ყოფილიყო შოკოლადისა და ხისქერქის გატანა. ის სიცარიელე, რომელიც მხიარულმა გრაფინიამ შეიძინა, უახლოესი სარკინიგო სადგურიდან ტყემდე მიდიოდა, საიდანაც საზოგადოებრივი მიწები იწყებოდა. ქალაქის მამებისთვის ყველაფერი ნათელი შეიქმნა: გრაფინიამ თავისი საყვარლისგან მოსალოდნელი მშენებლობის შესახებ შეიტყო, შეიძინა საკვანძო ნაკვეთი და გვარიანად აპირებს ხელის მოთბობას. და ბიურგერთა თავებში გამოაგნებლად თავხედური გეგმა მომწიფდა. გრაფინიას დეპუტაცია მიუგზავნეს, რომელმაც მისი ბრწყინვალეების დაყოლიება სცადა, რათა სახელოვანი ქალაქის ფეტბურგისთვის დაეთმო ნაკვეთი.

ლამაზმანი თავიდან უარზე იდგა, ამტკიცებდა, რომ წარმოდგენა არა აქვს არანაირ სარკინიგო ხაზზე,

მაგრამ როცა ბურგომისტრმა დახვეწილად ჩაურტყა, რომ ამ საქმეს მისი ბრწყინვალეებისა და მისი მაღალადმატებულება ბატონი დირექტორის გარიგების სუნი უდის, ხოლო ეს კი სასამართლოს ექვემდებარება, სუსტ ქალს სლუკუნნი წასკდა და დასთანხმდა. ის უნაყოფო ნაკვეთი ოცდაათ ერთაკრიან უზნებად დაჰყვეს და ქალაქელებს მიჰყიდეს აუქციონზე. ფეტბურგელებმა კინაღამ ჩხუბი ჰქნეს ერთიმეორეში, ცალკეული უზნის ფასი თხუთმეტი ათასამდე აღწევდა. და გრაფინიას მთლიანად შეხვდა...

– კომისარმა თითი გააყოლა სტრიქონს. – არანაკლებ ორას ოთხმოცი ათასი ფრანკისა.

მადამ კლებერს სიცილი წასკდა და ქესტით ანიშნა გოშს: ჩუმად ვარ, ჩუმად. განაგრძეო.

- გადიოდა კვირები, თვეები, მაგრამ მშენებლობა მაინც არ იწყებოდა. მოქალაქეებმა შეკითხვა გააგზავნეს მთავრობაში, საიდანაც უპასუხეს, რომ უახლოეს თხუთმეტი წელიწადში ფეტბურგისკენ ხაზის გაყვანა არ იგეგმება... ესენი პოლიციაში მივარდნენ: ასე და ასეა საქმეო, გაგვძარცვეს დღისით-მზისითო. პოლიციამ თანაგრძნობით მოუსმინა დაზარალებულებს, მაგრამ ვერაფრით დაეხმარა: ქალბატონი სანფონი თავადაც ამბობდა, რომ რკინიგზაზე არა გაუგონია რა და არც მიწის გაყიდვა უნდოდა. ყველაფერი კანონიერად გააფორმა, ვერაფერში გამოიჭერ. და გრაფინიად რომ წარადგინა თავი, ეს, რასაკვირველია, ლამაზი არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონით არ ისჯება.

- ყოჩაღ! – გაიცინა რენიემ. – მართლა ვერაფერში გამოიჭერ.

- ჯერ ეს რა არის. – კომისარი ქარალდებს ფურცლავდა. – არის მთლად ფანტასტიკური ამბავი. მოქმედების ადგილი – ამერიკის ველური დასავლეთია, 1873 წელი. კალიფორნიაში, ოქროს სარეწებზე ჩავიდა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ნეკრომანი (გვამებზე მკითხავი) და მალტის ლოჟის დიადი დრაკონესსა, მის კლეოპატრა ფრანკენშტეინი, პასპორტით კი მერი სანფონი. მაძიებლებს გამოუცხადა, რომ ამ ველურ ალაგებში ზარატუსტრას იმ ხმამ მოიყვანა, რომელმაც თავის ერთგულ მსახურ ქალს უბრძანა პატარა ქალაქ ჰოლდენ-ნაგეტში დიადი ექსპერიმენტი ჩაეტარებინა. სწორედ ამ განედსა და გრძედზე კოსმოსის ენერჯია კონცენტრირებულია ისე უნიკალურად, რომ ვარსკვლავიან ღამეს, ზოგიერთი კაბალისტური ფორმულის მეოხებით შეიძლება აღადგინო ის, ვინც უკვე გადალახა ცოცხლებისა და მკვდრების სამეფოების გამყოფი დიადი საზღვარი. და ამ საოცრებას კლეოპატრა ამდამვე გააკეთებს, საზოგადოების თანდასწრებით და სრულიად უფასოდ, ვინაიდან ვიღაც ოინბაზი კი არა, უმაღლესი სფეროების მედიუმი გახლავსთ. და როგორ გგონიათ? – გომმა ეფექტური პაუზა გააკეთა. – ხუთასი წვერიანი მაყურებლის თვალწინ დრაკონესსამ წითელი კოიოტის, ლეგენდარული ინდიელი ბელადის ყორღანთან წაიჯადოქრა, რომელიც ასი წლის წინ მოკვდა, და უცებ მიწა იძრა, შეიძლება ითქვას, გაიხსნა და კოლბოხებიდან ბუმბულებიანი მემომარი გამოვიდა, ტომპაჰაკითა და დახატული პირისახით. მაყურებელი აკანკალდა, ხოლო მისტიკურ ტრანსში მყოფმა კლეოპატრამ შეჰღაღადა: 'ჩემში კოსმოსის ძალას ვგრძნობ! სად არის თქვენი ქალაქის სასაფლაო? ახლავე გავაცოცხლებ ყველას, ვინც იქ წევს!~ აქ სტატიაში წერია, - განმარტა პოლიციელმა, - რომ ჰოლდენ-ნაგეტის სასაფლაო კაი დიდი იყო, რაღაი საბადოებზე დღე არ გავიდოდა, ვინმე რომ არ გაეგზავნათ იმქვეყნად. საფლავები, მგონი, უფრო მეტი იყო, ვიდრე ქალაქის ცოცხალი მცხოვრებლები. როცა მაძიებლებმა წარმოიდგინეს, რა მოხდებოდა, ყველა შფოთისთავი, ლოთი-ფოთი და სახრჩობელის კლიენტი უცებ რომ ამოძვრებოდა საფლავიდან, მაყურებელთა შორის პანიკა დაიწყო. ამ ურთულესი მდგომარეობიდან მოსამართლემ იხსნა თანაქალაქელები. წინ გამოვიდა და ერთობ თყავაზიანად შეეკითხა დრაკონესსას, თანახმა ხომ არ იქნება ამ დიადი ექსპერიმენტის შეწყვეტაზე, თუკი ქალაქის მცხოვრებნი მთელ ჩანთა ოქროს ქვიშას მოუტანენ – ეს იქნებოდა მოკრძალებული შენაწირი ოკულტური მეცნიერების განვითარებისთვის.

- რა ქნა, დასთანხმდა? – გადაიხარხარა ლეიტენანტმა.

- კი. ორი ჩანთის საფასურად.

- ინდიელთა ბელადს რა მოუვიდა? – სიცილით იკითხა ფანდორინმა. დიდებული ღიმილი აქვს, ოღონდ ბიჭური, გაიფიქრა კლარისამ. არა, ძვირფასო მის, თავიდან ამოიგდეთ. როგორც სუფოლკში იტყვიან,

ღვეზელი კარგია, მაგრამ შენთვის კი არა.

- ინდიელთა ბელადი კლეოპატრა ფრანკენშტეინმა თან წაიყვანა, - სეიოზული სახით მიუგო გომმა. - სამეცნიერო კვლევებისთვის. ამბობენ, მერე დენვერის საროსკიპოში მოკლეს სიმთვრალისასო.

- ნ-ნამდვილად საინტერესო არსებია ეს მარი სანფონი, - თქვა ჩაფიქრებულმა ფანდორინმა. - კიდევ გვიამბეთ მასზე. ყველა ამ მარჯვე თაღლითობებიდან სასტიკ მასობრივ მკვლელობამდე საკმაოდ დიდი დ-დისტანციაა.

- Oh, please, it's more than enough? - წინააღმდეგობა გაუწია მისის ტრუფომ და ქმარს მიუბრუნდა. - My darling? it must be awfully tiresome for you to translate all this nonsens ('ო, გთხოვთ, განა ეს საკმარისი არ არის? ჩემო ძვირფასო, ალბათ ძალიან მოგწყინდა მთელი ამ სისულელეების თარგმნა - ინგლ.) .

- თქვენ კი, მადამ, არავინ გაიძულებთ აქ ჯდომას, - 'ნონსენსზე' გაბრაზდა კომისარი.

მისის ტრუფომ აღშფოთებით ააფახულა წამწამები, თუმცა წასვლა არც უფიქრია.

- მუსიე კაზაკი მართალია, - აღიარა გომმა. - უფრო ბოროტ მაგალითს მოვხაზავ.

მადამ კლებერმა ფანდორინს შეხედა და სიცილი წასკდა, და მთელი თავისი ნერვოზულობის მიუხედავად კლარისამაც ვერ შეიკავა ღიმილი - ისე ნაკლებად ჰგავდა დიპლომატი სტეპების ველურ შვილს.

- ჰოდა, აი ზანგულიკაზე მოისმინეთ. აქ გარდაცვალებაც არის. ახალი საქმეა, შარშანწინდელი. - მაძებარმა ერთად შეკრულ რამდენიმე ქალაქში ჩაიხედა, ეტყობა, ამბავს იხსენებდა. ჩაიცინა. - გარკვეულწილად შედეგია. ჩემს საქალაქში ბევრი რამეა, ქალბატონებო და ბატონებო. - მოკლე, პლებეური ხელი გადაუსვა შავ ყდას. - მამილო გომი საგზაოდ საფუძვლიანად მოემზადა, არც ერთი ქალაქი არ დავიწყებია, რომელიც გზაში შეიძლებოდა გამოსდგომოდა. ის კონფუზი, ანუ სირცხვილი, რომელზეც ახლა ვიამბობთ, გაზეთებამდე არ მისულა, აქ საპოლიციო კრებსი მაქვს. მოკლედ, ასე. ერთ გერმანულ სათავადოში (სახელდობრ, სად - არ ვიტყვი, დელიკატური მატერია გახლავსთ) შენამატს ელოდნენ თავადურ ოჯახში. მშობიარობა რთული იყო. ამშობიარებდა ლეიბ-მედიკოსი, საპატიო დოქტორი ფოგელი. ბოლოს საძინებელი ტირილმა აავსო. როცა ტანჯვისგან რამდენიმე წუთით გულწასულმა დიდმა ჰერცოგის მეუღლემ თვალები გაახილა და სუსტი ხმით ითხოვა: 'აჰ, ჰერრ პროფესორო, დამანახვეთ ჩემი პატარა', დოქტორმა ფოგელმა ისეთი შეწუხებული სახით, მეტი რომ აღარ იქნებოდა, მის უდიდებულესობას მშვენიერი ღია-ყავისფერი მტირალა მიაწოდა. დიდი ჰერცოგის ცოლმა ხელახლა დაკარგა გრძნობა, ხოლო დოქტორმა შეშინებული სახით გამოიხედა კარში და ნიშნის მიცემით მოიხმო დიდი ჰერცოგი, რაც სასახლის ეტიკეტის გაუგონარი დარღვევა გახლდათ.

ეტყობოდა, კომისარს განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა ამ ამბის მოყოლა თავდაჭერილი უინძორელებისთვის. საეჭვო იყო, პოლიციურ კრებსში ყოფილიყო ასეთი რამეები - ეტყობოდა, გომი იგონებდა. ჰერცოგინიას წვრილი ხმით ჰბამავდა, სიტყვებს კი საგანგებოდ ამალღებულს არჩევდა - ჩანდა, რა სასაცილოდ ეჩვენებოდა. კლარისა საკუთარ თავს არისტოკრატად არ სთვლიდა, მაგრამ მაინც იჭმუხნებოდა, რაკი სიბრიყვედ სთვლიდა უმაღლესი არსებების მასხარად აგდებას. სერ რეჯინალდმაც ჩამოუშვა ცხვირი, ბარონეტმა და უძველესი გვარის შთამომავალმა. მაგრამ კომისარს, როგორც ჩანდა, მხოლოდ შთაგონება ემატებოდა.

- მისი უმაღლესობა ლეიბ-მედიკოსზე არ გაბრაზებულა, ვინაიდან ამალღებელი მომენტი იყო. მამური და ქმრული გრძნობებით შეპყრობილი შევარდა საძინებელში... ამას რომ სცენა მოჰყვა, თავად წარმოიდგინეთ: ჯარისკაცურად გინების ამტეხი გვირგვინოსანიც, დიდი ჰერცოგის მეუღლეც, ხან მოქვითინე, ხანაც თავის გამართლებაში, ზოგჯერ გულწასული და, მთელი ხმით მოღრიალე ზანგულიკა და კეთილგონივრული შიშით გაქვავებული ლეიბ-მედიკოსი. ბოლოსდაბოლოს, მისმა უდიდებულესობამ თავი ხელში აიყვანა და გადაწყვიტა, თავის მეუღლესთან დაკავშირებული გამოძიება გადაედო. ჯერ კვალის მოსპობა იყო საჭირო. მაგრამ როგორ? ახალდაბადებული საპირფარეოში ჩაეგდოთ ჩუმიად? - გომმა ხელისგული ხუმრობით აიფარა პირზე. - ბოდიშს ვითხოვ, ქალბატონო, წამომცდა. ჩვილის მოცილება შეუძლებელი იყო - მის

გაჩენას მთელი სათავადო ელოდა. თანაც, გაწიე-გამოწიე, ცოდვას. მრჩეველნი შეკრიბო და ვაითუ მერე იყბედონ აქა-იქ. რა უნდა ექნა? და ამ დროს დოქტორმა ფოგელმა დიდის პატივისცემით ჩაახველა და ხსნის გზა ასწავლა. ეუბნება, რომ ერთი ნაცნობი ჰყავს, ფროილან ფონ სანფონი, სასწაულებს რომ სჩადის და შეუძლია არათუ ახალდაბადებული თეთრი ბავშვი, არამედ ციდან ჩამოგიყვანოს ფრინველი სახელად ფენიქსი. ფროილანს ენაზე კბილის დაჭერაც შეუძლია, თავისი სამსახურის სანაცვლოდ ფულს, რასაკვირველია, არ აიღებს, მაგრამ ძალზედ უყვარს ძველი ძვირფასეულობა... მოკლედ, რამდენიმე საათის შემდეგ ატლასის აკვანში უკვე იწვა მშვენიერი პატარა, ძუძუმწოვარა გოჭზე უფრო თეთრი და თანაც ქერა ბუსუსებით, ხოლო ის ბედკრული ზანგულიკა სასახლიდან გაიყვანეს გაურკვეველი მიმართულებით. სხვათაშორის, მის უმარლესობას უთხრეს, რომ უდანაშაულო ბავშვს სამხრეთის განედებისკენ წაიყვანენ და იქ გადასცემენ აღსაზრდელად კარგ ადამიანებს. ჰოდა, ყველაფერი მშვენივრად აეწყო. მადლიერმა ჰერცოგმა დოქტორს ფროილან სანფონისათვის გადასცა აღმასის საკვირველი სათამბაქოე ვენზელით, ასევე სამადლობელი სიგელი და ზეპირი სურვილი, სამუდამოდ დაეტოვებინა სათავადოს საზღვრები. რაც დაუყოვნებლივ აღასრულა დელიკატურმა ქალიშვილმა, - გოშმა თავი ველარ შეიკავა და ჩაიცინა. - დილისთვის, მთელი ღამე გაგრძელებული სკანდალის შემდეგ დიდმა ჰერცოგმა გადაწყვიტა, კარგად შეეთვალაიერებინა თავისი მემკვიდრე. ზიზლით ამოიყვანა ბიჭუნა აკვნიდან, შეაბრუნ-შემოაბრუნა - და უცებ ვარდისფერ, პარდონ, უკანალზე დაინახა გულის ფორმის საგვარეულო ლაქა. სწორედ ამისთანა ჰქონდა ფილეს ალაგზაზნა კაცები, თუმცა გამოირკვა, რომ დოქტორი ფოგელი წუხელდამით გაურკვეველი მიმართულებით წასულა და, ცოლი და რვა შვილი მიუტოვებია. - გოშმა ხრინწიანად გაიცინა, ხველება დაიწყო, ხელები გადააქნია. ვიღაცამ შიშით ჩაიფხუკუნა, მაღამ კლებერმა ხელისგული აიფარა ბაგეებზე. - ორგანიზებულმა გამოძიებამ ძალე დაადგინა, რომ ლეიმ-მედიკოსი ბოლო დროს უცნაურად იქცეოდა და თითქოს მეზობლად მდებარე ბადენის სათამაშო სახლებში ჩნდებოდა, თანაც ვიღაც მხიარული ახალგაზრდა არსების თანხლებით, რომელიც აღწერილობით ძალიან ჩამოჰგავდა ფროილან ფონ სანფონს. - მაძებარი დასერიოზულდა. - დოქტორი ორი დღის შემდეგ იპოვეს სტარსბურგის სასტუმროში. მკვდარი. ლაუდანუმის სასიკვდილო დოზა მიიღო, დატოვა წერილი: 'ყველაფერში მე ვარ დამანაშავე'. ნამდვილი თვითმკვლელობა. ცხადი იყო, თუ ვინ იყო ნამდვილი დამნაშავე, მაგრამ აბა, მიდი და დაამტკიცე. და სათამბაქოეს რაც შეეხება - უმაღლესის საჩუქარია, თან სიგელიც აქვს. სასამართლო პროცესი მის უდიდებულეობას უფრო ძვირი დაუჯდებოდა. რასაკვირველია, ყველაზე გამოუცნობია - როგორ მოახერხეს ახალდაბადებული პრინცის შეცვლა ზანგულიკით და როგორ აღმოჩნდა ცისფერთვალემა ქერათმიანების მხარეში შოკოლადისფერი ბავშვი. თუმცა, ზოგიერთი ცნობით, აღწერილი ამბის წინ მარი სანფონთან მსახურობდა ერთი სენეგალელი ქალი...

- მითხარით, კ-კომისარო, - თქვა ფანდორინმა, როცა ხარხარი ჩაცხრა (ოთხნი იცინოდნენ: ლეიტენანტი რენიე, ექიმი ტრუფო, პროფესორი სვიტჩაილდი და მაღამ კლებერი). - და მარი სანფონი ასეთი კარგია? შეუძლია ნებისმიერ მამაკაცს დაახვიოს თავბრუ?

- არაფერი აქვს განსაკუთრებული. ყველგან წერია, რომ ძალიან ჩვეულებრივი გარეგნობა აქვს, განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს. - გოშმა თავხედურად შემოატარა კლარისას ბრჭყალებიანი მზერა. - თმის ფერს, ქცევის მანერას, აქცენტს, ჩაცმის სტილს იოლად იცვლის. მაგრამ, ეტყობა, ამ ქალში არის რაღაც განსაკუთრებული. მე სამსახურის გამო რა აღარ მინახავს. ყველაზედ საბედისწერო გულთამძყრობელები იშვიათად არიან ლამაზები. ფოტოგრაფიაზედ ჰნახავ, - თვალს არ შეაჩერებ, შეხვდები და - ისეთ ნაპერწკლებს შემოგაყრის, კანს დაგიწვამს. მამაკაცი სწორ ცხვირზე და გრძელ წამწამებზე კი არ წამოეგება, არამედ განსაკუთრებულ სურნელს გრძნობს.

- ფიე, კომისარო, - შეაწყვეტინა კლარისამ უხამსს. - თქვენ ქალბატონების საზოგადოებაში ხართ.

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE

- მე ეჭვიტანილებს საზოგადოებაში ვარ, - ძალიან მშვიდად მოიგერია გოშმა. - და თქვენ – ერთ-ერთი მათგანი ხართ. რატომ არ უნდა მეგონოს, რომ აქ, მაგიდასთან მაღამ სანფონი არ ზის? კლარისას პირისახეს მიაშტერდა. ეს უფრო და უფრო მეტად აგონებდა საშინელ სიზმარს. სუნთქვა გაუძნელდა.

- თუკი ს-სწორად გამოვითვალე, ეს არსება ახლა ოცდაცხრის უნდა იყოს, არა? ფანდორინის წყნარი, ლამის უხალისო ხმა კლარისას დაეხმარა, რომ თავი ხელში აეყვანა. გამოფხიზლდა და – რაღა დროს ქალური მედიდურობა იყო – წამოიყვინა:

- ასე რატომ მიყურებთ, ბატონო მამებარო! დაუმსახურებელ კომპლიმენტს მიკეთებთ, ნამდვილად. მაგ თქვენ ავანტურისტზე უფროსი ვარ... თითქმის ათი წლით! დანარჩენი ქალბატონებიც არა მგონია მადმუაზელ სანფონის როლში გამოგადგნენ. ქალბატონი კლებერი მეტისმეტად ახალგაზრდაა, ხოლო ქალბატონი ტრუფო, როგორც უკვე იცით, ფრანგულად არ ლაპარაკობს!

- იმისთანა მარჯვე ქალისთვის, როგორც მარი სანფონია, ათი წლის მიმატება-გამოკლება დიდი არაფერია, - ნელ-ნელა უპასუხა გოშმა, ისევ დაჟინებით უყურებდა კლარისას. - მითუმეტეს თუ თანხა დიდია, ჩავარდნას კი გილიოტინის სუნი უდის. და თქვენ მართლა არ ყოიფილხართ პარიზში, მადმუაზელ სტამპ? სადმე ღიუ და გრენელის რაიონში?

კლარისა მკვდარივით გაფითრდა.

- აქ კი, იძულებული ვარ ჩავერიო როგორც სახომალდო კომპანიის 'ჯასპერ-არტო პარტნერშიპის' წამომადგენელი, - ბრაზით შეაწყვეტინა პოლიციელს რენიემ. - ქალბატონებო და ბატონებო, გარწმუნებთ, რომ ჩვენს რეისზე საერთაშორისო რეპუტაციის ვიგინდარებს ხელი არ მიუწვდებოდათ. კომპანია გარანტიას იძლევა, რომ 'ლევიათანზე' არც შუღერები არიან, არც კოკეტები და არც მითუმეტეს პოლიციისთვის ცნობილი ავანტურისტები. თავადაც ხვდებით – პირველი ცურვაა, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა. სკანდალები არ გვინდა. მე და კაპიტანმა კლიფმა პირადად შევამოწმეთ და კიდევ გადავამოწმეთ მგზავრთა სიები, საჭიროების შემთხვევაში ცნობებსაც ვაგროვებდით. მათ შორის, ფრანგული პოლიციიდანაც, ბატონო კომისარო. მეც და კაპიტანიც მზად ვართ თავდებად დავუდგეთ თითოეულ აქ მყოფს. მუსიე გოშ, ჩვენ ხელს არ გიშლით თქვენი პროფესილი ვალის აღსრულებაში, თუმცა ტყუილად კარგავთ დროს. და ფრანგი გადასახადების გადამხდელების ფულს.

- აბა-აბა, - დაიღრინა გოშმა. - ამასაც ვნახავთ.

რის შემდეგაც მისის ტრუფომ, ყველასთვის სასიამოვნოდ, ამინდზე დაიწყო ლაპარაკი.

რეჯინალდ მილფორდ-სტოუკსი

10 აპრილი, 1878 წ.

22 საათი და 31 წუთი.

არაბეთის ზღვაში.

ჩრდილ. განედის 17°06'28". აღმოსავლ. გრძედის 59°48'14".

ჩემო ძვირფასო და მეტად საყვარელო ემილი!

ეს ჯოჯოხეთის კიდობანი ბოროტების ძალების გავლენაშია მოქცეული. მთელი ჩემი გაწამებული სულით ვგრძნობ ამას. თუმცა ცნობილი არ არის, შეიძლება თუ არა სული ჰქონდეს ისეთ დამნაშავეს, როგორც მე ვარ. დავეწერე და ჩავფიქრდი. მახსოვს, რომ დანაშაული ჩავიდინე, საშინელი დანაშაული, რომელსაც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს შენდობა, მაგრამ, უცნაურია, სრულიად გადამავიწყდა, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობს იგი. და ძალიან არ მინდა, გავიხსენო.

ღამით, სიზმარში, ის დანაშაული კარგად მახსოვს – აბა, მაშ, რითი ავხსნათ ის საშინელი მდგომარეობა,

რომელშიც ვიღვიძებ ყოველ დღე? მალე მაინც დამთავრდებოდეს ეს ჩვენი განშორება. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ კიდევ ცოტაც და ჭკუიდან გადავალ. ეს კი უადგილო იქნებოდა. დღეები მტანჯველად წელა მიიზღაზნებია. ვზივარ კაიუტაში, ვუყურებ ქრონომეტრის წუთების ისარს. არ მოძრაობს. გამბანზე, ფანჯარასთან ვიღაცამ თქვა: `დღეს ათი აპრილია~, მე კი ვერ მივხვდი, რაქ არის ეს აპრილი და თანაც რატომ მაინცდამაინც ათი. ზანდუკს ვაღებ და ვხედავ, ჩემი გუშინდელი წერილი თქვენდამი დათარიღებულია ცხრა აპრილით, გუშინწინდელი - რვით. ესე იგი, ყველაფერი სწორია. აპრილი. ათი.

აი, უკვე რამდენიმე დღეა თვალს არ ვაშორებ პროფესორ სვიტჩაილდს (თუკი მართლა პროფესორია). ეს კაცი ჩვენთან, `უინძორში~ ძალიან პოპულარულია. გამოცხადებული ფუყე მჭევრმეტყველია და თავს იწონებს თავისი ცოდნით ისტორიაში და აღმოსავლეთმცოდნეობაში. დღე არ გავა, რომ ახალი ზღაპრები არ მოჰყვეს საგანძურზე, ერთი მეორეზე დაუჯერებელი. თავად კი უსიამოვნო გოჭის თვალები აქვს. დაურბის აქეთ-იქით. და დროდადრო შიგ უგუნურების ნაპერწკლები უბრწყინავს. ერთი მოგასმენინათ, როგორი ტკბილი ხმით ჰყვება ეს ადამიანი ძვირფას ქვებზე. ნამდვილად შერეკილია მთელ ამ ბრილიანტებისგან და ზურმუხტებისგან.

დღეს საუზმისას ექიმი ტრუფო მოულოდნელად წამოდგა, ხმამაღლა შემოჰკრა ხელისგულები ერთმანეთს და საზეიმო ხმით გამოაცხადა, რომ დღეს მისის ტრუფოს დაბადების დღე არის. ყველამ ერთი ვაი-ვიში ატეხა, მილოცვები დაუწყეს იუბილარს, ხოლო ექიმმა სახალხოდ გადასცა თავის არცთუ შესაშურ მეუღლეს საჩუქარი – განსაკუთრებულად უგემოვნო ტოპაზის საყურეები. რა ვულგარულობაა – სპექტაკლი მოაწყო საკუთარი ცოლისთვის საჩუქრის გადაცემისას! თუმცა მისის ტრუფო, ეტყობა, ასე არ ფიქრობდა.

უჩვეულოდ გამოცოცხლდა და ძალიან ბედნიერად გამოიყურებოდა, თანაც მისმა ზეთჩამომდინარე ფიზიონომიამ ახლადგაწმენდილი სტაფილოს ფერი მიიღო. ლეიტენანტმა უთხრა: `ჯ, მადამ, ადრე რომ გვცოდნოდა ეს სასიხარულო ამბავი, მაშინ აუცილებლად მოგიმზადებდით რაიმე სიურპრიზს. თქვენი მოკრძალება დაადანაშაულებთ~. უტვინო იუბილარი უფრო წამოჭარხლდა სახეზე და მფრთხალად წაილულლულა: `თქვენ მართლა გინდოდათ, რომ გესიამოვნებინეთ?~ პასუხად საერთო და ზანტი დუდღუნი მიიღო. `მაშინ, - თქვა ქალმა, - მოდით ჩემი საყვარელი ლოტო ვითამაშოთ. ჩვენს ოჯახში კვირაობით და საეკლესიო დღესასწაულებზე აუცილებლად მოჰქონდათ ბარათები და ტომსიკები კოჭებით. ო, ეს ისეთი წარმტაცია! ბატონებო, თქვენ მე განუზომელ სიამოვნებას მომანიჭებთ!~ პირველად მოვისმინე მისის ტრუფოს ამისთანა უცნაური ლაპარაკი. თავიდან მომეჩვენა, რომ დაგვცინოდა – მაგრამ არა, ექიმის ცოლი მართლა სერიოზულად ლაპარაკობდა. სადღა წაუვიდოდით. მხოლოდ რენიე გაძვრა, რომელსაც თითქოსდა დრო მოუვიდა ვახტზე გასასვლელად. ხეპრე კომისარმაგ სცადა რაღაც გადაუდებელი საქმეების მომიზეზება, მაგრამ ყველამ ისეთი განმგმირავი მზერა შეაგება, რომ ქმენა დაიწყო და დარჩა.

მისტერ ტრუფო ამ იდიოტური თამაშისათვის საჭირო ბარათების და კოჭებიანი ტომსიკის მოსატანად გაიქცა და დაიწყო ტანჯვა. ყველამ სევდიანად ჩამოირიგა ბარათები, თან სევდით გასცქერდა მზით განათებულ გემბანს. სალონის ფანჯრები ღია იყო, ოთახში ნიაფწანწალა უქიქინებდა, ჩვენ კიდევ ვიჯექით და საბავშვო სცენას ვასახიერებდით. `ინტერესისთვის~, როგორც თქვა ფრთებშესხმულმა იუბილარმა, დავაწესეთ საპრიზო ფონდი, სადაც თითოეულმა თითო გინეა დადო. გამარჯვების ყველა შანსი წამყვანს ჰქონდა, რაკი მხოლოდ ის ადევნებდა ფხიზლად თვალყურს, რომელი ნომრები გამოდის. ეტყობა, კომისარიც არ იყო წინააღმდეგი ბანკის მოხსნისა, მაგრამ ცუდად ესმოდა ბავშვური ნართაულები, რომლებსაც მისის ტრუფო აფრქვვდა – იმის გულისთვის ამჯერად ინგლისურად ლაპარაკობდნენ. ტოპაზის საბრალო საყურეებმა, რომლის ფასი ათი ფუნტია, სვიტჩაილდი გამოაფხიზლეს, რომ თავის საყვარელ თემას დაბრუნებოდა. `დიდებული საჩუქარია, სერ! - მიმართა მან ექიმს. ის სიამოვნებისგან გაიბადრა, მაგრამ მომდევნო ფრაზით სვიტჩაილდმა ყველაფერი გააფუჭა. – რა თქმა უნდა, ტოპაზი

ამჟამად იაფია, მაგრამ ვინ იცის, რაღაც ასი წლის შემდეგ ისევ არ აუვარდება ფასი? ძვირფასი ქვები ხომ ასე გამოუცნობია! ისინი ბუნების ნამდვილი საკვირველებია, ის მოსაწყენი მეტალები კი არა, ოქრო და ვერცხლი. მეტალი უფორმო და უსულოა, შეიძლება გადაადნო, ხოლო თითოეული ქვა – განუმეორებელი ინდივიდუალობაა. და ყველას არ ეძლევიან ხელში. მხოლოდ იმას, ვისაც არაფერი აჩერებს და მზად არის მათი მაგიური ციალისთვის ქვეყნიერების ბოლომდე იაროს, და თუ საჭირო გახდა, იმის იქითაც. ამ მაღალფარდოვან სენტენციებს ერთვოდა მისის ტრუფოს წრიპინი, კოჭების ნომრებს რომ იძახდა. და ვუშვავთ, სვიტჩაილდი ამბობდა: `მე თქვენ გადმოგცემთ ლეგენდას დიად და ძლიერ დამპყრობელ მაჰმუდ გაზნევიზე, რომელიც მოიხიბლა ალმასების ბრჭყვიალით და ამ ჯადოსნური კრისტალების ძებნაში ცეცხლით და მახვილით შემოარა ნახევარი ინდოეთი. მისის ტრუფო: `თერთმეტი, ბატონებო. დაფდაფის ჯოხები!~ და ასე გრძელდებოდა.

ისე კი, ლეგენდას მაჰმუდ გაზნევიზე მოგიყვებით. ეს დაგეხმარებათ მთხრობელის ხასიათის უკეთ გაგებაში. ვეცდები გადმოგცეთ მისი თავისებური ლაპარაკიც.

`ქრისტეს შობიდან ზაფხულში (წელი არ მახსოვს), ხოლო მუსულმანური ჟამთააღრიცხვით (ეს კი, მით უმეტეს, არ მახსოვს) დიადმა გაზნევიმ შეიტყო, რომ გუჯარათის ნახევარკუნძულზე (მგონი ასეა) არის სუმნატის წმინდა სალოცავი, სადაც ინახება უშველებელი კერპი, რომელზედაც ლოცულობს ასეულ ათასობით ადამიანი. კერპი იმ კუთხის საზღვრებს იცავს უცხოთა შემოჭრისგან, და ყველა, ვინც კი გუჯარათის საზღვარს მახვილით გადაკვეთს, სასიკვდილოდ არის განწირული. სალოცავი ეკუთვნის ბრამინთა მძლავრ თემს, ყველაზე მდიდარს მთელ ინდოეთში. და კიდევ სუმნატის ბრამინები აურაცხელ ძვირფას ქვებს ფლობენ. უშიშარ სარდალს არ შეეშინდა კერპის ძალისა, შეკრიბა არმია და სალაშქროდ გაემართა. ორმოცდაათი ათასი თავი მოსჭრა, ორმოცდაათი ციხე-სიმაგრე დაანგრია და შეიჭრა სუმნატის ტაძარში. მაჰმუდის მეომრებმა წაბილწეს სიწმინდე, სულ თავდაყირა დააყენეს ყველაფერი, მაგრამ საცავი ვერ იპოვნეს. მაშინ გაზნევი თავად მივიდა კერპთან და მთელი ძალით დაჰკრა სპილენძის თავში თავისი საბრძოლო კომბალი. ბრამინები გამარჯვებულის ფეხებთან დაემხნენ და მილიონი ვერცხლის მონეტა შესთავაზეს, ოღონდაც იმათ ღმერთს არ შეხებოდა. მაჰმუდს გაეცინა და კიდევ დაჰკრა. კერპი გაიბზარა. ბრამინები ადრინდელზე უარესად აქვითინდნენ და მრისხანე მეფეს ათი მილიონი ოქროს მონეტა შესთავაზეს. მაგრამ კვლავ აღიმართა მძიმე კომბალი, მესამედ დაეშვა და კერპი შუაზე გადაიყო, ხოლო ტაძრის იატაკზე მზრწყინავ ნაკადად გადმოთქრიალდა ალმასები და სხვა ძვირფასი ქვები, კერპის შიგნით რომ შენახათ. და ამ საგანძურის ღირებულება რიცხვებს აღარ ექვემდებარებოდა~.

აქ მისტერ ფანდორინმა ოდნავ დარცხვენილი სახით გამოაცხადა, რომ აქვს კომპლექტი. მისის ტრუფოს გარდა ყველას საშინლად გაუხარდა და გაქცევასაც აპირებდნენ, მაგრამ იუბილარი ისე ითხოვდა კიდევ ერთი პარტიის თამაშს, რომ დარჩენამ მოუწიათ. ისევ დაიწყო: `Thirty nine – pig and swine! Twenty seven – I'm in heaven!~ - ლოტოს თამაშზე სათქმელი ინგლისურად გართიმული სიტყვები და ამისთანა სისულელები. თუმცა ამჯერად ფანდორინმა აიღო სიტყვა და მისთვის დამახასიათებელი რბილი, ოდნავ დამცინავი მანერით მოჰყვა ზღაპარი, არაბული, რომელიც რომელიღაც ძველ წიგნში ამოეკითხა. მოგიყვანთ ამ იგავს, როგორც დამამახსოვრდა.

ერთხელ სამი მაღრიბელი ვაჭარი დიდი უდაბნოს სიღრმეში გაემგზავრნენ, რაღა მათთვის ცნობილი შეიქმნა, შორს, ძალიან შორს, ქვიშებში, სადაც ქარავნები ვერ აღწევენ, არის დიდი საგანძური, რომლის მსგავსიც მოკვდავთ არ უნახავთ. ვაჭრები ორმოცი დღე მიდიოდნენ, პაპანაქება სიცხისგან და დაღლილობისგან იტანჯებოდნენ, და სათითაო აქლემი დარჩა ყველას – დანარჩენები დავარდნენ. და უცებ წინ დიდ მთას ხედავენ. მიუახლოვდნენ და თვალეებს არ უჯერებენ: მთელი მთა ვერცხლის ჩამოსხმულებისგან შედგება. ვაჭრებმა ადიდეს ალლაჰი და ერთი მათგანი, ტომრები ვერცხლით რომ გაავსო, უკან დაბრუნდა, დანარჩენებმა თქვეს: `ჩვენ გზას განვაგრძობთ. და კიდევ ორმოცი დღე მიდიოდნენ, თაკარა მზისგან სახეები გაუშავდათ, თვალეები კი გაუწითლდათ. და წინ კიდევ ერთი მთა

გამოჩნდა – ოქროსი. მეორე ვაჭარმა წამოიძახა: `ტყუილად კი არ გადავიტანეთ ამდენი ტანჯვა! დიდება უზენაესს!~ გაავსო ტომრები ოქროს სხმულებით და თავის მეგობარს ჰკითხა: `შენ რაღას უდგახარ?~ მეურემ მიუგო: `განა რამდენი ოქრო უნდა წაიღო ერთი აქლემით?~ მეორე ეუბნება: `იმდენი, რომ ყველაზე მდიდარი კაცი გავხდე ჩვენს ქალაქში~. `ეგ ჩემთვის ცოტაა? – უთხრა მესამემ. – მე კიდევ ვივლი და ალმასების მთას ვიპოვნი. და შინ რომ დავბრუნდები, ყველაზე მდიდარი ადამიანი ვიქნები მთელ დედამიწაზე~. და გზა განაგრძო, კიდევ ორმოცი დღე იარა. მისი აქლემი დავარდა და აღარ წამომდგარა, მაგრამ ვაჭარი არ შეჩერებულა, რადგან ჯიუტი იყო და სჯეროდა ალმასის მთის არსებობა. და ყველამ იცის, რომ ალმასების ერთი ბლუჯა უფრო ძვირია, ვიდრე ვერცხლის მთა ანდა ოქროს გორა. და დაინახა მესამე ვაჭარმა საოცარი სურათი: დგას შუა უდაბნოში წელში სამად მოკეცილი კაცი და მხრენზე ალმასის ტახტი ადგას, ტახტზე კიდევ შავსახიანი და თვალეზანთებული ურჩხული ზის. `ო, როგორ მიხარია შენი მოსვლა, პატივცემულო მოგზაურო! – ხრინწიანი ხმით სთქვა წელში მოხრილმა. – გავიცნოთ ერთიმეორე, ეს სიხარბის დემონი მარდუფია და მაის მერე შენ მოგიწევს ამისი ტარება მხრებით – სანამ შენს შესაცვლელად ისეთივე ხარბი არ მოვა, როგორებიც მე და შენ ვართ~.

ამ ადგილას თხრობა შეწყდა, რადგან მისტერ ფანდორინს ისევ შეეცა კომპლექტი და არც მეორე ბანკი შეხვედრია იუბილარს. ხუთი წამის შემდეგ მაგიდასთან მხოლოდ მისის ტრუფო დარჩა – გეგონება ქარმა წაიღო დანარჩენებიო.

მე სულ ვფიქრობ მისტერ ფანდორინის ზღაპარზე. არც ისეთი მარტივია, როგორც გვეჩვენება.

სწორედ სვიტჩაილდი არის ის მესამე ვაჭარი. ბოლომდე რომ მოვუსმინე, მაშინვე გამინათდა გონება! დიახ-დიახ, ის არის საშიში უგუნური. მის სულში დაუცხრომელი ვნება ბოზოქრობს – მე არ მესწავლება, ეს რა არის. ტყუილად კი არ დავყვები მოუცილებელი ჩრდილივით ადენიდან.

მე უკვე მოგწერეთ, ძვირფასო ემილი, რომ პორტუმი გაჩერების დრო დიდის სარგებლით გამოვიყენე. თქვენ ალბათ იფიქრეთ, რომ მხედველობასი მქონდა დაკარგულის მაგივრად ახალი სანავიგაციო მოწყობილობის ყიდვა. დიახ, ახლა მე ახალი სექსტანტი მაქვს და ისევ რეგულარულად ვამოწმებ ხომალდის კურსს, მაგრამ აქ სულ სხვა რამეზეა ლაპარაკი. უბრალოდ, მეშინოდა ჩემი საიდუმლო ქაღალდისთვის მიმნედო. ვინმემ რომ დროზე ადრე წაიკითხოს – მე ხომ ყოველმხრივ მტებით ვარ გარშემორტყმული. მაგრამ ცქაფი გონება მაქვს და დიდებული ხრიკი მოვიგონე: დღეიდან რძით ვწერ. ვინმე უცხო ნახავს – თითქოს სუფთა ფურცელია, ისეთი არაფერი, ხოლო ჩემი მიხვედრილი ემილი ფურცელს აბაჟურზე გაათბობს და სტრიქონები კიდევ გამოჩნდება! როგორი მოფიქრებულია, ჰა?

ჰო, ადენზე. ჯერ კიდევ ორთქლმავალზე, როცა ჯერ კიდევ არ გვიშვებდნენ ნაპირზე, ყურადღება მივაქციე, რომ სვიტჩაილდი ნერვიულობს და უბრალოდ კი არ ნერვიულობს, მღელვარებისგან ადგილზე წაუცკევებს ხოლმე. ეს მას შემდეგ დაეწყო, რაც ფანდორინმა გამოაცხადა, რომ თითქოს ლორდ ლიტლბის მოპარული ხელსახოცი – ზურმუხტის რაჯის მითიური საგანძურის გასაღებია. პროფესორი საშინლად აღეგზნო, რაღაცას ბურტყუნებდა თავისთვის და სულ იმეორებდა: `მალე მაინც გადავიდეთ ნაპირზე~. და საკითხავიც აი ეს არის – რატომ?

სწორედ ამის გამორკვევა გადავწყვიტე.

ლამის თვალეზანზე ჩამოვიფხატე შავი, ფართო შლაპა და სვიტჩაილდს ჩავუდექი კვალში. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა – ერთხელაც არ მოუხედავს უკან და მეც შეფერხების გარეშე მივდევი იმ მოედნამდე, საბაჟოს შენობასთან რომ არის. მაგრამ აქ უსაიამოვნო სიურპრიზი მელოდა: სვიტჩაილდმა იქაურ მეტლეს დაუყვირა და გაურკვეველი მიმართულებით გაქუსლა. ეტლი საკმაოდ ნელა მიდიოდა, მაგრამ უკან ხომ ვერ გავედევნებოდი – ეს არ შემეფერებოდა. რასაკვირველია, მოედანზე სხვა ეტლებიც იყო, უცებ დავჯდებოდი რომელიმეზე, მაგრამ თქვენთვის, ემილი ცნობილია თუ როგორ ვერ ვიტან ღია ეკიპაჟებს. ეშმაკის მოგონილია. და ამისთანებით მხოლოდ უგუნური თავზეხელაღებული დადიან. და მათ შორის ისეთებიც არიან – და ეს არაერთხელ მინახავს საკუთარი თვალით – თავისთან ერთად ცოლებს და

თავის უმანკო შვილებსაც რომ ისვამენ. ხიფათი ხომ ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული! განსაკუთრებით საშიში არის ორთვლიანები, ძალიან პოპულარულია რომ არის ჩვენთან, ბრიტანეთში. ვიღაც მიყვებოდა (ახლა ვერ მომიგონია, კერძოდ, ვინ), თუ როგორ წინდაუხედავად წაიყვანა სასაქონლოდ სწორედ ამნაირ ორთვალა ეტლით ერთმა წარჩინებული ოჯახის და კარგი საზოგადოებრივი მდგომარეობის ახალგაზრდა კაცმა თავისი ყმაწვილი ცოლი, რომელიც ამასთან ერთად ფეხმძიმობის მერვე თვეში იმყოფებოდა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ცუდად დამთავრდა: ის უსაქმური ცხენებს ვერ გაუმკლავდა, იმათ თავი გასტაცეს და ეტლი გადაბრუნდა. იმ ახალგაზრდა კაცს არა უშავდა რა, ხოლო იმის ცოლს კი ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. ვერც ის გადაარჩინეს და ვერც ბავშვი. და ეს ყველაფერი რისი ბრალია? თავქარიანობის. წასულიყვნენ ფეხით. ანდა, ვთქვათ, ნავით ესეირნათ. ბოლოსდაბოლოს, მატარებლით შეიძლება გაისეირნო, განცალკევებული კუპეთი. აი ვენეციასი გონდოლებით სეირნობენ. მე და თქვენ ხომ ვიყავით იქ, გახსოვთ? გახსოვთ, წყალი როგორ ელამუნებოდა სასტუმროს საფეხურებს? მიჭირს ყურადღების მოკრეფა, სულ სხვა რამეებზე გადავდივარ. ჰოდა, სვიტჩაილდი ეტლით წავიდა, მე კი საბაჟოს მახლობლად დავრჩი. როგორ გგონიათ, დავიბენი? ოდნავადაც არა. მაშინვე ერთი ემბაკობა მომივიდა თავში, ასე რომ უცებ დავმშვიდდი. სვიტჩაილდის ლოდინში, მეზღვაურების ფარდულში შევედი და ახალი სექსტანტი ვიყიდე, უწინდებურზე უმჯობესი და კიდევ ბრწყინვალე საზღვაოსნო ცნობარი ასტრონომიული ფორმულებით. ახლა შემიძლია ორთქლმავლის მდებარეობა გაცილებით სწრაფად და ზუსტად გამოვითვავო, ასე რომ, უიარაოდ ვერავი ამიყვანს. ვუცდიდი ექვსი საათი და ოცდათვრამეტი წუთი. ვიჯექი მერხზე, ზღვას ვუყურებდი. ვფიქრობდი თქვენზე.

სვიტჩაილდი რომ მობრუნდა, ისეთი სახე მივიღე, თითქოს ვთვლემდი. გვერდით ჩამიქროლა იმაში დარწმუნებულმა, რომ არ დამინახავს.

ძლივს მოასწრო საბაჟოს კუთხეში შეხვევა, რომ მე იმის მეეტლესთან მივირბინე. ამ ბენგალელმა ექვს პენსად მიაშბო, თუ სად იყო ჩვენი ძვირფასი პროფესორი. გამოტყდით, ძვირფასო ემილი, რომ მე ამ ამბავში დიდი ჯომარდობა გამოვავლინე.

მიღებულმა ცნობებმა უფრო განამტკიცეს ჩემი თავდაპირველი ეჭვები. სვიტჩაილდმა მეეტლეს უბრაძანა, რომ პირდაპირ ტელეგრაფში მიეყვანა. იქ ნახევარი საათი დაჰყო, მერე კი ფოსტამტის შენობას ოთხჯერ მიაკითხა. მეეტლემ მითხრა: `საჰიბი ზალიან-ზალიან განიცდიდეს. აქეტ-იქიტ ირბინო. ხან მიტხრას – ბაზარი გინდა, ხან კიდევ სკეტი დამიკაკუნოს ზურგზე – უკან ცამიკვანე, ფოსტა – მიდი, მიდი~. მოკლედ, გასაგებია, რომ სვიტჩაილდმა ჯერ დეპეშა გაუგზავნა ვიღაცას, მერე კი მოუთმენლად ელოდა პასუხს. იმ ბენგალელის სიტყვებით, ბოლოს რომ გამოვიდა ფოსტამტიდან `თავის თავს არა ჰგავდეს, ქალაქს იქნევდეს~ და უბრაძანა, უკან წაეყვანა, ხომალდზე. ალბათ, პასუხი მიიღო.

არ ვიცი, შიგ რა წერია, მაგრამ ცხადია, რომ პროფესორს ანდა ვინც არის სინამდვილეში, თანამზრახველები ჰყავს.

ეს გუშინწინ მოხდა. მას შემდეგ თითქოს სვიტჩაილდი გამოგვიცვალეს. როგორც უკვე მოგწერეთ, ერთთავად ძვირფას ქვებზე ლაპარაკობს, ზოგჯერ უცებ სადმე გემბანზე ჩამოჯდება და სულ ხატავს – ხან მანჟეტზე და ხანაც ცხვირსახოცზე.

სადამოს გრანდ-სალონში გაიმართა ბალი. მე უკვე აღვიწერეთ ეს დიდებული დარბაზი, თითქოს ვერსალიდან ანდა ბუკინგემის სასახლიდან გადმოუტანიათო. ყველგან მოოქროვილია, კედლები მთლად სარკეებშია, ბროლის ელექტრული ჭალები მელოდიურად წკრიალებენ მსუბუქ რწევაზე. ორკესტრი (სხვათაშორის, არცთუ ურიგო) ძირითადად ვენურ ვალსებს უკრავდა, ხოლო მე, როგორც თქვენთვის ცნობილია, ამ ცეკვას ურიგოდ მივიჩნევ, ამიტომ კუთხეში ვიდექი და სვიტჩაილდს ვუყურებდი. მეტისმეტად მხიარულობდა, ხან ერთ ქალბატონს იწვევდა, ხანაც მეორეს. თხასავით დახტოდა, უღმერთოდა დაადგამდა ხოლმე ფეხს, მაგრამ სულაც არ აწუხებდა ეს. მე ცოტა გავერთე, ვიხსენებდი,

როგორ ვცეკვავდით ხოლმე ჩვენც და როგორ გრაციოზულად მედო თქვენი თეთრ ხელთათმნიანი ხელი მხარზე. უცებ დავინახე, როგორ წაიბოროძიკა სვიტჩაილდმა, კინალამ დააშავა თავისი პარტნიორი და ბოდიშიც არ მოუხდია, სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით გავარდა საჭმელებიანი მაგიდებისკენ. მისი ქალბატონი დაბნეული გაქვავდა შუა დარბაზში და მეც უცნაურად მომეჩვენა შიმშილის ასეთი შეუკავებელი შემოტევა.

თუმცა სვიტჩაილდს არ კი შეუხედავს ღვეზელებით, ყველით და ხილით სავსე თეფშებისთვის. ვერცხლის სახელსაწმენდედან ქალადის ხელსაწმენდი გამოაძრო, მოიხარა და შიგ რაღაცის ჯღაბნა დაიწყო ცოფიანივით. სულ გათავხედდა, საჭიროდ აღარ თვლის კონსპირაციას მიმართოს ხალხშიც კი! ცნობისმოყვარეობით ანთებულმა მისკენ გაუფრთხილებელი ნაბიჯით გავწიე. მაგრამ სვიტჩაილდი გასწორდა და ხელსაწმენდი ოთხად მოკეცა – ეტყობა, ჯიბეში უნდა დაემალა. სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი იმის მხარხემოდან ჩამეჭვრიტა. წარმოსახვაში ფეხი დავაბაკუნე და უკან მინდოდა შებრუნება, მაგრამ დავინახე, რომ მაგიდას უახლოვდება მისტერ ფანდორინი შამპანურის ორი ბოკალით. ერთი სვიტჩაილდს გაუწოდა, მეორე თავისთვის დაიტოვა. გავიგე, როგორ თქვა რუსმა: `აჰ, ძვირფასო პროფესორო, თქვენ საშინლად დაბნეული ხართ! ახლახანს ჯიბეში ჩაიდეთ ჭუჭყიანი ხელსახოცი!~ სვიტჩაილდი შეიშმუშნა, ხელსაწმენდი ამოიღო, დაჭმუჭნა და მაგიდის ქვეშ შეაგდო. მე დაუყოვნებლივ შევუერთდი მათ და საგანგებოდ ავლაპარაკდი მოდაზე, ვიცოდი, რომ ინდოლოგი მალე მოიწყენს და წავა. ასეც გამოვიდა. ბოდიშის მოხდით ძლივს მოასწრო წასვლა, რომ მისტერ ფანდორინმა შეთქმულის ტონით მიჩურჩულა: `აბა, სერ რეჯინალდ, ღომელი ცვენგანი შეძვრება მაგიდის ქვეშ?~ და მე მივხვდი, რომ პროფესორის ქცევა მარტო ჩემთვის კი არა, დიპლომატისთვისაც საეჭვოა. ჩვენს შორის ერთი წამით სრული ურთიერთგაგება დამყარდა. `დიახ, ეს მთლად მოხერხებული არ არის~, - დავეთანხმე მე. მისტერ ფანდორინმა მიიხედ-მოიხედა და შემომთავაზა: `მოდით, ალაღად მოვიქცეთ: ერთი კარგ მიზეზს მოიგონებს, მეორე კი სემპრება~. მე თავი დავეუქნიე და ჩავფიქრდი, მაგრამ თავში არაფერი შესაფერისი არ მომიდოდა. `ვერიკა~, - მიჩურჩულა ჩემმა თამანზრახველმა და სწრაფი, თითქმის შეუმჩნეველი მოძრაობით ამაწყვიტა ჩემი ერთ-ერთი ოქროს საკინძე, რომელიც ჯერ იატაკზე დაეცა და დიპლომატმა ფეხსაცმლის წვერით მაგიდის ქვეშ შეაგდო. `სერ რეჯინალდ, - ისე ხმამაღლა თქვა, რომ ახლომდგომებს გაეგონათ. – მე მგონი, საკინძე დაგივარდათ~.

პირობა პირობაა. მუხლებზე დავეშვი და მაგიდის ქვეშ შევიხედე. ხელსაწმენდი სულ ახლოს ედგო, სამაგიეროდ ის წყეული საკინძე კედლამდე შევარდა, მაგიდა კიდევ საკმაოდ ფართო იყო. წარმოიდგინეთ ეს სურათი: თქვენი მეუღლე ოთხზე დაფორთხავს მაგიდის ქვეშ, ამასთან დარბაზისკენ არცთუ მთლად იმპოზანტურად არის. უკანა გზაზე კონფუზი შეემთხვა. მაგიდის ქვემოდან რომ გამოვყავი თავი, ჩემს პირდაპირ ორი ახალგაზრდა ქალბატონი დავინახე, აღფრთოვანებით რომ ლაპარაკობდნენ მისტერ ფანდორინთან. ჩემი ჟრალთმიანი თავი თავიანთი მუხლების დონეზე რომ დაინახეს, ქალბატონებმა შიშით წამოიკივლეს, ხოლო ჩემმა თვალთმაქცმა თანამზრახველმა კი აუღელვებლად წარმოთქვა: `ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ბარონეტი მილფორდ-სტოუკსი~. ქალბატონებმა ცივად ჩამათვალაიერეს ზემოდან ქვემოთ და სიტყვის უთქმელად გაგვშორდნენ. მე განრისხებული წამოვხტი, და შევყვირე: `სერ, თქვენ საგანგებოდ შეაჩერეთ ისინი, რომ მასხარად აგეგდეთ!~ ფანდორინმა უდანაშაულო გამომეტყველებით მიპასუხა: `მე მართლა საგანგებოდ შევაჩერე ისინი, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ თქვენთვის დამეცინა, სერ. უბრალოდ, ვიფიქრე, რომ თავიანთი ფართო ქვედაბოლოებით დარბაზისგან დაფარავენ თქვენს სარისკო რეიდს. ჰოდა, სად არის თქვენი ნადავლი?~

მე გავშალე ხელსახოცი მოუთმენლობისგან აკანკალებული ხელებით და ჩვენ რაღაც უცნაური დავინახეთ. აღვადგენ, როგორც მახსოვს:

(აქ უნდა იყოს ნახატი წიგნიდან)

ეს რა გეომეტრიული ფიგურებია? რას აღნიშნავს ზიგზაგი? რა აზრით არის "palace" ('სასახლე' – ინგლ.)? და რატომ ზის სამი ძახილის ნიშანი?

ფარულად გადავხედე ფანდორინს. ბიბილო მოიქაჩა ორი თითით და რაღაც გაუგებარი ჩაილაპარაკა. მე მგონი, რუსულად.

'რას ფიქრობტ ამაზე?' - ვკითხე მე. 'დავიცადოთ, - გამოუცნობი გამომეტყველებით მიპასუხა დიპლომატმა. - მიზანთან ახლოსაა'.

ვინ არის ახლოს? სვიტჩაილდი? რა მიზანთან? და კარგია, რომ მიზანთან ახლოსაა?

მაგრამ მე ვერ მოვასწარი ამ შეკითხვების დასმა, რადგაქნ დარბაზი ახმაურდა, ტაში დაუკრა და მუსიე დრიემ, კაპიტნის თანაშემწემ მგზავრების მხრივ, ყურისწამლებად დაიყვირა რუპორში: 'მას ასე, მუსიე და მედამს, ჩვენი ლატარიის გრან-პრი ერგო კაიუტა ნომერ თვრამეტს!' ამ წუთამდე ისე ვიყავი გატაცებული გამოუცნობი ხელსახოცის მანიპულაციებით, რომ სულაც არ ვაქცევდი ყურადღებას სალონში მომხდარს. იქ კიდევ, როგორც აღმოჩნდა, ცეკვას მორჩნენ და საქველმოქმედო ლატარიის ტირაჟი მოაწყეს

სახელწოდებით 'გადავარჩინოთდაცემული ქალები' (მე მოგწერეთ სამი აპრილის წერილში ამ სულელურ წამოწყებაზე). ჩემი დამოკიდებულება ქველმოქმედებისადმი და დაცემული ქალებისადმი თქვენთვის კარგად არის ცნობილი, ასე რომ, კომენტარებისგან თავს შევიკავებ.

ამ საზეიმო გამოცხადებამ ჩემს თანამოსაუბრეზე საკვირველად იმოქმედა – ტანჯვით შეიქმუხნა და თავი მხრებში ჩამალა. თავიდან მე გამიკვირდა, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ მისტერ ფანდორინი სწორედ მეთვრამეტე კაიუტაშია. წარმოგიდგენიათ, ბედნიერი კენჭი მას ერგო!

'ეს აუტანელი ხდება, - ჩაიბურტყუნა ფორტუნის რჩეულმა, თან ჩვეულებრივზე უფრო მეტად ბორძიკობდა. - მოდი, მე წავალ, გავისეირნებ' - და კარისკენ დააპირა წასვლა, მაგრამ მისის კლებერმა ხმამაღლა შესძახა: 'ეს მუსიე ფანდორინია, ჩვენი სალონიდან! აგერ ისიც, ბატონებო! თეთრ სმოკინგში, წითელი მიხაკით! მუსიე ფანდორინ, საით გაგიწევიათ? თქვენ გრან-პრი მოიგეთ!'

ყველა ფანდორინს მიუტრიალდა და ადრინდელზე უფრო მეტად დასცხეს ტაში, ხოლო ოთხ სტიუარდს უკვე შემოჰქონდა დარბაზში მთავარი პრიზი: იშვიათი სიმახინჯის დიდი საათი, რომელიც ბიგ-ბენს გამოხატავდა. ეს იყო მუხის ნამდვილად საშიში მოწყობილობა სიმაღლით კაც-ნახევარი და წონით კიდევ ოთხ სტოუნზედ ნაკლები არაფრით იქნებოდა. მე მომეჩვენა, რომ მისტერ ფანდორინის თვალებში რაღაცამ გაიელვა, რაც საშინელებას ჰგავდა. არ შემიძლია, ამის გამო განვსაჯო.

შემდგომი საუბარი შეუძლებელი შეიქმნა, და ჩემთან დავბრუნდი, რათა ეს წერილი დამეწერა.

ვგრძნობ, რომ სახიფათო მოვლენები მწიფდება, ჩემს გარშემო არსებული ყულფი ვიწროვდება. მაგფრამ იმედი არ გქონდეთ, ბატონო მდეგრებო, უიარალოდ ვერ ამიყვანთ!

თუმცა უკვე გვიანია, დროა კოორდინატების გასაზომად წავიდე.

ნახვამდის ძვირფასო, ნაზო, უსაზღვროდ პატივცემულო ემილი,

თქვენი ძალიან მოყვარული

რეჯინალდ მილფორდ-სტოუკსი

რენატა კლებერი

რენატა ბარბოსს (ასე მონათლა პაპა გოში იმის შემდეგ, რაც გამოირკვა, თუ რა ჩიტია) კაიუტის მახლობლად უდარაჯებდა. მოთენთილი სახითა და აბურბუნული ჭადარით თუ ვიმსჯელებთ, კომისარი ახლახანს უნდა ამდგარიყო – ეტყობა, საწოლს მიმართა სადილისთანავე და საღამომდე მოისვენა.

რენატა ადვილად სწვდა მამებარს სახელოზე, ფეხისწვერებზე აიწია და წამოისროლა:

- ახლა ისეთ რამეს გეტყვით!

ბარბოსმა გამომცდელად შეხედა, მკერდზე ხელები დაიკრიფა და არცთუ კარგი ხმით თქვა:

- დიდი ინტერესით მოგისმენთ. კარგა ხანია თქვენთან სალაპარაკოდ ვემზადები, მაძამ.

ასეთი ტონისგან რენატა ცოტა დაფრთხა, მაგრამ გადაწყვიტა – სისულელეა, ბარბოსს ცუდი მონელება აქვს ანდა, შესაძლოა, სიზმარში მკვდარი ვირთხა ნახა.

- თქვენს მაგივრად მთელი სამუშაო შევასრულე, - დაიტრახა რენატამ და აქეთ-იქით მიმოიხედა – ვინმე ხომ არ უსმენდა. – თქვენს კაიუტაში წავიდეთ, იქ ვერავინ მოგვისმენს.

ბომბორას საცხოვრებელი იდეალურ წესრიგში იყო: მაგიდის შუაგულში ნაცნობი შავი საქაღალდე მოჩანდა, იქვე ქაღალდის თანაბარი დასტა და წესიერად გათლილი ფანქრები. რენატამ ინტერესით მიიხედ-მოიხედა, შეამჩნია ფეხსაცმელების ჯაგრისი ვაქსის ქილით, ბაწარზე გასაშრობად გაკიდული საყელოები. ქვაწვიაა ულვაშა, თავად აპრიალებს შტიბლეტებს და რეცხავს კიდეც – ეს იმიტომ, რომ მსახურს ფეხისქირა არ მისცეს.

- აბა, გადმოალაგეთ, რა გაქვთ, - წყენით წაიბუტბუტა რენატას ცნობისმოყვარეობით უკმაყოფილო ბარბოსმა.

- მე ვიცი, ვინც არის დამნაშავე, - ამაყად გამოაცხადა.

ამ ცნობამ მამებარზე მოსალოდნელი ეფექტი არ იქონია. მან ამოიოხრა და შეეკითხა:

- და ვინ არის?

- თქვენ რა, ბრმა ხართ? ეს ხომ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს! – რენატამ ტაში შემოჰკრა და სავარძელში ჩაჯდა. – ყველა გაზეთი წერდა, რომ მკვლელობა გიჟმა ჩაიდინა. არც ერთი ნორმალური ადამიანი ამას ვერ იზამდა, მართალია? ახლა კი გაივარაუდეთ, ვინ გიზით მაგიდასთან. რა თქმა უნდა, თაიგული გამოგვივიდათ – კოკორი კოკორზე, მარტო სულ აბეზრები და მახინჯები, მაგრამ გიჟი მარტო ერთია.

- ბარონეტზე მიმანიშნებთ? – შეეკითხა ბომბორა.

- მიხვდით, როგორც იქნა, - რენატამ სინანულით დააქნია თავი. – ეს ხომ ცხადზე უცხადესია. ის მაინც თუ გინახავთ, როგორი თვალებით მიყურებს? ეს ხომ მხეცია, მონსტრი! დერეფნებში მარტო სიარულისა მემინია. გუშინ კიბეზე შევხვდი, ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებს. გულმა რეჩხი მიყო! – მუცელზე იტაცა ხელი. – დიდი ხანია ვაკვირდები. ღამ-ღამობით ფანჯარაში შუქი უნთია, ფარდები კი მჭიდროდ აქვს ჩამოფარებული. გუშინ რაღაც პა-ატარა ტკაცანი იყო. გემბანიდან შევიხედე, ხელებს იქნევს, საზარელ სიფათებს კერავს, ვიღაცას თითით ემუქრება. კომმარია! მერე, უკვე ღამით, შაკიკმა შემომიტია, გამოვედი, სუფთა ჰაერს ჩავისუნთქავ მეთქი. უცებ ვხედავ – წინაერდოზე დგას ჩვენი გიჟი, თავი ცისკენ აუშვერია და მთვარეს უყურებს რაღაც რკინიდან. და აი აქ კი გამინათდა გონება! – რენატა წინ გადმოიხარა და ჩურჩულზე გადავიდა. – მთვარე ხომ სავსეა, მრგვალი. ჰოდა, ამანაც გარეკა. მანიაკია, სავსე მთვარეზე სისხლის წყურვილი უჩნდება. წამიკითხავს ამისთანებზე! რა გიჟივით მიყურებთ? კალენდარში ჩაგიხედავთ? – რენატამ საზეიმო იერით რედიკულიდან კალენდარი ამოიღო. – აი, დატკბით, მე შევამოწმე.

თხუთმეტ მარტს, როცა გრენელის ქუჩაზე მოკლეს ათი ადამიანი, სწორედ სავსე მთვარეობა იყო. ხედავთ, თეთრით შავზე წერია: პლეინე ლუნე (სავსე მთვარეობა – ფრ.).

ბარბოსმა ნახა, მაგრამ საკმაოდ უხალისოდ.

- რა ჭოტივით აჭყეტავთ თვალებს! – გაბრაზდა რენატა. – ის მაინც თუ გესმით, რომ დღესაც სავსე მთვარეობაა! სანამ აქ იჯდებით, ჭკუა ისევ გადაუცდება გონებას, და კიდევ ვინმეს გააფრთხობინებს სულს. მე ისიც კი ვიცი, ვის – მე. მე ვერ მიტანს, - ხმა ისტერიულად აუთრთოლდა. – სულ ჩემი მოკვლა უნდათ ამ სამაგელ ორთქლმავალზე! ხან აფრიკელი მეცემა, ხან ეს აზიელი აენტება და კოპებს ამითამაშებს, ახლა კიდევ ეს ბოდვია ბარონეტი!

ბომბორა მძიმედ უყურებდა, თვალების დაუხამხამებლად და რენატამ ცხვირწინ გაუქნია ხელი:

- აუ! მსიე გოშ! ხომ არ დაიძინეთ?

პაპამ მაგრად დაიჭირა მაჯით, მოქაჩა და მკაცრად შეეკითხა:

- იცი რა, მტრედო? მორჩი მაგ სისულელეების რაკა-რუკი. ქერა ბარონეტს მე მივხედავ, თქვენ კი სჯობს შპრიცზე მომიყვეთ. ოღონდ არ მიედ-მოედოთ, სიმართლე მითხარით! – ისე დაუყვირა, რომ რენატამ მხრებში ჩამალა თავი.

ვახშამზე თეფშს მიჩერებული იჯდა. გველთეფზას სოტეს არც კი მიჰკარებია – არადა, ყოველთვის გემრიელად შეექცეოდა ხოლმე. თვალები დაწითლებოდა, შესიებოდა. ტუჩები დროდადრო უკანკალებდა. სამაგიეროდ ბომბორა გულკეთილი იყო და კეთილშობილიც კი. რენატას ხშირ-ხშირად უყურებდა და სიმკაცრის გარეშე, მაგრამ მზერა მტრული კი არა, უფრო მამობრივი ჰქონდა. არც ისეთი მრისხანეა კომისარი გოში, როგორადაც უნდა რომ ჩანდეს.

- სოლიდური რამეა, - თქვა მან, თან შურით უყურებდა ბიგ-ბენის საათს, სალონის კუთხეში რომ იდგა. – მაინც არიან ბედნიერი ადამიანები.

ფანდორინმა ეს მონუმენტალური პრიზი კაიუტაში არ წაიღო და ისიც დროებით დასახლდა 'უინძორში'. მუხის კომპი გამაყრუებლად ტაკიტუკობდა, რეკავდა, ტუბტუხებდა და ყოველ საათში იმისთანა განგაშს დასცემდა ხოლმე, რომ მიუჩვევლებს გულეები ხელით ეჭირათ. აი, ვახშამად კი, როცა ბიგ-ბენმა ათი წუთის დაგვიანებით ყველას აცნობა, რომ უკვე ცხრა საათია, ექიმის ცოლმა კინალამ ჩაის კოვზი გადაყლაპა. და ამ ყველაფერთან ერთად, კომპის ძირი ეტყობა ვიწრო იყო და ძლიერი ტალღისას სახიფათოდ ირწეოდა. აი, ახლაც, როცა ქარი განახლდა და ღია ფანჯრებზე დაშვებული ფარდები კაპიტულანტუად ათრთოლდნენ, ბიგ-ბენმა არცთუ სახუმაროდ დაიჭრიალა.

ეტყობა, კომისრის ალალი აღფრთოვანება რუსმა ირონიად მიიღო და თავის მართლება დაიწყო:

- მე იმათ ვ-ვეუბნეოდი, რომ საათიც დაცემული ქალებისთვის მიეცათ, მაგრამ ბატონი დრეი მტკიცედ დადგა. ქრისტესაც გეფიცებით, ალლაჰსაც და ბუდასაც, რომ რ-როგორც კი ჩავალთ კალკუტაში, ეს საფრთხივანეა ორთქლმავალზე დამრჩება. ნურავინ მომახვევს თავზე ამ კომმარს.

მერე შიშით მიაჩერდა ლეიტენანტ რენიეს – ის კი დიპლომატიურად გაჩუმდა. შემდეგ თანაგრძნობის მაძიებელმა დიპლომატმა რენატას შეხედა, მაგრამ იმან მკაცრად გამოხედა წარბებქვემოდან. ჯერ ერთი, საზაგელ განწყობაზე გახლდათ, და მეორეც – ფანდორინს, გარკვეული ხანი იყო, პატივს აღარ სცემდა. ამას თავისი ახსნა ჰქონდა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რენატამ შეამჩნია, როგორ თვალდათვალ გამოცოცხლდება ხოლმე დუნე მისის ტრუფო სულიკო დიპლომატის სიახლოვეს. და თავად მსიე ფანდორინიც, როგორც ჩანდა, მიეკუთვნებოდა ცქვიტ ლამაზთა იმ გავრცელებულ ჯიშს, რომელსაც შეუძლია ყოველ თავქარიან ქალში წინასწარ დაინახოს რაიმე პიკანტური, და არც ერთ მათგანს არ უფრთხილდება. მამაკაცთა ამ ნაირსახეობას რენატა პატივისცემით ექცეოდა და გულგრილიც კი არ იყო მათ მიმართ. საშინლად აინტერესებდა გაეგო,

რა სამშვენისი აღმოაჩინა ამ ცისფერთვალეზა შავგვრემანმა ექიმის დაღვრემილ ცოლში. ხოლო ის, რომ ამ ქალის მიმართ ფანდორინი გარკვეული ინტერესი ჰქონდა, ეჭვს არ იწვევდა.

რამდენიმე დღის წინათ რენატა საინტერესო სცენის მოწმე შეიქმნა, რომელიც ორი მსახიობის მონაწილეობით გათამაშდა: მისის ტრუფო (ამპლუა: ქალი-ვამპი) და მსიე ფანდორინი (ამპლუა: ცბიერი მაცდური). აუდიტორია შედგებოდა ერთი ახალგაზრდა ქალბატონისგან (ერთობ მიმზიდველი, თუმცა საინტერესო მდგომარეობაში), შეზღონგის მაღალ საზურგეს რომ ეფარებოდა და ხელის სარკეში რომ იყურებოდა. მოქმედების ალაგი – კიჩო, ანუ ბოლოთკერძო გემისა. დრო – რომანტიული დაბინდება. პიესა ინგლისურ ენაზედ სრულდებოდა.

ექიმის ცოლი დიპლომატს ბრიტანული შეცდენის მთელი ზანტი მეცნიერებით უახლოვდებოდა (ორთავე მოქმედი პირი მოაჯირთან იდგა, ნახევრად შებრუნებული უკვე მოხსენიებული შეზღონგიდან).

თავდაპირველად, მისის ტრუფო, როგორც მოსალოდნელია, ამინდზე:

- აქეთ, სამხრეთის განედებზე, მზე ძალიან კამკამებს! – მღელვარედ გაიბწყინა.

- ო, დიახ, - მიუგო ფანდორინმა. – წყელიწადის ამ დროს რუსეთში ჯერ კიდევ არ დამდნარა თოვლი, აქ კი ტემპერატურა ოცდათხუთმეტ გრადუსს აღწევს ცელსიუსით და თანაც ჩრდილში, მზისგულზე კიდევ უფრო ეცხელება.

ახლა უკვე, პრელუდიის წარმატებით დასრულების შემდეგ, მისის თხის სიფათმა თავის უფლებად ჩათვალა, რომ უფრო ინტიმურ საგანზე გადასულიყო:

- არ ვიცი, როგორ მოვიქცე! – თემისთვის ბუნებრივი მორცხვობით ამცნო. – როგორი თეთრი კანი მაქვს! ეს აუტანელი მზე სახის კანს გამიფუჭებს, და კიდევ, კარგს რას უნდა ველოდე, ჭორფლით დამაჯილდოვებს.

- ჭორფლის საკითხი მ-მეც ასევე მაწუხებს, - დიდის სერიოზულობით მიუგო რუსმა. – მაგრამ მე წინდახედულება გამოვიჩინე, ლოსიონი წამოვიღე თურქული გვირილის ექსტრაქტით. ხედავთ - თანაბრად ვარ გარუჯული, ჭორფლი კიდევ სულ არა მაქვს.

და ამ მცდუნებელმა-გველმა ალალ-პატიოსან ქალს თავისი ნელსაცხებლიანი სახე ახლოს მიუტანა.

მისის ტრუფოს მოღალატურად აუთრთოლდა ხმა:

- მართლა, არც ერთი ჭორფლი... მხოლოდ წარბები და წამწამებია ცოტაზე დამწვარი. თქვენ საუცხოო ეპითელიუმი გაქვთ, მისტერ ფანდორინ, ნამდვილად საუცხოო!

ახლა ის ამას აკოცებს, იწინასწარმეტყველა რენატამ, რაკი დაინახა, რომ დიპლომატის ეპითელიუმი ექიმის გაწითლებული მეულიდან სულ რაღაც ხუთიოდე სანტიმეტრიტ არის დაცილებული.

იწინასწარმეტყველა – და შეცდა.

ფანდორინმა უკან დაიხია და თქვა:

- ეპითელიუმი? თქვენ ფიზიოლოგიში ერკვევით?

- ცოტა, - თავმდაბლად უპასუხა მისის ტრუფომ, - გათხოვებამდე ხომ რაღაც ურთიერთობა მქონდა მედიცინასთან.

- მართლა? რა საინტერესოა! ა-აუცილებლად უნდა მომიყვეთ ამის შესახებ!

სამწუხაროდ, სპექტაკლის ბოლომდე ნახვა არ გამოუვიდა – რენატას ნაცნობი ქალბატონი მიუჯდა და მოუწია უარი ეთქვა დაკვირვებებზე.

თუმცა იმ ჩერჩეტი ექიმის ცოლის უგერგილო შეტევამ რენატას პატივმოყვარეობა გააღვივა. თავადაც ხომ არ გამოსცადოს თავისი მომხიბლაობა ამ გემრიელ რუსის დათვის ბელზე? რასაკვირველია, მხოლოდ out of sporting interest (სპორტული ინტერესისთვის – ინგლ.), თანაც ის ჩვევები რომ არ დაკარგოს, რომელთა გარეშეც საკუთარი თავის პატივისმცემელი ვერც ერთი ქალბატონი ვერ გაძლებს. სასიყვარულო აღმაფრენანი რენატას არაფერში გამოადგებოდა. სიმართლე ითქვას, ამჟამინდელ მდგომარეობაში მამაკაცები გულისრევის გარდა მასში არაფერს იწვევდნენ.

დრო რომ შეემცირებინა (რენატა ამას ეძახდა 'სწრაფად რომ ეცურა'), დაამუშავა უბრალო გეგმა. მსუბუქი

საზღვაო მანევრები კოდური სახელწოდებით `ნადირობა დათვზე`. სხვათაშორის, მამაკაცები ზალიან წააგვანან ძაღლების ოჯახს. როგორც ცნობილია, პრიმიტიული არსებები არიან და იყოფიან სამ ქვეჯგუფად: ტურები, ნაგაზები და ხვად მგლებად, მელებად, დათვებად. ყოველ ტიპს თავისებური მიდგომა სჭირდება.

ტურა იკვებება ლეშით – ესე იგი, ურჩევნია იოლი ნადავლი. ამ ტიპის მამაკაცები ადვილამისაღწევზე წამოეგებიან ხოლმე.

ამიტომ ერთი ერთზე პირველივე საუბრისას რენატამ ჩივილი დაიწყო მსიე კლებერზე, მოსაწყენ ბანკირზე, რომელიც მართო ციფრებზე ფიქრობს, ხოლო ახალგაზრდა ცოლი იმ აბეზარს არც აინტერესებს. ყეყეცი კი მოიაზრებდა: ქალი უსაქმურობასა და სევდაშია ჩაფლული. შეიძლება ითქვას, ცარიელ ანკეს გადაყლაპავს, ყოველგვარი ჭიყელის გარეშე.

არ გამოვიდა. ძლივს დაუძვრა გულშემადონებელ შეკითხვებს იმ ბანკზე, რომელშიც ქმარი მსახურობდა. გასაგებია. ჰოდა, რენატამ ნაგაზისთვის დააგო ხაფანგი. მამაკაცთა ეს კატეგორია სუსტ და დაუცველ ქალებს აღმერთებს. ამისთანა კაცებს გინდა პური არ აჭამო, ოღონდ შენი გადარჩენის და დაცვის საშუალება მიეცი. კარგი გმირობა ძალიან სასარგებლო და მარჯვეა ურთიერთობისთვის. აქ მთავარია ავადმყოფობის მხრივ არ გადაამლაშო – სნეული ქალებისა მამაკაცებს ეშინიათ.

რამდენჯერმე რენატამ გრძნობა დაკარგა სიცხისაგან – გრაციოზულად მიეყრდნო რაინდისა და დამცველის რკინის მხარს. ერთხელ კაიუტის კარი ვერ გახსნა – გასაღები გაიჭედა. სადამოს, ბალზე ფანდორინს სთხოვა, რომ დაეცვა შეზარხოშებული (და სრულიად უწყინარი) დრაგუნების მაიორისგან. რუსი მხარს აშველებდა, კარს უღებდა, დრაგუნს სათანადო პასუხს აძლევდა, მაგრამ სიყვარულის ნიშნებს, ეს ქეციანი, არანაირად არ ამჟღავნებდა.

ნუთუ ხვადიმგელი-მელა-დათვია, განცვიფრდა რენატა. მაგის გარეგნობაზე ვერ იტყვი.

მამაკაცების ეს მესამე ტიპი ყველაზე მარტივია და სრულიად მოკლებულია წარმოსახვას. ამათზე მოქმედებს რაღაც მხოლოდ ტლანქად-გრძნობადი, მაგალითად უნებურად ნაჩვენები კოჭები. მეორეს მხრივ, დიდი ადამიანებიდან მრავალი და ლამის კულტურის ვარსკვლავები სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნებიან, ასე რომ, ცდად კი ღირდა.

ამათთან სულ ელემენტარულად უნდა მოქცევა. რენატამ სთხოვა, რომ ზუსტად შუადღისას შეევილო – და თავის აკვარელებს (რომლებიც ბუნებაში არ არსებობდა) აჩვენებდა ფანდორინს. თორმეტს რომ ერთი წუთი აკლდა, მონადირე ქალი უკვე სარკის წინ იდგა, მხოლოდ ლიფი და პანტალონი ეცვა.

კაკუნი რომ შემოესმა, დაუყვირა:

- დროზე შემოდით, რამდენს მალოდინებთ!

შემოვიდა ფანდორინი, გაქვავდა კართან. რენატა არ შებრუნებულა, უკანალი გაუთამაშა, ავანტაჟურად გამოაჩინა შიშველი ზურგი. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის ბრძენმა ლამაზმანებმა აღმოაჩინეს, რომ მამაკაცებზე ჭიპამდე ჩაჭრილი კი არ მოქმედებს, არამედ უკნიდან ღია კისერი და ზურგი. როგორც ჩანს, დაუცველი ხერხემლის სანახაობა ადამიანის მამრებში მტაცებლურ ინსტინქტებს აღძრავს.

ეტყობა, დიპლომატზე იმოქმედა – იდგა, უყურებდა, არ ტრიალდებოდა. ეფექტით კმაყოფილმა რენატამ ჟინიანად თქვა:

- რა უდგახართ, ჯეინი. მოდით, კაბის ჩაცმაში დამეხმარეთ. ახლა აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი სტუმარი მოვა.

როგორ მოიქცეოდა ამ მდგომარეობაში ნორმალური მამაკაცი?

მოკლედ, უფრო თავხედი ვინც იქნებოდა, უხმოდ მივიდოდა და კისერზე გადმოსულ ნაზ კულულებზე აკოცებდა.

ისე რა, საშუალო კაცი, არც იქით და არც აქეთ, კაბას მიაწვდიდა და მორცხვად ჩაიხითხითებდა.

და რენატა ჩათვლიდა, რომ ნადირობა წარმატებით დასრულდა. დარცხვენას გაითამაშებდა, თავხედს

კარში მიაბრძანებდა და მის მიმართ ყოველგვარ ინტერესს დაკარგავდა. თუმცა ფანდორინი არასტანდარტულად მოიქცა.

- ჯენი არა, - თქვა სადაგლად მშვიდი ხმით. - მე ერასტ ფანდორინი ვარ. გარეთ დაგელოდებით, სანამ ჩაიცმევდეთ.

მოკლედ, ან რომელიმე ცთუნებაგამძლე ჯიშის წარმომადგენელია, ანდა ფარული გარყვნილი. თუ ეს მეორეა და, ინგლისელები ტყუილად ირჯებიან. თუმცა გარყვნილობის ნიშნებს რენატას გამოცდილი თვალი ვერ ამჩნევდა. ვითომ ის უცნაური სწრაფვა ბომბორასთან ერთად განმარტოებისა? თუმცა ეს ყველაფერი სისულელეა. განაწყენებისთვის უფრო სერიოზული მიზეზები არსებობდა.

სწორედ იმ წამში, როცა რენატამ ბოლოსდაბოლოს გადაწყვიტა ჩანგლით ამოეჩიქნა უკვე გაციებული სოტე, კარი ხმაურით გაიღო და სასადილოში შემოვარდა სათვლიანი პროფესორი. ყოველთვის რაიმე უცნაურობით კი იყო ხოლმე – ხან პიჯაკი აქვს აცდენილად შეკრული, ხან კიდევ თასმებია გახსნილი? – ახლა კიდევ მთლად საფრთხობელას ჰგავდა: წვერი გაბურძგვნია, ჰალსხუტიგვერდზე მოქცევია, თვალეები გადმოკარკლული, იღლიის ქვეშ აჭიმი ჰკიდია. ეტყობა, რაღაც უჩვეულო შეემთხვა. რენატამ მაშინვე დაივიწყა უსიამოვნებები და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა სწავლულ საფრთხობელას.

სვიტჩაილდმა ბალეტისებურად გაიქნია ხელები და დაიყვირა:

- ევრიკა, ბატონებო! ზურმუხტის რაჯას საიდუმლო ამოხსნილია!

- Oh no, - ამოიკვნესა მისის ტრუფომ. - Not again! ('ო, არა! ოღონდ თავიდან არ დაიწყოთ!~ - ინგლ.).

- ახლა უკვე ხომ ყველაფერი თავის ალაგას დგება! – დაბნეულად დაიწყო ახსნა პროფესორმა. - მე ხომ ვიყავი სასახლეში, ადრე როგორ არ მომივიდა აზრად! სულ ვფიქრობდი-ვფიქრობდი, ხან იქიდან შემოვუვლიდი, ხან აქედან – არ გამოდიოდა! ჯერ კიდევ ადენში მივიღე საფრაქნგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროდან ჩემი ნაცნობის დეპუტა – მან დაადასტურა ჩემი ვარაუდი, მე კი მაინც ვერ შევძელი მივხვედრილიყავი, რა შუაშია აქ თვალი და, მთავარი, ეს ვინ უნდა ყოფილიყო. ესე იგი, საერთოდ, გასაგები კი არის ვინც, მაგრამ როგორ? რანაირად? და ახლა უეცრად გონება გამინათდა! – ფანჯარასთან მიიბრუნა. ქარით აფრიალებული ფარდა თეთრ სუდარასავით შემოეხვია – პროფესორმა სასწრაფოდ მოიცილა ხელით. - მე ჰალსტუხს ვინასკვავდი, ჩემს კაიუტაში ვიდექი ფანჯარასთან. ვხედავ – ტალღებია. ქოჩორი ქოჩორზე, ჰორიზონტამდე. და უცებ ისე დამარტყა! და ყველაფერი აეწყო – თავსაფარზეც და შვილზეც! სუფთა საკანცელარიო სამუშაოა. ეკოლ მატირიმის სიები უნდა ამოიქექოს და მოიძებნება!

- არაფერი მესმის, დაიღრინა ბომბორამ. - ბოდვაა. მატირიმ რომელი?..

- ვაიმე, არა, აქ რაღაც ძალიან-ძალიან საინტერესოა! – წამოიძახა რენატამ. - ჭკუას ვკარგავ საიდუმლოებების გახსნაზე. ოღონდ, პროფესორო, პატარავ, ასე არ გამოვა. დაჯექით მაგიდასთან, დალიეთ ღვინო, სული მოითქვით და დალაგებულად მოყვით ყველაფერი – მშვიდად, აზრიანად. და რაც მთავარია, - თავიდან და არა ბოლოდან. თქვენ ხომ ასეთი კარგი მთხრობელი ხართ. მაგრამ ჯერ ვინმემ შალი მომიტანოს, ამ გამჭოლმა ქარმა არ გამაციოს.

- მოდით, ქარიანი მხრიდან დავხურავ ფანჯარას და გამჭოლი ქარი მაშინვე შეწყდება, - შესთავაზა პროფესორმა. - თქვენ მართალი ხართ, მადამ, სჯობს ყველაფერი დალაგებულად მოყვე.

- არა, ნუ დახურავთ, სული შეგვეხუთება. აბა, ბატონებო? – რენატას კაპრიზულად შეერხა ხმა. - ვინ მომიტანს კაიუტიდან ჩემს შალს? აი გასაღები. მსიე ბარონეტო!

შღალი გიჟი, რასაკვირველია, ადგილიდან არ განძრეულა. სამაგიეროდ რენიე წამოხტა.

- პროფესორო, გთხოვთ, უჩემოდ არ დაიწყოთ! – შეეხვეწა. - ახლავე მოვალ!

- And I'll go get knitting ('მე კიდევ საქსოვს წამოვიღებ~ - ინგლ.), - ამოისუნთქა ექიმის ცოლმა.

ქალი პირველი დაბრუნდა და მარჯვედ აამუშავა ჩხირები. ქმარს ხელი აუქნია: შეგიძლია, არ მითარგმნო.

სვიტჩაილდი კი ტრიუმფისტვის ემზადებოდა. ეტყობა, გადაწყვიტა, რენატას რჩევით ესარგებლა და ემზადებოდა, რომ თავისი აღმოჩენები მაქსიმალური ეფექტურობით გადმოეცა.

მაგიდასთან სრული სიჩუმე გამეფდა. ყველა ორატორს უყურებდა, მის თითოეულ მოძარაობას აკვირდებოდა.

სვიტჩაილდმა წითელი ღვინო მოსვა, წინ და უკან გაიარ-გამოიარა სალონში. მერე შედგა და მსმენელებისკენ ნახევრად შემობრუნებულმა დაიწყო:

- მე უკვე გაიმბეთ იმ დაუვიწყარ დღეზე, როცა რაჯა ბაღდასარმა თავის ბრაჰმაპურის სასახლეში მიმიწვია.

ეს იყო მეოთხედი საუკუნის წინათ, მაგრამ მე ყველაფერი კარგად მახსოვს, უმცირესი დეტალებიც კი.

პირველი, რამაც განმაცვიფრა – სასახლის ხედმა. რაკი ვიცოდი, რომ ბაღდასარი – მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია? ველოდი აღმოსავლური ფუფუნება და გაქანება მეხილა. ოდნავადაც არა! სასახლის

ნაგებობა საკმაოდ მოკრძალებული იყო, ყოველგვარი ორნამენტული დახვეწილობების გარეშე. და მე ვიფიქრე, რომ ძვირფასი ქვების ვნებამ? ამ გვარს რომ გადაეცემოდა მემკვიდრეობით, მამიდან შვილზე,

აღმოფხვრა სხვა ამო სწრაფვები. რატომ უნდა დახარჯო ფული მარმარილოს კედლებისთვის? თუკი შეგიძლია კიდევ ერთი საფირონი ანდა ალმასი იყიდო? ბრაჰმაპურის სასახლე, მიწიერი და მწირი,

სინამდვილეში იგივე თიხის სკივრი იყო, რომლის შიგნითაც ინახებოდა ჯადოსნური შესქელება ენითაღუწერელი ელვარებისა. მაინც არანაირ მარმარილოს და ალემასტრს არ შეეძლოთ მეტოქეობა

გაეწიათ ქვების დამაბრმავებელი შუქისთვის. – პროფესორმა კიდევ მოსვა ღვინო, ჩაფიქრდა. გამოჩნდა აქომინებული რენიე, რენატას მოწიწებით მოახურა შალი მხრებზე და იქვე დადგა.

- რა მარმარილო და ალემასტრი? – ჩურჩულით იკითხა მან.

- ბრაჰმაპურის სასახლეზეა, ხელს ნუ გვიშლით, - ნიკაპით უბიძგა რენატამ, მოუთმენლად.

- სასახლის შიდა გამართულობაც ერთობ უბრალო იყო, - თავის ამბავს განაგრძობდა სვიტჩაილდი. –

საუკუნეთა განმავლობასი დარბაზები და ოთახები არაერთხელ იცვლიდნენ გარეგნობას, და ისტორიული კუთხით საინტერესო მომეჩვენა სასახლის მხოლოდ ზედა იარუსი, რომელიც წარმოადგენდა ოთხ

დარბაზს, რომელთაგან თითოეული მიმართულია სამყაროს ერთ-ერთ მხარეზე. ოდესღაც დარბაზები ღია გაღერები იყო, მაგრამ გასულ საუკუნესი ისინი მინაში ჩასვეს. მასინ კედლები ძალიან საინტერესო

ფრესკებით იყო დამშვენებული, რომლებიც გამოსახავდნენ მთებს? ყოველმხრივ რომ აკრავს ველს. პეიზაჟი შექმნილია გამოგნებელი რეალურობით – გეჩვენება, რომ მთები სარკეში ირეკლება.

ფილოსოფიური კუთხით ამგვარი სარკულობა სიმბოლოა ყოველივე არსებულის ორმაგობისა და... სადღაც, ძალიან ახლოს გულისგამხეთქავად დარეკა ხომალდის ზარმა, მოისმა ყვირილი,

სასოწარკვეთილად შეჰკვივლა ქალმა.

- ბატონებო, სახანძრო განგაშია! – შეჰყვირა კარისკენ გაქცეულმა ლეიტენანტმა. – ესღა გვაკლდა!

ყველა ჯგროდ მიჰყვა უკან.

- ჰჰატ'ს ჰჰაპენინგ? – ამოდ იკითხა შეშინებულმა მისის ტრუფომ. - Are we boarded by pirates? (რა მოხდა? მეკობრეები დაგვეცნენ?~ - ინგლ.).

რენატა ერთ წამს იჯდა პირდაღებული, მერე საზარლად შეჰკვივლა. ღონივრად ჩაეჭიდა კომისარის კალთას და გაქცევის საშუალება მოუსპო.

- მუსიე გოშ, ნუ მიმატოვებთ! – შეეხვეწა. – მე ვიცი, ხომალდზე ხანძარი რასაც ნიშნავს! წამიკითხავს! ახლა ყველა კანჯოებს მივარდება, ერთმანეთის გადათელვას დაიწყებენ, მე კიდევ სუსტი, ფეხმძიმე ქალი ვარ, დამფლეთავენ! დამპირდით, რომ იზრუნებთ ჩემზე!

- რაის კანჯოები? – შეშფოთებით ჩაიბურტყუნა მან, - რა სისულელეს გაიძახით! მე მეუბნეოდნენ, რომ

‘ლევიათანზე’ იდეალური ხანძარსაწინააღმდეგო დაცვაა. საკუთარი ბრანდმეისტერიც კი ჰყავთ. ნულარ კანკალებთ, ყველაფერი კარგად იქნება. – განთავისუფლება სცადა, მაგრამ რენატას გაუგონარი ძალით

ეჭირა კალთა. და მის კბილებს კაწკაწი გაუდიოდა.

- გამიშვი, გოგონა, - ალერსიანად უთხრა ხეპრემ. - არსად წავალ. მხოლოდ ფანჯარიდან გავიხედავ გემბანზე.

არა, რენატას თითები არ გაშლილა.

თუმცა კომისარი მართალი აღმოჩნდა. ორი-სამი წუთის შემდეგ დერეფანში ჩქარი ნაბიჯების ხმა და ლაპარაკი გაისმა, და ერთიმეორის მიყოლებით დაბრუნდნენ უინძორელები.

ჯერ კიდევ შიშს არ გაველო მათთვის, ამიტომ ბევრს იცინოდნენ და ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

პირველები შემოვიდნენ კლარის სტამპი, ტრუფოების წყვილი და გაწითლებული რენიე.

- სრული სისულელეა, - გამოაცხადა ლეიტენენტმა. - ვიღაცამ ურნაში ჩაუმქრალი სიგარა ჩააგდო? შიგ კიდევ ძველი გაზეთი იყო. ცეცხლი პორტერზეც გადავიდა, მაგრამ მატროსები ფხიზლად იყვნენ და ალი ერთ წუთში ჩაქრეს... თუმცა ვხედავ, ყოველმხრივ მომზადებულხართ გემის დაღუპვის შემთხვევაში, - ყურადღებით შეხედა კლარისას და გაიცინა.

იმას ხელში პორტმონე და ორანჟადის ბოთლი ეჭირა.

- ორანჟადი იმიტომ? რომ წყურვილით არ მოკვდე ტალღებში? - გამოიცნო რენიემ. - მაგრამ პორტმონე რაღად გინდოდათ? არა მგონია კანჯოში დაგჭირვებოდათ.

რენატამ ისტერიულად ჩაიკისკისა? ხოლო დარცხვენილმა მისის შინაბერამ ბოთლი მაგიდაზე დადგა.

ექიმი და მისი ცოლიც ყოველმხრივ მომზადებულიყვნენ: მისტერ ტრუფოს ინსტრუმენტების საკვოიასის წამოღება მოესწრო, მისი მეუღლე კი გადასაფარებელს იხუტებდა გულში.

- აქ ინდოეთის ოკეანეა, ქალბატონო? არა მგონია, გაყინულიყავით? - სერიოზული გამომეტყველებით თქვა რენიემ, მაგრამ ის თხა ვერაფერს მიხვდა.

გამოჩნდა იაპონელი ამაღელვებელი ფერადი ფუთით ხელში. საინტერესოა, შიგ რა უდევს - საგზაო ინსტრუმენტები ხარაკირისთვის?

შემლილი შემოვიდა გაბურბებული, ხელში ზანდუკი ეჭირა. ამისთანებში, როგორც წესი, საწერ მოწყობილობებს ინახავენ.

- ვისთვის უნდა მიგეწერათ, მუსიე მილფორდ-სტოუკს? ა, მივხვდი! როცა მისის სტამპი სულ დაღვედა ორანჟადს, ცარიელ ბოთლში წერილს ჩავდებდით და ტალღებს გავატანდით, - ივარაუდა ზღვარსგადასულმა (ეტყობა, სასისროების გაქრობის გამო), გამხიარულებიულმა ლეიტენანტმა.

უკვე ყველა შეიკრიბა პროფესორის და დიპლომატის გარდა.

- მუსიე სვიტჩაილდი ალბათ თავის სამეცნიერო ნასრომებს ფუთავს? ხოლო მუსიე რუსი კი თავის სამოვარს დასტრიალებს, საბოლოოდ რომ დალიოს ჩაი, - თქვა რენატამ, ლეიტენანტისგან რომ გადასდებოდა მხიარულება.

თითქოსდა ხსენებაზეო, რუსი შემოვიდა. კართან დადგა. ლამაზი სახე მოღრუბლოდა.

- რაო, მუსიე ფანდორინ, კანჯოში თქვენი პრიზის წამოღება ხომ არ გადაგიწყვეტიათ? - დაინტერესდა რენატა.

ყველას სიცილი აუტყდა, მაგრამ რუსმა ხუმრობას (სხვათაშორის, მეტად მახვილგონივრულს) ყურადღება არ მიაქცია.

- კომისარო გოშ, - ხმადაბლა თქვა მან. - თუ არ შეწყუბდებით, დერეფანში გამოდით, თუ შეიძლება. იჩქარეთ.

უცნაურია, მაგრამ ამ სიტყვების წარმოთქმისას დიპლომატს ერთხელაც არ დაბმია ენა. იქნებ ნერვიული დარტყმის შედეგად გამოჯანმრთელდა? ხდება ამისთანებიც.

რენატა ამაზეც აპირებდა ხუმრობას, მაგრამ ენას კბილი დააჭირა - ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა.

- რატომ უნდა ვიჩქარო? - უკმაყოფილოდ შეკითხა ხეპრე. - კიდევ ერთი მოჩურჩულე. მერე, ყმაწვილო, მერე. ჯერ მინდა, პროფესორს მოვუსმინო. საით წაიღეს ეშმაკებმა?

რუსი მომლოდინედ უყურებდა კომისარს. რომ მიხვდა, რომ პაპა გაჯიუტდა და დერეფანში გამოსვლას არ აპირებს. ფანდორინმა მხრები აიჩეჩა და მოკლედ თქვა:

- პროფესორი არ მოვა.

გოში მოუღუშა:

- ვითომ რატომ?

- როგორ თუ არ მოვა? – მივარდა რენატა. – ყველაზე საინტერესო ადგილზე გაჩერდა! ასე როგორ შეიძლება!

- მისტერ სვიტჩაილდი ახლახანს მოკლეს, - მშრალად გამოაცხადა დიპლომატმა.

- რაო-რაო? – დაიღრიალა ხეპრემ. - მოკლეს?! როგორ მოკლეს?!

- ვფიქრობ, ქირურგიული სკალპელით, - საკვირველი აუღელვებლობით მიუგო რუსმა. – ყელი განსაკუთრებული ოსტატობითაა გადაჭრილი.

კომისარი გოში

- ბოლოსდაბოლოს, როდის გადაგვიშვებენ ნაპირზე? – საწყლად იკითხა მადამ კლუბერმა, - ყველა ბომბეიმი დასეირნობს, ჩვენ კიდევ აქ ვზივართ და ვზივართ...

ფანჯრებიდან ფარდები გადაეწიათ, რაღაც ზენიტში ასულ მზეს გემბანი გაეხურებინა და ჰაერი გაედნო.

ცხელა `უინძორში`, სულისხუთვანა, მაგრამ ყველა მოთმინებით ზის, კვანძის გახსნას ელოდებიან.

გოშმა ჯიბაკიდან საათი ამოიღო – საჩუქრად მიღებული, ნაპოლეონ მესამის პროფილით – და პირქუშად მიუგო:

- მალე, ბატონებო. მალე გაგიშვებთ. მაგრამ ყველას ვერა.

იმან კი იცოდა, რასაც უცდიდა: ინსპექტორი ჯეკსონი და იმისი ხალხი ჩხრეკას აწარმოებენ. მკვლელობის იარაღი ალბათ ოკეანის ფსკერზეა, მაგრამ შეიძლება მტკიცებულებები დარჩენილიყო. რასაკვირველია, ირიბი სამხილები თითქოს საკმაოდაა, მაგრამ პირდაპირებით უფრო სოლიდურია. უკვე დროა, რომ ჯეკსონიც გამოჩნდეს...

`ლევიათანი` განთიადზე მიუახლოვდა ბომბეის. გუშინდელი საღამოდან ყველა `უინძორელი` თავის

კაიუტაში იყო შინაპატიმრობაში. პორტში მისვლისთანავე გოში ხელისუფლების წარმომადგენლებს ელაპარაკა, თავისი დასკვნები გაუმხილა და მხარდაჭერა ითხოვა. სწორედ მაშინ გამოუგზავნეს ჯეკსონი კონსტებლების თანხლებით. მიდი, ჯეკსონ, გაინძერი, ფიქრით დააჩქარა ზანტი ინსპექტორი გოშმა.

უძილო ღამის შემდეგ თავი ურატრატებდა, თან ღვიძლმაც აურია. მაგრამ კომისარი უხეირო განწყობაზედ როდი გახლდათ – გაიშალა ხვეული, გაიშალა, მშობლიური, აგერ ბოლოც მოჩანს.

ათის ნახევარზე, ადგილობრივ პოლიციასთან რომ მოაგვარა საქმე და ტელეგრაში წასვლაც მოასწრო, გოშმა ბრძანა, პატიმრები `უინძორში` შეეკრიბათ – ასე უფრო მარჯვე იქნებოდა ჩხრეკისთვის. ფეხმძიმე რენატაც კი არ დაინდო, თუმცა მკვლელობისას გვერდით ჰყავდა და პროფესორს ვერანაირად ვერ გამოსჭრიდა ყელს. აგერ უკვე მეოთხე საათი სდარაჯობდა ინსპექტორი თავის პატიმრებს. სტრატეგიულ პუნქტში გამაგრდა – ღრმა სავარძლის ოკუპაცია განახორციელა, კლიენტის საპირისპიროდ, კარს მიღმა კი, სალონიდან არ ჩანდა, იდგა ორი შეიარაღებული პოლიციელი.

სალონში საუბარი არ გამოდიოდა, შეპყრობილები იოფლებოდნენ და ნერვიულობდნენ. დროდადრო შემოიხედავდა ხოლმე რენიე, თანაგრძნობით თავს დაუქნევდა რენატას და ისევ საქმეებზე გარბოდა.

ორჯერ შემიარა კაპიტანმაც, მაგრამ არა უთქვამს რა, მხოლოდ კომისარს შეხედა მრისხანე მზერით.

გეგონება მამილო გოშს ჩაედინოს მთელი ეს ამბავი!

პროფესორ სვიტჩაილდის ცარიელი სკამი ამოღებული კბილივით მოჩანდა. თავად ინდოლოგი ამჟამად

ნაპირზე იწვა, ბომბეის საქალაქო მორგის მკვდრულ სიცივეში. ბინდს და ყინულის ლოდებს რომ

წარმოიდგენდა, გოშს ღამის შურდა განსვენებულის. წევს თავისთვის, ყველა შიში უკან მოიტოვა, სველი

საყელო კისერში არ ერჭობა...

კომისარმა ექიმ ტრუფოს მიხედა, ეტყობოდა, არც იმას უღიზიანდა: ექიმის შავგვრემან სახეზე ნაკადულეზად ჩამოსდიოდა ოფლი, ყურში კი იმ ტანჯულს გაუჩერებლად ეჩურჩულებოდა თავისი ინგლისელი ფურია.

- რას მიყურებთ, მუსიე! – იფეთქა ტრუფომ, პოლიციელის გამოხედვა დაიჭირა. – რას მომამტერდით? ეს ბოლოსდაბოლოს, აღმამფოთებელია! რა უფლებით? თხუთმეტი წელიწადი ალაღად და პატიოსნად... – კინაღამ აქვითინდა. – მერე რა, თუ სკალპელით? რამდენს შეეძლო, რომ მოეკლა?!
ესე იგი, მართლა სკალპელით? – შიშით ჰკითხა მადმუაზელ სტამპმა.

მთელი ამ ხნის მანძილზე სალონში მომხდარზე ალაპარაკდნენ.

- დიახ, ასეთ წმინდა განაჩერს მხოლოდ ძალიან კარგი სკალპელი იძლევა, - წყენით მიუგო ტრუფომ. – მე დავათვალიერე გვამი. როგორც ჩანს, სვიტჩაილდი ვიღაცამ დაიჭირა უკნიდან, ხელი პირზე ააფარა, მეორე ხელით კი ყელი გამოლადრა. დერეფანსი კედელი სისხლით არის მოსვრილი – ადამიანის სიმაღლეზე ოდნავ მაღლა. ეს იმიტომ, რომ თავი გადაუწიეს...

- ამისთვის ხომ განსაკუთრებული ძალა არ არის საჭირო? – შეეკითხა რუსი (გამოგვივიდა ეგეც კრიმინალისტი). – უ-უცაბედობა ჰყოფნის?

ექიმმა ნაღვლიანად აიჩეჩა მხრები:

- არ ვიცი, მუსიე. არ მიცდია.

აჰა, აი, ისიც! კარი გაიხსნა და ღიობში გამოჩნდა ინსპექტორის გამხდარი ფიზიონომია. გოში თითით მოიხმო, მაგრამ ის თავადვე ხუნეშით წამოდგა სავარძლიდან.

დერეფანსი კომისარს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა. ახ, რა დიდებულად გამოდიოდა ყველაფერი! რიგანად, ეფექტურად, ლამაზად. თუნდაც ახლავე ყოფილიყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – ასეთ მტკიცებულებებს ვერც ერთი ადვოკატი ვერ ჩააფლავებს. ჰაი, ბებერო გუსტავ? ნებისმიერ ახალგაზრდას ას ქულას მისცემს ფორად. ჯეკსონმაც იყოჩაღა, მოინდომა.

სალონში ოთხნი დაბრუნდნენ: კაპიტანი, რენიე, ჯეკსონი და ბოლოს გოში. ისე კარგად გრძნობდა თავს ამ დროს, რომ სიმღერაც კი წაიღირინა. და ღვიძლმაც გაუშვა.

- ესეც დასასრული, ქალბატონებო და ბატონებო, - მხიარულად გამოაცხადა გოშმა და სალონის ცენტში გამოვიდა. ხელები ზურგს უკან დამალა, მსუბუქად აქანავდა ქუსლებზე. მაინც სასიამოვნოა, მნიშვნელოვან პერსონად იგრძნო თავი, გარკვეულწილად ვიღაცეების ბედის გამგებლადაც. გზა გრძელი და ძნელი იყო, მაგრამ გადალახულია. ყველაზე სასიამოვნო დარჩა.

- მამილო გოშს კი მოუწია ჭაღარა თავის ტეხვა, მაგრამ, რამდენიც არ უნდა აურიო კვალი, ბებერი მამებარი მელიის სოროს მაინც იყნოსავს. პროფესორ სვიტჩაილდის მკვლელობით დამნაშავემ საბოლოოდ გასცა თავი, ეს სასოწარკვეთის ნაბიჯი იყო. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ დამნაშავე დაკითხვაზე მომიყვება ინდურ ბაღდაღზეც და და კიდევ სხვა ბევრ რამეზეც. სხვათაშორის, უკვე მინდა მადლობა გადავუხადო რუს დიპლომატს, რომელმაც, თავადაც რომ არ იცოდა, ისე დამეხმარა თავისი ზოგირთი რჩევითა თუ შეკითხვებით ნამდვილ კვალს დავდგომოდი.

ზეიმის ამ წუთებში გგოშს შეეძლო საკუთარი თავისთვის დიდსულოვნების უფლება მიეცა. თავი მოწყალედ დაუკრა ფანდორინს. იმანაც მდუმარედ დაუხარა თავი. მაინც აუტანლები არიან ეს არისტოკრატები თავიანთი მეტისმეტი მანერულობითა და პრანჭიაობით – ქედმაღლობა ერთი ტონა აქვთ და ადამიანურ სიტყვას იმათგან ვერ გაიგონებ.

- მე თქვენთან აღარ წამოვალ. როგორც იტყვიან, დიდი მადლობა კომპანიისთვის, აღარ მინდა ეს სიამოვნება. ნაპირზე გადმოვა მკვლეელიც? რომელსაც აქვე, ორთქლმავალზევე გადავცემ ინსპექტორ ჯეკსონს.

იქ მსხდომნი ყურადღებით მიაჩერდნენ გამხდარ და პირქუშ ბატონს, ხელები ჯიბეებში რომ ჩაეწყო.

კაპიტანს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გოშმა გამაფრთხილებლად ასწია ხელი – მისი გამოსვლა უნაკლო

უნდა ყოფილიყო, დაიმსახურა.

- გამოგიტყდებით, თავდაპირველად ყველანი ეჭვქვეშ მყავდით. გამორიცხვა მიდიოდა დიდხანს და მტანჯველად. ახლა შემოიზღია მთავარი გითხრათ: ლორდ ლიტლბის გვამის მახლობლად ჩვენ ვიპოვეთ 'ლევიათანის' ოქროს ემბლემა – აი, ეს. – თავის საყელოზე დამაგრებულ ნიშანზე მიიკაკუნა თითი. – ეს პატარა საგანი მკვლელს ეკუთვნის. როგორც თქვენთვის ცნობილია, ოქროს ნიშანი შეიძლება დაჰქონოდათ მხოლოდ ხომალდის უფროს ოფიცრებს და პირველი კლასის მგზავრებს. ოფიცრები მასინათვე ამოვარდნენ ეჭვიმტანილთა წრიდან, რადგან ყველას აღმოაჩნდა ემბლემა და არავის მიუმართავს სანაოსნოსთვის თხოვნით, დაკარგულის ნაცვლად ახალი მიეცათ. სამაგიროდ მგზავრთაგან ოთხნი აღმოცნდნენ უემბლემოდ: მადმუაზელ სტამპი, მადამ კლუბერი, მუსიე მილფორდ-სტოუკსი და მუსიე აონო. ეს ოთხეული განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ მყავდა. ექიმი ტრუფო აქ იმიტომ მოხვდა, რომ ექიმია, მისის ტრუფო – იმიტომ, რომ ცოლი და ქმარი ერთი ემბლემა, ხოლო ბატონი რუსი დიპლომატი – იმ სნობური სურვილის გამო, რომ არ მგვანებოდა მეეზოვეს.

კომისარმა ჩიბუხი გააბოლა, სალონსი გაიარა.

- ვინანიებ, ცოდვილი ვარ. სულ თავიდან ბატონ ბარონეტს ვგულისხმობდი, მაგრამ დროულად მივიღე ცნობა... მის გარემოებებზე და სხვა სამიზნე ამოვიჩიე. თქვენ, ქალბატონო. – მადმუაზელ სტამპს მიუბრუნდა გოში.

- შევნიშნე, - ღირსეულად მიუგო მან. – მაგრამ ვერაფრით ავუღე ალღო, რით ვარ ასეთი საეჭვო.

- აბა, მაშ როგორ? – გაოცდა გოში. – ჯერ ერთი, ყველაფრით ჩანს, რომ სულ ახლახანს გამდიდრდით. ეს თავისთავად უკვე საეჭვოა. მეორეც, თქვენ იცრუეთ, ტითქოს არასოდეს არ ყოფილხართ პარიზში. არადა მარაოზედ ოქროს ასოებით გიწერიათ 'ოტელი ამბასადორი'. მართალია, მარაოს ტარებაზე ხელი აიღეთ, მაგრამ გოშს მახვილი თვალი აქვს. მასინათვე მოვინიშნე ეს ნივთი. ასეთ რამეებს ძვირფას ოტელებში მცხოვრებლებს სჩუქნიან. 'ამბასადორი' კი სწორედ გრენელის ქუჩაზე მდებარეობს, მკვლელობის ადგილიდან ხუთი წუთის სავალზე. სასტუმრო მდიდრულია, დიდია, იქ უამრავი ვინმე ჩერდება, რატომ მალავს ამას მადმუაზელ სტამპი, შევეკითხე საკუთარ თავს. აქ რაღაცაშია საქმე. თანაც კიდევ ეს მარი სანფონი ამეკვიატა... – კომისარმა ფარ-ხმლის დამყრელი ღიმილით შეხედა კლარის სტამპს. – რას ვიზამთ, გადავუხვიე, წრეზე ვირტიალე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ნამდვილ კვალს დავადექი. ასე რომ, ნუ დამსჯით, მადმუაზელ.

ამ მომენტში გოშმა დაინახა, რომ ქერა ბარონეტი გაფითრებული ზის^ა ყბა უკანკალებს, თვალები კიდევ ვასილისკივით უელავს.

- და რადაა ეს... ჩემი 'გარემოებები'? – ნელა დაილაპარაკა მან, სიმშაგეს ახშობდა სიტყვებით. – საით უკაკუნებთ, ბატონო მამებარო?

- არა-არა, - ხელი შემრიგებლურად ასწია გოშმა. – თქვენ მთავარია დამშვიდდეთ. გარემოებები და გარემოებები, ვისი რა საქმეა? მე ხომ იმიტომ ვთქვი, რომ თქვენ ფიგურანტებიდან გამოგრიცხეთ. სად არის, სხვათაშორის, თქვენი ემბლემა?

- გადავაგდე, - მკვეთრად მოუჭრა ბარონეტმა, თვალებიდან ჯერ კიდევ აკვესებდა ელვას. – სამაგელია! ოქროს წურბელას ჰგავს! თანაც კიდევ...

- თანაც კიდევ არ ეკადრება ბარონეტ მილფორდ-სტოუკსს ისეთივე ბალთა ატაროს, როგორც ყველა ნუვორიშმა, არა? – გამჭრიახად შენიშნა კომისარმა. – კიდევ ერთი სნობი.

ეტყობა, მადმუაზელ სტამპიც გაბრაზდა:

- კომისარო, თქვენ ძალიან ლამაზად აღწერეთ, რით არის საეჭვო ჩემი პერსონა. გმადლობთ, - გესლიანად დაუქნია წვეტიანი ნიკაპი. – მრისხანება რომ სიკეთით შეცვალებ.

- ჯერ კიდევ ადენიდან პრეფექტურაში გავაგზავნე სატელეგრაფო სეკითხვები. პასუხებმა იქ ვერ მომისწრო, დრო იყო საჭირო ცნობების მოსაკრებად, მაგრამ ბომბების უკვე დეპეშები მელოდა. ერთი მათგანი თქვენ

გეხებოდათ, მადმუაზელ. ახლა უკვე ვიცი, რომ თოთხმეტი წლიდან, მშობლების სიკვდილის შემდეგ, თქვენ გარე დეიდასთან ცხოვრობდით სოფელში. ის მდიდარი იყო, მაგრამ ძუნწი. თქვენც თავისავით ჰყავდით, მომჭირნობით, ლამის პურზე და წყალზე.

ინგლისელი ქალი გაწითლდა და, ეტყობა, თავადვე აღარ უხაროდა, ასეთი შეკითხვა რომ დასვა. არაუშავს, გვრიტო, იფიქრა გოშმა, ახლა უარესი მოგივა.

- რამდენიმე თვის წინათ დედაბერი გარდაიცვალა და აღმოჩნდა, რომ მთელი თავისი ქონება თქვენ დაგიტოვათ. გასაკვირი არ არის, რომ ამდენი ხნის ჩაკეტილობის შემდეგ სამყაროს სანახავად გაგიწიათ გულმა, დედამიწის გარშემო მოინდომეთ მოგზაურობა. ადრე ხომ წიგნების გარდა არა გინახავთ რა?

- რატომ მაღავდა, რომ პარიზში იმყოფებოდა? – თავაზის გარეშე ჰკითხა მადამ კლებერმა. – იმიტომ, რომ მისი სასტუმრო იმ ქუჩაზე იყო, სადაც მთელი დასტა ხალხი დახოცეს? ეშინოდა, რომ მასზე მიიტანდნენ ეჭვს, არა?

- არა, - გაიცინა გოშმა. – ეგ არაფერ შუაშია. მოულოდნელად რომ გამდიდრდა, მადმუაზელ სტამპი ისევე მოიქცა, როგორც ნებისმიერი ქალი მის ალაგას – პირველ რიგში პარიზის, მსოფლიოს დედაქალაქის სანახავად გაეშურა. ისიამოვნა პარიზული სილამაზეებით, ჩაიცვა უკანასკნელ მოდაზედ, და თან...

რომანტიკული თავგადასავლებიც.

ანგლიელმა ქალმა ნერვიულად მომუქა თითები, მზერა საბრალობელი შეექმნა, მაგრამ გოშს რაღას გააჩერებდი – ჰოდა, ისწავლის ეს ბებრუხანა მიღედი როგორ უნდა ცხვირის ამზუება პარიზის პოლიციის კომისრის წინაშე.

- და ქალბატონმა სტამპმა მთლიანად გაუსინჯა გემო რომანტიკას. ოტელ `ამბასადორში` წარმოუღვენლად ლამაზ და თავაზიან კავალერს გაეცნო, რომელიც პოლიციის კარტოთეკაში `ვამპირის` მეტსახელით ირიცხებოდა. ცნობილი პიროვნებაა, ხნიერ უცხოელ ქალბატონებზედ გახლავსთ დასპეცებული. ვნებამ მომენტალურად იფეთქა და, როგორც `ვამპირთან` ხდება ხოლმე, გაფრთხილების გარეშე დამთავრდა. ერთხელაც, დილით, ხოლო უფრო ზუსტად ცამეტ მარტს, თქვენ, მადამ, მარტომ გაიღვიძეთ და სასტუმროს ნომერი ვეღარ იცანით – ცარიელი იყო. თქვენმა გულითაღმა მეგობარმა ყველაფერი წაიღო ავეჯის გარდა. მე გამომიგზავნეს თქვენთვის მოპარული ნივთების სია. – გოშმა საქალაქში ჩაიხედა. – ოცდამეთვრამეტე ნომრით იქ აღნიშნულია `ოქროს გულსაბნევი ვეშაპის ფორმით`. როცა ეს წავიკითხე, ჩემთვის გასაგები შეიქმნა, რატომ არ უყვარს ქალბატონ სტამპს პარიზის გახსენება.

ამ ბედნავსი ჩერჩეტი საბრალო იყო – სახეზედ ხელები აიფარა. მხრები უთრთოდა.

- მადამ კლებერზედ მე სერიოზულად არ ვეჭვობდი, - გოში თავისი მოთხრობის შემდგომ პუნქტზე გადავიდა. – თუმცა ემბლემის უქონლობა რიგიანად ვერ ამიხსნა.

- და იგნორირება რატომ უყავით ცემს განცხადებას? – მოულოდნელად ჰკითხა იაპონელმა. – მე ხომ რაგაც მნისენელოვანი გითხარით?

- იგნორირება? – კომისარი მკვეთრად შებრუნდა მოლაპარაკისკენ. – სულაც არა. მე ველაპარაკე მისის კლებერს და მან ამომწურავი განმარტება მომცა. ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო ფეხმძიმობის პირველი ეტაპისას, რომ ექიმმა გამოუწერა... განსაზღვრული ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. შემდგომში ავადმყოფური მოვლენები გაჰქრა, მაგრამ ეს საცოდავი უკვე შეეჩვია პრეპარატს, ნერვებისათვისაც იყენებდა და უძილობისთვისაც. დოზა იზრდებოდა, ჩამოყალიბდა დამლუპველი ჩვევა. მე მამა-შვილურად დაველაპარაკე მისის კლებერს და მან ჩემს თვალწინ ეს საძაგლობა ზღვაში გადაისროლა. – გოშმა საჩვენებელი სიმკაცრით შეხედა რენატას, რომელმაც პატარასავით გადმოაბრუნა ტუჩი. – იცოდე, გვრიტო, მამილო გოშს პატიოსანი სიტყვა მიეცი.

რენატამ თვალები დახუჭა და თავი დაუქნია.

- ოჰ, როგორი გულისშემძვრელი დელიკატურობაა მადამ კლებერთან მიმართებაში! – აფეთქდა კლარისა. –

რატომ მე აღარ დამინდეთ, მუსიე დეტექტივო? მთელს საზოგადოებაშიდ შემარცხვინეთ!

მაგრამ გოშს იმისთვის არ ეცალა – სულ იაპონელს უყურებდა, და მძიმე, მახვილი გამოხედვა ჰქონდა კომისარს. წკუსკოლფმა ჯეკსონმა უსიტყვოდ გაიგო: დროა. ჯიბიდან ხელი ამოიღო და ცარიელი კი არა – სამგლოვიარო ელვარებით გაიბრწყინა რევოლვერის ფოლადმა. ლულა პირდაპირ აზიელის შუბლისკენ იყო მიმართული.

- თქვენ, იაპონელები, როგორც ჩანს, ქერათმიან მაიმუნებად გვთვლით, არა? – ავად შეეკითხა გოში. – გავიგე, სწორედ ასე ეძახით ხომ ევროპელებს? ჩვენ – ბანჯგვლიანი ბარბაროსები ვართ, არა? თქვენ კი ეშმაკები, დახვეწილები, კულტურულები; თეთრი ადამიანები თქვენ ფეხსაცმლის ლანჩადაც არ გამოგადგებიან! – კომისარმა დამცინავად გამოხერა ლოყები და გვერდზე გაუშვა სქელი კვამლის ქულა. – ერთი ათიოდე მაიმუნი რომ გაათაო – დიდი არაფერი, თქვენ ცოდვად არ გეთვლებათ.

აონო ერთიანად მოიკრიფა, სახე თითქოს გაუქვავდა.

- თქვენ ბრალს მდებთ იმაში, რომ მე მოვკალი რორდი რინრბი და მისი ვასარები... ანუ მსახურები? – თანაბარი, უსიცოცხლო ხმით ჰკითხა აზიატმა. – რისთვის მდებთ ბრარს?

- ყველაფრით, კარგო, მთელი კრიმინალური მეცნიერებით, - ღირსეულად წარმოთქვა კომისარმა და იაპონელიდან შემოტრიალდა, რაღაი სიტყვა, რომლის წარმოთქმასაც გოში აპირებდა, ამ ყვითელშუბლა არამზადისთვის კი არა, ისტორიისთვის იყო გამიზნული. ცოტა დროც მიეცით და კრიმინალოგიის სახელმძღვანელოებშიც დაჰბეჭდავენ.

- თავდაპირველად, ბატონებო, მე გაგაცნობთ ირიბ გარემოებებს, რომლებიც დაამტკიცებს, რომ ამ ადამიანს შეეძლო ჩაედინა დანაშაული, რაშიც ბრალს ვდებ. (ეჰ, აჰ კი არა, ათიოდე მსმენელის წინაშე, არამედ იუსტიციის სასახლეში უნდა გამოვდიოდე, გადაჭედო დარბაზში!) მერე კი სამხილებს წარმოგიდგენთ, რომლებითაც უქველად დარწმუნდებით, რომ მუსიე აონოს არა მარტო შეეძლო, არამედ სინამდვილეში ჩაიდინა თერთმეტი ადამიანის მკვლელობა – ათისა თხუთმეტ მარტს გლენელის ქუჩაზედ და ერთისა კიდევ თოთხმეტ აპრილს, ორთლმავალ `ლევიათანის` ბორტზე.

ამასობასი აონოს გარშემო სიცარიელე შეიქმნა, მხოლოდ რუსიღა იჯდა დაპანიმრებულის გვერდით, და კიდევ ოდნავ მოშორებით ინსპექტორი იდგა შეწვიპული რევოლვერით.

- იმედი მაქვს, არავისთვის საეჭვო არ არის, რომ პროფესორ სვიტჩაილდის სიკვდილი პირდაპირ არის დაკავშირებული გლენელის ქუჩის დანაშაულთან. როგორც გამოძიებამ დაადგინა, ამ დანაშაულებრივი აქტის მიზანი ოქროს შივას კი არა, აბრეშუმის ბაირალის გატაცება გახლდათ... – გომმა მკაცრად შეიკრა წარბები: დიახ-დიახ, სწორედ გამოძიებამ და სიფათი ნუ მოგეცათ, ბატონო დიპლომატო. - ...რომელიც იძლევა გასაღებს ბრაჰმაპურის ყოფილი რაჯას, ბაღდასარის საგანძურის საპოვნელად. ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობია, რანაირად გაიგო ბრალდებულმა ბაირალის საიდუმლო. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ აღმოსავლეთში ბევრი საიდუმლოა და იმათ, ჩვენ, ევროპელები ვერ ჩავწვდებით. თუმცაღა, განსვენებულმა პროფესორმა, აღმოსავლეთის ჭეშმარიტმა მცოდნემ, შესძლო ამოხსნამდე მისულიყო. ის უკვე მზად იყო, ჩვენთვის გაენდო თავისი აღმოჩენა, რომ სახანძრო განგაში დაიწყო. დამნაშავეს, ალბათ, მოეჩვენა, რომ თავად ბედისწერა უგზავნის ამგვარ დიდებულ შემთხვევას, რათა სვიტჩაილდს ენა ჩააგდებინოს. და ყველაფერი მოკვარახჭინებული იქნება, როგორც ღიუ დე გლენელზედ. მაგრამ მკვლელს გამორჩა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ამჯერად იქვე გახლდათ კომისარი გოში, იმასთან კიდევ ამისთანა ფოკუსები არ გადის. სარისკო წამოწყება იყო, და თანაც წარმატების შანსითაც. დამნაშავემ იცოდა, რომ პროფესორი პირველ რიგში თავისი კაიუტისკენ გავარდება ქალღმერთის გადასარჩენად... ანუ, მე მინდა ვთქვა, თავისი ნაწერებისა. იქ კიდევ, დერეფნის მოსახვევში მკვლელმა თავისი ბნელი საქმე გააკეთა. მაშ ასე, ირიბი გარემოება ნომერი ერთი. – კომისარმა თითი ასწია. – მუსიე აონო გამოვარდა სალონიდან, და ესე იგი, შეეძლო ჩაედინა ეს მკვლელობა.

- მარტო მე არა, - თქვა იაპონელმა. - სარონიდან გამოვალდნენ კიდევ ექსი კასი: მუსიე რენიე, მუსიე და მადამ

ტრუფო, მუსიე ფანდორინი, მუსიე მირფორდ-სტოუკსი და მადმუაზელ სტამპი.

- მართალია, - დაეთანხმა გოში. - მაგრამ მე მინდოდა მხოლოდ მეჩვენებინა ნაფიცი მსაჯულებისთვის, უფრო სწორედ, აქ დამსწრეებისთვის კავშირი არ ორ დანაშაულს სორის, აგრეთვე გუშინდელი დანაშაულის თქვენგან ჩადენის შესაძლებლობა. ახლა კი 'საუკუნის დანასაულს' დავუბრუნდეთ. მასინ ბატონი აონო პარიზში იმყოფებოდა. ეს ფაქტი ეჭვს არ იწვევს და დამტკიცებულია ჩემთან მოსული დეპეშით.

- პარიზში ჩემთან ერთად იყო კიდევ მირიონ-ნახევარი ადამიანი, - ჩაურთო იაპონელმა.

- და მაინც, ეს ირიბი გარემოება ნომერი ორია, - მოჩვენებითი უბრალოებით მიაწვა კომისარი.

- მეტისმეტად ირიბია, - აქვე დასძინა რუსმა.

- არ ვკამათობ. - გოშმა თამბაქოთი დატენა ჩიბუხი და შემდეგი სვლა გააკეთა. - ოღონდ ლორდ ლიტლბის მსახურებს სასიკვდილო ინექცია მედიკოსმა გაუკეთა. მედიკოსები კიდევ პარიზში მილიონ-ნახევარი არ არის, გაცილებით ნაკლებია, ხო სწორია?

ამ მტკიცებას არავინ შეეკამათა. კაპიტანმა კლიფმა იკითხა:

- მართალია, მაგრამ მერე რა?

- ის, მუსიე კაპიტანო, - გამჭრიახი მზერა აუელვარდა გოშს, - რომ ჩვენი მეგობარი აონო არავითარი ოფიცერი არ არის, როგორც თავი წარმოგვიდგინა, არამედ დიპლომირებული ქირურგი და ამასწინათ დაამთავრა სორბონის სამედიცინო ფაკულტეტი! ეს იმავე დეპეშით მაცნობეს.

ეფექტური პაუზა. იუსტიციის სასახლის ჩახშული ხმები, გაზეთების ჯღაბნიები ფანქრებს აფხაჭუნებენ თავიანთ ბლოკნოტებში: 'კომისარი გოში წარმოადგენს ტუზ კოზირს'. მოიცადეთ, გვრიტებო, ეს ჯერ კიდევ არ არის ტუზი, ტუზი წინ არის.

- და აქ, ბატონებო, ირიბი გარემოებებიდან მტკიცებულებებზე გადავდივართ. დაე, მუსიე აონომ აგვიხსნას, რაში დასჭირდა მას, ექიმს, საპატივსაცემო და პრესტიჟული პროფესიის წარმომადგენელს, რომ ოფიცრად მოეჩვენებინა ჩვენთვის თავი? რაში დასჭირდა ეს ტყუილი?

იაპონელის ცვილისებურ საფეთქლებზე ოფლის წვეთები ჩამოსდიოდა. აონო დუმდა. დიდხანს ვერ შეძლო გამოკამათება.

- პასუხი ერთია: ეჭვი რომ აეცილებინა თავიდან. მკვლელი ხომ მედიკოსი იყო! - კმაყოფილებით შეაჯამა კომისარმა. - ესეც თქვენ მტკიცება ნომერი ორი. გსმენიათ თუ არა რაემ, ბატონებო, იაპონურ ჭიდაობაზე?

- არა მარტო მსმენია, მინახავს კიდევ, - თქვა კაპიტანმა. - ერთხელ მაკაოსი ვნახე როგორ სცემდა იაპონელი შტურმანი სამ ამერიკელ მატროსს. გაჩხიკული იყო, გეგონებოდა, ერთი მიფურთხებააო, არადა როგორ დაიწყო ხტუნვა, ხელ-ფეხის ქნევა - ოთხი ოყლაყი იქვე მიაწვინა. ერთს ისე დაჰკრა ხელისგულის კიდე ხელზე, რომ იდაყვი მეორე მხარეს გადმოუტრიალა. ძვალი გადაუტეხა, წარმოგიდგენიათ? აი, დარტყმა ის იყო.

გოშმა კმაყოფილებით დაუქნია თავი:

- მეც მსმენია, რომ იაპონელები ფლობენ სასიკვდილო ხელჩართული ბრძოლის საიდუმლოებებს ყოველგვარი იარაღის გარეშე. იმათთვის თიტის ტაკებით ადამიანის მოკვლა - არაფერია. ჩვენ ყველას გვინახავს, როგორ ვარჯიშობს თავის გიმნასტიკაში მუსიე აონო. მის კაიუტაში, საწოლის ქვეშ აღმოჩენილია გოგრის ნატეხები, თანაც საკვირველად მაგარი გოგრისა. ტომარაში კიდევ არის რამდენიმე მთელი. როგორც ჩანს, ბრალდებული გოგრებზე ამუშავებდა დარტყმის სიზუსტეს და ძალას. მე ვერ წარმომიდგენია, რა ძალას უნდა ფლობდე, რომ მაგარი გოგრა შიშველი ხელით გააპო, თანაც რამდენიმე ნატეხად...

კომისარმა მრავალმნიშვნელოვანი მზერა მოავლო იქ მყოფთ და ნომერ მეორე მტკიცება გაუშვა:

- შეგახსენებთ, ბატონებო, რომ ბედკრული ლორდ ლიტლბის თავის ქალა გატეხილია რამდენიმე ფრაგმენტად წარმოუდგენლად დიდი ძალის დარტყმით მძიმე, მასიური საგნით. ახლა კი დააკვირდით

ბრალდებულის ხელისგულების დაკოჟრილ განაკიდებს.

იაპონელმა უცებ დამალა თავისი პატარა, დაკუნთული ხელები.

- თვალი არ მოაცილოთ, ჯეკსონ. ეს ადამიანი ზალიან სასისია, - გააფრთხილა გოსმა. - თუ რამეა და - ესროლეთ ფეხში ანდა მხარში. მე კი შევეკითხები ბატონ აონოს, რა უყო ოქროს ემბლემა? დუმხართ? მასინ მე თავად ვუპასუხებ ამ კითხვას: ემბლემა მკერდიდან მოგვლიჯათ ლორდ ლიტლბიმ სწორედ იმ მომენტში, როცა თქვენ სასიკვდილო დარტყმა მიაყენეთ თავში ხელისგულის კიდით!

აონომ პირის გაღება დააპირა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ტუჩი მოიკვნიტა მაგარი, უსწორმასწორო კბილებით და თვალები დახუჭა. სახე უცნაურად ჯიუტი გაუხდა.

- დანაშაულის სურათი დიუ დე გლენელზედ ამგვარას ეწყობა, - შედეგების დაჯამებას მიჰყო ხელი გოსმა. - თხუთმეტი მარტის საღამოს გინტარო აონო გამოცხადდა ლორდ ლიტლბის სახლში, უკვე წინასწარ მომზადებული გეგმით, დაეხოცა სახლის ყველა მცხოვრები და ხელსი ჩაეგდო სამკუთხა ბაირადი პატრონის კოლექციიდან. ამ დროისთვის მას უკვე ჰქონდა ბილეთი 'ლევიათანზე', რომელიც საუტჰემპტონიდან ინდოეთში გადიოდა ოთხი დრის შემდეგ. როგორც ჩანს, ბრალდებული აპირებდა ინდოეთში მოემგზავნა ბრაჰმპურის საგანძური. ჩვენ არ ვიცით, როგორ მოახერხა მან უბედური მსახურების დარწმუნება 'ქოლერის საწინააღმდეგო აცრის' აუცილებლობასი. ალბათ, ბრალდებულმა მათ რაიმე ყალბი ქაღალდი წარუდგინა ვითომცდა მერიიდან. ეს ძალიან ემსგავსებოდა სიმართლეს, იმიტომ რომ, სორბონის გამოსაშვები კურსის სტუდენტი-მედიკოსები არცთუ იშვუათად გამოიყენება მასიური პროფილაქტიკური ღონისძიებებისთვის. უნივერსიტეტის სტუდენტთა და ორდინატორთა შორის არცთუ ცოტა აზიატია, ასე რომ საღამოს ვიზიტორის ყვითელი კანი სულაც არ დააფრთხობდა განწირულ მსახურებს. ყველაზე დიდი სასინელება ის არაადამიანური სისასტიკეა, რომლითაც მოკლულ იქნა ორი უდანაშაულო ბავშვი. მე, ბატონებო, პატარა გამოცდილება როდი მაქვს საზოგადოების ხორცმეტებთან ურთიერთობისა. ცხელ გულზე ჩვენი ბანდიტს შეუძლია ბავშვი ბუხარში შეაგდოს, მაგრამ ასე, ცივი გათვლით, ხელის აუკანკალებლად... დამეთანხმებით, ბატონებო, რომ ეს როგორღაც არც ფრანგულია და არცა კიდევ საერთოდ, ევროპული.

- ნამდვილად! - მრისხანედ წამოიძახა რენიემ და ექიმმა ტრუფომ მთელი გულით დაუჭირა მხარი.

- მერე ადვილი იყო, - განაგრძო გოსმა. - რაკი დარწმუნდა, რომ ნემსის ჩხვლეტით მოწამლული მსახურები ისეთ ძილში გადაეშვნენ, საიდანაც უკან ვეღარ ბრუნდებიან, მკვლელი წყნარად ავიდა მეორე სართულზე, დარბაზში, სადაც ინახებოდა კოლექცია და იქ შეუდგა თავის საქმეს. ის ხომ დარწმუნებული იყო, რომ პატრონი შინ არ არის. თუმცა ნიკრისის ქარების შემოტევით შეწუხებული ლორდი ლიტლბი სპაში არ გაემგზავრა და სახლში იმყოფებოდა. მინის წკრიალზე დარბაზში გამოვიდა, სადაც მოკლული იქნა ყველაზე ბარბაროსული მეთოდით. დაუგეგმავმა მკვლელობამ სატანური ცივისხლიანობიდან გამოიყვანა მკვლელი. ალბათ უფრო სარწმუნოა, რომ აპირებდა რაც შეიძლება მეტი ექსპონატი წაეღო, რათა ზედმეტი ყურადღება არ მიექციათ სახელგავარდნილი ბაირადისთვის, თუმცა ამჟამად აჩქარება მოუწია. ჩვენ არ ვიცით - შესაძლოა, სიკვდილის წინ ლორდმა დაიყვირა და მკვლელს შეეშინდა, რომ ყვირილს ქუჩაში გაიგონებდნენ. ასეა თუ ისე, სრულიად ზედმეტ შივას მისწვდა და საჩქაროდ გამობრუნდა, ვერც კი შეამჩნია, რომ მოკლულს ხელში დარჩა 'ლევიათანის' გულსაბნევი. ძიება რომ კვალზე არ დაეყენებინა, აონო უკანა გზაზე ფანჯრიდან გადაძვრა ორანჟერეაში... არა, საქმე ეს კი არ არის! - გოსმა ხელი მიირტყა შუბლზე. - ადრე როგორ ვერ მივხვდი! იმავე გზით ვერ დაბრუნდებოდა, თუკი ყვირილი იქნებოდა! რა იცოდა, ვაითუ სახლის კართან უკვე შეიკრიბნენ გამვლელები? აი, რატომ გაამტვრია აონომ ფანჯარა ორანჟერეაში, ბაღში გადახტე და მერე ღობიდან გადაძვრა. მაგრამ ტყუილ-უბრალოდ იფრთხილა - დიუ დე გლენელზედ ასე გვიან არავინ იყო. ყვირილი, თუკი იყო, არავის გაუგონია...

შტაბეჭდილებას აყოლილმა მადამ კლებერმა ამოიოხრა. მისის ტრუფომ მოისმინა თარგმანი და გრძნობამორეული აქსუტუნდა.

დამტკიცებულია, თვალნათლივ, შეუკამათებლად, გაიფიქრა გოშმა. მტკიცებულებები და საძიებო ვერსიები ბრწყინვალედ ავსებენ ერთიმეორეს. და ეს ჯერ კიდევ რა არის, კიდევ ისეთები მოიმარაგა, ბიჭებო, ბებერმა გუსტავმა.

- ახლა დროა გადავიდეთ პროფესორ სვიტჩაილდის მკვლელობაზე. როგორც სამართლიანად შენიშნა ბრალდებულმა, მის გარდა ეს შეიძლებოდა გაეკეთებინა კიდევ ექვს ადამიანს. წყნარად, წყნარად ქალბატონებო და ბატონებო! – დამამშვიდებლად ასწია ხელი კომისარმა. – მე ახლა დავამტკიცებ, რომ თქვენ პროფესორი არ მოგიკლავთ და ის მოკლა სხვამ ვინ, თუ არა ჩვენმა წვრილთვალემა მეგობარმა. ეს Elmასის კერძი იაპონელი მთლად გაქვავდა. ხომ არ დაიზინა? თუ თავის იაპონურ ღმერთს ევედრება ლოცვით? აჰ, ყმაწვილი, ილოცე-არ ილოცე, მაინც ბებერ კახპა გილიოტინაზე წევხარ.

მოულოდნელად კომისარს უკიდურესად უსიამო აზრი მოუვიდა. ვაითუ ეს იაპონელი ინგლისელებმა გასკვანცონ სვიტჩაილდის მკვლელობისთვის? პროფესორი ხომ ბრიტანეთის ქვეშევრდომია! მაშინ დამნაშავეს ინგლისურ სასამართლოსი გაასამართლებენ და ფრანგული გილიოტინის ნაცვლად ბრიტანულ სახრხობელაზე მოხვდება. ოღონდ ეს არა! ვის რად უნდა სასამართლო საზღვარგარეთ? 'საუკუნის დანაშაული' უნდა განიხილონ იუსტიციის სამინისტროში და სხვაგან არსად. დიდი ამბავი თუ სვიტჩაილდი ინგლისურ ხომალდზეა მკვდარი! პარიზში ათი გვამია, აქ კიდევ ერთადერთი, თან გემიც მხოლოდ ბრიტანეთის საკუთრება არ გახლავსთ, კონსორციუმი ხომ ორმხრივია!

გოში ისე აღელდა, რომ აზროვნების ძაფი გაუწყდა. ვერ მოგართევს, თქვა გულში, მე ჩემს კლიენტს არ მოგცემთ. ახლა მოვრჩები ამ ბალაგანს და ეგრევე საფრანგეთის კონსულთან დავაწვები. თავად ჩავიყვან მკვლელს საფრანგეთში. და უცებ წარმოიდგინა^ა ნავმისადგომი ჰავრში, გადაჭედული ხალხით, პოლიციის მოხელეები, ჟურნალისტები...

თუმცა საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა.

- ინსპექტორმა ჯეკსონმა გვიამბოს ჩხრეკის შედეგებზე ბრალდებულის კაიუტაში.

გოშმა შესთავაზა ჯეკსონს, ელაპარაკა.

იმან საქმიანად ცივად დააპირა ინგლისურად შეეყვება, მაგრამ კომისარმა შეაჩერა:

- გამოძიებას აწარმოებს ფრანგული პოლიცია, - მკაცრად თქვა მან, - და მოკვლევის ოფიციალური ენაც ფრანგულია. ამას გარდა, მუსიე, აქ ყველამ არ იცის თქვენი ენა. და მთავარი, მე დარწმუნებული არ ვარ, რომ ინგლისურს ფლობს ბრალდებული. დამეთანხმებით, რომ მას აქვს უფლება იცოდეს თქვენი ძიების შედეგებზე.

ამ პროტესტს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა: ინლისელები თავიდანვე უნდა მოესვა საკუთარ ადგილზე. დაე იცოდნენ, რომ ამ საქმეში მათი ნომერი პირველია, ოღონდ ბოლოდან.

მთარგმნელად რენიემ გამოიძო თავი. ინსპექტორის გვერდით დადგა და წინადადება არ გამოუტოვებია, მაგრამ ინგლისელის მოკლე, დანაწევრებულ ფრაზებს ინტონაციის დრამატიზმითა და მდიდარი შესტებით აფერადებდა.

- თანახმად მოცემული ინსტრუქციისა, ჩატარდა ჩხრეკა. კაიუტა ნომერ ოცდაოთხში. მგზავრის სახელიე – გინტარო აონო. ვმოქმედებდი თანახმად 'ჩხრეკის ჩატარების წესებისა დახშულ სათავსოში'. ოთხკუთხედი ოთახი ორასი კვადრატული ფუნტის ზომისა. დავყავით ოც ჰორიზონტალურ და ორმოცდაოთხ ვერტიკალურ კვადრატად. – ლეინტენანტი ჩაეკითხა და განმარტა. – როგორც ჩანს, კედლებიც უნდა დაიყოს კვადრატებად – და უკაკუნებენ ფარული სათავსოების აღმოსაჩენად. თუმცა რანაირი ფარული სათავსოები უნდა იყოს ორთლმავლის კაიუტაში, გაუგებარია... ძებნა სწარმოებდა თანმიმდევრულად: ჯერ ვერტიკალურად, მერე კი ჰორიზონტალურად. კედლებში ფარული საცავები არ აღმოჩნდა. – აქ რენიემ არტისტულად გაშალა ხელები – ამისთანა რამე წარმოუდგენელიაო. – ჰორიზონტალური სიბრტყის დათვალიერებისას საქმეში ჩართულია შემდეგი საგნები. პირველი: ჩანაწერები იეროგლიფური ტექსტით. ისინი ითარგმნება და შეისწავლება. მეორე: გრძელი, აღმოსავლური შესახედაობის ხანჯალი ერთობ

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალესილი. მესამე: საწოლის ქვეშ გოგრების ნამსხვრევები. და, ბოლოს, მეხუთე: საკვოიაცი ქირურგიული ინსტრუმენტებით. დიდი სკალპელის ბუდე ცარიელია.

მსმენელებმა ამოიხრეს. იაპონელმა თვალემა გაახილა? მზერა შეავლო კომისარს, მაგრამ ახლაც არაფერი უთქვამს.

ახლა გაითიშება, იფიქრა გოშმა და შეცდა. სკამიდან არ წამომდგარა, აზიატი მკვეთრად შებრუნდა მის ზურგს უკან მდგომი ინსპექტორისკენ და გამჩხავი მოძრაობით ქვემოდან იმ ხელში დაარტყა, რომელშიც რევოლვერი ეჭირა. სანამ იარაღი წრიულ მოძრაობას ასრულებდა ჰაერში, ცქვიტი იაპონელი უკვე კარის მახლობლად იყო. უცებ გამოხსნა - და მკერდით მიეჯახა ორ `კოლტს`: დერეფანში პოლიციელები იდგნენ. მომდევნო წამს ინსპექტორის რევოლვერმა თავისი ტრაექტორია დაასრულა, მაგიდის შუაგულში მოადინა ბრაგვანი და გამაყრუებლად იქუხა. ატყდა ზარის რეკვა, წივილ-კივილი, დადგა კვამლი.

გოშმა სწრაფად შეაფასა მდგომარეობა: პატიმარი უკან იხევს, სკამისკენ; მისს ტრუფოს გული შეუღონდა; სხვა მსხვერპლი არ შეიმჩნევა; ბიგ-ბენის საათზე? ციფერბლატის ცოტა ქვემოთ ნახვრეტი, ისრები არ მოძრაობს. საათი რეკავს. ქალბატონები წივიან, მაგრამ მთლიანობასი სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

როცა იაპონელი თავის ალაგას იქნა დაბრუნებული და დასაშოშმინებლად ხელბორკილებიც გაუკეთდა, როცა ექიმის ცოლი სიცოცხლეს დაუბრუნეს და ყველა ისევ დაჯდა, კომისარმა გაიღიმა და ცოტათი ცივად თქვა.

- აი, სწორედ ახლახანს, ბატონო ნაფიცო მსაჯულებო, თქვენ ესწრებოდით გულახდილ აღიარებას, მართალია, მთლად ჩვეულებრივად არ მომხდარა.

ისევ შეცდა ნაფიცი მსაჯულების თაობაზე, მაგრამ გასწორება აღარ დაუწყია. რეპეტიციაა და იყოს რეპეტიცია.

- ეს იყო მტკიცებულებებიდან ბოლო, ისეთი მართებული, რომ ამაზე სწორი აღარ არსებობს, - შეაჯამა კმაყოფილმა გოშმა. - თქვენ კი, ჯეკსონ, საყვედური. ხომ გაგაფრთხილეთ, რომ ეს ყმაწვილი საშიშია. ინსპექტორი ისეთი წამოწითლებული იდგა, როგორც მოხარშული კიბო. დაე, თავისი ადგილი იცოდეს. მოკლედ, ყველაფერი მშვენივრად აეწყო.

იაპონელი სამი დამიზნებული იარაღის ქვეშ იჯდა, მკერდზე დაეწყო შებორკილი ხელები. თვალემა ისევ დახუჭა.

- მორჩა, ბატონო ინსპექტორო. შეგიძლიათ წაიყვანოთ. ჯერ-ჯერობით თქვენს ვირის აბანოში იჯდეს. მერე კი, როცა ფორმალბები დამთავრდება, საფრანგეთში გავიყოლებ. მშვიდობით, ბატონებო და ქალბატონებო. ბერიკაცი გოში ნაპირზე დადადის, თქვენ კი - ბედნიერი მგზავრობა.

- ვშიშობ? კომისარო, რომ ჩვენთან ერთად მოგიწევთ გ-გზის გაგრძელებ, - ჩვეული ტონით თქვა რუსმა. თავდაპირველად გოშს მოეჩვენა, რომ ვერ გაიგო.

- როგორ?

- ბატონი აონო არაფერ შუაშია, ასე რომ, გამომიების გ-გაგრძელება მოგიწევთ.

გოშს ბრუყვული გამომეტყველება ჰქონდა^ თვალემა გადმოკარკლული, ლოყები აუწითლდა.

განრისხებას აღარ დალოდებია, რუსმა თავისებური რიხით თქვა^

- ბატონო კაპიტანო, ამ ხ-ხომალდზე უმაღლესი ხელისუფლება თქვენ ბრძანდებით. კომისარმა ახლახანს ჩვენს თვალწინ სასამართლოს პროცესი გაითამაშა, თანაც საკუთარ თავზე აიღო პროკურორის როლი და საკმაოდ დამაჯერებლადც შეასრულა. ოღონდ ცივილიზებულ სასამართლომისაბრალდებო სიტყვის შემდეგ სიტყვა ეძლევა დ-დამცველს. თუ ნებას მომცემთ, ამ მისიას მე შევასრულებდი.

- რატომ უნდა დავკარგოთ დრო? - გაოცდა კაპიტანი. - მე მგონი, ისედაც ყველაფერი ნათელია. ბატონმა პოლიციელმა მშვენივრად ახსნა ყველაფერი.

- მგზავრის ნაპირზე გადასმა - სახუმარო საქმე არ გახლავთ. საბოლოოდ მთელი პასუხისმგებლობა

კაპიტანს დაეკისრება. დაფიქრდით, რამხელა ზიანს მიაყენებთ სანაოსნოს, თუკი გაირკვევა, რომ შეცდომა დაუშვით. მე კი გარწმუნებთ? – ფანდორინმა ოდნავ აიმაღლა ხმა, - რომ კომისარი სცდება.

- სისულელეა! – შესძახა გოშმა. – მაგრამ, სხვათაშორის, მე წინააღმდეგი არა ვარ. ილაპარაკეთ, მუსიე, მე სიამოვნებით მოგისმენთ.

მართლა და მართლა, თუ რეპეტიციაა, იყოს რეპეტიცია. ეს ბიჭუნა სულელი არ არის და, ეგებ, ბრალდების ლოგიკაში რაიმე გარღვევები აღმოაჩინოს, რომლებიც მერე უნდა შეავსოს. და თუ პროცეზე პროკურორი ჩაფლავდება, კომისარი გოში შეძლებს მის დახმარებას.

ფანდორინმა ფეხი ფეხზე გადაიდო, მუხლზე დაიდო ხელი.

- თქვენ წარმოთქვით ნათელი და მ-მართებული სიტყვა. ერთის შეხედვით, არგუმენტაცია ამომწურავი სჩანს. თქვენი ლოგიკური ჯაჭვი თითქმის უქველად გამოიყურება, თუმცა ეგრეთ წოდებული 'ირიბი გარემოებები', რასაკვირველია, არაფრად ვარგა. დიახ, ბატონი აონო იყო პარიზში თხუთმეტ მარტს. დიახ, ბატონი აონო არ იყო სალონში კ-პროფესორის მკვლელობის დროს. თავისთავად ეს ფაქტები არაფერსაც არ ნიშნავს, ასე რომ, მოდით, ნურც კი განვიხილავთ.

- კი, ბატონო, - დამცინავად დაეთანხმა გოში. – პირდაპირ მტკიცებულებებზედ გადავიდეთ.

- თუ ნებას მომცემთ. მეტ-ნაკლებად ფასეული მტკიცებულებები სულ ხუთი დავითვალე. მუსიე აონო – ექიმი, მაგრამ რატომღაც მალავდა ამ გარემოებას. ეს ერთი. მუსიე აონოს შეუზღია ერთი დარტყმით დააპოს საკმაოდ მაგარი ნივთი – გოგრა, და შესაძლოა, თავიც. ეს ორი. ბატონ აონოს არა აქვს 'ლევიათანის' ემბლემა. ეს სამი. ბრალდებულის საკვოიაჟში არ არის სკალპელი, რომლითაც, შესაძლოა, მოკლეს პროფესორი სვიტჩაილდი. ეს ოთხი. და, ბოლოს, მეხუთე: სწორედ ახლახანს, ჩვენს თვალწინ, ბრალდებულმა სცადა გაქცევა, რითაც საბოლოოდ გამოამჟღავნა თავი. მგონი, არაფერი გამომრჩენია...

- არის მეექვსეც, - ჩაურთო კომისარმა. – არ შეუძლია განმარტება მოგვცეს რომელიმე პუნქტზე მაინც.

- კარგი, იყოს ექვსი, - იოლად დაეთანხმა რუსი.

გოშმა გაიცინა^

- მე მგონი, საკმარისზე მეტია იმისათვის, რომ ნებისმიერმა სასამართლომ გილიოტინაზე გაუშვას.

ინსპექტორმა ჯეკსონმა მოულოდნელად დაუკანტურა თავი და წაიბურტყუნა:

- თო ტჰე გალლოფს.

- არა, სახრჩობელაზე, - შეაწყვეტინა რენიემ.

ოხ, ინგლისელო, შე სულძაღლო! გველი გამიზრდია უბეში!

- მაგრამ ნება მომეცით, - გაბრაზდა გოში. – გამოძიებას ფრანგული მხარე აწარმოებდა. ასე რომ, ყმაწვილი გილიოტინაზე წავა!

- ხოლო გადამწყვეტი მტკიცებულება, სკალპელის არარსებობა, ბრიტანულმა ძიებამ აღმოაჩინა.

სახრჩობელაზედ წავა, - თარგმნა ლეიტენანტმა.

- მთავარი დანაშაული პარიზშია ჩადენილი! გილიოტინაზე!

- მაგრამ ლორდ ლიტლბი – ბრიტანეთის ქვეშევრდომია. პროფესორი სვიტჩაილდიც. სახრჩობელაზე.

თითქოს იაპონელს არ ესმოდა ეს დისკუსია, რომელიც შეიძლებოდა საერთაშორისო კონფლიქტში

გადაზრდილიყო. თავები კვლავინდებურად დახუჭული ჰქონდა, სახე არაფერს გამოხატავდა. ეს

ყვითლები მაინც არ არიან ჩვენნაირები, გაიფიქრა გოშმა. მოდი ეხლა და იმათ ერიკავე: პროკურორი,

ადვოკატი, ნაფიცები, მოსამართეები მანტიებში. ანუ, რასაკვირველია, ყველაფერი სწორია, დემოკრატია

არის დემოკრატია, მაგრამ გლახურად რომ ვთქვათ, ეს არის 'ლორებს რომ დაუყარო მარგალიტი'.

პაუზის მერე ფანდორინმა ჰკითხა:

- დაასრულეთ კენჭისყრა? შემოდლია, გ-გავაგრძელო?

- შეუბერეთ, - კუმტად თქვა გოშმა, ბრიტანელებთან მოსალოდნელ ბატალიებზე ფიქრობდა.

- ისე გამსხვრეულ გოგრებსაც მოდი, ნუ განვიხილავთ. ეს ჯერ კიდევ არაფერსაც არ ამტკიცებს. მთელი ეს კომედია კომისარს უკვე სწყინდებოდა.
- კარგი. ნუ დავწვრილმანდებით.
- ჩ-ჩინებულა. რჩება ხუთი პუნქტი: მალავდა, რომ ექიმი; არა აქვს ემბლემა; არა აქვს სკალპელი; გაქცევას ცდილობდა; განმარტებებს არ იძლევა.
- და თიტოეული პუნქტი საკმარისია, რომ ყმაწვილი... ეშაფოტზედ გაამწესონ.
- საქმე ის გახლავთ, კომისარო, რომ თქვენ აზროვნებთ ევროპულად, ხოლო ბ-ბატონ აონოს სხვანაირი ლოგიკა აქვს, იაპონური, სადაც შედწევა თქვენ არ ჩათვალეთ საჭიროდ. მე კიდევ მქონდა პატივი, არაერთხელ მესაუბრა მასთან და მისი სულიერი მოწყობილობა უკეთ წარმომიდგენია, ვიდრე თქვენ. მუსიე აონო უბრალო იაპონელი კი არა, სამურაი გახლავთ, თანაც უ-უძველესი და გავლენიანი გვარიდან. მოცემულ შემთხვევაში ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ხუთასი წლის განმავლობაში აონოს გვარის მამაკაცები მხოლოდ მეომრები იყვნენ, სხვა დანარჩენი პროფესიები არაღირსეულად ითვლებოდა ა-ასეთი ცნობილი გვარის წევრებისთვის. ბრალდებული – მესამე შვილია ოჯახში. როცა იაპონიამ გადაწყვიტა შემხვედრი ნაბიჯი გადაედგა ევროპისკენ, მრავალმა დიდგვაროვანმა ოჯახმა დაიწყო შვილების გ-გაგზავნა სასწავლებლად საზღვარგარეთ. ასევე მოიქცა ბატონი აონოს მამაც. თავისი უფროსი შვილი ინგლისის გაუშვა, საზღვაო ოფიცერი რომ გამხდარიყო. საქმე ის გახლავთ, რომ საცუმა სათავადო, სადაც აონოს გვარი ცხოვრობს, იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს აწვლის კადრებს, და სწორედ საზღვაო სამსახური ითვლება საცუმაში ყველაზე პრესტიჟულად. თავისი მეორე შვილი მამა-აონომ გერმანიასი გააგზავნა, სამხედრო აკადემიასი. 1870 წლის ფრანკო-გემანიის ომის შემდეგ იაპონელებმა გადაწყვიტეს სამაგალითოდ ჰქონოდათ არმიის მოწყობის გერმანული ნიმუში, და ყველა სამხედრო მრჩეველი გერმანელი ჰყავთ. ეს ცნობები აონოების ოჯახზე თავად ბრალდებულმა გამაგებინა.
- მაგრამ აბა, რა ჯანდაბად გვინდა ყველა ამ არისტოკრატიული წვრილმანების ცოდნა? – წყენით შეეკითხა გომი.
- მე ყურადღება მივაქციე, რომ თავის წინაპრებზე და უფროს მ-ძმებზე ბრალდებული სიამაყით ჰყვება? საკუთარ თავზე კი, ამჯობინებს, არაფერი თქვას. მე დიდი ხანია შევამჩნიე, რომ სენ-სირის კურსდამთავრებულისთვის მუსიე აონო საკვირველად გაუცნობიერებელია სამხედრო საქმეებში. და ისედაც, რატომ გააგზავნიდნენ ფრანგულ სამხედრო აკადემიასი, თუკი თავადვე ამბობს, რომ იაპონური არმია შენდება გ-გერმანული ნიმუსის მიხედვით? ჩემი ვარაუდი მომდინარეობს შემდეგიდან. ეპოქის ქართა ქროლვას აყოლილმა მამა-აონომ გადაწყვიტა თავისი მესამე შვილსთვის მეტად მშვიდობიანი პროფესია მიეცა – ექიმად ექცია. რამდენადაც წიგნებიდან ვიცი, იაპონიაში მ-მიღებული არ არის ოჯახის მეთაურის წინააღმდეგ წასვლა, და ბრალდებული მორჩილად წავიდა სამედიცინი ფაკულტეტზე სასწავლებლად. თუმცა ამასთან ერთად მეტად უბედურად და შერცხვენილადაც კი გრძნობდა თავს. აონოების მეომარი გვარის ჩამომავალი იძულებულია ბინტებს და ო-ოყნის ბუნიკებს მიხედოს! აი, რატომ წარმოგვიდგა სამხედროდ. უბრალოდ, შერცხვა ელიარებინა თავისი არარაინდული პროფესია. ევროპული შეხედულებით, ეს სისულელეა, მაგრამ ეცადეთ ამ საქმეს მისი თ-თვალთ შეხედოთ. როგორ იგრძნობდა თავს თქვენი თანამემამულე დ'არტანიანი, მუშკეტრის მოსასხამზე რომ ოცნებობდა და ამის მაგივრად ექიმებში მოხვედრილიყო? გომმა დაინახა, რომ იაპონელი შეიცვალა. თვალები გაახილა და ფანდორინს დაუფარავი მღელვარებით უყურებდა, ლოყებზე კი წითელი ლაქები დაეტყო. წითლდება? რა მიქარვაა!
- აჰ, როგორი სინაზეა, - ჩაიფრუტუნა გომმა. – მაგრამ არ ავუშარდები. აბა, მუსიე-დმცველო, ემბლემაზედ მომიყევით. სად დაკარგა თქვენმა მორცხვმა დასაცავმა? გაკეთების შერცხვა?
- თქვენ აბსოლუტურად მართალი ხართ, - წინააღმდეგობის გარეშე დაეთანხმა თვითმარქვია ადვოკატი. – სწორედაც რომ მ-შერცხვა. ხედავთ, რა წერია ამ ნიშანზე?

გოშმა საყელოზე დაიხედა.

- აქ არაფერი ისეთი არ წერია. მხოლოდ სანაოსნოს სამი დასაწყისი ასო `ჯასპერ-არტო-პარტენერშიპო`.

- სწორია. – ფანდორინმა სამი დიდ ასო მოხაზა ჰარში. – ჟ-A-P. გამოდის `ჯაპუ`. ეს დამცინავი მეტსახელია, რომელსაც უცხოელები ეძახიან იაპონელებს. აი, თქვენ, კომისარო, თანახმა იქნებოდით, გეტარებინათ ემბლემა წარწერით `ბაყაყიჭამია`?

კაპიტანმა კლიფმა უკან გადააგდო თავი და რიხიანად ახარხარდა. მჭავესახიანმა ჯეკსონმაც და მეტისმეტად თავდაჭერილმა მისის სტამპმაც კი გაიცინეს. სამაგიეროდ, იაპონელს უფრო გაუფართოვდა წითელი ლაქები.

გოშს კი ავმა წინათგრძნობამ მოუწურა გული. ხმაში არასოლიდური ხრინწი შეეპარა:

- Dდა თავად არ შეეძლო ამისი ახსნა?

- ეს შეუძლებელია. იცით, რამდენადაც წ-წაკითხული წიგნებიდან შევიტყვე, ძირითადი განსხვავება ევროპელებსა და იაპონელებს შორის არის სოციალური ქცევის ზნეობრივი საფუძველი.

- ეს რაღაც მეტისმეტად ჭკვიანურია, - შენიშნა კაპიტანმა.

დიპლომატი მას მიუბრუნდა:

- სულაც არა. ქრისტიანული კულტურა აგებულია დანაშაულის გრძნობაზე. შეცოდება ცუდია, იმიტომ რომ მ-მერე მონანიებით დაიტანჯები. დანაშაულის გრძნობას რომ გაექცეს, ჩვეულებრივი ევროპელი ცდილობს ზნეობრივად მოიქცეს. სწორედ ასევე ცდილობს იაპონელიც არ დაარღვიოს ეთიკური ნორმები, მაგრამ სხვა მიზეზის გამო. მათ საზოგადოებაში მორალური შემაკავებლის როლს სირცხვილი ასრულებს.

იაპონელისთვის ყველაზე ცუდია, სამარცხვინო მ-მდგომარეობაში აღმოჩნდეს, საზოგადოებამ მისი განსჯა დაიწყოს, ანდა, უფრო უარესი, დასცინონ. ამიტომ იაპონელს ძალიან ეშინია რაიმე უხერხულობის ჩადენა.

გარწმუნებთ: საზოგადოებრივი ცივილიზატორის როლში სირცხვილი უფრო ეფექტურია, ვიდრე სინდისი. მუსიე აონოს შეხედულებით, სრულიად წარმოუდგენელია `სამაეცხვინოზე~ ლაპარაკი, თანაც უცხოებთან.

სამხედრო პირად კი არა, ექიმად ყოფნაა სამარცხვინო. გამოტყდე, რომ იცრუე, უფრო სამარცხვინოა. იმის დაშვება, რომ ის, იაპონელი სამურაი, ტუნდაც უბრალო ყურადღებას აქცევს საწყენ მეტსახელს, - ეს იმთავითვე გამორიცხულია.

- გმადლობთ ლექციისთვის, - თავი ირონიულად დაუკრა გოშმა. – დაცვას რომ გაქცეოდა, ამასაც სირცხვილისგან ცდილობდა?

- That's the point (`ამაშია საქმე~ - ინგლ.), - მხარი დაუჭირა ჯეკსონმა, მტრიდან კვლავ მოკავშირედ რომ იქცა.

-The yellow bastard almost broke my wrist (`ამ ყვითელმა ნამირალამ კინაღამ მაჯა მომტეხა~ - ინგლ.).

- ისევ გამოიცანით, კ-კომისარო. ორთქლმავლიდან გაქცევა შეუძლებელია, თანაც სად წახვალ. რაკი თავისი მდგომარეობა გამოუვალად ჩათვალა და წინ მხოლოდ ახალ-ახალ დამცირებებს მოელოდა, ჩემს დასაცავს (თუკი ინებებთ ასე მოვიხსენიო), ალბათ, უნდოდა კაიუტაში ჩ-ჩაკეტილიყო და თავი მოეკლა სამურაების წესით. მართალია, მუსიე აონო? – ფანდორინმა პირველად მიმართა იაპონელს.

იმან არ უპასუხა, თუმცა თავი ჩაღუნა.

- იმედგაცრუება გელოდათ, - რბილად უთხრა დიპლომატმა. – თქვენ, ალბათ, გაიგონეთ: თქვენი სარიტუალო ხ-ხანჯალი პოლიციამ ამოიღო ჩხრეკისას.

- აა, თქვენ იმაზე ამბობთ, ხირაკირზე, ხარიკარზე, - უღვაშებში ჩაიცინა გოშმა. – სისულელა, არა მჯერა, რომ კაცმა თავისით გამოიღადროს მუცელი. ზღაპრებია. თუკი იმქვეყნად მიგეჩქარება, უკეთესია კედელს დაეჯახო თავით. მაგრამ აქ არ გამოგეკიდებით. მე მაქვს მტკიცებულება, რაზედაც ვერ დამამუნათებთ – მის ინსტრუმენტებში სკალპელის უქონლობა. ამაზე რას იტყვით? რაო, ნამდვილმა დამნაშავემ თქვენს დასაცავს წინდაწინ მოჰპარა სკალპელი, რაკი დანაშაულის ჩადენას აპირებდა და პასუხისმგებლობა აონოს დააკისრა? არ გამოდის! საიდან უნდა სცოდნოდა მკვლელს, რომ პროფესორი სწორედ სადილზე გაგვიზიარებდა თავის აღმოჩენას? თავად სვიტჩაილდიც იქვე მიხვდა, თუ რა ფოკუსი იმალება იმ

ქალაქიაში. გახსოვთ, როგორი გაბურძენილი შემოვარდა სალონში?

- სკალპელის უქონლობა ჩ-ჩემთვის ძალიან იოლია. თანაც ეს ვარაუდების სფეროდან კი აღარაა, არამედ ფაქტია. გახსოვთ, პორტ-საიდის შემდეგ კაიუტებიდან გამოუცნობად რომ იკარგებოდა ნივთები? მერე ეს საიდუმლო ქურდობა ისევე მოულოდნელად შეწყდა, როგორც დაიწყო. და იცით როდის? ჩვენი შავკანიანი უ-უბილეთოს სიკვდილის შემდეგ. მე ბევრი ვიფიქრე, რატომ და რანაირად აღმოჩნდა ის კაცი 'ლევიათანზე', და აი ჩემი ვერსია. ეს ზანგი, ალბათ, არაბმა მონათვაჭრებმა ჩამოიყვანეს აფრიკის სიღრმიდან, თანაც პორტ-საიდში მოიყვანეს ზღვიდან. რატომ მ-მგონია ასე? იმიტომ, რომ ის ზანგი თავის უფროსებს გამოეყცა და სხვაგან კი არ წასულა, ხომალდზე დაიმალა. ეტყობა, სჯეროდა, რომ რაკი ხომალდმა წამოიყვანა შინიდან, ესე იგი, შეუძლია უკანაც წაიყვანოს.

- ეს რა შუაშია ამ ჩვენს საქმესთან? – ვეღარ მოითმინა გოშმა. – ის თქვენი ზანგი ხუთ აპრილს მოკვდა, სვიტჩაილდი კი გუშინ მოკლეს! და საერთოდ, ეშმაკებშიც წასულხართ თქვენი ზღაპრებიანად! ჯეკსონ, წაიყვანეთ პატიმარი!

და მტკიცედ გასწია გასასვლელისკენ, მაგრამ დიპლომატმა უცებ მაგრად დაიჭირა კომისარი იდაყვით და საძაგელი თავაზიანობით თქვა^

- ძვირფასო მუსიე გოშ, მინდოდა, ჩემი არგუმენტაცია ბოლომდე მ-მიმეყვანა. ცოტაც მოითმინეთ, ბევრი აღარ დარჩა.

გოშს განთავისუფლება უნდოდა, მაგრამ ამ ძუზუმწოვარას ფოლადის თითები აღმოაჩნდა. ერთხელ გაიწია, მეორედ და მამებარმა გადაწყვიტა, თავი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეგდო და ფანდორინისკენ მოტრიალდა.

- კარგი, კიდევ ხუთი წუთი, - გამოცრა გოშმა, სიძულვილით უყურებდა ამ თავხედს წყნარ, ცისფერ თვალებში.

- გ-გმადლობთ. თქვენი ბოლო მტკიცება რომ გავაბათილო, ხუთი წუთი სავსებით საკმარისია... მე ვიცოდი, რომ ლტოლვილს სადმე ორთქლმავალზე ბუნაგი უნდა ჰქონოდა. თქვენგან განსხვავებით, კაპიტანო, მე ტრიუმებიდან და ქვანახშირის სათავსოებიდან კი არა, ზედა გ-გემბანიდან დავიწყე. 'შავ ადამინას' ხომ მხოლოდ პირველი კლასის მგზავრები ხედავდნენ. მართებული იყო მევარაუდა, რომ ის სადღაც აქ იმალება. და მართლაც, გემის ცხვირიდან მესამე კანჯოში, მარჯვენა ბორტისკენ ვიპოვე ის, რასაც ვეძებდი: ნასუფრალი და ფუთა ნივთებით. იქ იყო რამდენიმე ფერადი ჩვარი, მძივის ძაფი და ყველანაირი მზრწყინავი საგანი – სარკეები, სექსტანტი, პენსნე და, მათ შორის, დიდი სკალპელი.

- თქვენ რატომ უნდა დაგიჯეროთ? – მოუჭრა გოშმა. პირდაპირ თვალწინ ენგრეოდა აწყობილი საქმე.

- იმიტომ, რომ მე ვარ ინტერესის არმქონე პირი და მ-მზად ვარ, ნაფიცო მსაჯულების წინაშე დავადასტურო ჩემი ჩვენება. ნებას მომცემთ, გავაგრძელო? – რუსმა თავისი გუკლისამრევი ღიმილით გაიღიმა. –

გმადლობ. ეტყობა, ის საწყალი ზანგი კარგი მეურნე იყო და სახლში ცარიელი ხელებით არ აპირებდა დაბრუნებას.

- მოიცა-მოიცა! – მოიღრუბლა რენიე. – მუსიე ფანდორინ, რატომ არაფერი გვითხარით ამ აღმოჩენაზე კაპიტანს და ჩვენ? რა უფლება გქონდათ, რომ ეს დაგემალათ?

- არ დამიმალია. ფუთა იქვე დავტოვე. ხოლო როცა რამდენიმე საათის შემდეგ კანჯოსთან დავბრუნდი, ეს უკვე ძებნის დამთავრების შ-შემდეგ, ფუთა იქ აღარ იყო. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ის თქვენმა მატროსებმა იპოვეს. ახლა კი გამოდის, რომ პროფესორის მკვლელობა დაგასწროთ. ზანგის მთელი ნადავლი, მათ შორის მუსიე აონოს სკალპელისც, იმას შეხვდა. ეტყობა, დამნაშავე ითვალისწინებდა შესაძლებლობას... უკიდურესი ზომებისა და ყოველი შემთხვევისთვის სკალპელიც ჰქონდა – გამოძიება რომ მცდარ კვალზე დაეყენებინა. მითხარით, მუსიე აონო, თქვენ მოგპარეს სკალპელი?

იაპონელი შეეყოვნდა და უხალისოდ დაუქნია თავი.

- და არაფერი გითქვამთ ამის თაობაზე, რადგან საიმპერატორო არმიის ოფიცერს ს-სკალპელი საიდან უნდა

ჰქონოდა, არა?

- სექსტანტი ჩემი იყო! – გამოაცხადა ჟღალთმიანმა ბარონეტმა. – მე მეგონა, რომ... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს. აღმოჩნდა, რომ ველურმა მომპარა. ბატონებო, თუკი ვინმეს ჩემი სექსტანტით გაუპოებენ თავის ალას – მე არაფერ შუაში ვიქნები.

ეს სრული კრაზი იყო. დაბნეული გოში ჯეკსონს მიაჩერდა.

- ძალიან ვწუხვარ, კომისარო, მაგრამ მოგზაურობა უნდა გააგრძელოთ, - ფრანგულად თქვა ინსპექტორმა და თანაგრძნობით მუკუმა თხელი ტუჩები. – My apologies, Mr. Aono. If you just stretch your hands... Thank you (‘ბოდიშს გიხდით, მისტერ აონო. თუ შეიძლება, ხელები გამომიწოდეთ... გმადლობ~ - ინგლ.).

საწყალობლად გაიჟღარუნეს ხელბორკილებმა.

ჩამომდგარ სიჩუმეში ზარივით გაისმა რენატა კებერის შეშინებული ხმა:

- ბატონებო, მაშინ ვინ არის მკვლელი?

მესამე ნაწილი

ბომბეი – პოლკსის სრუტე

გინტარო აონო (ეს თავი გაყოფილია ორად და შებრუნებულია)

მეოთხე თვის მეთვრამეტე დღე

ჩანს ინდოეთის ნახევარკუნძულის სამხრეთული კიდეები

მესამე დღეა, რაც ბომბეიდან გამოვედით, მე კიდეც მთელი ეს დრო ჩემი დღიური არ გადამიშლია. ასეთი რამ პირველად დამემართა, მე ხომ მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ყოველდღე მეწერა. მაგრამ შესვენება განზრახ მოვაწყვე. თავზე დამტყდარ გრძნობებსა და აზრებში უნდა გავრკვეულიყავი.

ჩემში მომხდარი გადატრიალების მთელ არსს ყველაზე უკეთ ეს ჰაიკუ გადმოსცემს, რომელიც მასინ დაიბადა, როცა პოლიციის ინსპექტორმა რკინის ბორკილი მომხსნა.

ღამით მარტო ფრენს

ციცინათელა.

მაგრამ ცაში ხომ ვარსკვლავებია.

მაშინვე მივხვდი: ეს ძალიან კარგი ლექსია, ყველაზე უკეთესი, რაც კი აქამდე დამიწერია? მაგრამ მისი აზრი ნათელი არ არის და ახსნას ითხოვს. სამი დღე ვფიქრობდი, საკუთარ თავს ვაყურადებდი და, მგონი, ბოლოს მივხვდი.

მე დამემართა ის დიადი საოცრება, რაზეც ყველა ადამიანი ოცნებობს – სატორი განვიცადე, ანუ როგორც ამ ნეტარ მდგომარეობას ეძახდნენ ძველი ბერძნები, კათარსისი. რამდენჯერ გამიმეორა დამრიგებელმა, რომ თუკი მოვა, სატორი მოვა თავისით, წინათგრძნობისა და გაფრთხილებების გარეშე! კაცი შეიძლება მართალი და ბრძენი იყოს, მაძენის პოზაში იჯდეს დღეში მრავალი საათი, წაიკითხოს წმინდა სიტყვების მთები, მაგრამ ისევე მოკვდება გაუნათებელად; არადა ვიღაც უსაქმურს, სულელურად და უაზროდ რომ გაატარა ცხოვრება, უცებ გამოეცხადება მთელი თავისი დიდებული ბრწყინვალეობით და უცებ შეუცვლის უაზრო არსებობას! სწორედ მე ვარ ის უსაქმური. გამიმართლა. ოცდაშვიდი წლისა ხელახლა დავიბადე. განათება და განწმენდა სულიერი და ფიზიკური კონცენტრაციის მომენტში კი არ მომივიდა, არამედ იმ დროს, როცა გასრესილი, საწყალი და არარაობა ვიყავი? როცა ჩემგან მხოლოდ გარსიღა დარჩა, როგორც გამსკდარი საჰაერო ბუმტიდან. მაგრამ გაირღჷიალა ბრიყვმა რკინამ, ჩემი გარდაქმნის ინსტრუმენტმა და

უცებ აუწერელი სიცხადით ვიგრძენი, რომ მე – მე არა ვარ, არამედ... არა, ასე არა. რომ მე – მარტო მე კი არა, არამედ სხვა უამრავი სიცოცხლეც ვარ. რომ მე – მხოლოდ ვიღაც გინტარო აონო კი არა ვარ, მისი უდიდებულესობა თავად სიმამუს უფროს მრჩველის მესამე შვილი, არამედ პატარა, მაგრამ არანაკლებად ძვირფასი ნაწილი მთლიანისა. მე ვარ ყველაფერში და ყველაფერი არის ჩემში. რამდენჯერ მომისმენია ეს სიტყვები, მაგრამ მე გავიგე, არა, ვიგრძენი ეს სიტყვები მხოლოდ მეოთხე თვის თხუთმეტ რიცხვში, მეიძის მეთერთმეტე წელს, ქალაქ ბომბეში, უშველებელი ევროპული ორთქლმავლის ბორტზე. მართლა უცნაურია უფლის ნება.

რაში მგომარეობს ჩემში ინტუიტიურად გაჩენილი სამსტროფედის აზრი? ადამიანი – მარტოხელა ციციანათელაა ღამის უკიდევანო წყვილიაღმში. მისი სინათლე ისეთი მცირეა, რომ ცივრცის სულ მცირე ნაწილს ანათებს. ირგვლივ კი სიცივე, სიბნელე და შიშია. მაგრამ თუკი შეშინებულ მზერას ქვემოთ მდებარე მიწას მოაცილებ და მაღლა აიხედავ (სულ ოდნავ უნდა ასწიო თავი!), დაინახავ რომ ცა ვარსკვლავებით არის დაფარული. ისინი თანაბრად მოკაშკაშე მარადიული შუქით ანთია. შენ სიბნელესი მარტო არა ხარ. ვარსკვლავები – შენი მეგობრები არიან და არ მიგატოვებენ გასაჭირში. ცოტა მოგვიანებით კი სხვა რამესაც, არანაკლებ მნიშვნელოვანსაც გაიგებ: ციციანათელაც ვარსკვლავია, ისეთივემ როგორც ყველა დანარჩენი. ცაში მყოფებიც ხედავენ შენს შუქს და ეს ეხმარებათ აიტანონ სამყაროს სიცივე და წყვილიაღი.

ალბათ, ჩემი ცხოვრება არ შეიცვლება. ისეთივე ვიქნები, როგორც ადრე – ამაო, უთავბოლო, ვნებებს დამორჩილებული. მაგრამ ჩემი სულის სიღრმეში ყოველთვის იარსებებს ღირსეული ცოდნა. ის გადამარჩენს და დამეხმარება რთულ მომენტებში. მე პატარა გუბე აღარ ვარ, რომელიც ძლიერმა ქარმა შეიძლება წვეტებად გაფანტოს მიწაზე. მე ოკეანე ვარ და ქარიშხალი? ყოვლის დამანგრეველ ცუნამად რომ გადაივლის ჩემს ზედაპირზე, ვერ შეეხება ჩემი სიღრმის საგანძურს.

როცა ბოლოსდაბოლოს ეს გავიგე და სული სიხარულით ამევსო, ისიც გავიხსენე, რომ სათნოებათგან უდიადესი – მადლიერებაა. პირველი იმ ვარსკვლავთაგან, ვინაც იმ წკვარამიდან დავინახე ფანდორინ-სანის იყო. სწორედ მისის მეოხებით შეიქმნა ჩემთვის ნათელი, რომ მე, გინტარო აონო სულერთი არა ვარ სამყაროსთვის და რომ დიადი ნათელი არ მიმატოვებს გასაჭირში.

მაგრამ როგორ უნდა ავუხსნა სხვა კულტურის ადამიანსმ რომ ჩემი საუკუნო ონძინია? ამისთანა სიტყვა ევროპულ ენებში არ მოიპოვება. დღეს სითამამე მოვიკრიბე და ამაზე დაველაპარაკე, მაგრამ, მგონი, ამ საუბრიდან არაფერი გამოვიდა.

ფანდორინ-სანს კანჯოების გემბანზე ველოდებოდი, ვიცოდი, რომ ზუსტად რვა საათზე მოვა აქ თავისი გირებით.

როცა თავის ზოლებიან ტრიკოში გამოკვალთული გამოჩნდა (უნდა ვუთხრა, რომ ფიზიკური ვარჯიშისთვის უკეთესია შემოკვალთული კი არა, ხალვათი სამოსელი), მივედი და მდაბლად დავუკარი თავი. `რა მოგივიდათ, მუსიე აონო? – მკითხა გაოცებულმა. – რატომ მოიხარეთ და აღარ სწორდებით?` ასეთ პოზაში საუბარი არ გამოვიდოდა და გავიმართე, თუმცა, ამგვარ სიტუაციაში, რასაკვირველია, საჭირო იყო უფრო დიდხანს გამეგრძელებინა თავდახრა. `ამით ჩემს უსაზღვრო მადლიერებას გამოვხატავ, - მივუგე მღელვარებით. `ოჰ, მორჩით ერთი, - დაუდევრად გაიქნია ხელი. ეს ქესტი ძალიან მომეწონა – ამით ფანდორინ-სანს უნდოდა შეემცირებინა თავისი კეთილი საქმის ზომა და თავისი მევალე მეტისმეტი მადლიერების გრძნობისგან გაენთავისუფლებინა. მის ადგილზე ასევე მოიქცეოდა ნებისმიერი კეთილშობილი იაპონელი. მაგრამ ეფექტი საპირისპირო იყო – ჩემი სული უფრო მეტი მადლიერებით აღივსო. მე ვუთხარი, რომ ამიერიდან მის ვალში ვარ, რომელსაც ვერ გადავიხდი. `რომელ გადაუხდელ ვალში, - მხრები აიჩეჩა. – უბრალოდ ამ თვითკმაყოფილი ინდაურის ადგილზე მოჯენა მინდოდა.`

(ინდაური – ეს ერთგვარი მახინჯი ამერიკული ფრინველია, სასაცილოდ დაიარება, თავისი დიდმნიშვნელოვნებით აღსავსე; გადატანითი აზრით – გაფხორილი და ბრიყვი ადამიანი). მე კვლავაც

მომეწონა თანამოსაუბრის დელიკატურობა, მაგრამ აუცილებლად უნდა ამეხსნა, რა ბევრით ვარ დავალებული მისგან. `გმადლობთ? ჩემი უაზრო სიცოცხლე რომ იხსენით, - ისევ თავი დაფუკარი. – სამმაგი მადლობა იმისთვის, რომ ჩემი ღირსება გადაარჩინეთ. უსაზღვრო მადლობები იმისთვის, რომ მესამე თვალი გამიხილეთ, რომლითაც იმასაც ვხედავ, რასაც ადრე ვერ ვხედავდი~. ფანდორინ-სანმა შემხედა (როგორც მე მომეჩვენა, ოდნავი შიშით) შუბლზე, თითქოს ელოდა, რომ იქ სწორედ ახლა გაიხსნება და ახამხამდება კიდევ ერთი თვალი.

ვუთხარი, რომ ის არის ჩემი ონძინი, რომ ამიერიდან ჩემი სიცოცხლე იმას ეკუთვნის, რითაც, მე მგონი, უარესად შევაშინე. `ო, როგორ ვოცნებობ იმაზე, რომ თქვენ სასიკვდილო საფრთხეში აღმოჩნდეთ, მე კი გადაგარჩენთ – როგორც თქვენ გადამარცხნით!~ - შევძახე მე. იმან პირჯვარი გადაისახა და თქვა: `არ ვისურვებდი. თუ არ შეწუხდებით, იოცნებეთ, თუ შეიძლება, სხვა რამეზე~.

საუბარი არაფრისდიდებით გამოგვიდოდა. მე თავგანწირულად შევყვირე: `იცოდეთ, რომ თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებ!~ და ჩემი ფიცი დავაზუსტე, რომ შემდგომში გაუგებრობა არ ყოფილიყო: `თუკი ეს არ ავნებს მის უდიდებულესობას, ჩემს ქვეყანას და ჩემი ოჯახის ღირსებას~.

ჩემმა სიტყვებმა ფანდორინ-სანში უცნაური რექცია გამოიწვია. გაიცინა! არა, მე ალბათ, ვერასოდეს გავუგებ წითელთმიანებს. `მაშ, კარგი, - მითხრა ხელის ჩამორთმევისას. – რაკი თქვენსას არ იშლით, ასე იყოს.

კალკუტიდან იაპონიისკენ ალბათ ერთად გავცურავთ. შეგიძლიათ იაპონური ენის გაკვეთილებით დამიბრუნოთ ვალი~.

სამწუხაროდ, ეს ადამიანი სერიოზულად არ მიღებს. მე ვისურვებდი დავმეგობრებოდი? მაგრამ ფანდორინ-სანს ჩემზე მეტად მთავარი შტურმანი ფოქსი აინტერესებს, შეზღუდული და უგნური კაცი. ჩემი კეტილისმყოფელი დიდ დროს ატარებს ამ ყბედის კომპანიაში, ყურადღებით ისმენს მის ტრახხს საზღვაო თავგადასავლებზე და სასიყვარულო ამბებზე, ფოქსთან ერთად ვახტზეც კი დაიარება! სიმართლე რომ ითქვას, ეს გულს მიკლავს. დღეს იმის მოწმეც ვიყავი, როგორ უხატავდა ფოქსი თავის რომანს ნაგასაკელ `იაპონელ არისტოკრატთან~. პატარა მკერდზეც მოუყვა, წითელ ტუჩებზეც, და ამ `მინიატურული თოჯინის~ სხვა რამეებზეც. ალბათ, რომელიმე იაფფასიანი კახა იყო მატროსების კვარტალიდან. გოგონა კარგი ოჯახიდან ბარბაროსს ხმასაც კი არ გასცემს! ყველაზე საწყენი ის არის, რომ ფანდორინ-სანი ამ ბოდვას დაუფარავი ინტერესით უსმენდა. მე უკვე ჩარევას ვაპირებდი, მაგრამ ამ დროს კაპიტანი რენიე მოვიდა და ფოქსი რაღაც საქმეზე გააგზავნა.

ჰო, მართლა! მე არ დამიწერია ხომალდის ცხოვრებაში მომხდარ ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე!

ციცინათელას მაინც აბრმავეებს თავისი პატარა ნათება, ხელს უშლის დაინახოს ნამდვილი პროპორციები მის ირგვლივ.

ამასობაში ბომბებიდან გამოცურვის წინ ისეთი ტრაგედია მოხდა, რომ იმასთან ჩემი განცდები უმნიშვნელოა.

დილის ცხრის ნახევარზე, როცა ორთქლმავალი უკვე ღუზას იღებდა და ბაგირების ასახსნელად ემზადებოდა, კაპიტან კლიფს სანაპიროდან დეპეშა მოუტანეს. მე გემბანზე ვიდექი და ბომბეის ვუყურებდი – ქალაქს, რომელმაც ჩემს ბედისწერაში ასეთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მიხლოდა, ეს პეიზაჟი სამუდამოდ აღბეჭდილიყო ჩემს გულში. აი, რატომ აღმოვჩნდი მომხდარის მოწმე.

კაპიტანმა დეპეშა წაიკითხა და სახე უცაბედად შეეცვალა. ამის მსგავსი არაფერი მინახავს! თითქოს თეატრ ნოს მსახიობმა მრისხანე მეომრის ნილაბი მოიხსნა და უზომო მწუხარების ნილაბი მოირგო. ზღვის მგლის ნაქარალი, უხეში სახე ათრთოლდა. კაპიტანმა ამოიკვნესა თუ აქვითინდა და გემბანზე აწრიალდა. "oh god! – შეპყვირა ხრინწიანი ხმით. - My poor girl!" (`ო, ღმერთო! ჩემი საბრალო გოგონა!~ - ინგლ.). და ხიდურიდან ქვემოთ გავარდა – როგორც მერე გაირკვა, თავის კაიუტაში.

გაცურვის სამზადისი შეჩერდა. საუბრე ჩვეულებრივ დაიწყო, მაგრამ ლეიტენანტი რენიე დაყოვნდა. ყველა კაპიტნის უცნაურ საქციელზე ლაპარაკობდა, მარჩიელობდნენ – რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმ დეპეშაში.

პირველმა თანაშემწემ მაშინ შემოიხედა სალონში, როცა ტრაპეზი დასასრულს უახლოვდებოდა. რენიე-სანს განაწყენებული სახე ჰქონდა. როგორც აღმოჩნდა, კლიფ-სანის ერთადერთი ქალიშვილი (უკვე ვწერდი, რომ კაპიტანს მისთვის არაფერი ენანება) ძალიან დაიწვა მის პანსიონში მომხდარი ხანძრის დროს. ექიმები შიშობენ, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია. ლეიტენანტმა თქვა, რომ მისტერ კლიფი მდგომარეობიდან არის გამოსული. გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ წავიდეს `ლევიათანიდან` და პირველსავე პაკეტბოტს გაჰყვას ინგლისში. ამტკიცებს, რომ თავისი შვილის გვერდით უნდა იყოს. ლეიტენანტი სულ იმეორებდა: `ახლა რა მოხდება? რა დაწყველილი რეისია!` ჩვენ ვაწყნარებდით, როგორც შეგვეძლო.

ვადიარებ, კაპიტანის გადაწყვეტილებით არცთუ კმაყოფილი ვიყავი. მისი მწუხარება ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ადამიანს, რომელსაც საქმე ანდეს, უფება არა აქვს, იხელმძღვანელოს პირადი გრძნობებით. განსაკუთრებით – თუ ის კაპიტანია და ხომალდი მიჰყავს. რა დაემართება საზოგადოებას, თუკი იმპერატორი ან პრეზიდენტი ანდა პრემიერ-მინისტრი რიპადულს საზოგადოებზე მაღლა დააყენებენ? იქნება ქაოსი, ხოლო ხელისუფლების აზრი და მოვალეობა ის არის, ქაოსს ებრძოდეს და მხარი დაუჭიროს ჰარმონიას.

მე ისევ გემბანზე გავედი, რათა მენახა, თუ როგორ ტოვებს მისტერ კლიფი თავისზე რწმუნებულ ხომალდს. და უზენაესმა ახალი გაკვეთილი ჩამიტარა, თანაგრძნობის გაკვეთილი.

წელში მოხრილი კაპიტანი თან მიდიოდა, თან გარბოდა ტრაპეზე. ხელში საგზაო ჩანთა ეჭირა, უკან მატროსი მისდევდა ერთადერთი ჩემოდნით. ნავმისადგომზე კაპიტანი შედგა, `ლევიათანისკენ` შემოტრიალდა, და მე დავინახე, რომ მისი განიერი სახე ცრემლებით იყო აბრწყინებული. მომდევნო წამს შეტორტმანდა და პირქვე დაეცა.

მე წაქცეულისკენ გავიქეცი. თუკი წყვეტილი სუნთქვითა და კიდურების კრუნჩხვითი მოძრაობებით ვიმსჯელებთ, უმძიმესი გემორაგიული ინსულტი აქვს. მოვარდნილმა ექიმმა ტრუფომ დაადასტურა ჩემი დიაგნოზი.

დიახ, ეს ხშირად ხდება, როცა ადამიანის ტვინი ვეღარ უძლებს ჭიდილს გულის ხმასა და მოვალეობის ძახილს შორის. მე დამნაშავე ვარ კაპიტან კლიფის წინაშე.

ავადმყოფი ჰოსპიტალში წაიყვანეს, ხოლო `ლევიათანი` კარგა ხნით შედგა ნავმისადგომთან. მომხდარისაგან განაცრიცვრებული რენიე-სანი ტელეგრაფში წავიდა ლონდონის სანაოსნოსთან მოსალაპარაკებლად. მხოლოდ შებინდებისას დაბრუნდა. ახალი ამბები ასეთი იყო: კლიფ-სანი გონს ვერ მოდის; ხომალდს დროებით უხელმძღვანელებს რენიე-სანი? კალკუტაში კი ახალი კაპიტანი ამოვა ბორტზე.

ბომბიდან ცხრა საათიანი დაგვიანებით გავცურეთ.

ეს დღეები თითქოს კი არ დავდივარ, დავფრინავ. მახარებს მზის ნათება, ინდოეთის სანაპიროს ლანშაფტი და დიდი ხომალდის გამოზომილი, საზეიმო ცხოვრება. სალონი `უინმორიც` კი, სადაც ადრე გულდარდიანი მივდიოდი, როგორც სატანჯველად, ახლა თითქმის მშობლიური გახდა ჩემთვის. მაგიდაზე მეზობლები სულ სხვანაირად მექცევიან – გაუცხოებული ზიზღისა და ეჭვიანობის გარეშე. ყველა ძალიან კეთილი და თავაზიანია, და მეც ადრინდელთან შედარებით სხვანაირად ვექცევი იმათ. კლებერ-სანიც კი, რომელიც მზად ვიყავი, საკუთარი ხელებით მომეხრჩო (საწყალი!), უკვე აღარ მეჩვენება აუტანლად. უბრალოდ, ახალგაზრდა ქალია, ემზადება, პირველად გახდეს დედა და მთლიანად შეპყრობილია ნაივური ეგოიზმით ამ თავისთვის ახალ მდგომარეობაში. გაიგო, რომ ექიმი ვარ, განუწყვეტილად მაძლევს სამედიცინო შეკითხვებს და უჩივის მსუბუქ უქეიფობას. ადრე მისი მსხვერპლი მხოლოდ ექიმი ტრუფო იყო, ახლა ორივე ვიბერებით. და ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ ეს მე სულაც არ მიმძიმს. პირიქით, ჩემი სტატუსი ახლა გაცილებით მაღლაა, ვიდრე იმ ხანაში, როცა ოფიცრად მთვლიდნენ. განსაცვიფრებელია!

`უინმორში` პრივილეგირებულ მდგომარეობაში ვარ. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ მედიკოსი ვარ, და,

როგორც გამოთქვა მისი ტრუფომ, პოლიციის თავნებობის innocent martyr (‘უდანაშაულო მსხვერპლი’ - ინგლ.). მთავარია – მე ნამდვილად არა ვარ დამნაშავე. ეს დამტკიცებულია და ოფიციალურად დადასტურებულიც. სწორედ ამით მოვსვდი უმაღლეს კასტაში – პოლიციის კომისართან და ახალგამომცხვარ კაპიტანთან ერთად (რომელიც, სხვათაშორის, ჩვენთან თითქმის აღარ არის ხოლმე – ძალიან დაკავებულია და სტიუარტს საჭმელი პირდაპირ ბოგურაზე მიაქვს მისთვის). ჩვენ სამნი ეჭვიტანილები არა ვართ, და ჩვენ არავინ მოგვაპყრობს შემინებულ და მალულ მზერას. მე მეცოდება მთელი ეს უინძორულო კომპანია, მართლა მეცოდება. ამასწინათ შეძენილი ჩემი სულიერი მზერით ნათლად ვხედავ იმასაც, რასაც სხვები ვერ ხედავენ, გამჭრიახი ფანდორინ-სანიც კი. ჩემს მეზობლებსი მკვლეელი არ არის. არც ერთი მათგანი არ მიესადაგება ბოროტმოქმედის როლს. ვუყურებ ამ ადამიანებს და ვხედავ: მათ აქვთ ნაკლოვანებები და სისუსტეები, მაგრამ იმისთანა უსისხლო ადამიანი, ვინც შეძლებდა უსულგულოდ გაეწყვიტა თერთმეტი უდანაშაულო ადამიანი და მათ შორის ორი ბავშვი, აქ არ არის. მე აუცილებლად დავიჭერდი იმის ბოროტ სუნთქვას. არ ვიცი, ვისი ხელით დაიღუპა სვიტჩაილდ-სენსეი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვიღაც სხვამ გააკეთა. კომისარი ცოთა შეცდა თავის ვარაუდებში: დამნაშავე ორთქლმავალზე არის, მაგრამ არაა ‘უინძორში’. შესაძლოა, კარის მიღმიდან გვისმენდა, როცა პროფესორმა თავის აღმოჩენაზე დაიწყო ლაპარაკი. გომ-სანი რომ ასეთი ჯიუტი არ ყოფილიყო და უინძორელებისთვის წინასწარი აკვიატებების გარეშე შეეხედა, მიხვდებოდა, რომ ტყუილად კარგავს დროს. მე გადავარჩევ ყველა ჩვენთანს. ფანდორინ-სანი. მისი უდანაშაულობა ცხადია. ასე რომ არ ყოფილიყო, ეჭვებს ამაცილებდა, მაშინ როცა ჩემი დანაშაული არავის აეჭვებდა? ცოლ-ქმარი ტრუფოები. ექიმი – ცოტა კომიკური, მაგრამ ძალიან კეთილი კაცია. ჭრიჭინასაც კი არ აწყენინებს. მისი ცოლი – ინგლისური წესიერების განსახიერებაა. ის ვერავის მოკლავდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მიღებული არ არის. მ.-ს.-სანი. უცნაური კაცია, სულ რაღაცას ბურდლუნებს ცხვირში და უკმეხიც არის ხოლმე, მაგრამ თვალეში ჩაყინული აქვს ღრმა და ჭეშმარიტი მწუხარება. ასეთი თვალეებით უგულო მკვლელობებს არ სჩადიან. კლებერ-სანი. აქ ყველაფერი ცხადზე ცხადია. ჯერ ერთი, ადამიანთა მოდგმას არა სჩვევია, რომ ქალმა, რომელიც ახალი სიცოცხლის გასაჩენად ემზადება, ასე ადვილად გადათელოს სხვათა სიცოცხლე. ორსულობა – იმისთანა საიდუმლოა, რომელიც გვასწავლის გავუფრთხილდეთ ადამიანის არსებობას. და მეორეც, მეცნიერის მკვლელობის დროს კლებერ-სანი პოლიციელის გვერდით იყო. და ბოლოს, სტამპ-სანი. მას არა აქვს ალიბი, მაგრამ წარმოიდგინო, რომ უკანიდან ეპარება ნაცნობს, პირს დაუმუწავს თავისი ვიწრო, სუსტი ხელით და მეორეთი კი ჩემს სკალპელს გაუყრის... სრული ბოდვაა. გამორიცხულია. თვალეები გამოიწმინდეთ, კომისარ-სან. ჩიხში ხართ.

რაღაც სუნთქვა მიჭირს. ქარიშხალი ხომ არ გვიახლოვდება?

კომისარი გომი

ამ წყეულმა უძილობამ მთლად თავი გაიგიჟა. მეხუთე ღამეა იტანჯება და რაც დრო გადის, მით უარესი. განთიადისკენ ჩაგვიძინება და – იმისთანა რამე დაგვისიზმრება, რომ ალლაპ, იმას ნუ აახდენ. მთლად

განადგურებული გამოიღვიძებ და ღამის ჩვენებებისგან გამოშტერებულ თავში ათასი სისულელე მოგდის. იქნება, მართლა დროა, რომ პენსიაზე გავიდეს? ყველაფერს მიაფურთხებდა, მაგრამ არ შეიძლება. ქვეყნად ამ ბედკრულ, მდაბიო სიბერეზედ უარესი არც არაფერია. ვიღაცა ნახევარმილიონ ფრანკიან საგანძურს უმიზნებს მოსაქაფად, შენ კიდევ, ბებერო, თვეში ას ოცდახუთად იცხოვრე.

საღამოდან ცა ციალით აჭრელდა, ქარმა დაუბერა ანძებს, და `ლევიათანიო` მძიმედ აქანავდა შავ, ღონიერ ზვირთებზე. გოში დიდხანს იწვა საწოლში და ჭერს მიშტერებოდა. ჭერი ხან მუქი იყო, ხანაც არაბუნებრივად თეთრი – ეს როცა ელავდა ხოლმე. გემბანზე წვიმა შხაპუნობდა, მაგიდაზე კოვზის წკარუნით აქეთ-იქით მიმოდიოდა დარჩენილი ჭიქა, რომელშიც მიქსტურა ესხა ავადმყოფი ღვიძლისათვის.

საზღვაო შტორმს გოში პირველად შეესწრო, მაგრამ არ ეშინოდა. ამხელა რამეს რა ჩაძირავს? კი, დაარწევს, კი, შეანჯღრევს და მერე გაუშვებს. უბედურება ის არის, რომ ეს ჭიქა-ქუხილი არ აძინებს. ის-ის არის ძილში უნდა წახვიდე და – ბრაბაახ-ბუუუუუხ!

მაგრამ, ეტყობა, მაინც დაიძინა, რადგან უცებ წამოჯდა საწოლზე. ვერ გაეგო, რა ხდებოდა. გული ცივად ფეთქავდა, რიხიანად, მთელი კაიუტის გასაგონად.

არა, ეს გული არ არის, კარზე აკაკუნებენ.

- კომისარო! (კაკ-კუკ-კაკ) კომისარო! (ბრახ-ბრუხ-ბრახ) გააღეთ! ჩქარა!

ეს ვისი ხმაა? ფანდორინის ხომ არა.

- ვინ არის? რა გინდათ? – დაიყვირა გოშმა, ხელი მკერდის მარცხენა მხარეს მიიჭირა. – რაო, გააფრინეთ?

- გააღეთ, ეშმაკმაც წაგილოთ!

ოჰო! ერთი უყურე, დიპლომატი როგორ ალაპარაკდა. ეტყობა, რაღაც ისეთი მოხდა, არცთუ სახუმარო.

- ახლავე!

გოშმა მორცხვად მოიძრო თავიდან ფუნჯიანი ჩაჩი (მოხუცმა ბლანშმა მოქსოვა), ხალათი მოიხურა, ფლოსტები მოითრია.

გაიხედა შეხსნილ კარში – მართლა ფანდორინია. სერთუკით, ჰალსტუხით, ხელსი ტროსტი უკავია ძვლის ბუნიკით. თვალები ანთებული აქვს.

- რა მოხდა? – დამაბული შეეკითხა გოში, უკვე იცოდა, რომ ღამის მომსვლელისგან რაიმე სისამაგლეს გაიგებს.

დიპლომატი მისთვის არა დამახასიათებელი მანერით ალაპარაკდა – წყვეტილად, ჩქარა და წაუბორძიკებლად.

- ჩაიცვით. იარაღი აიღეთ. კაპიტანი რენიე უნდა დავაპატიმროთ. სასწრაფოდ. ორთქლმავალი კლდეებისკენ მიჰყავს.

გოშმა თავი შეანჯღღრია – ხომ არ დაესიზმრა ამისთანა მიქარვა.

- თქვენ, მუსიე რუსო, ჰაშიში ხომ არ მოგიწევიათ?

- მე აქ მარტო არა ვარ, – მიუგო ფანდორინმა.

კომისარმა დერეფანში გაჰყო თავი და დაინახა, რომ იქვე კიდევ ორნი აყუდებულან. ერთი – ნახევრადგიჟი ბარონეტია. მეორე ვიღაა? მთავარი შტურმანი, აი ვინ. როგორ ეძახიან... ფოქსი.

- მიხვდით როგორმე, - დანაწევრებულ ფრაზებს ისროდა დიპლომატი. – დრო ცოტაა. მე კაიუტაში ვკითხულობდი. კაკუნს. სერ რეჯინალდი. ღამის პირველ საათზე გაზომა ადგილმდებარეობა.

სექსტანტით. სხვა კურსია. კუნძულ მანარისთვის მარცხნიდან უნდა აგვევლო. მარჯვნიდან ვუვლით გვერდს. გააღვიძა შტურმანი. ფოქს, ილაპარაკეთ.

შტურმანმა წინ გადმოაბიჯა. გამომეტყველება გვარიანად დამფრთხალი ჰქონდა.

- იქ მეჩეჩია, მუსიე, - ალაპარაკდა დამტვრეული ფრანგულით. – და კლდეები. `ლევიათანიო` ძალიან მძიმეა.

თექვსმეტი ათასი ტონაა, მუსიე. თავთხელზე თუ მოხვდა, შუაზე გადაიმტვრევა, როგორც ფრანგული

პური. როგორც ბაგეტი, გესმით? კიდევ ნახევარი საათი რომ ვიცუროთ ამ კურსით, მორჩა, უკან ვედარ დავბრუნდებით!

რა კარგი ამბავია! ბერიკაცი გოში საზღვაო საქმეშიც უნდა გაერკვეს! სწორედ ის რომელიღაც კუნზული მანარი აკლდა!

- და რატომ თქვენ თავად არ ეტყვით კაპიტანს, მოკლედ... ვინც არის, რომ სხვა კურსით მიცურავს? შტურმანმა რუსს შეხედა.

- მუსიე ფანდორინი ამბობს, არაო.

- მუსიე რენიე ვა-ბანკზე წავიდა, - მოკლედ განაგრძო დიპლომატმა. - ყველაფერზე წამსვლელია. ბრძანებს – შტურმანს დააპატიმრებენ. შეკამათებისთვის. იქნებ იარაღიც იხმაროს. კაპიტანია. მისი სიტყვა ხომალდზე კანონია. ჩვენ სამს გარდა, არავინ იცის, რა ხდება. ხელისუფლების წარმომადგენელია საჭირო. ეს თქვენ ხართ, კომისარო. წავედით ზემოთ!

- მოიცადეთ, მოიცადეთ! – გოშმა შუბლზე იტაცა ხელი. – მთლად ამირიეთ თავი. რენიე რა, გაგიჟდა?

- არა. ხომალდის დალუპვას აპირებს. და ვინც ხომალდზეა, იმათაც ზედ მიაყოლებს.

- რატომ? რისი გულისთვის?

არა, ცხადში ამისთანა რამე არ მოხდებოდა. სიზმარია, კოშმარი.

ეტყობა, ფანდორინი მიხვდა, რომ ასე ადვილად გოშს ადგილიდან ვერ დაძრავდა და უფრო ვრცლად, გასაგებად ალაპარაკდა.

- მე მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდები მაქვს. სასწაულებრივი. რენიეს უნდა დალუპოს ორთქლმავალი და ზედ მყოფი ადამიანები იმიტომ, რომ დანაშაულის კვალი წაშალოს, წყალში დამალოს მისი ბოლო. ძნელია ირწმუნო, რომ ვიღაც მზად არის ასე იოლად მოუსწრაფოს ათასებს სიცოცხლე? მაშინ დიუ დე გრენელი გაიხსენეთ, გაიხსენეთ სვიტჩაილდი, და თქვენთვის ნათელი გახდება, რომ ბრაჰმაპურის საგანძურზე ნადირობაში ადამიანის სიცოცხლე ძვირი არა ღირს.

გოშმა ნერწყვი გადაყლაპა.

- საგანძურზე ნადირობაში?

- დიახ. – ფანდორინი ცდილობდა თავშეკავებული ყოფილიყო. – რენიე რაჯა ბაღდასარის შვილია. მე ვხვდებოდი, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი. ახლა კი საეჭვო აღარაფერია.

- ანუ, როგორთუ შვილი? სისულელეა! რაჯა ინდუსი იყო, რენიე კიდევ სუფთა სისხლის ფრანგია.

- შენიშნეთ, რომ არც მოთუშულ ძროხის და არც ღორის ხორცს არა ჭამს? იცით რატომ? ბავშვობის ჩვეულებაა. ინდოეთში ძროხა წმინდა ცხოველად ითვლება, ღორისას კი მუსულმანები არა ჭამენ. რაჯა ინდოელი იყო, მაგრამ ისლამის მხარდამჭერი.

- მერე რა, - მხრები აიჩეჩა გოშმა. – რენიე ამბობდა, რომ დიეტაზეა.

- და შავგვრემანი სახე?

- სამხრეთის ზღვებში გაირუჯა.

- ბოლო ორი წელიწადი რენიე დაცურავდა ლონდონ-ნიუ-იორკის და ლონდონ-სტოკჰოლმის ხაზებზე. ჰკითხეთ მუსიე ფოქსს. არა, გოს, რენიე სანახევროდ ინდოელია. რაჯა ბაღდასარის მეუღლე ფრანგი იყო, შვილი სიპაების აჯანყებისას ევროპაში იზრდებოდა. ალბათ უფრო საფრანგეთში, დედის სამშობლოში. მოგიწიათ ყოფნა რენიეს კაიუტაში?

- კი, მიმიწვია, ისევე, როგორც სხვები.

- ნახეთ ფოტოგრაფია მაგიდაზე? @შვიდი ფუტი კილის ქვეშ. ფრანსუაზა ბ.~?

- ჰო, ვნახე. ეს დედამისია.

- თუ დედამისია, რატომ @ბ.~, და არა `რ.~? დედას და შვილს ხომ ერთი და იგივე ვგარი უნდა ჰქოდეთ.

- იქნებ, კიდევ გათხოვდა?

- შესაძლოა. მე ვერ მოვასწარი ამის შემოწმება. მაგრამ ვაითუ `ფრანსუაზა ბ.~ აღნიშნავს `ფრანსუაზა

ბაღდასარს? ევროპულ სტილში, თორემ ინდოელ რაჯებს გვარები არა აქვთ.

- აბა, საიდან მოიტანა გვარი რენიე?

- არ ვიცი. დავუშვათ, ნატურალიზაციისას დედამისის ქალიშვილობის გვარიო აიღო.

- ვარაუდებია, - მოუჭრა გომმა. - არც ერთი უტყუარი ფაქტი. სულ `იქნებ` და `დავუშვათ`.

- კი, ბატონო. მაგრამ განა საეჭვო არ არის რენიეს საქციელი სვიტჩაილდის მკვლელობისას? გახსოვთ, როგორ გავარდა ლეიტენანტი მადამ კლებერის შალის მოსატანად? და თანაც პროფესორს სთხოვა, უმისოდ არ დაეწყო. მე ვვარაუდობ, რომ არყოფნის რამდენიმე წუთში რენიემ მოასწრო ურნისთვის ცეცხლის წაკიდება და თავისთანაც შეირბინა კაიუტაში სკალპელის ასაღებად.

- და საიდან მოიტანეთ, რომ სკალპელი სწორედ იმას ჰქონდა?

- მე გეუბნებით, რომ ზანგის ფუთა კანჯოდან ჩხრეკის შემდეგ გაქრა. ვინ ხელმძღვანელობდა ჩხრეკას? რენიე!

გომმა სკეპტიკურად გადააქნია თავი. ორთქლმავალი ისე შეირხა, რომ მხრით მტკივნეულად დაეჯახა კარის წირთხლს. ამით გუნება არ გამოჰკეთებია.

- გახსოვთ, მაშინ რიტ დაიწყო სვიტჩაილდმა? - განაგრძო ფანდორინმა, ჯიბიდან საათი ამოიღო, და მისი საუბრის ტემპიც დაწყნარდა. - მან თქვა: `ყველაფერი ამეწყო - ქალაღაიასთანაც და შვილთანაც. ეკოლ მარიტიმის სიებში უნდა მოიქექოს და მოიძებნება`. ანუ მხოლოდ ქალაღაიის საიდუმლო კი არ ამოხსნა, რაჯას შვილზეც გაიგო რაღაც მნისვნელოვანი. მაგალითად, რომ ის სწავლობდა მარსელის ეკოლ მარიტიმში, საზღვაო სკოლაში. რომელიც, სხვათა შორის, დაამთავრა ამ ცვენმა რენიემაც. ინდოლოგი ლაპარაკობდა დეპეშაზე, რომელიც თავის ნაცნობს გაუგზავნა საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში. შესაძლოა, სვიტჩაილდს სურდა, გაერკვია ბიჭის ბედი. და, ეტყობა, რაღაც-რაღაცეები გაიგო, თუმცა, ალბათ, ვერ ხვდებოდა, რომ სწორედ რენიე არის ბაღდასარის მემკვიდრე. ასე რომ არ ყოფილიყო, პროფესორი უფრო ფრთხილად მოიქცეოდა.

- და რა იყნოსა მან ქალაღაიასზე? - ხარბი ინტერესით შეეკითხა გომი.

- მე მგონი, შემოდლია ამ კითხვას ვუპასუხო. მაგრამ ახლა არა, მერე. დრო მიდის!

- ესე იგი, თქვენის აზრით, რენიემ თავად განახორციელა პატარა ხანძარი, ისარგებლა პანიკით და პროფესორს ენა ჩააგდებინა? - თქვა ჩაფიქრებულმა გომმა.

- ჰო, ეშმაკმაც წაიღოს, ჰო! ტვინი გაანძრეთ! სამხილები ცოტაა, ვიცი, მაგრამ კიდევ ოცი წუთი და `ლევიათანი` ყურეში შევა!

თუმცა კომისარი კვლავ ყოყმანობდა.

- კაპიტნის დაპატიმრება ღია ზღვაში - ეს ამბოხებაა. რატომ დაიჯერეთ ამ ბატონის განცხადება? - ფსიქოპატი ბარონეტისკენ გაიქნია ნიკაპი. - ეს ხომ გამუდმებით ათას სისულელეს მიედ-მოედება/ ჟღალმა ინგლისელმა აგდებულად გაიცინა და გომს ისე შეხედა, თითქოს რომელიმე ცხრაფეხა ანდა ტილი ყოფილიყოს. პასუხის ღისი არ გახადა.

- იმიტომ, რომ რენიეზე დიდი ხანია ეჭვი მაქვს მიტანილი, - სწრაფად თქვა რუსმა. - და იმიტომ, რომ კაპიტან კლიფის ამბავი უცნაურად მომეჩვენა. რატომ დასჭირდა ლეიტენანტს ასე დიდხანს მოლაპარაკება სანაონოსთან? გამოდის, რომ ლონდონში არაფერი იცოდნენ იმ უბედურებაზე, რომელიც კლიფის ქალიშვილს დაემართა? მასინ ვინ გამოგზავნა დეპეშა ბომბეიში? პანსიონის დირექციამ? არა მგონია ასე კარგად იყვნენ იქ გაცნობიერებულნი `ლევიათანის` მარშრუტში. თავად რენიემ ხომ არ გამოგზავნა დეპეშა? ჩემს გზამკვლევეში წერია, რომ ბომბეიში დუჟინზე არანაკლები სატელეგრაფო პუნქტია. ერთიდან მეორეში დეპეშის გაგზავნა ქალაქის საზღვრებში - ძალიან ადვილია.

- და რა ჯანდაბად დასჭირდა ამისთანა დეპეშის გაგზავნა?

- ხომალდი რომ ჩაეგდო ხელში. იცოდა, რომ ამგვარი ცნობის შემდეგ კლიფი ვეღარ განარძობდა ცურვას.

სჯობს იკითხოთ, რატომ წავიდა რენიე ასეთ რისკზე? მხოლოდ ბრიყვული პატივმოყვარეობის გამო ხომ

არა? პატარა მანძილზე რომ ეხელმძღვანელა გემისთვის და მერე მოხდეს, რაც მოსახდენია? აქ ერთადერთი ვერსიაა^ იმიტომ, რომ `ლევიათანი~ ფსკერზე გაეშვა, თავის მგზავრებიანად და ეკიპაჟიანად. გამოძიება ძალიან მიუახლოვდა, წრე ვიწროვდება. შეუძლებელია, მას არ ესმოდეს, რომ პოლიცია კვალში ჩაუდგება ყველა ეჭვიმტანილს. აქ კიდევ კატასტროფა ზღვაზე, ყველა დაიღუპა, და ჩაფარცხულია ყველაფერი. შეგიძლია მშვიდად გასწიო ძვირფასი ქვებით სავსე სკივრისკენ.

- მაგრამ ის ჩვენთან ერთად დაიღუპება!

- არა, არ დაიღუპება. ჩვენ ახლახანს შევამოწმეთ – კაპიტნის კატერი წყალში ჩასაშვებად არის გამზადებული. ეს პატარა, მაგრამ ძლიერი ხომალდია, რომელსაც შტორმიც კი არაფრად უღირს. იქ მომარაგებულია წყალიც, კალათიც პროვიზიით, და რაც განსაკუთრებულად ამდელევებელია, ნივთების საკვოიაჟიც კი. ალბათ, რენიე მაშინვე აპირებს ხომალდის მიტოვებას, როგორც კი ვიწრო ყურეში შევალთ, საიდანაც `ლევიათანი~ ვეღარ გამოვა. ორთქლმავალი ვეღარ მობრუნდება და თუნდაც მანქანა გამოვართოთ, დინება მაინც კლდეებისკენ წაიღებს. ვიღაც შეიძლება გადარჩეს, საბედნიეროდ, ნაპირი ახლოსაა, მაგრამ ყველა დაკარგული დაღუპულად ჩაითვლება.

- მუსიე პოლიციელო, შენ არ შეიძლება იყო ასეთი გამოჩერჩეტებული! – ჩაერია შტურმანი. – ისედაც ბევრი დრო დაკარგეთ. მე ბატონმა ფანდორინმა გამაღვიძა. მეუბნება, გემი სხვა მხარეს მიდისო. მე ძილი მინდოდა, ბატონი ფანდორინი ეშმაკებში გავაგზავნე. სანადლეო შემომთავაზა^ ასი ფუნტი ერთის წინააღმდეგ, რომ კაპიტანი კურსში შეცდა. ვიფიქრე, რუსმა გააფრინა, აკი ყველამ იცის, რომ რუსები ექსცენტრიკულები არიან, ჰოდა, კაი ფულს ვიშოვნი. ავედი ბოგურაზე. ყველაფერი წესრიგშია. კაპიტანი ვახტუა, მესაჭე კიდევ – შტურვალთან. ასი ფუნტის გულისთვის შეუმჩნეველად შევამოწმე კურსი და მთლად გავიოფლე! მაგრამ კაპიტნისთვის არაფერი მითქვამს. მისტერ ფანდორინმა გამაფრთხილა, რომ არაფრის თქმა არ შეიძლება. და მეც არ ვთქვი. მშვიდი ვახტი ვუსურვე და წამოვედი. მას შემდეგ, - შტურმანმა საათზე დაიხედა, - ოცდახუთი წუთი გავიდა.

და ინგლისურად დააყოლა რაღაც არასასისმონო საერთოდ ფრანგებისთვის და ფრანგი პოლიციელებისთვის კი – განსაკუთრებით. გოშმა მხოლოდ სიტყვა frog (`ბაყაყი~ - ინგლ.) გაიგო. მამებარი კიდევ ერთხანს შეყოყმანდა და ბოლოს, გადაწყვიტა. და მაშინვე შეიცვალა, მოძრაობა აუჩქარდა. მამილო გოშს არ უყვარს ადგილიდან მოწყვეტა, მაგრამ თუ გახურდა, გაგდება აღარ სჭირდება.

პიჯაკისა და შარვლის სასწრაფოდ ჩაცმისას შტურმანს უთხრა:

- ფოქს, ზედა გემბანზე ორი მატროსი წამოიყვანეთ. კარაბინებით. კაპიტნის თანაშემწეც მოვიდეს. არა, არ მივდა – იმისი გარკვევის დრო არ არის.

თავისი ერთგული `ლეფოშე~ ჯიბეში ჩაიღო, დიპლომატს კი ოთხლულიანი `მარიეტტი~ გაუწოდა.

- შეგიძლიათ მოხმარება?

- ჩემი მაქვს, `ჰერსტალ-აგენტი@, - მიუგო ფანდორინმა და აჩვენა კომპაქტური, ლამაზი რევოლვერი, როგორც გოშს არასოდეს უნახავს. და კიდევ აი ეს.

ელვისებური მოძრაობით ტროსტიდან ვიწრო და მოქნილი ხანჯალი გააძრო.

- მაშინ წინ.

გოშმა გადაწყვიტა ბატონეტისთვის იარაღი არ მიეცა – ცოტა ვერ არი, რა იცი, რას იზამს.

სამივენი სწრაფად მიაბიჯებდნენ გრძელ და ცარიელ დერეფანში. ერთ-ერთი კაიუტის კარი გაიღო, გამოიხედა რენატა კლებერმა – ყავისფერ კაბაზე შალი ჰქონდა მოხურული.

- ბატონებო, რა სპილოების ჯოგოვით დაიარებით? – შესძახა ბრაზიანად. – ისედაც ამ ჭექა-ქუხილის გამო ვერ დამიძინია!

- დახურეთ კარი და არ გამოხვიდეთ, - მკაცრად უთხრა გოშმა და არ შეჩერებულა, რენატას კაიუტის შიგნით უბიძგა. ცერემონიების დრო არ არის.

კომისარს მოეჩვენა, რომ კაიუტა ნომერ ოცდაოთხის კარიც, სადაც მადმუაზელ სტამპი ცხოვრობდა, შეირხა

და გაიხსნა, მაგრამ რა დროს ასეთი უმნიშვნელო რამეებისთვის ყურადღების მიქცევა იყო ამისთანა მნიშვნელოვან მომენტში?

გემზანზე ცხვირ-პირში დაეჯახათ წვიმა და ქარი. ყვირილი მოუწიათ – ისე ერთმანეთს ვერ გააგებინებდნენ. აი, ტრაპიც, რომელიც მესაჭის ჯიხურისკენ და ბოგურასთან მიდის. ქვედა საფეხურთან უკვე იცდიდა ფოქსი. მასთან ერთად იდგა ორი მორიგე მატროსი.

- ხომ გითხარით, კარაბინებით მეთქი! – დაიყვირა გომმა.

- იარაღი არსენალშია! – ყურში ჩაჰყვირა შტურმანმა. – არსენალის გასაღები კიდევ კაპიტანთან არის! არაუშავს, ზევით წავედით, - ჟესტით აჩვენა ფანდორინმა. სახე წვეთებისგან უბრწყინავდა.

გომმა ირგვლივ მიმოიხედა და შეხტა: ღამე წვიმის წვეთების ფოლადის ძაფებით ელავდა, თეთრად ელავდა ქაფიანი ზვირთებით, კრთებოდა ელვებით. რა საშინელებაა!

ზევით წავიდნენ თუჯის საფეხურებით, ქუსლების ბრახუნით და სახეების შეჭმუხვნით წვიმის ნაკადებისგან. გომი პირველი მიდიოდა. ახლა ის იყო მთავარი კაცი მთელ ამ უშველებელ `ლევიათანზე`, რომელიც მიმნდობლურად მიდიოდა თავისი ორასმეტრიანი სხეულით სიკვდილის შესახვედრად. ბოლო საფეხურზე მამებარს ფეხი დაუსხლტა და ძლივს მოასწრო სახელურს ჩასჭიდებოდა. გასწორდა, სული მოითქვა.

მორჩა, მაღლა მხოლოდ მიღებია, ნაპერწკლებს რომ აფრქვევს და სიბნელეში ძლივს განირჩევა ანძები. ფოლადის სამაგრებიანი კარის მახლობლად გომმა გამაფრთხილებლად ასწია თითი: წყნარად! ისე კი, სირთხილე ზედმეტი იყო – ზღვა ისე ღრიალებდა, რომ ჯიხურიდან ვერაფერს გაიგონებდნენ.

- აქ შესასვლელია კაპიტნის ბოგურაში და საჭის ჯიხური! – დაიყვირა ფოქსმა. – კაპიტნის მიწვევის გარეშე შესვლა არ შეიძლება!

გომმა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, ჩახმახი შეწვიპა. ფანდორინიც ასევე მოიქცა.

- თქვენ მოითმინეთ! – ყოველი შემთხვევისთვის გააფრთხილა მამებარმა მეტისმეტად ინიციატივიანი დიპლომატი. – მე თვითონ! ოჰ, სულ ტყუილად დაგიჯერეთ! – და მტკიცედ უბიძგა კარს.

ესეც შენ – კარი არ გაიღო.

- ჩაიკეტა, - გაახმოვანა ფანდორინმა. – ხმა მიაწვდინეთ, ფოქს!

შტურმანმა ხმამაღლა დააკაკუნა და დაიყვირა:

- Captain, it's me, Jeremy Fox! Please open! We have an emergency! (`კაპიტანო, მე ვარ, ჯერემი ფოქსი! გააღეთ, თუ შეიძლება! საგანგებო შემთხვევაა!` - ინგლ.).

კარის მიღმიდან ყრუდ მოისმა რენიეს ხმა:

- What happened, Jeremy? (`რა მოხდა, ჯერემი?` - ინგლ.).

კარი არ გაღებულა.

დაბნეული შტურმანი ფანდორინს მიაჩერდა. იმან კიდევ კომისარზე მიუთითა, მერე თითი მიიღო შუბლზე და განასახიერა, რომ თითქოს ჩახმახს ქაჩავს. გომი ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს პანტომიმა, მაგრამ ფოქსმა თავი დაუქნია და მთელი ხმით იყვირა:

- The French cop shot himself! (`ფრანგმა პოლიციელმა თავი მოიკლა!` - ინგლ.).

კარი დაუყოვნებლივ გაიღო, და გომმა სიამოვნებით შეაგება კაპიტანს თავისი სველი, მაგრამ სრულიად ჯანსაღი ფიზიონომია. მერე კი შავი ნასვრეტი `ლეშოფეს` ლულაში.

რენიემ შეჰყვირა და უკან გაიწია, თითქოს დაარტყესო. აი, სამხილიც ეს არის: ადამიანი სუფთა სინდისით პოლიციისგან ასე არ გახტება, და გომი უკვე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე სწვდა მეზღვაურს ბრეზენტის ქურთუკის საყელოში.

- მოხარული ვარ, რომ ჩემი სიკვდილის ცნობამ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე, ბატონო რაჯა, - დაიკრუტუნა კომისარმა და მთელს პარიზში ცნობილი ხმით იყვირა. – ხელები ყურებზე მაღლა!

დაპატიმრებული ხართ!

ისეც მომხდარა, რომ ამ სიტყვებზე ყველაზე გამოცდილ მკვლელს წასვლიათ გული.

შტურვალთან ნახევრად შემოტრიალებული მესაჭე გაქვავებულიყო. იმანაც ასწია ხელები და საჭე იოლად წავიდა მარჯვნივ.

- საჭე დაიჭირე, იდიოტო! – უყვირა გომმა. – ეი, შენ! – თითი აჯახა ერთ-ერთ მატროსს. – პირველი თანაშემწე მოიყვანე სასწრაფოდ, გემი ჩაიბაროს. მანამდე კი, თქვენ მიხედეთ, ფოქს. და ცოცხლად, თქვენი! უბრძანეთ სამანქანო განყოფილებას - 'სდექ-მანქანა', თუ, არ ვიცი, 'უკან, სრული სვლით', რას აყუდებულხართ აქ კერპივით!

- უნდა ვნახოთ, - თქვა რუკაზე გადახრილმა შტურმანმა. – შეიძლება, ჯერ კიდევ არ არის გვიან, რომ მარცხნივ ავილოთ.

რენიესთვის ყველაფერი გასაგები იყო. ეს გვრიტი თავის დაბნეულობის გამოხატვასაც არა ცდილობდა, იდგა თავისთვის და თავი ჩაექნდრა. აწეული ხელების თითები ოდნავ უთრთოდა.

- აბა, წავედით, მოვილაპარაკოთ, - გულითადად უთხრა გომმა. – ოი, რა დიდებულად მოვილაპარაკებთ.

რენატა კლებერი

საუზმეზე რენატა ყველაზე ბოლოს გამოვიდა და ამიტომ განვლილი ღამის ამბები ყველაზე ბოლოს გაიგო. ყველა ერთბაშად მივარდა წარმოუდგენელი, კომმარული ცნობების მოსაყოლად.

აღმოჩნდა, რომ კაპიტანი რენიე აღარ არის კაპიტანი.

აღმოჩნდა, რომ რენიე არავითარი რენიე არ არის.

აღმოჩნდა, რომ სწორედ იმ რაჯას შვილია.

აღმოჩნდა, რომ ყველას დახოცვა უნდოდა.

აღმოჩნდა, რომ ღამით ორთქლმავალი კინალამ დაიღუპა.

- ჩვენ მშვიდად გვეძინა ჩვენს კაიუტებში, - შიშისაგან გაფართოებული თვალებით იყურებოდა და ჩურჩულებდა კლარისა სტამპი, - და ამ კაცს ამასობაში პირდაპირ კლდეებისაკენ მიჰყავდა ჩვენი ხომალდი. წარმოგიდგენიათ, მერე რა მოხდებოდა? გულშემზარავი ჭახანი, ბიძგი, გხსნილი ნაკერების ხრჭიალი! დარტყმისაგან იატაკზე გადმოვარდები საწოლიდან და პირველ წამში ვერაფერს ხვდები. მერე ყვირილი, ნაბიჯების ხმა. იატაკი სულ უფრო და უფრო იხრება გვერდზე. და ყველაზე საშინელი: ორთქლმავალი სულ მიდიოდა, ახლა კი შეჩერდა! და ყველა შიშველ-ტიტველი გამორბის გემბანზე...

- not me! ('ჩემს გარდა!' - ინგლ.) – მტკიცედ ჩაურთო მაძამ ტრუფომ.

- ...მატროსები ცდილობენ ნავეები ჩაუშვან წყალში, - ექიმის ცოლის რეპლიკას ყურადღებას არ აქცევდა და ისეც იმ მისტიკურად ჩახშობილი ხმით განაგრძობდა მგრძნობიარე კლარისა. – მაგრამ მგზავრთა ჯგროები დარბიან გემბანზე და ხელს უშლიან მატროსებს. ყოველი ახალი ტალღისგან გემი უფრო მეტად წვება გვერდზე. უკვე ფეხზეც ვეღარ ვდგავართ, რამეს თუ არ მოვეჭიდეთ. დამე ბნელია, ზღვა ღმუის, ცაში ელვავა... ერთი კანჯო როგორც იქნა ჩაუშვეს წყალში, მაგრამ შიშისაგან გაგიჟებულმა ადამიანებმა ისე გაავსეს, რომ გადაბრუნდა. პატარა ბავშვები...

- უ-უკვე საკმარისია, - რბილად, მაგრამ მკაცრად გააწყვეტინა აღწერა ფანდორინმა.

- თქვენ, მაძამ, საზღვაო რომანები უნდა წეროთ, - უკმაყოფილოდ შენიშნა ექიმმა.

რენატამ გულზე იტაცა ხელი და ასევე გაქვავდა. ისედაც გაფითრებული იყო, გამოუძინებელი და ამ ახალი ამბებისგან სულ გამწვანდა.

- ვაი, - თქვა მან და გაიმეორა. – ვაი.

მერე მკაცრად დაამუნათა კლარისა:

- რატომ მიყვებით ყველანაირ საძაგლოებს? განა არ იცით, რომ ჩემს მდგომარეობაში ასეთი რამის მოსმენა

არ შეიძლება?

ხეპრე მაგიდასთან არ იყო. არა ცჩვევია – საუზმე გამოტოვოს.

- სად არის მუსიე გომი? – იკითხა რენატამ.

- ისევ დაპატიმრებულის დაკითვვასეა, - აცნობა იაპონელმა. ბოლო დღეებში ბუკიტივით აღარ უჭირავს თავი და რენატასაც აღარ უყურებს ნადირივით.

- ნუთუ მუსიე რენიემ აღიარა ყველა ეს წარმოუდგენელი რამეები? – ამოიხრა მან. – იგონებს! ეტყობა, ჭკუა აერია. იცით, დიდი ხანია, შევნიშნე, რომ ცოტა ვერ არის. თვითონ თქვა, რომ რაჯას შვილია? კიდევ კარგი, რომ ნაპოლეონ ბონაპარტის შვილი არ არის. საცოდავი, უბრალოდ გააფრინა – ეს ხომ ნათელის!

- არც უმაგისობაა, ქალბატონო, არც უმაგისობაა, - უკანიდან გაისმა კომისარ გომის დაღლილი ხმა.

რენატას არ გაუგია, როგორ შემოვიდა. რა თქმა უნდა – შტორმი დამთავრდა, მაგრამ ზღვა ჯერ კიდევ ღელავდა, ორთქლმავალი გაბრაზებულ ტალღებზე ქანაობდა და სულ რაღაც ჭრიალებდა, წკარუნობდა, იბზარებოდა. ტყვიით გახვრეტილი ბიგ-ბენი ქანქარას აღარ ამოძრავებდა, მაგრამ თავად ქანაობდა – ადრე თუ გვიან ეს მუხის სიმახინჯე აუცილებლად დაიმსხვრევა, ირიბად გაიფიქრა რენატამ და ხეპრეს დააკვირდა.

- იქ რა ხდება, გვიამბეთ! – მოსთხოვა მან.

პოლიციელი აუჩქარებლად მივიდა თავის ადგილთან, დაჯდა. სტიუარდს ანიშნა, რომ ყავა დაესხა.

- უჰ, გავწვალდი, - დაიცვილა კომისარმა. – მგზავრები რაო? იციან?

- მთელი ორთქლმავალი გუგუნებს, მაგრამ დაჭვრილებით ცოტამ თუ იცის, - მიუგო ექიმმა. – მე ყველაფერი მიაშბო მისტერ ფოქსმა, მე კი ჩემს მოვალეობად ვცანი, დანარჩენებისთვისაც მეთქვა.

ხეპრემ ფანდორინსა და ჟღალ გიჟს შეხედა, გაკვირვებით გადააქნია თავი:

- არადა, თქვენ, ბატონებო, ყბედები არა ხართ.

რეპლიკის აზრი რენატამ გაიგო, მაგრამ ეს საქმესთან არ იყო დაკავშირებული.

- რაო რენიემ? – შეეკითხა. – ნუთუ აღიარა ყველა ეს ბოროტმოქმედებები?

ხეპრემ სიამოვნებით მოსვა ფინჯანიდან. დღეს რაღაც სხვანაირია. იმ წინანდელ ბებერ, ტუილების გუდასა და, საერთოდ, არაკენია ძალს აღარ ჰგავს. ამისთანამ, შეიძლება, დაგკაწროს კიდევაც. გამოიწვევ და ხორცს მოგაჭამს. რენატამ გადაწყვიტა, რომ კომისარს ბულდოგს გადააქმევს.

- კარგი ყავაა, - შეაქო ბულდოგმა. – აღიარა, რასაკვირველია, აღიარა. სად წაგვივა. წვალეზამ, რა თქმა უნდა, თავისთავად, მომიწია, მაგრამ ბებერ გომს დიდი გამოცდილება აქვს. ძის თქვენი მოკეთე რენიე და ჩვენებას სწერს. წერა დაიწყო – ვეღარ გააჩერებ. მე წამოვედი, რომ ხელი არ შემეშალა.

- რატომ 'ჩემი'? – შემფოთდა რენატა. – ამას მოეშვით. უბრალოდ, თავაზიანი კაცი იყო, ფეხმძიმე ქალს ეხმარებოდა. და არ მჯერა, რომ ამისთანა მონსტრია.

- აი, დაამთავრებს აღიარებას – წაგაკითხებ, - დაპირდა ბულდოგი. – როგორც ძველ მეგობარს. რამდენი საათი ვისხედით ერთ მაგიდასთან. ახლა კი, მართლა მორჩა, გამოძიება დამთავრებულია. იმედი მაქვს, მუსიე ფანდორინ, ჩემს კლიენტს ადვოკატობას არ გაუწევთ, ხომ? ეს კი ვეღარაფრით გაექცევა გილიოტინას.

- ალბათ უფრო, საგიჟეთს, - თქვა რენატამ.

რუსიც აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ თავი შეიკავა. რენატამ განსაკუთრებული ინტერესით შეხედა ფანდორინს. ცოცხლადაა, კარგი ვინმეა, თითქოს მთელი ღამე ტკბილად გამოიზინა საწოლში. თან, როგორც ყოველთვის, გამოწვეპილია: თეთრი პიჯაკი, აბრეშუმის ჟილეტი. ძალიან საინტერესო ტიპია, ასეთებს რენატა ჯერ არ შეხვედრია.

კარი ისეთი ძალით შემოგლიჯეს, რომ ლამის ანჯამებიდან ჩამოვარდა. ზღურბლზე მატროსი იდგა და ველურივით აბრიალებდა თვალებს. დაინახა გოსი და მასთან მიიბრინა, რაღაც უჩუროჩულა, თან სასოწარკვეთილად იქნევდა ხელებს.

რენატამ ყური მიუგდო, მაგრამ მხოლოდ “bastard” (‘არამზადა~ - ინგლ.) და ‘by my mother’s grave’ (‘დედის საფლავს ვფიცავ~ - ინგლ.) გაარჩია.

ნეტავი კიდეც რა მოხდა იქ?

- ექიმო, დერეფანში გავიდეთ. – ბულდოგმა უკმაყოფილოდ გასწია ერბო-კვერცხის თეფში. – მითარგმნეთ, რას მებურტყუნება ეს ყმაწვილი.

სამივენი გავიდნენ.

- რაოო-ოო?! – დერეფნიდან მოისმა კომისრის ღრიალი. – შენ სადღა იყურებოდი, შე საქონელო?! ნაბიჯების მიმავალი ხმა. სიჩუმე.

- აქედან ფეხსაც არ გავადგამ, სანამ მუსიე გოსი არ დაბრუნდება, - მტკიცედ განაცხადა რენატამ.

დანარჩენებიც, ეტყობა, ამავე აზრის იყვნენ.

სალონ ‘უინძორში’ დაძაბული სიჩუმე ჩამოდგა.

კომისარი და ტრუფო ნახევარ საათში დაბრუნდნენ. ორივეს მოღუშული გამომეტყველება ჰქონდა.

- მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო, - საზეიმოდ გამოაცხადა ბაჯაჯგანა ექიმმა, შეკითვებს აღარ დალოდებია. – ამ ტრაგიკულ ისტორიას წერტილი დაესვა. და იგი თავად დამნაშავემ დასვა.

- მკვდარია? – შეჰყვირა რენატამ და წამოხტა.

- თავი მოიკლა? – იკითხა ფანდორინმა. – მაგრამ როგორ? თქვენ სიფრთხილის ზ-ზომები არ მიიღეთ?

- როგორ არ მივიღე, მივიღე, - ხელეები გასალა გოშმა. – კარცერში, სადაც დაკითხვას ვაწარმოებდი,

ავეჯიდან მხოლოდ მაგიდა, ორი სკამი და საწოლია. ფეხებით იატაკზეა დაბმული. მაგრამ თუკი კაცმა

გადაწყვიტა, რომ დაუყოვნებლივ უნდა მოკვდეს, - ვეღარ გააჩერებ. რენიემ სუბლი გაიხეთქა კედლის

კუთხეზე. არის კარცერში ამისთანა შვერილი... თან ისე მარჯვედ გააკეთა, რომ დარაჯხ ჩქამიც კი არ

გაუგონია. საუზმის შესატანად გაარეს კარი, ის კიდეც იატაკზე წევს სისხლის გუბეში. ვუბრძანე, ხელი არ

ახლონ. ჯერ იყოს ასე.

- ნებას მომცემთ, შევხედო? – იკითხა ფანდორინმა.

- შეუბერეთ. უყურეთ, რამდენიც გინდათ, მე კი სადილს დავამთავრებ. – და ბულდოგმა მშვიდად მიიწია

გაციებული ერბო-კვერცხი.

თვითმკვლელის სანახავად ოთხნი წავიდნენ: ფანდორინი, რენატა, იაპონელი და, რაგინდ უცნაურად

მოგეჩვენოთ, ექიმის ცოლი. ნუთუ მოსალოდნელი იყო ამ თავდაჭერილი თხისგან ასეთი

ცნობისმოყვარეობა?

კბილებაკაწკაწებულმა რენატამ კარცერში ფანდორინის მხარსზემოდან გადაიხედა. დაინახა ნაცნობი, ძირს

გაშოტილი მხარბეჭიანი ფიგურა შავთმიანი თავი კრდლის შვერილისკენ ჰქონდა. რენიე პირქვე იწვა,

მარჯვენა ხელი არაბუნებრივად ამობრუნებოდა.

რენატა შიგნით აღარ შესულა – ისედაც საკმაოდ დაინახა. დანარჩენები შევიდნენ, გვამთან ჩაიმუხლეს.

იაპონელა, თავი აუწია მკვდარს, რატომღაც თითით შეეხო სისხლიან შუბლს. აჰ, ჰო, ეს ხომ ექიმია.

- Oh, Lord, have mercy upon this sinful creature (‘ო, ღმერთო, შეუნდე ამ ცოდვილ არსებას~ - ინგლ.), -

ღვთისმოსავურად წარმოთქვა მადამ ტრუფომ.

- ამინ, - თქვა რენატამ და შემობრუნდა, ეს მძიმე სანახაობა რომ აღარ დაენახა.

სალონში მდუმარედ დაბრუნდნენ.

და დროზე დაბრუნდნენ - ,ულდოგმა ტრაპეზი დაასრულა, სქელი ტუჩები ხელსახოცით მოიწმინდა და

შავი საქალაღე მიიცურა თავისკენ.

- მე დაგპირდით, რომ ჩვენი ყოფილი მაგიდის მეობლის ჩვენებეს გაგაცნობთ, - მშვიდად თქვა მან და სამი

ნაწერით გავსებული ქალაღი დაიდო წინ – ორი სულ სავსე იყო და მესამე – სანახევროს. – ისე გამოვიდა,

რომ ეს მხოლოდ აღიარება კი არა, სიკვდილისწინა წერილიცაა. მაგრამ საქმის არსს ეს არა ცვლის. ინებებთ მოსმენას?

გამეორება აღარ მოუწია – ყველა კომისრის გარშემო შეიკრიბა და გაისუსა. ბულდოგმა პირველი ფურცელი აიღო, თვალებიდან შორს გასწია და კითხვა დაიწყო.

საფრანგეთის პოლიციის წარმომადგენელს,
ბატონ კომისარს, გუსტავ გოშს

1878 წლის 19 აპრილი, დილის 6.15

„ლევიათანის“ ბორტზე

მე, შარლ რენიე, ვაკეთებ ქვემდებარე აღიარებას ჩემის ნებით და ყოველგვარი დაძალების გარეშე, ერთადერთი სურვილით, რომ საკუთარი სინდისის წინაშე ვიყო მართალი და აცხსნამოტივები, რამაც მაიძულა უმძიმეს დანაშაულებათა ჩადენა.

ბედი ყოველთვის სასტიკად მექცეოდა...

- უჰ, ეს სიმღერა მე ათასჯერ მომისმენია, - კომისარმა კითხვა შეწყვიტა და კომენტარი დაურთო. – ჯერ კიდევ არც ერთ მკვლელს, მძარცველს ანდა მცირეწლოვანთა გამრყენელს არ უთქვამს სასამართლოზე, რომ ბედი მეტისმეტად სწყალობდა, ის კიდევ, ის ძალღისშვილი, თავისი ბედის ღირსი არ აღმოცნდა. კარგი, გავაგრძელოთ.

ბედი ყოველთვის სასტიკად მექცეოდა, და თუკი ცხოვრების დაწყებისას მომეფერა, მხოლოდ იმიტომ, რომ მერე უფრო მტკივნეულად დაერტყა. ჩემი ადრეული ბავშვობის წლები აღუწერელ ფუფუნებაში გავიდა. მე ვიყავი ზღაპრულად მდიდარი რაჯის ერთადერთი შვილი და მემკვიდრე, ძალიან კეთილი კაცისა, რომელმაც შეიწყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მთელი სიბრძნე. ცხრა წლამდე მე არ ვიცოდი რა იყო: მტრობა, შიში, წყენა, აუსრულებელი სურვილი. დედა დარდობდა უცხო ქვეყანასი და მთელ დროს ჩემთან ატარებდა, მიამბობდა მშვენიერ საფრანგეთზე და მხიარულ პარიზზე, სადაც ის გაიზარდა. მამამ ის პირველად კლუბ „ბაგატელში“ ნახა, სადაც დედა პირველი მოცეკვავე იყო, და უგონოდ შეუყვარდა. ფრანსუაზა რენიე (ეს არის დედაჩემის ქალიშვილობის გვარი – მეც იგივე გვარი ავიღე, როცა საფრანგეთის ქვეშევდრომობა მივიღე) წინ ვერ აღუდგა იმ ვთუნებებს, რომლებსაც აღმოსავლელ მბრძანებელთან ქორწინება ჰპირდებოდა და ცოლად გაჰყვა. მაგრამ ამ გათხოვებამ ბედნიერება არ მოუტანა, თუმცა მართლა პატივს სცემდა მამაჩემს და დღემდე შეინარჩუნა მისი ერთგულება.

როცა ინდოეთში იფეთქა სისხლიანი აჯანყების ტალღამ, მამამ საფრთხე იგრძნო და ცოლი და შვილი საფრანგეთში გააგზავნა. პაჯამ იცოდა, რომ დიდი ხანია ინგლისელები კბილებს ილესავენ მის სამემკვიდრეო ზარდახშაზე და დაუყოვნებლივ მოუწყობენ რაიმე სისამაგლეს, რათა ბრაჰმპურის საგანძური ჩაიგდონ ხელში.

პირველ ხანებში მე და დედა პარიზში ვცხოვრობდით ძალიან მდიდრულად – საკუთარ სახლში, მსახურებით გარშემორტყმული. მე ვსწავლობდი პრივილიგიერებულ ლიცეუმში, გვირგვინოსნებისა და მილიონერების შვილების გვერდით. მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა და მეც ბოლომდე გამოვცალე გაჭირვებისა და დამცირების ფიალა.

არასოდეს დამავიწყდება ის შავი დღე, როცა ცრემლიანმა დედამ მითხრა, რომ ამიერიდან აღარც მამა მყავს, აღარც ტიტული მაქვს და აღარც სამშობლო. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ პარიზის ბრიტანეთის საელცოდან გადმომცეს ერთადერთი მემკვიდრეობა, მამისაგან ნაანდერძევი: ყურანის ტომი. იმ

დროისათვის დედამ უკვე მომნათლა და მესებზე დავიარებოდი. მაინც დავიფიცე, ვისწავლი არაბულად კითხვას და აუცილებლად წავიკითხავ ჩანაწერებს, რომლების მამაჩემის ხელით იყო გაკეთებული წმინდა წიგნის ფურცლებზე. მრავალი წლის შემდეგ მე შევასრულე დანაპირები, მაგრამ ამაზედ მოგვიანებით დავწერ.

- მოთმინება, მოთმინება, - თქვა ცბიერად გაღიმებულმა გოშმა. – მივალთ იქამდე. ეს ჯერ ლირიკა მიდის.

ამ სამწუხარო ცნობის მიღებისთანავე გადავედით იმ სახლიდან. ჯერ ძვირფას ოტელში, მერე უფრო იაფფასიან სასტუმროში, მერე გასაქირავებელ ოთახებში. მსახურები სულ უფრო გვაკლდებოდნენ, და ბოლოს ორნიღა დავრჩით. დედა არასოდეს ყოფილა პრაქტიკული – არც თავისი ქარიშხლიანი ახალგაზრდობის დროს, არც მოგვიანებით. ის ძვირფასეულობა, რომელიც ევროპაში წამოიღო, ორი-სამი წელიწადი გვეყო, რის შემდეგაც ნამდვილ სილატაკეში ჩავვარდით. მე დავდიოდი ჩვეულებრივ სკოლაში, სადაც მცემდნენ და შავს~ მეძახდნენ. ასეთმა ცხოვრებამ ქვეშექვეშობა და ცუდის დამახსოვრება მასწავლა. მე საიდუმლო დღიურს ვაწარმოებდი, რომელსაც ყველა ჩემი მაწყენინებლის სახელებს ვიწერდი, რათა ყველა მათგანზე მეძია შური, როცა სათანადო შემთხვევა მომეცემოდა. და ადრე თუ გვიან ამისთანა შესაძლებლობები მეძებოდა. ჩემი სიყრმის ერთ მტერს ნიუ-იორკში შევხვდი მრავალი წლის შემდეგ. იმან ვერ მიცნო – იმ დროისათვის გვარი შევიცვალე და სულ აღარ ვგავდი სქელ დაბოლმელ ~ინდაურს~, როგორც სკოლასი დამცინოდნენ. იმ ჩემს ძველ ნაცნობს საღამოს დავუყარაულდი, როცა დუქნიდან ბრუნდებოდა. ჩემი ადრინდელი გვარით წარვუდექი და იმისი გაოცებული შემახილი გასაშლელი დანის მარჯვენა თვალში დარტყმით შევწყვიტე – ეს ფანდი ალექსანდრიის ავაზაკთა ბუნაგებში ვისწავლე. ვაღიარებ ამ მკვლელობას, რადგან ის არცთუ ძალიან დაამძიმებს ჩემს ხვედრს.

- ეს უკვე მართალია, - დაადასტურა ბულდოგმა. – უკვე სულ ერთია, ერთი გვამით მეტი იქნება თუ ნაკლები.

ცამეტი წლის ვიყავი, როცა პარიზიდან მარსელში გადავედით, რადგან იქ უფრო იაფი იყო ცხოვრება და თანაც დედაჩემს იქ ნათესავები ჰყავდა. თექვსმეტი წლისამ ისეთი საქციელი ჩავიდინე, რაზედაც ლაპარაკი არ მინდა, სახლიდან გავიქეცი და შხუნაზე ჩავეწერე იუნგად. ორი წელი დავცურავდი ხმელთაშუა ზღვაში. ეს მძიმე, მაგრამ საჭირო გამოცდილება იყო. მე გავხვდი ძლიერი, დაუნდობელი და სხარტი. შემდგომში ამან საშუალება მომცა კუსანტებიდან პირველი ვყოფილიყავი მარსელის ეკოლ მარტიმში. სასწავლებელი მედალზე დავამთავრე და მას შემდეგ საფრანგეთის სავაჭრო ფლოტის საუკეთესო გემებზე ვმსხურობდი. გასული წლის ბოლოს კონკურსი რომ გამოცხადდა პირველი ლეიტენანტის თანამდებობაზე სუპერორთქლმავალ `ლევიათანისთვის~, ჩემმა სამსახურებრივმა ნუსხამ და ჩუნებულმა რეკომენდაციებმა გამამარჯვებინეს. იმ დროისათვის უკვე მიზანი გამიჩნდა.

გოშმა მეორე ფურცელი აიღო და იქ მყოფნი გაფრთხილა:

- აი ახლა იწყება ყველაზე საინტერესო.

ბავშვობაში არაბულს მასწავლიდნენ, მაგრამ მასწავლებლები ძალიან ღმობიერები იყვნენ ნენკვიდრე პრინცისადმი და ბევრი ვერაფერი ვისწავლე. მოგვიანებით, როცა მე და დედა საფრანგეთში აღმოვჩნდით, გაკვეტილები საერთოდ შეწყდა და მეც მალე დავივიწყე ის მცირეოდენი, რაც ვიცოდი. მრავალი წელი მამაჩემის შენიშვნებიანი ყურანი ჯადოსნურ წიგნად მეჩვენებოდა, რომლის მაგიურ ხვეულებში უბრალო მოკვდავი ვერაფრით ვერ გაერკვეოდა. შემდეგსი როგორ ვემადლიერებოდი ბედისწერას, რომ რომელიმე არაბულის მცოდნეს არა ვთხოვე არშიებზე გაკეთებული წარწერების წაკითხვა! არა, რადაც არ უნდა

დამჯდომოდა, ამ საიდუმლოში თავად უნდა შემეღწია. ისევ დავიწყე მეცადინეობა არაბულში, როცა მალრიბ და ლევანტით დავცურავდი. ყურანი თანდათან იწყებდა ჩემთან ლაპარაკს მამაჩემის ხმით. მაგრამ მრავალი წელიწადი გავიდა, ვიდრე ხელნაწერი შენიშვნები – ბრძენთა მაღალფარდოვანი გამონათქვამები, ლექსების ნაწყვეტები და მოყვარული მამის ყოფითი რჩევები შვილისადმი – მიმანიშნებდნენ, რომ რაღაც შიფრს შეიცავდნენ. თუ ჩანაწერებს გარკვეული თანმიმდევრობით წაიკითხავდი, ისინი შეიცავდნენ ზუსტსა და დაწვრილებით ინსტრუქციებს, მაგრამ მხოლოდ ის გაიგებდა ამას, ვინც შენიშვნებს კარგად შეისწავლიდა, ბევრს იფიქრებდა იმათზე და ყოველ მათგანს თავისი გულის კუნჭულში მიუჩენდა ალაგს. ყველაზე დიდხანს ჩემთვის უცნობი ლექსის ამ სტრიქონებზე გავწვალდი:

და მამის სისხლით წითელი შალი,
სიკვდილის მაცნეს ხელით მოგივა.

მხოლოდ ერთი წლის წინ, ერთი ინგლისელი გენერლის მემუარების კითხვისას, რომელიც დიდი აჯანყებისას თავისი `გმირობებით` ტრაზახობდა (ჩემი ინტერესი ამ თემისადმი სავსებით გასაგებია), მე წავიკითხე ბრაჰმაპურელი რაჯას საჩუქარზე თავისი მცირეწლოვანი შვილისადმი. აღმოცნდა, რომ ყურანი ინდურ შალში, ანუ ქალადაისი იყო გახვეული! თითქოს საბურველი ჩამომეხსნა თვალებიდან. რამდენიმე თვის შემდეგ ლორდ ლიტლბიმ თავისი კოლექცია გამოფინა ლუვრში. მე ყველაზე თავგდდადებული მნახველი გახლდით ამ გამოფინისა. და როცა, ბოლოსდაბოლოს, დავინახე მამაჩემის ქალადაია, მასინვე მივხვდი ამ სტრიქონების მნიშვნელობას:

და წაწვეტილი თავისი ფორმით
ჩამოჰგავს ნახატს, ასევე მთასაც.

და ასევე:

სამოთხის ჩიტის უძირო თვალი
საიდუმლოსაც კი დაგანახვებს.

რაღა საჭიროა იმის ახსნა, მთელი ამ ლტოლვილობის წლებში მე თიხის ამ სკივრზე ვაბოდებდი, რომელსიც დამალული იყო მსოფლიოს მთელი სიმდიდრე? სიზმარში რამდენჯერ მინახავს, როგორ ისხნება მიწიანი სახურავი, და მე კვლავაც, ისევე, როგორც შორეულ ბავშვობაში, ვხედავ არამიწიერ ციალს, სამყაროში რომ იღვრება.

საგანძური წესით მე მეკუთვნის, მე ვარ კანონიერი მფლობელი! ინგლისელებმა მე გამძარცვეს, მაგრამ თავიანთი მუხანათობის ნაყოფით ვერ ისარგებლეს. ის პირქუში ფასკუნჯი ლიტლბი, მოპარული `რარიტეტები` რომ გადასდიოდა თავზე, სინამდვილეში ნაქურდალის ჩვეულებრივი შემსყიდველი იყო. ოდნავი ეჭვიც კი არ მეპარებოდა ჩემს სიმართლეში და მხოლოდ ერთი რამის მეშინოდა – რომ თავს ვერ გავართმევდი დასახულ ამოცანას.

მე მართლაც დავუშვი მთელი რიგი მიუტევებელი, საშინელი შეცდომები. პირველი – მსახურების სიკვდილი და განსაკუთრებით საწყალი ბავშვების დახოცვა. მე, რა თქმა უნდა, არ მინდოდა? დამეხოცა ეს უდანასაულო ადამიანები. როგორც თქვენც მიხვდით, მედიკოსად მოვაჩვენე თავი და ოპიუმის ხსნარი შევუშხაპუნე. მე მხოლოდ მათი დამინება მინდოდა, მაგრამ გამოუცდელივით და შიშისგან, რომ ძილისმომგვრელი არ იმოქმედებს, არასწორად გავთვალე დოზა.

მეორე დარტყმა ზემოთ მელოდა. როცა ვიტრინის მინა გავტეხე და მოკრძალებისგან აკანკალებული ხელებით სახეზე მივიხუტე მამისეული ქალადაია, კარებებიდან ერთ-ერთი მოულოდნელად გაიღო და

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE

კოჭლობით გამოვიდა სახლის პატრონი. ჩემს ხელთ არსებული ცნობებით ლორდი წასული უნდა ყოფილიყო, აქ კიდევ უცებ დამადგა თავზე? თანაც პისტოლეტით ხელში! მე არჩევანი აღარ მქონდა. შივას სტატუტს მივწვდი და ლორდს მთელი ძალით ჩავცხე თავში. გულაღმა კი არ დაეცა, წინ გადმოვარდა, ხელები შემომაჭდო და ტანსაცმელი სულ დამისისხლიანა. თეთრი ხალათის შიგნით მე მეცვა საპარადო მუნდირი – საზღვაო მუქიძლოურჯი რეიტუზი წითელი კანტებით ძალიან ჰგავდა მუნიციპალიტეტის სამედიცინო სამსახურის მუშაკების შარვლებს. მე ძალიან ვამაყობდი ჩემი ეშმაკობით, და საბოლოო ჯამში სწორედ ამან დამღუპა. სიკვდილისწინა კრუნჩხვაში იმ უბედურმა ჩემი მკერდიდან, გადაღელილი ხალათის ქვემოდან `ლევიათანის` ემბლემა მომაგლიჯა. დანაკარგი მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, როცა ორთქლმავალზე დავბუნდი. შევძელი სამაგირო მეშოვნა, თუმცა საბედისწერო კვალი დამრჩა. არ მახსოვს, როგორ გამოვადღე იმ სახლიდან. კარიდან ვეღარ გავბედე, ბადის მესერიდან გადავძვერი. ჭკუაზე სენის ნაპირზე მოვედი. ერთ ხელში სისხლიანი შივა მეკავა, მეორეში პისტოლეტი – თავადაც არ ვიცი, თან რატომ წამოვიღე. შემკრთალმა ერთიცა და მეორეც წყალში გადავყარე. ქალაქია კიტელის ჯიბეში მედო, თეთრი ხალათის შიგნით და გულს მითბობდა. მეორე დღეს გაზეთებიდან შევიტყე, რომ მარტო ლორდ ლიტლბის კი არა, კიდევ ცხრა კაცის მკვლელობა გაემხდარვარ. ამის გამო ჩემს განცდებს მე გამოვტოვებ.

- ჰო, აბა რა? – თავი დაიქნია კომისარმა. – ისედაც მეტისმეტად მგრძნობიარეა. გეგონება, ნაფიცი მოსამართლეების წინაშე გამოდიოდეს. აბა, თავად განსაჯეთ, ბატონებო, შემეძლოო, რომ სხვანაირად მოქცეულიყავიო? ჩტმს ალაგას თქვენც ამას იძამდით. ფუჰ! – და კითხვა განაგრძო.

ქალაქიას ჭკუიდან გადავყავდი. ჯადოსნურმა ფრინველმა, თვალის ნაცვლად სიცარიელე რომ ჰქონდა, მთელი თავისი უცნაური ძალაუფლების გავლენაში მომიქცია. თითქოს ჩემით კი აღარ ვმოქმედებდი, არამედ ჩუმ ხმას ვემორჩილებოდი, რომელსაც ამიერიდან თავის ჭკუაზე დავყავდი.

- ფსიქოლოგიური დამორჩილების საგანზედ გადმოგვიგდო ანკესი, - მიმხვედრი კაცის ღიმილით ჩაიცინა ბულდოგმა. – ჩვენც ვიცით ეგეთი ეშმაკობები, გაგვიგონია როგორმე.

სუეცში რომ მივცურავდით, ქალაქია გაქრა ჩემი სეკრეტერიდან. ბედის ანაბარად მიგდებულად ვიგრძენი თავი. აზრადაც არ მომსვლია, რომ ქალაქია მოპარულია. იმ დროისათვის ისეთი მისტიკური გრძნობის გავლენასი ვიყავი, რომ ქალაქია ცოცხალი და სულიერი არსება მეგონა. თავის ღირსად არ მცნო და მიმატოვა. ვერ ვწყნარდებოდი და ღუ თავი არ მოვიკალი, მხოლოდ იმის იმედით, რომ ქალაქია შემიბრალებს და დამიბრუნდება. ძალიან დიდი ბრძოლა მჭირდებოდა, რომ თქვენგან და თანამშრომლებისაგან დამემალა ჩემი გაწილება.

და მერე, ადენში მისვლის წინადღეს, სასწაული მოხდა! მე მადამ კლებერის კაიუტაში შევირბინე, მისი კვილი რომ გავიგონე, და უცებ საიდანღაც მოვლენილ ზანგს კისერზე ჩემი გამქრალი ქალაქია ეკეთა. ახლა კი ჩემთვის გასაგებია, რომ ის ველური რამდენიმე დღის წინათ იყო ჩემს კაიუტაში და ჭრელი ნაჭერი გააყოლა ხელს, მაგრამ იმ დროს მთელი ზეციური საშინელება განვიცადე. თითქოს თავად სიბნელის შავი ანგელოზი მოვიდა ჯოჯოხეთიდან, რომ ჩემთვის საგანძური დაებრუნებინა.

იმ ჭიდილში მე მოვკალი შავკანიანი და მადამ კლებერის ნახევრად გულწასული მდგომარეობით ვისარგებლე – მკვდარს შეუმჩნევლად შევხსენი ქალაქია. მას შემდეგ, სულ მკერდზე მოხვეულს ვატარებდი, წამითაც კი არ ვიცილებდი.

პროფესორ სვიტჩაილდის მკვლელობა, რომელმაც თავისი ზუსტი გათვლით გამაოცა, სრულიად გულგრილად ჩავივინე. ჩემს ზებუნებრივ წინდახედულებას და რეაქციის სისწრაფეს მთლიანად მივაწერ ქალაქიის მაგიურ მოქმედებას. სვიტჩაილდის პირველი უმნიშვნელო სიტყვებიდანვე მივხვდი, რომ მან

აღმოაჩინა ქალაქის საიდუმლოება და რაჯას შვილის კვალზე გავიდა – ჩემს კვალზე. პროფესორი უნდა მეიძულებინა, გაჩუმებულიყო და მე ეს გავაკეთე. ქალაქია ჩემით კმაყოფილი იყო – ეს იმიტომ ვიგრძენი, რომ აბრეშუმის ქსოვილი გათბა და ჩემს დატანჯულ გულს მიესათუთა.

მაგრამ სვიტჩაილდის მოშორებით მე მხოლოდ პრობლემის გადადებას მივაღწიე. თქვენ, კომისარო, ყველა მხრიდან შემომიტიეთ. კალკუტაში ჩასვლამდე თქვენ და განსაკუთრებით თქვენი გამჭრიახი თანაშემწე ფანდორინი...

გოშმა უკმაყოფილოდ ამოიბზუვლა და რუსს გახედა ცერად:

- გილოცავთ, მუსიე. მკვლელისგან კომპლიმენტის ღირსი შეიქმენით. იმაზეც მაღლობელი ვარ, რომ თქვენ ჩემს თანაშემწედ მოგიხსენიათ და არა პირიქით.

ადვილი წარმოსადგენია, რა სიამოვნებით გადახაზავდა პოლიციელი ამ სტრიქონს, თვალსი რომ არ მოხვედროდა პარიზელ ხელმძღვანელობას. მაგრამ სიმღერიდან სიტყვებს ხომ ვერ ამოყრი. რენატამ რუსს შეხედა. იმან კიდევ უღვაშის წვეტიანი ბოლო ამოიგრიხა და ჟესტით ანიშნა პოლიციელს, გააგრძელო.

...თანაშემწე ფანდორინი აუცილებლად ერთი მეორის მიყულებით გამორიცხავდით ყველა ექვმიტანილს და მხოლოდ მეღა დავრჩებოდი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ნატურალიზაციის განყოფილებაში ერთადერთი დეპუტატ კი საკმარისი იყო, რათა დადგენილიყო, თუ რა გვარს ატარებს ამჟამად რაჯა ბაღდასარის შვილი. და ეკოლ მატირიმის რეგისტრებიდანაც ჩანს, რომ სხვა გვარით შევედი და სულ სხვა გვარით დავამთავრე.

და მე მივხვდი, რომ სამოთხის ფრინველის ცარიელი თვალი – მიწიერი ნეტარების კი არა, მარადიული არაფრისკენ მიმავალი გზაა. მე გადაწყვეტილება მივიღე, ფსკერში წავსულიყავი, მაგრამ არა როგორც საცოდავი ხელმოცარული, არამედ როგორც დიადი რაჯა. ჩემი კეტილშობილი წინაპრები არასოდეს კვდებოდნენ მარტოობაში. მათ კვალდაკვალ განსასვენებელ კოცონზე ადიოდნენ მსახურებიც, ცოლებიცა და მხევლებიც. მე მზრძანებლად არ მიცხოვრია, სამაგიეროდ მოვკვდები, როგორც ჭეშმარიტ ხელისუფალს შეჭფერის – ასე გადავწყვიტე. და საბოლოო მოგზაურობაში მონებს და მსახურებს კი არა, ევროპის საზოგადოების ნაღებს გავიყოლებ. სამგლოვიარო ეტლად ეს დიდებული ხომალდი მექნება, ევროპული ტექნიკური პროგრესის საოცრება! ამ გეგმის გაქანებამ და სიდიადემ მთლიანად შემიპყრეს. ეს ხომ უფრო გრანდიუზულია, ვიდრე აურაცხელი სიმდიდრის დაუფლება!

- აქ იტყუება, - მოჭრა გოშმა. - ჩვენი დახრჩობა უნდოდა, თავისთვის კიდევ ნავი მოამზადა.

კომისარმა, ოლო ფურცელი აიღო, უფრო სწორად, ფურცლის ნახევარი.

ტრიუკი, რომელიც კაპიტან კლიფის მიმართ გამოვიყენე, ფლიდური იყო – ამას ვაღიარებ. ნაჭილობრივ საკუთარი თავის გასამართლებლად შემძლია ვთქვა, რომ არ ველოდი ამისთანა სამწუხარო შედეგს. მე კლიფთან ჭეშმარიტი პატივისცემა მაკავშირებს. მე ხომ არა მარტო `ლევიათანის` დაუფლება, არამედ სახელოვანი მოხუცის სიცოცხლის გადარჩენაც მინდოდა. გარკვეული დროით დაიტანჯებოდა, ქალიშვილის ამბავზე იშფოთებდა, მერე კი გაირკვეოდა, რომ გოგონა კარგად არის. სამწუხაროდ, ბოროტი ბედისწერა ყველაფერში თან დამყვება. შემემლო მევარაუდა, რომ კაპიტანს ეს დარტყმა სამარეში ჩაიყვანს? წყეული ქალაქია, ყველაფერში სულ ის არის დამნაშავე!

იმ დღეს, როცა `ლევიათანი` ბომბების პორტიდან გავიდა, მე დავწვი აბრეშუმის ჭრელი სამკუთხედი. მე დავწვი ხიდები.

- როგორ თუ დაწვა! – ამოიკვნესა კლარისა სნამპმა. – ესე იგი, ქალაქია აღარ არსებობს?

რენატა ბულდოგს მიაჩერდა. იმან კიდევ გულგრილად აიჩეჩა მხრები და თქვა:

- და მადლობა ღმერთს, რომ აღარ არის. და მთელი ის საგანძურის ჯანდაბაში წასულა – აი, ასე გეტყვით მე თქვენ, ქალბატონებო და ბატონებო. და ჩვენ კარგად ვიყოთ. ერთი უყურეთ, როგორი სენეკა გამოდგა. რენატამ მიზანმიმართულად მოიწმინდა ნიკაპი.

გიჭირთ ამის დაჯერება? კარგი, ჩემი სიძმართლის დასამტკიცებლად, მე მოგიყვებით, ქალაღაიის საიდუმლოს. ამის დამალვას აზრი აღარ აქვს.

კომისარმა კითხვა შეწყვიტა და ეშმაკურად შეხედა რუსს.

- რამდენადაც მახსოვს, მუსიე, თქვენ წუხელის ტრაზახობდით, რომ ამოხსენით ეს საიდუმლო. გაგვიზიარეთ თქვენი არმოჩენა, ჩვენ კიდევ შევამოწმებთ, მართლა ასეთი გამჭირახი ხართ თუ არა, როგორც ამ მიცვალებულს ეჩვენებოდით.

ფანდორინი ოდნავადაც არ შემცბარა.

- ეს ს-საკმაოდ იოლი სამსახურია, - თქვა დაუდევრად.

თავს იგდებს, გაიფიქრა რენატამ, მაგრამ მაინც კარგია. ნეტა მართლა მიხვდა?

- ჰოდა, რა ვიცი ქალაღაიაზე? ს-სამკუთხედია, თანაც ერთი მხარე სწორია, დანარჩენი ორი კი მიმოხვეული. ეს ერთი. ქალაღაიაზე გამოსახულია ფრინველი, რომელსაც თ-თვალის მაგივრად ნახვრეტი აქვს. ეს ორი. თქვენ, რასაკვირველია, გახსოვთ ბრაჰნაპურის სასახლის აღწერილობა, და ასევე მისი ზედა იარუსისა: მთაგრეხილი ჰორიზონტზე, მისი სარკული გამოსახულება ფრესკებზე. ეს ს-სამი.

- ჰოდა, გვახსოვს და მერე ამით რა გამოდის? – შეეკითხა გიჟი.

- როგორ თუ რა გამოდის, სერ რეჟინალდ, - ნაწილ-ნაწილ გაოცდა რუსი. – მე და თქვენ ხომ ვ-ვნახეთ სვიტჩაილდის ნახატი! იქ ყველაფერი აუცილებელი იყო მისახვედრად^ა სამკუთხა ქალაღაია, ზიგზაგური ხაზი, სიტყვა 'სასახლე'.

ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, დიაგონალზე გადაკეცა – სამკუთხედი გამოუვიდა.

- ქალაღაია არის გ-გასაღები, რომლის დახმარებითაც აღნიშნულია ის ადგილი, სადაც საგანძურია დამალული. ქალაღაიის ფორმა შეესაბამება ფრესკებზე გამოსახული მთებიდან ერთ-ერთს. საჭიროა მხოლოდ მივუსადაგოთ ქ-ქალაღაიის ზედა კუთხე ამ მთის მწვერვალს. აი ასე. – მაგიდაზე დადო ცხვირსახოცი და თითი შემოატარა. – და მასინ ფრინველ კალავინკის თვალი აღნიშნავს იმ წ-წერტილს, სადაც უნდა მოიძებნოს. რა თქმა უნდა, არა დახარულ, არამედ ნამდვილ მთაზე. იქ რაიმე გამოქვაბული ან რაიმე ამნაირი უნდა იყოს. კომისარო, მართალი ვარ თუ ვცდები?

ყველა გოსისკენ მიბრუნდა. იმან ლოყები დაბერა, ბანჯგვლიანი წარბები ერთად სეჰყარა და და საბოლოოდ დამგვანა ბებერ, კუსტ ბულდოგს.

- არ ვიცი, ამას როგორ აკეთებთ, - ჩაიბურღლუნა. – წერილი ჯერ კიდევ კარცერში წავიკითხე და წუთითაც არ გამიშვია ხელიდან... კარგი, მომისმინეთ.

მამაჩემის სასახლეში ოთხი დარბაზია, სადაც ტარდებოდა ოფიციალური ცერემონიები: ჩრდილოეთისაში – ზამთრის, სამხრეთისაში – ზაფხულის, აღმოსავლეთისაში - გაზაფხულის და დასავლეთისაში – შემოდგომისა. თუ გახსოვთ, ამაზე ჰყვებოდა განსვენებული სვიტჩაილდი. იქ, მართლაც არის კედლის მხატვრობა, რომელიც გამოსახავს მთის ლანდშაფტს, რომლის ხედიც იშლება მაღალი, იატაკიდან ჰერამდე ფანჯრებიდან. მრავალი წელიწადი გავიდა, მაგრამ საკმარისია თვალები მოვხუჭო, რომ ისევ დავინახო ეს პეიზაჟი ჩემს წინ. მე ბევრს ვმოგზაურობდი და ბევრიც მინახავს, მაგრამ მსოფლიოში არ არის უფრო მშვენიერი სანახაობა! მამამ ზარდახმა ჩაფლო ერთ-ერთ მთაზე მდებარე დიდი რუხი ლოდის ქვეშ. მთის მწვერვალებიდან რომელი იგულისხმება, შეიძლება იმის მიხედვით მივხვდეთ, თუ ფრესკებზე გამოსახულ მთებს რიგ-რიგობით მივუახლოვებთ ქალაღაიას. ის მთა, რომელიც იდეალურად ემთხვევა ნაჭრისას, ინახავს საგანძურს. ადგილი, სადაც უნდა მოიძებნოს ლოდი აღნიშნულია სამოთხის ფრინველის ცარიელი

თვალთ. რასაკვირველია, იმ ადამიანსაც კი, ვისაც ეცოდინებოდა, რომელ სექტორში უნდა ეძებნა, დასჭირდებოდა საათები, ანდა დღეებიც კი, ის ქვა რომ აღმოეჩინა – ძებნის ზონა ხომ ასეულობით მეტრებს მოიცავდა. მაგრამ გაურკვეველობები შეუძლებელია იყოს. მთაში მრავალი ნაცრისფერი ვალუნია, მაგრამ კლდის აღნიშნულ ნაწილში მხოლოდ ეს ერთია. `თვალში მოგხვდება ის რუხი ლოდი, ერთი მათგანი სხვა ლოდებს შორის`, - ამბობს ჩანაწერი ყურანში. რამდენჯერ წარმომიდგენია, როგორ დავცემ აღთქმულ მთაზე კარავს და აუჩქარებლად, გულაჩქროლებული, ვიხეციალებ აღნიშნულ ფერდობზე ამ რუხი ლოდის საძებნელად. მაგრამ ბედისწერამ სხვანაირად იწვინა.

რას ვიზამთ, ეტყობა, ზურმუხტებს, საფირებს, ლალებს და აღმასებს მოუწევთ იქ ყოფნა მანამდე, სანამ მიწისძვრა ლოდს ქვემოთ არ ჩამოაგორებს. ასი ათასი წლის შემდეგაც რომ მოხდეს ეს ამბავი, ძვირფას ქვებს არა მოუვათ რა – ისინი ხომ მარადიულნი არიან.

ჩემი საქმე კი მოთავებულია. ამ ქვეულმა ქალაქმა წაიღო მთელი ჩემი ძალა და ჭკუა. ცხოვრებამ აზრი დაკარგა. მე გასრესილი ვარ, მე ჭკუიდან ვარ გადასული.

- და აქ სრულ სიმართლეს ამბობს, - დაასვენა კომისარმა, ნახევარი ფურცელი გადადო. – მორჩა, აქ წერილი წყდება.

- ჰო, რენიე-სანი სცორად გააკეტა, - თქვა იაპონელმა. – უგირსად სხოვრობდა, მაგრამ გირსეულად მოკვდა. ამის გამო ბევრი რამე მოეტევა, და მომდევნო დაბადებისას იმას ექნება კიდევ ერთი სანსი, რომ ტავისი სოდვები გამოასცოროს.

- არ ვიცი, რა იქნება მომდევნო დაბადებისას, - ბულდოგმა პეწენიკად დააღაგა ფურცლები და შავ საქალაქდში შეინახა, - ჩემი გამოძიება კი, მადლობა ღმერთს, დამთავრდა. ცოტას დავისვენებ კალკუტაში და უკან, პარიზისკენ. საქმე დახურულია.

და აქ რუსმა დიპლომატმა რენატას სიურპრიზი მიართვა.

- როგორ თუ დახურულია? – ხმამაღლა იკითხა მან. – ისევ ჩქარობთ, კომისარო. – რენატასკენ შებრუნდა და ფოლადის ცივი, ცისფერი თვალის ორი ლულა დაუმიზნა. – ნუთუ მადამ კლებერი არაფერს გვიამბობს?

კლარისა სტამპი

ეს შეკითხვა ყველასათვის მოულოდნელი იყო. თუმცა, ყველასთვის არა – კლარისამ გაცემით აღმოაჩინა, რომ მომავალი დედა ოდნავადაც არ დაბნეულა. მართალია, ოდნავ შესამჩნევად გაფითრდა და წამით მოიკვნიტა ქვედა გაბერილი ტუჩი, მაგრამ პასუხი მტკიცედ, ხმამაღლა და ლამის უპაუზოდ გასცა:

- თქვენ მართალი ხართ, მუსიე, მე მართლა მაქვს მოსაყოლი რაღაც. მაგრამ თქვენთვის კი არა, კანონის წარმომადგენლისთვის.

უსუსრად შეხედა კომისარს და ვედრებით წარმოთქვა:

- ღვთის გულისათვის, ბატონო, ვისურვებდი, ჩემი აღიარება ცალკე მეთქვა.

როგორც ჩანს, მოვლენებმა გომისთვის სრულიად მოულოდნელი მიმართულება მიიღეს. მაძებარმა თვალეზუ ააფახულა, ეჭვით შეხედა ფანდორინს და, ამაყად დაბაზჩამოშვებულმა დაიგუგნა:

- კარგი, ჩემს კაიუტაში წავიდეთ, რაკი ასე თვლით საჭიროდ.

კლარისას გაუჩნდა შეგრძნება, რომ პოლიციელს წარმოდგენა არა აქვს, რაში უნდა გამოუტყდეს მადამ კლებერი.

აბა რა, კომისარს ძნელად თუ დაადანაშაულებდი ამაში – კლარისა თავადაც ვერ წამოსწოდა თავბრუდამხვევად განვითარებულ მოვლენებს.

გომმა და მისმა თანამგზავრმა ძლივს მოასწრეს კარის მოხურვა, რომ კლარისამ კითხვით შეხედა ფანდორინს, რომელმაც, ეტყობა, ერთადერთმა იცოდა, სახელდობრ რაც ხდებოდა. მთელი დღის განმავლობაში პირველად შეხედა ასე პირდაპირ და არა ირიბად, ანდა დაშვებული წამწამებიდან.

არასოდეს არ უნახავს ერასტი (კი-კი, შენთვის შეიძლება ასეც მოიხსენიო) ასეთი შეფიქრიანებული. შუბლი სეჭმუხნული აქვს, თვალეში შიში გაჰყინვია, თითებს ნერვიულად აკაკუნებს მაგიდაზე. ნუთუ ამ მტკიცე, ელვისებური რეაქციის მფლობელმა ადამიანმა დაკარგა მოვლენებზე კონტროლი? წუხელ კლარისამ უკვე ნახა შემცბარი, მაგრამ სულ ერთი წამით. მაშინ მალევე მოეგო გონს.

აი, როგორ იყო.

ბომბეის კატასტროფის მერე სამი დღე იჯდა თავის კაიუტაში. მსახურთან ავადობა მოიმიზეზა, იქვე ჭამდა, სასაიროდ კი მხოლოდ ღამით გამოდიოდა, როგორც ვიღაც ქურდბაცაცა.

ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი კარგად ჰქონდა, მაგრამ როგორ გამოჩნდეს თავისი შერცხვების მოწმებთან და მით უმეტეს იმასთან? ამ გაიძვერა გოშმა ყველას თვალწინ აიგდო მასხარად, დაამცირა, ტალახში ამოთხვარა. ყველაზე უარესი ის არის, რომ ბრალს ვერ დასდებ სიცრუეში – ყველაფერი მართალია, პირველიდან ბოლო სიტყვანდე. ჰო, როგორც კი მემკვიდრეობის უფლება კანონიერ ძალასი სევიდა, მასინვე პარიზში გავარდა, რომელზეც ამდენი გაეგონა და წაეკითხა. როგორც პეპელა ცეცხლისკენ. და ფრთები დაიწვა. ისიც საკმარისია, რომ ამ სამარცხვინო ამბავმა საკუთარი თავის პატივისცემის ბოლო ნამცეცები დააკარგვინა, ასე რომ, ახლა ყველამ იცის – მემავია, მიამიტი იდიოტია, პროფესიონალი ჟიგოლოს ხანშიშესული მსხვერპლია!

ორჯერ მოაკითხა მისის ტრუფომ ჯანმრთელობის მისახედად. რასაკვირველია, სურდა კლარისას დამცირებით დამტკბარიყო: თვალთმაქცურად ოხრავდა, სიცხეს უჩიოდა, ხოლო ის უფერული თვალეში საზეიმოდ უბრწყინავდა – რომ, რაო, ძვირფასოო, ჩვენგან რომელი არისო ნამდვილი ლედიო? შემოიარა იაპონელმაც, თქვა, რომ მათთან მირებულია `თანაგრძნობის ვიზიტით სტუმრობა`, თუკი ვინმე უქეიფოდ არის. შესთავა საექიმო სამსახური. უყურებდა თანაგრძნობით.

როგორც იქნა, დააკაკუნა ფანდორინმაც. იმასთან კლარისამ ცივად ილაპარაკა და კარი არ გაუღო – თავის ტკივილი მოიმიზეზა.

არაუშავს, ეუბნეოდა საკუთარ თავს და უნიატოდ ჭამდა ბიფშტექსს მარტოობაში. მოითმენს ცხრა დღეს კალკუტამდე. დიდი ამბავი – ცხრა დღე რომ იჯდეს ჩაკეტილი. რა სისულელეა, ჩაკეტილი მეოთხედ საუკუნესაც გაძლებდა. აქ უფრო უკეთესია, ვიდრე დეიდის სახლში. მარტოა, კომფორტულ კაიუტაში, კარგი წიგნებით. კალკუტასი კიდევ ჩუმად გადაძვრება ნაპირზე და აი, მაშინ კი, ნამდვილად ახალ, დაულაქავებელი ფურცელს გადაშლის.

მაგრამ მესამე დღეს, საღამოსკენ სულ სხვანაირმა აზრებმა გადაწონეს. ო, რა მართალი იყო ბარდი, როცა დაწერა:

თავისუფლების მოპოვება ტკბილია რარიგ,

ყველაფერს რომ დაკარგავ, უფროთხილდებოდი რასაც კი.

ისე გამოდიოდა, რომ სინამდვილესი დასაკარგიც არაფერი იყო. გვიან საღამოს (უკვე შუალამეც გადავიდა) კლარისამ მტკიცედ მოიწესრიგა ვარცხნილობა, ოდნავ გაიპუდრა სახე, ჩაიცვა ასე მოხდენილი პარიზული სპილოსძვლისფერი კაბა და დერეფანში გამოვიდა. ღელვა აქეთ-იქით ახეთქებდა კედლებს.

ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა, მეთვრამეტე კეიუტის კართან გაჩერდა, აწეული ხელი გაუმეშდა – მაგრამ მხოლოდ წამით, მხოლოდ და მხოლოდ ერთი წამით – და კლარისამ დააკაკუნა.

ერასტმა მაშინვე გაუღო. ცისფერ უნგრულ, ზონარებიან ხალათში იყო. ფართო ამონაჭერში თეთრად უქათქათებდა პერანგი.

- უნდა მოგელაპარაკოთ, - უაპელაციოდ გამოაცხადა კლარისამ, მასალმებაც კი გადაავიწყდა.

- ს-საღამო მშვიდობისა, მის სტამპ, - სწრაფად თქვა მან. – მოხდა რამე?

და პასუხს არ დალოდებია, სთქოვა:

- გოთხოვთ, ერთი წუთით დამელოდოთ. გ-გამოვიცვლი.

შეუშვა უკვა სერთუკში გამოწყობილმა, უნაკლოდ გამოფსკვნილი ჰალსტუხით. ჯესტით ანისნა დაჯდომა.

კლარისა დაჯდა, თვალეში უყურებდა მასპინჯელს და შემდეგი წარმოსთქვა:

- ოღონდ არ გამაწყვეტინოთ. თუ ავირევი, უფრო საშინელება იქნება... ვიცი, გაცილებით უფროსი ვარ თქვენზე. რამდენი წლის ხართ? ოცდახუთის? ნაკლების? რ მნიშვნელობა აქვს. მე ხომ არ გთხოვთ, რომ ცოლად მომიყვანოთ. მაგრამ თქვენ მომწონხართ. შეყვარებული ვარ თქვენზე. მთელი ჩემი აღზრდა იქითკენ იყო მიმართული, რომ არასდროს და არანაირ ვითარებაში არ მეთქვა მამაკაცისთვის ეს სიტყვები, მაგრამ ჩემთვის ახლა სულ ერთია. აღარ მინდა დროის დაკარგვა. ისედაც სიცოცხლის საუკეთესო წლები დავკარგე. ისე ვჭკნები, აყვავება არც კი მიგრძენია. ცოტათი მაინც თუ მოგწონვართ, მითხარით. თუ არა და _ ესეც მითხარით. იმ სირცხვილის მერე, რაც გადავიტანე, არა მგონია, უფრო მწარე იყოს. და იცოდეთ: ჩემი პარიზული... თავგადასავალი კომშარი იყო, მაგრამ იმაზე არ ვნანობ. კომშარი სჯობს იმ გამოსათავყვანებელ სიზმარს, რომლითაც სიცოცხლე გავატარე. აბა, მიპასუხეთ, რას გაჩუმებულხართ!

ღმერთო, ნუთუ ამისთანა რამის თქმა შეეძლო ხმამაღლა? ისე, აქ არის იმისთანა, რითაც შეუძლია იამაყოს. თავიდან ფანდორინი გამრა, არარომანტიულადაც კი ახამხამა გრძელი წამწამები. მერე ალაპარაკდა – ნელა-ნელა, ჩვეულებრივზე უფრო მეტად ბორძიკობდა:

_ მის სტამპ... კ-კლარისა... თქვენ მომწონხართ. ძალიან მომწონხართ. მე ა-ადფრთოვანებული ვარ თქვენით. და მ-მშურს კიდეც.

_ გშურთ? რისი? – განცვიფრდა ქალი.

_ თქვენი სიმამაცისა. ი-იმის, რომ თქვენ არ გ-გეშინიათ არც უარის და არც სასაცილოდ გ-გამოჩენისა. ი-იცით, მე სინამდვილესი ძალიან მშობრა და საკუთარ თავში დაეჭვებული ადამიანი ვარ.

_ თქვენ? _ უფრო მეტად გაოცდა კლარისა.

_ დიახ, ,ე მ-ძალიან მეშინია ორი რამის: სასაცილო ან სულელურ მ-მდგომარეობაში არ ჩავვარდე და... არ შევასუსტო ჩემი თავდაცვა.

არა, ამ კაცისას ნამდვილად ვერაფერს ხვდებოდა ქალი.

_ რომელი თავდაცვა?

_ იცით, მე ადრე გავიგე, რ-რა არის დანაკარგი, და ძალიან შემეშინდა _ ალბათ, სამუდამოდ. სანამ მარტო ვარ, ჩემი თავდაცვა ბედისწერის წინააღმდეგ მ-ძლიერია, მე არაფრის და არავისი მ-მეშინია. ჩემნაირი წყობის კაცისთვის უკეთესია მარტო იყოს.

_ მე უკვე გითხარით, მისტერ ფანდორნ, _ მკაცრად ყპასუხა კლარისამ, _ რომ სულაც არ ვაცხადებ პრეტენზიას არც თქვენს ცხოვრებაში ადგილზე და გულში ადგილზეც კი არა. და მით უმეტეს არ დავემუქრები თქვენს `თავდაცვას`.

ქალი გაჩუმდა, რადგან ყველა სიტყვა ნათქვამი იყო.

და რაღა ამ დროს დააბრაზუნეს კარზე. დერეფნიდან მიღფორდ-სტოუკსის აღზნებული ხმა მოისმა:

_ მისტერ ფანდორინ, სერ! არ გძინავთ? გააღეთ! ჩქარა! აქ შეთქმულება!

_ აქ დარჩით, _ უჩურჩულა ერასტმა. _ მე მალე მოვალ.

დერეფანში გავიდა. კლარისამ გაიგონა ჩახშული ლაპარაკი, მაგრამ სიტყვები ვერ გაარჩია.

ხუთი წუთის შემდეგ ფანდორინი დაბრუნდა. გამუსაწევი ყუთიდან ამოიღო და ჯიბეში ჩაიღო რაღაც პატარა, მაგრამ მძიმე საგანი, რატომღაც მისწვდა ელეგანტურ ტროსტს და შეფიქრიანებულმა თქვა?

_ ცოტა ხანი დაჰყავით აქ და თქვენთან დაბრუნდით. ეტყობა, ჩვენი ამბავი დასასრულს უახლოვდება.

აი, თურმე როგორი ფინალი ჰქონია მხედველობაში... მერე, უკვე თავის კაიუტაში დაბრუნებულ კლარისას ესმოდა, როგორ ხმაურობდა ნაბიჯები დერეფანში, ჟღერდა ალელუებელი ხმები, მაგრამ მას, რასაკვირველია, ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ამაყი `ლევიათანის` ანძებს სიკვდილი დასტრიალებდა.

_ რა უნდა აღიაროს მაღამ კლებერმა? _ ნერვიულად იკითხა ექიმმა ტრუფომ. – მუსიე ფანდორინ,

აგვიხსენით, რა ხდება. ის რა შუაშია?

მაგრამ ფანდორინი დუმდა და სახეს იჭმუხვნიდა აღელვებული.

გვერდითი ტალღების თანაბარ დაწოლაში მოხვედრილი და დარწმუნებული `ლევიათანიო ყველა წესის მიხედვით ჩრდილოეთისკენ მიდიოდა, პოლსკის ყურის შტორმისშემდგომ, მღვრიე ტალღებს მიაპობდა. მოწორებით მწვანედ მოჩანდა ცეილონის ნაპირები. დილა ღრუბლიანი იყო, მაგრამ ჩახუთული. უქარო მხარეს გახსნილ ფანჯრებიდან სალონში შემოდინდა ცხელი, მხუთავი ჰაერი, მაგრამ ნაკადი გასავალს ვერ პოულობდა და უღონოდ ქრებოდა, ოდნავ თუ გაარხევდა ფარდებს.

_ ეტყობა, მე შ-შეცდომა დავუშვი, - წაიბურტყუნა ფანდორინმა, კარისკენ გადადგა ნაბიჯი. _ სულ ერთი ან ნახევარი ნაბიჯით ჩამოვრჩები ამ...

როცა პირველმა გასროლამ იქეჯა, კლარისამ ვერ გაიგო, ეს რა იყო _ ჭახანი და ჭახანი. ცოტა რამეა, რაც შეიძლება აღელვებულ ზღვაში მცურავ ხომალდზე გატკაცუნდეს? მაგრამ კიდევ ერთხელ გაჭახუნდა.

_ რევოლვერიდან ისვრიან! – წამოიყვირა სერ რეჯინალდმა. _ მაგრამ სად?

_ კომისრის კაიუტაში! _ სწრაფად თქვა ფანდორინმა და კარში გავარდა.

ყველა მას მიჰყვა.

იქუხა მესამედაც, ხოლო როცა გომის კაიუტამდე სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯი რჩებოდა – მეოთხედაც.

_ აქ დარცით! – დაიყვირა ფანდორინმა, არ მობრუნებულდა და უკანა ჯიბიდან პატარა რევოლვერი ამოიღო.

დანარჩენებმა ნაბიჯი შეანელეს, მაგრამ კლარისას სულაც არ ეშინოდა, სულაც არ აპირებდა, ერასტს ჩამორჩენოდა.

რუსმა კაიუტის კარს უბიძგა და წინ რევოლვერიანი ხელი წამოსწია. კლარისა ფეხისწვერებზე აიწია და იმის მხარსზემოდან შიგნით შეიხედა.

ამოყირავებული სკამი – აი, პირველიმ რაც შენიშნა. მერე კომისარი გომი დაინახა. მრგვალი, პოლირებული მაგიდის, _ რომელსაც ოთახის ცენტრალური ნაწილი ეკავა, _ იქით მხარეს იწვა გულადმა. კლარისამ კისერი მოხარა, რათა კარგად დაენახა მწოლიარე და შეხტა: გომს სასწაულად ჰქონდა დამახინჯებული სახე, ხოლო შუბლის შუაში შებუმტულიყო სისხლი, რომელიც ორ ნაკადად იღვრებოდა იატაკზე. მოპირდაპირე კუთხეში კედელს აჰკვროდა რენატა კლებერი. მკვდარივით იყო გაფითრებული, ისტერიულად ქშინავდა და კბილები უკაწკაწებდა. ხელში კიდევ დიდი, შავი რევოლვერი უცახცახებდა აბოლებული ლულით.

_ ა-ა! უ-უ! – დაიუყმუვლა მადამ კლებერმა და აკანკალებული თითი მიაშვირა მკვდარ სხეულს. – მე... მე მოვკალი!

_ მივხვდი! – ცივად წარმოთქვა ფანდორინმა.

დამიზნებული რევოლვერი არ მოუშორებია, სწრაფად მიუახლოვდა და მარჯვე მოძრაობით გამოსტაცა შვეიცარიელს იარაღი. იმას კიდევ წინააღმდეგობის გაწევა არც უფიქრია.

_ ექიმი ტრუფო! – დაიყვირა ერასტმა, ტან რენატას ყოველ მოძრაობას უთვალთვალეზდა. – აქ მოდით! ბაჯაჯგანა ექიმმა შიშით აღსავსე ცნობისმოყვარეობით შეიხედა თოფისწამლის კვამლით სავსე კაიუტაში. ტრუფომ დაბალ ხმაზე რაღაც თქვა იტალიურად და მკვდარ გომთან მუხლებზე ჩაიჩოქა.

_ ლეტალური ჭრილობა თავში, - მოახსენა მან. – უცაბედი სიკვდილი. მაგრამ კიდევ არის... მარჯვენა იდაყვშია ნასროლი. და კიდევ აი, აქ, მარცხენა მაჯა. სულ სამი ჭრილობაა.

_ კიდევ ნახეთ. ო-ოთხი გასროლა იყო.

_ მეტი აღარ არის. ეტყობა, ერთი ტყვია ასცდა. თუმცა არა, მოიცადეთ! აი ისიც – მარჯვენა მუხლში!

_ მე ყველაფერს გიამბობთ, - წაილულლულა ქვითინისგან აცახცახებულმა რენატამ, - ოღონდ ამ საშინელი ოთახიდან წამიყვანეთ!

ფანდორინმა პატარა რევოლვერი ჯიბესი შეინახა, დიდი კი მაგიდაზე დადო.

_ კარგი, წავედით. ექიმო, აცნობეთ ეს ამბავი ვახტის უფროსს, კართან ყარაული დააყენოს. და ჩვენ შემოგვიერთდით. ჩვენს გარდა სხვა ველარავინ აწარმოებს გამოძიებას.

_ რა დათარსული რეისია! – ოხრავდა დერეფანში წინ და უკან მოსიარულე ტრუფო. – ბედკრული `ლევიათანი`!

`უინძორში` ასე განლაგდნენ: მადამ კლებერი მაგიდას მიუჯდა პირისახით კარისკენ, დანარჩენები; დანარჩენები, არ შეთანხმებულან, მოპირდაპირე მხარეს განლაგდნენ. მხოლოდ ფანდორინმა დაჯდა მკველის გვერდით მდგარ სკამზე.

_ ბატონებო, ასე ნუ მიყურებთ, - საწყლად თქვა მადამ კლებერმა. – მე მოკვალი, მაგრამ მე არაფერში ვარ დანაშავე. აი, მე ყველაფერს-ყველაფერს მოგიყვებით და თქვენ დაინახავთ... მაგრამ ღვთის გულისათვის, წყალი მომეცით...

გულმოწყალე იაპონელმა ლიმონადი დაუსხა – საუზმის შემდეგ მაგიდა ჯერ კიდევ არ აელაგებინათ.

_ აბა, რა მოხდა? – შეეკითხა კლარისა.

_ Translate everything she says, - მკაცრი ინსტრუქცია მისცა მადამ ტრუფომ დროულად შემოსულ ქმარს. – Everything – world for world (`მითარგმნე ყველაფერი, რასაც ამბობს, სიტყვა სიტყვით` - ინგლ.).

ექომმა თავი დაუქნია, თანაც სწრაფი სიარულისგან გაოფლილ მელოტს ცხვირსახოცით იწმენდა.

_ ნურაფრის ნუ გეშინიათ, ქალბატონო. ყველაფერი მოყვით, - რენატა გაამხნევა სერ რეჯინალდმა. – ეს ბატონი ჯენლმენი არ არის, ქალებთან მოქცევა არ იცის, მაგრამ მე გარანტიას გაძლევთ, რომ დიდი პატივისცემით მოგექცევიან.

ამ სიტყვებს ფანდორინისკენ გახედვა ერთვოდა – გახედვა აღსავსე იყო ისეთი მწველი სიძულვილით, რომ კლარისა გაინაბა. ნეტავი რა მოხდა ამისთანა ერასტსა და მილფორდ-სტოუკსს შორის გუშინდელს აქეთ? საიდან მოდის ამისთანა მტრობა?

_ გმადლობ, ძვირფასო რეჯინალდ, - ამოისლუკუნა რენატამ.

რენატა დიდხანს სვამდა ლიმონათს, სლუკუნით. მერე ყველას მოატარა მავედრებელი მზერა და დაიწყო:

_ გოში არავითარი კანონის დამცველი არ არის! დამნაშავეა, გიჟი! აქ ყველა ჭკუიდან შეცდა ამ საძაგელი ქალაქიას გამო! პოლიციის კომისარიც კი!

_ თქვენ თქვით, რომ რაღაც უნდა აღიაროთ მის წინაშე, - უსიამოვნოდ შეახსენა კლარისამ. – კერძოდ რა?

_ დიახ, მე დავმალე ერთი გარემოება... მნიშვნელოვანი გარემოება. მე ყველაფერს ვაღიარებდი, მაგრამ ჯერ კომისრის მხილება მიხდოდა...

_ მხილება? რაში? – თანაგრძნობით შეეკითხა სერ რეჯინალდი.

მადამ კლებერმა ტირილი შეწყვიტა და საზეიმოდ გამოაცხადა:

_ რენიეს თავი არ მოუკლავს. კომისარმა გოშმა მოკლა! – და რომ დაინახა, როგორ გაოგნდნენ მსმენელები ამ ცნობით, განაგრძო. – ეს ხომ ცხადია! აბა სცადეთ გამოქცეულმა გაიტეხოთ თავი კუთხეზე ექვსი კვადრატული მეტრის ოთახში! ეს შეუძლებელია. შარლს რომ თავის მოკვლა გადაეწყვიტა, ჰალსტუხს მოიხსნიდა, სავენტილაციო ცხაურს მიაბამდა და სკამიდან გადმოხტებოდა. არა, გოსმა მოკლა! რაღაც მძიმე ჩაარტყა თავში, მერე კი თვითმკვლელობის ინსცენირება გააკეთა – უკვე მკვდარს მიატყმევინა თავი კედელზე.

_ მაგრამ რასი დასჭირდა კომისარს რენიეს მოკვლა? – სკეპტიკურად გადააქნია თავი კლარისამ. რაღაცას მიედ-მოედებოდა მადამ კლებერი.

_ აი, ხომ ვამბობ, სულ გააფრინა სიხარბისაგან! ყველაფერში ქალაქიაა დამნაშავე! ან გოში განრისხდა შარლზე, ქალაქია რატომ დაწვიო, ანდა არ დაუჯერა – არ ვიცი. მაგრამ ის გოშმა მოკლა, ეს ნათელია. და როცა ეს პირისპირ გამოვუცხადე კომისარს, მას თავის მართლება არც უფიქრია. თავისი პისტოლეტი

დაადრო, იმის ქნევა დამიწყო, მემუქრებოდა. მეუბნებოდა, რომ თუ ენას არ ჩავიგდებ, მეც რენიეს გზას გამიყენებს... _ რენატამ ისევ დაიქსუტუნა და – ო, საოცრებათა საოცრებაჲ! – ბარონეტმა თავისი ცხვირსახოცი გაუწოდა.

რა საიდუმლო გარდაქმნაა, ეს ხომ ყოველთვის გაურბოდა რენატას?

_ ...ჰოდა, აი, პისტოლეტი მაგიდაზე დადო მხრებით ნჯღრევა დამიწყო. ისე შემეშინდა, ისე შემეშინდა! თავადაც არ მახსოვს, როგორ ვკარი ხელი და მაგიდიდან იარაღი ავიტაცე. ეს საშინელება იყო! მე იმას გავურბოდი მაგიდის გარშემო სირბილით, ის კიდეც მომდევდა. მე შევბრუნდი და ჩახმახს გამოვკარი – არ მახსოვს, რამდენჯერ. ბოლოს, ის დაეცა... მერე კი ბატონი ფანდორინი შემოვიდა.

და რენატა ხმამაღლა აქვითინდა. მილფორდ-სტოუკსმა ფრთხილად გადაუსვა მხარზე ხელი – თითქოს ჩხრიალა გველს ჰკიდებდა ხელს.

სიჩუმეში გაისმა მხიარული ტკაცანი. მოულოდნელობისგან კლარისა შეხტა.

_ ბრავო! – ფანდორინი დამცინავად უღიმოდა მთხრობელს და ტაშს უკრავდა. – ბ-ბრავო, მადამ კლებერ! თქვენ დიდებული მსახიობი ხართ.

_ როგორ ბედავთ! – აღშფოთებისგან ხველება აუვარდა სერ რეჯინალდს, მაგრამ ერასტმა ის ქესტით შეაჩერა.

_ დაჯექით დფა მომისმინეთ. მე მოგიყვებით, როგორც იყო. – ფანდორინი აბსოლუტურად მშვიდი იყო, ოდნავადაც არ ეჭვობდა თავის სიმართლეს. – მადამ კლებერი არა მ-მარტო შესანიშნავი მსახიობია, არამედ საერთოდ მარჯვე და ნიჭიერი არსებაა ყველაფერში. დიდი გაქანებით. ფანტაზიით. სამწუხაროდ, მისი მთავარი ნიჭი კრიმინალურ სფეროში არის. თქვენ თანამონაწილე ხართ მკვლელობათა მთელი რიგისა, მადამ. უფრო სწორად, თანამონაწილე კი არა, სულისჩამდგმელი, მ-მთავარი მოქმედი გმირი. ეს რენიე თქვენი თანამონაწილე იყო.

_ აი, აჰა, - ჩივილით მიმართა რენატამ სერ რეჯინალდს. - ამანაც გარეკა. არადა, როგორი წყნარი და მშვიდი იყო.

_ ყველაზე გამაოგნებელი თქვენში – რეაქციების არაადამიანური სისწრაფეა, - თითქოს არაფერი მომხდარაო, განაგრძობდა ფანდორინი. – თქვენ პ-პირველი ურტყამთ, მადამ სანფონ. ნებას ხომ მოგვცემთ, რომ ნამდვილი სახელით მოგმართოთ?

_ სანფონი?! მარი სანფონი?! თავად ის?! – წამოიყვირა ექიმმა ტრუფომ.

კლარისამ თავისი თავი დაიჭირა, რომ პირდაღებული იჯდა, ხოლო მილფორდ-სტოუკსმა სასწრაფოდ აიღო ხელი რენატას მხარიდან. თავად რენატა თანაგრძნობით უყურებდა ფანდორინს.

_ დიახ, თ-თქვენს წინაშეასაერთაშორისო ავანტურისტი მარი სანფონი, ლეგენდარული, უტყებლური და დაუნდობელი. მისი სტილი – მასშტაბურობაა, გამომგონებლობა, კ-კადნიერება. კიდეც –

მტკიცებულებების და მოწმეების არარსებობა. და da, the last but not the least (‘ჩამოთვლილთაგან ბოლო, სულაც არ გახლავთ ბოლო თავისი მნიშვნელობით’ - ინგლ.), - ადამიანის სიცოცხლის ფეხებზე დაკიდება.

ჭარლ რენიეს ჩვენებები, რომლებსაც ჩვენ კიდეც დავუბრუნდებით, ნახევარ ს-სიმართლეს შეიცავენ და ნახევარს ტყუილს. მე არ ვიცი, ქალბატონო, როდის და რა ვითარებასი გაეცანით ამ ადამიანს, მაგრამ ეჭვს არ იჭვევს ორი რამ. რენიეს ნამდვილად უყვარდით და სიცოცხლის ბოლო წუთამდე ცდილობდა

თქვენთვის ეჭვი აეცილებინა. და მეორე: სწორედ თქვენ შეაგულიანეთ ზურმუხტის რაჯას შვილი, რათა მემკვიდრეობის ძებნა დაეწყო. – სხვანაირად ის ა-ამდენი წელი არ მოიცდიდა. თქვენ გაეცანით ლორდ

ლიტლბის, მოიპოვეთ ყველა აუცილებელი ცნობა და დაამუშავეთ გ-გეგმა. ეტყობა, თავიდან ფიქრობდით, ეშმაკობით ამოგელოთ ქალაქია, ლაყბობაზე გ-გათვლით – ლორდმა ხომ არაფერი იცოდა ქსოვილის ამ

ნაჭრის მნიშვნელობაზე. თუმცა მალევე დარწმუნდით, რომ ამოცანა გადაუჭრელია: ლიტლბი შეშლილი იყო თავის კოლექციაზე და არაფრისდიდებიტ დათანხმდებოდა გამოთხოვებოდა ერთ-ერთ ექსპონატს.

ქალაქიის მოპარვაც შეუძლებელი იყო – ვიტრინის მახლობლად გამუდმებით მორიგეობდა

შეიარაღებული დაცვა. და თქვენ ალაბედზე გადაწყვეტით მ-მოქმედება – მინიმალური რისკით და, როგორც თქვენ გიყვართ, კვალის დაუტოვებლად. მითხარით, იცოდით, რომ იმ საბედისწერო საღამოს ლორდ ლიტლბი არსად წასულა და შინ დარჩა? დარწმუნებული ვარ, რომ იცოდით. თქვენ გჭირდებოდათ რენიეც ხელფეხშეკრული ყოფილიყო ს-სისხლით. მსახურები იმას ხომ არ მოუკლავს – ეს თქვენ გააკეთეთ.

_ შეუძლებელია! – ხელისგული გამოიშვირა ექიმმა ტრუფომ. – ქალმა, რომელსაც არა აქვს სამედიცინო განათლება და გამოცდილება, ცხრა ნემსი გააკეთოს სამ წუთში? გამორიცხულია.

_ ჯერ ერთი, ს-შეიძლებოდა წინასწარ მოემზადებინა ცხრა ავსებული შპრიცი. და მეორეც... – ერასტმა დახვეწილი ჟესტით აიღო ვაზიდან ვაშლი და ნაჭერი მოაჭრა. – ეს ბატონ რენიეს არ ჰქონდა შპრიცთან საქმიანობის გამოცდილება, სამაგიეროდ მარი სანფონს აქვს. ნუ დაივიწყებთ, რომ ის იზრდებოდა ვინსენტიანელების, ნაცრისფერ დედათა სავანეში იზრდებოდა. ცნობილია, რომ ეს ორდენი მიზნად ისახავს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს ღარიბებს, და ვინსენტიანელ ქალებს ადრეული ბავშვობიდანვე ამზადებენ ჰოსპიტლებში, ლეპროზორიუმებში და დავრდომილთა თავშესაფრების სამსახურისთვის. ყველა ეს მონაზვნები – მაღალი კვალიფიკაციის მოწყალეების დები არიან, ხოლო ახალგაზრდა მარი, გემახსოვრებათ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

_ მართლა, მე დამავიწყდა. თქვენ მართალი ხართ! – ექიმმა სინანულით გადააქნია თავი. მაგრამ განაგრძეთ, მეტად აღარ შეგაწყვეტინებთ.

_ მას, ასე. პარიზი, ღიუ დე გრენელი, თხუთმეტი მარტის საღამო. ლორდ ლიტლბის სახლში ო-ორნი მიდიან: ახალგაზრდა შავგვრემანი ექიმი და მოწყალეების და თვალეზე ჩამოშვებული მონაზვნების ნაცრისფერი კაპიუმონით. ექიმი დამხვდურებს წარმოდგენს ქ-ქალად მერიის ბეჭდით, მოითხოვს დაუყოვნებლის შეკრიბონ ყველა, ვინც სახლშია. ალბათ, ამბობს, რომ უკვე გვიანია, სამუშაო კიდევ ბევრია. ნემსებს მოწინააღმდეგეებს – მარჯვედ, სწრაფად, უმტკივნეულოდ. მოგვიანებით ინექციის ადგილებში პათოლოგოანატომი გ-გემატომებს ვერ აღმოაჩენს. მარი სანფონმა არ დაივიწყა თავისი ღვთისმოსავური ახალგაზრდობის გაკვეთილები. შემდგომი მოვლენები ნათელია, ამიტომ დ-დაწვრილებით აღარ მოვყვები: მსახურები იძინებენ, დამნაშავეები ადიან მეორე სართულზე, რენიეს უცაბედი შებრძოლება პატრონთან. მკველელბმა ვერ სეამჩნიეს, რომ ლორდს ხელში დარჩა `ლევიანის` ემბლემა. შემდგომში ქალბატონო, თქვენ მოგიწიათ თანამზრახველისთვის ემბლემის მიცემა – თქვენ უფრო ადვილად აიცილებდით ეჭვს, ვიდრე კაპიტნის პირველი თანასემწე. და კიდევ, ვ-ვვარაუდობ, რომ საკუთარ თავში უფრო მეტად იყავით დარწმუნებული, ვიდრე რენიეში.

კლარისამ, აქამდე მოჯადოებული რომ უყურებდა ერასტს, ახლა უცებ შეხედა რენატას. ის ყურადღებით უსმენდა, მაგრამ სახეზე გაყინვოდა გაოცებულ-განაწყენებული გამომეტყველებს. თუკი ეს მართლა მარი სანფონი იყო, ჯერ არაფრით გაუცია თავი.

_ თქვენზე, ორივეზე იმ დ-დღიდან მივიტანე ეჭვი, როცა თითქოს თქვენ თავს დაგესხათ ის უბედური აფრიკელი, - ნდობით განუცხადა რენატას მთხრობელმა და ვაშლის ნაჭერი მოკბიჩა თეთრი, თანაბარი კბილებით. – აქ, რა თქმა უნდა, რენიე არის დამნაშავე – პფნიკასი ჩავარდა, ალელდა. რამე უფრო ემბაკური უნდა მოგეფიქრებინათ. მე აღვადგენ მოვლენათა ჯაჭვს, თქვენ კი შ-შემისწორეთ, თუკი დეტალებში შევცდები, კარგი?

რენატამ უილაჯოდ დაუქნია თავი და ხელი გადაისვა მრგვალ ლოყაზე.

_ რენიე კაიუტამდე მიგაცილებდათ – მოსალაპარაკებელი გქონდათ, თქვენი თანამზრახველის ჩვენებებში ნათქვამია, რომ იმის წინ ქალაღია ს-საიდუმალად გაქრა. თქვენ შეხვედით კაიუტაში, დაინაზეთ უშველებელი ზანგი, თქვენს ნივთებში რომ იქექებოდა, და თავიდან, რასაკვირველია, შეგემინდათ – თუკი თქვენთვის საერთოდ ნაცნობია შიშის გრძნობა. მაგრამ მომდევნო წამს გული სიხარულით აგიჩქროლდათ – ვ-ველურის კისერზე აღქმული ქალაღია დაინახეთ. ყველაფერს ნათელი მოეფინა: რენიეს კაიუტაში ფათურისას, ლტოლვილი მონა მოიხიბლა ნაჭრის ჭრელი ქსოვილით და გადაწყვიტა იმით დაემშვენებინა

თავისი მძლავრი კისერი. თქვენს კვილზე რენიემ შემოირბინა, იმანაც დაინახა ქალაქია, ხანჯალი ამოიღო... თქვენ მოგიწიათ მოგეგონებინათ მითიური თავდასხმის აბავი – იატაკზე დაწოლილიყავით, ზედ წამოგემხოთ მ-მძიმე, ჯერ კიდევ თბილი მოკლულის სხეული. ალბათ, ეს ძალიან არასასიამოვნო იყო, არა? – ნება მომეცით, მაგრამ ეს მხოლოდ თითიდან გამოწოვილი აზრებია! – ცხარედ უარყო სერ რეჯინალდმა. – რასაკვირველია, ზანგი თავს დაესხა მადამ კლემერს, ეს ნათელია! ისევ ფანტაზიებს აგებთ, მუსიე რუსო დიპლომატო!

– ოდნავადაც არა, – მოკლედ მიუგო ერასტმა, ბარონს უყურებდა სევდით თუ სიბრაღით. – მე ხომ ვ-ვამბობდი, რომ მომიხდა მენახა ნდანგას ტომის მონები და თანაც ადრე, თურქების ტყვეობაში ყოფნისას. იცით, აღმოსავლეთში რატომ ფასობენ ასე ძვირად? იმიტომ, რომ დიდი მ-ძალის მფლობელები არიან, მაგრამ გამოირჩევიან რბილი, დამყოლი ხასიათით და საერთოდ არ არიან აგრესიისკენ მიდრეკილნი. ეს მიწათმოქმედთა ტომია და არა მონადირეების, იმათ არასდროს უომიათ ვინმესთან. ნდანგა არავითარ შემთხვევაში თავს არ დაესხმოდა მადამ კლემერს, შესაშინებლადაც კი. აი მუსიე აონოც განცვიფრდა ი-იმით, რომ თქვენს ძვირფას კისერზე დალურჯებები არ დარჩენილა ველურის თითებისგან. უცნაური არ არის?

შეფიქრიანებულმა რენატამ თავი დახარა, თითქოს თავადვე იყო გაკვირვებული ამისთანა კაზუსით.

– ახლა პროფესორ სვიტჩაილდის მკვლელობა გავიხსენოთ. როგორც კი ნათელი გახდა, რომ ინდოლოგი ახლოს არის ამოცანის ამოხსნასთან, თქვენ მასინვე, ქალბატონო, სთხოვეთ, რომ არ ეჩქარა, დაწვრილებით მოეყოლა და სულ თავიდან, ამასობაში კი საკუთარი თანამზრახველი ვითომ შალისთვის გააგზავნეთ, სინამდვილეში კი – მკვლელობის მოსამზადებლად. მეწყვილემ უსიტყვოდ გაგიგოთ.

– ტყუილია! – ხმამაღლა წამოიყვირა რენატამ. – ბატონებო, თქვენ მოწმეები ხართ!@რენიემ თავად გადაწყვიტა წასვლა! გახსოვთ? მუსი მილფორდ-სტოუკს, მე ხომ სიმართლეს ვამბობ! ჯერ თქვენ გთხოვეთ, გახსოვთ?

– მართალია, – დაუდასტურა სერ რეჯინალდმა. – სწორედ ასე იყო.

– ეგ ფ-ფანდი ბრიყვებისთვის შეინახეთ, – ხილის დანა ჩაიქნია ფანდორინმა. – თქვენ მშვენივრად იცოდით, ქალბატონო, რომ ბარონეტი ვერ გიტანთ და არასოდეს შეასრულებს თქვენს ახირებებს. თქვენ ეს ოპერაცია, როგორც ყოველთვის, მარჯვედ ჩაატარეთ, მაგრამ ამჯერად, სამწუხაროდ, არცთუ სუფთად. დანაშაულის გადაბრალება მუსიე აონოზე არ გამოგივიდათ, ტუმცა ა-ახლოს კი იყავით მიზანთან. – აქ ერასტი მოკრძალებულად დადუმდა, რათა მსმენელთათვის საშუალება მიეცა, ვინ დაარღვია იპოზონელის წინააღმდეგ არსებული მკიცებულებების ჯაჭვი.

მისთვის უცხო არ არის პატივმოყვარეობა, გაიფიქრა კლარისამ, თუმცა ეს თვისება საოცრად საყვარელი მოეჩვენა, და, მართლაც ხომ საოცარია, ამან მხოლოდ მოუმატა ამ ახლაგაზრდა კაცს მიმზიდველობა.

პარადოქსის ამოხსნაში, როგორც ყოველთვის, ისევ პოეზია დაეხმარა:

სისუსტე ყოველი ძვირფასი არსების

შეყვარებულისთვის ღირსია თაყვანისცემის.

აჰ, მისტერ დიპლომატო, ცუდად იცნობთ ინგლისელ ქალებს. გული მიგრძნობს, კალკულტაში დიდი ხნით მოგიწევთ შეჩერება.

ფანდორინმა პაუზა დაახანა და ისე, რომ არც კი უგუჟანია, რომ `საოცრად საყვარელია~ და სამსახურის ადგილზე იმაზე გვიან მოხვდება, ვიდრე ვარაუდობს, განაგრძო:

– უკვე თქვენი მდგომარეობა მართლა სახიფათო გახდა. რენიემ ს-საკმაოდ მჭევრმეტყველურად გადმოსცა ეს თავის წერილში. და თქვენ ღებულობთ საშინელ, მაგრამ თავისებურად გენიალურ გადაწყვეტილებას: ჩაძირთ ხომალდი ამ გულისამრევი პოლიციის კომისრით, მოწმეებითა და ზედაც ათასობით ადამიანით. რა არის თქვენთვის ა-ათასობით ადამიანის სიცოცხლე, თუკი ისინი ხელს გიშლიან, რომ მსოფლიოსი

ყველაზე მდიდარი ქალი გახდეთ? მით უარესი – თუკი ისინი საფრთხეში აყენებენ თქვენს სიცოცხლეს და თავისუფლებას.

კლარისამ ცრუმორწმუნე შისით შეხედა რენატას. ნუთუ ეს ახალგაზრდა არსებას, ცოტა ხელიდან წასულს, მაგრამ ისე სრულიად ჩვეულებრივს, შეუძლია ასეთი ბოროტმოქმედება ჩაიდინოს? შეუძლებელია! თუმცა ერასტს რომ არ დაუჯეროს, შეუძლებელია. ძალიან დამარწმუნებელი და ლამაზია!

რენატას ლოყებზე ლამის ლობიოსხელა ცრემლები დაეშენენ. თვალებში მუნჯური მუდარა გაეყინა: რისთვის მაწამებთ ასე? განა რა დაგიშავეთ? წამებულის ხელი მუცლისკენ გაცურდა, სახე ტანჯვამ დაუმახინჯა.

– არ ღირს გულის წასვლა, – ცივად ურჩია ფანდორინმა. – საუკეთესო საშუალება გრძნობაზე მ-მოსაყვანად – სილაქების მასაჟია სახეზე. და თავს ნუ გვაჩვენებთ სუსტ და უმწეო არსებად. ექიმი ტრუფო და ექიმი აონო თვლიან, რომ თქვენ ხ-ხარზე უფრო ჯანმრთელი ხართ. დაჯექით, სერ რეჯინალდ! – ერასტის ხმაში ფოლადმა გაკვესა. – თქვენ კიდევ მოასწრებთ გამოესარჩლოთ ამ თქვენს მშვენიერ ქალბატონს. მერე, მე რომ მოვრჩები... სხვათაშორის, ქალბატონებო და ბატონებო, სწორედ სერ რეჯინალდს უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ ყველანი სიცოცხლეს. მისი... უცნაური ჩვეულება რომ არა, ყოველ სამ საათში განსაზღვროს ხომალდის კოორდინატები, დღევანდელი სადილი აქ კი არა, ზღვის ფ-ფსკერზე გაიმართებოდა. თანაც ჩვენით ისადილებდნენ.

– `პოლონიუსი რა იქნა მეტი? – მჭახედ გაიცინა ბარონეტმა. – ვახშამზედ გახლავსთ, მაგრამ ისეთზე, სადაც თავად კი არა, მისით ვახშამობენ~. სასაცილოა.

კლარისა მოიბუზა. ხომალდის ბორტს საფუძვლიანად დაჰკრა ტალღამ და მაგიდაზე ჭურჭელი აწკარუნდა, ხოლო უშველებელი ბიგ-ბენი კი ისევ გაქანდა აქეთ-იქით.

– ადამიანები თქვენთვის, სტატისტები არიან, ქალბატონო, სტატისტებს კი თქვენ არასოდეს ინდობდით. განსაკუთრებით, თუკი ლაპარაკია ორმოცდაათ მილიონ ფუნტზე. ძნელია თავის შეკავება. საწყალი გოში, მაგალითად, შეყოყმანდა. როგორ მოუხერხებლად ჩაიდინა მკვლელობა ჩვენმა ძიების ოსტატმა! თქვენ, რ-რა თქმა უნდა, მართალი ხართ – ბოროტეულ რენიეს თავი არ მოუკლავს. ამას მე თვითონაც მივხვდებოდი, მაგრამ თქვენმა შეტევითმა ტაქტიკამ დროებით ამომავლო კალაპოტიდან. ჯერ მარტო `გამოსათხოვარი წერილი~ რად ღირს! ტონი აშკარად არაა სიკვდილისწინა – რენიეს ჯერ კიდევ აქვს იმედი, დრო მოიგოს, შემლილად გაასაღოს თავი. ძირითადად თქვენ გეყრდნობათ, ქალბატონო სანფონ, ის მიეჩვია, რომ მთლიანად თქვენ მოგნდობოდათ. გოშმა წყნარად გადახია მესამე ფურცელი იმ ადგილზე, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე მეტად გამოდგებოდა დასასრულისთვის. რა უნიათობაა! ჩვენმა კომისარმა მთლად გარეკა ბ-ბრაჰმაპურის საგანძურის ნიადაგზე. აბა რა – ეს ხომ მისი ჯამაგირია სამასი ათასი წლის განმავლობაში! – ფანდორინმა სევდიანად გაიცინა. – გახსოვთ, როგორი შურით გვიამბობდა გოსი მებაღეზე, მომგებიანად რომ მიჰყიდა თავისი რეპუტაცია ბანკირს?

– მაგრამ რატომ მეკლა ბატონი რენიე? – იკითხა იაპონელმა. – კალაგაია კომ დაწვული არის.

– რენიეს ძალიან უნდოდა, რომ კომისარს ეს დაეჯერებინა და უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის ქალაქის საიდუმლო გასცა. მაგრამ გოშმა არ დაუჯერა. – ფანდორინმა პაუზა გააკეთა და წყნარად დასძინა. – და მართალიც იყო.

სალონში მკვდრული სიჩუმე გამეფდა. კლარისამ ახლახანს ჩაისუნთქა, მაგრამ ამოსუნთქვა დაავიწყდა. უცებ ვერც კი მიხვდა, საიდან აქვს ამისთანა სიმძიმე მკერდში, და გამოერკვა – ამოსუნთქა.

– ანუ ქალაქია მთელი? – ფრთხილად, თითქოს იშვიატი ციტის დაფრთხობისა ეშინიაო, შეეკითხა ექიმი. – და სად არის?

– ამ თ-თხელი ქსოვილის მონაჭერმა დილიდან სამი პატრონი გამოიცვალა. ჯერ დაპატიმრებულ რენიეს ჰქონდა. კომისარმა არ დაუჯერა წერილს, ტყვე გაჩხრიკა და უპოვა ქ-ქალაქია. სწორედ მასინ, ხელში გადასული სიმდიდრისგან გონდაბინდულმა, ჩაიდინა მკვლელობა. ცდუნებას ვერ გაუძლო. როგორ

კარგად ეწყობოდა: წერილში ნათქვამია, რომ ქალაღია დამწვარია, მკვლელმა ყველაფერი აღიარა, ორთქლმავალი კალკუტასი მიდის, იქიდან კიდევ ბრაჰმპური ერთი ხელის გაწვდენაზე! და გოში ვა-ბანკზე წავიდა. მინდობილ პატიმარს რაღაც მძიმე ჩაარტყა თავში, სახელდახელოდ გაითამაშა თვითმკვლელობა და სალონში გამოსწია, - ხომ უნდა დალოდებოდა, სანამ ყარაული გვამს აღმოაჩენდა. მერე თამაშში ჩაერთო ქალბატონი სანფონი და ჩვენ ორივე გაგვაცურა - პოლიციელიც და მეც. თქვენ განსაცვიფრებელი ქალი ხართ, ქალბატონო! _ ერასტმა მიმართა რენატას. - მე მოველოდი, რომ თავის მართლებას მოჰყვებოდით და ყველაფერს თქვენს თანამზრახველს გადააბრალვებდით, კიდევ კარგი რომ მკვდარია. ეს ხ-ხომ ძალიან იოლი იქნებოდა! მაგრამ არა, თქვენ სხვანაირად მოიქცით. კომისრის ქცევაზე მიხვდით, რომ ქალაღია იმას აქვს, და ფიქრობდით თავდაცვაზე კი არა, ო, არა! თქვენ გასურდათ საგანძურის გასაღები დაგებრუნებინათ, და დაიბრუნეთ კიდევ!

_ რატომ უნდა მოვისმინო მთელი ეს ბოდვა? _ ხმაში გარეული ცრემლებით წამოიძახა რენატამ. _ თქვენ, მუსიე, არავინაც არა ხართ! თქვენ უცხოელი ხართ! მე მოვითხოვ, რომ ჩემს საქმეს მიხედოს ვინმემ ორთქლმავლის უფროს ოფიცერთაგან!

მოულოდნელად პატარა ექიმი შეიშმუშნა, ზეთისხილისებრ მელოტზე გადმოვარცხნილ თმაზე ხელი გადაისვა და შთამაგონებლად თქვა:

_ ორთქლმავლის უფროსი ოფიცერი აქ არის, მადამ. ჩათვალეთ, რომ ეს დაკითხვა სანქციონირებულია გემის ხელმძღვანელობის მიერ. განაგრძეთ, მუსიე ფანდორინ. თქვენ თქვით, რომ აქ ქალმა შეძლო კომისრისთვის წაერთმია ქალაღია?

_ დარწმუნებული ვარ. არ ვიცი, როგორ შეძლო გოშის რევოლვერის ხელში ჩაგდება. ალბათ იმ უბედურს სულაც არ ეშინოდა ამისი. ასეა თუ ისე, ამან კომისარი სამიზნეზე დასვა და მოსთხოვა, რომ დაუყოვნებლივ დაებრუნებინა ქ-ქალაღია. როცა მოხუცი გაჯიუტდა, ჯერ ერთი ხელი გაუხვრიტა, მერე მეორე, მერე მუხლი. ეს აწამებდა გოშს! სად ისწავლეთ ამისთანა სროლა, მადამ? ოთხი ტყვია და ოთხივე მიზანში. მომიტევეთ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ გოსი მაგიდის გარშემო დარბოდა გახვრეტილი მუხლით და დაცხრილული ხელებით. მესამე გასროლის შემდეგ, ტკივილი ვედარ აიტანა და ქალაღია გადმოგცათ, და თქვენ გაათავეთ ის უბედური, ტყვია პირდაპირ შუაგულ სუბლზე მიაჭედეთ.

_ ოჰ მე გოდ! - ასეთი იყო მისის ტრუფოს კომენტარი.

კლარისას კიდევ უფრო სხვა რამე აწუხებდა:

_ ესე იგი, ქალაღია ამას აქვს?

_ ჰო, _ თავი დაუქნია ერასტმა.

_ სისულელეა! აბდაუბდა! თქვენ ყველანი გიჟები ხართ! _ ისტერიულად გადაიხარხარა რენატამ (თუ მარი სანფონმა?). _ ო, ღმერთო, რა გაუგებრობაა!

_ ამის გამორკვევა ადვილი არის, _ თქვა იაპონელმა. _ ქალბატონი კლებერი უნდა გავჩვიკოტ. ტუ კალაგაია მას აკვს, მასინ კყეპერი მარტალია. ტუ კალაგაია არა აკვს, მასინ ბატონი ფანდორინი სეცდა. ასეტ სემტკვევასი ცვენტან იაპონიასი მუცლებს იფატრავენ.

_ ჩემის თანდასწრებით მამაკაცის ხელები ვერ გაბედავენ ქალბატონის გაჩხრეკვას! _ გამოაცხადა სერ რეჯინალდმა და მუქარიანი გამომეტყველებით წამოდგა.

_ და ქალისა? - შეეკითხა კლარისა. _ ამ არსებას მე და მადამ ტრუფო გავჩხრეკვთ.

_ Oh yes, it would take no time at all ('ო, დიახ, ეს დიდ დროს არ წავგვართმევს~ - ინგლ.), _ უმაღ დაეთანხმა ექიმის მეუღლე.

_ რაც გნებავთ, ის მიყავით, _ მსხვერპლივით დაიკრიფა გულხელი რენატამ. - მაგრამ მერე შეგრცხვებათ... მამაკაცები კარს მიღმა გავიდნენ, ხოლო მის ტრუფომ დაუჯერებელი სიმარჯვით ხელები აუფათურა დაკავებულს. კლარისასკენ შემოტრიალდა, თავი გააქნია.

კლარისას შეშინდა _ საბრალო ერასტის გამო. ნუთუ შეცდა?

_ ქალაღია მალიან თხელია, _ თქვა მან. _ მიმიშვით, თავად მოვძებნი.

სხვა ქალის სხეულზე შეხება უცნაური და სამარცხვინო იყო, მაგრამ კლარისამ ტუჩი მოიკვნია და ყურადღებით გასინჯა ტითოეული ნაკერი, თითოეული ნაოჭი, თითოეული ნაკეცი ქვედა საცვლებზე. ქალაღია არ იყო.

_ გახდა მოგიწევთ, - მტკიცედ გამოაცხადა მან. ეს საშინელება იყო, მაგრამ უფრო საშინელება იყო წარმოედგინა, რომ ქალაღია მაინც ვერ აღმოაჩინეს. როგორი დარტყმა ერასტისთვის! ვერ გადაიტანს! რენატამ მორჩილად ასწია ხელები, ადვილად რომ გაეხადათ მისთვის კაბა და მფრთხლად ითხოვა:

_ ღვთის გულისათვის, მადმუაზელ სტამპ, ბავშვს არ ავნოთ.

კლარისამ კბილი კბილს დააჭირა და კაბის გახსნა დაუწყო. მესამე ღილზე კარზე დააკაკუნეს და გაისმა ერასტის მხიარული ხმა:

_ მადამ, დაამთავრეთ ჩხრეკა! შეიძლება შემოვიდეთ?

- დიახ, დიახ, შემოდით! _ დაუყვირა კლარისამ, სწრაფად შეუკრა ღილები.

კაცები გამოუცნობად გამოიყურებოდნენ. ისინი მდუმარედ დადგნენ მაგიდასთან და ერასტმა ილუზიონისტის მოძრაობით სუფრაზე გადმოშალა ქსოვილის სამკუთხა ნაჭერი, ცისარტყელას ყველა ფერში რომ გადადიოდა.

_ ქალაღია! - შეჰყვირა რენატამ.

_ სად იპოვეთ? _ შეეკითხა კლარისა, გრძნობდა, რომ ბოლოსკენ დაიბნა.

_ ვიდრე თქვენ ქ-ქალბატონ სანფონს ჩხრეკდით, არც ჩვენ დაგვიკარგავს დრო, _ კმაყოფილი გამოეტყველებით აუხსნა ფანდორინმა. _ მე თ-თავში მომივიდა, რომ ამ წინდახედულ არსებას შეეძლო გამომამკარავებელი მტკიცებულება კომისრის კაიუტაში დაემალა. დრო მხოლოდ რამდენიმე წ-წამი ჰქონდა და ქ-ქალაღიას შორს ვერ გადამალავდა. და მართლაც, ქალაღია მალე მოიძებნა. ამან მოჰმუჭნა და ხალიჩის ერთ-ერთი კუთხის ქვეშ შეაგდო. ასე რომ, შეგიძლიათ დატკბეთ სახელგანთქმული ფრინველითკალავინკით.

კლარისა მაგიდასთან მივიდა და დანარჩენებით მოჯადოებული მიაჩერდა ქსოვილის ნაგლეჯს, ამდენი ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა.

ქალაღია ფორმით ტოლფერდა სამკუთხედს აგონებდა. თვალზომით მისი თითოეული მხარე ოც ღუიმიზე მეტი იყო. ნახატი გაცვებდა თავისი ბარბაროსული სიჭრელით: ფერადი ხეებისა და ნაყოფების ფონზე ფრთები გაეშალა მახვილმკერდიან ნახევარქალ-ნახევარფრინველს და ანტიკურ სირენებს ჰგავდა. სახე პროფილში იყო მობრუნებული, გრძელი, ამოხრილი წამწამები გარს უვლიდნენ თვალის ნახვრეტებს, გულმოდგინედ რომ ამოეხვიათ უწვრილესი ოქროს მათით. კლარისამ იფიქრა, რომ თავის სიცოცხლეში არ უნახავს ამაზე უფრო მშვენიერი რამე.

_ დიახ, ეს უეჭველად სწირედ ის ქალაღიაა, _ თქვა სერ რეჯინალდმა. _ მაგრამ ამტკიცებს თუ არა თქვენი ნაპოვნი მადამ კლებერის დანაშაულს?

_ და საკვოიაჟი? _ რბილად თქვა ფანდორინმა. _ გახსოვთ საკვოიაჟი, რ-რომელიც გუშინ ვიპოვეთ კაპიტნის კატერში? სხვადასხვა ნივთებს შორის მე იქ დავინახე ლაბადა, რომელიც არაერთხელ გვინახავს მადამ კლებერის მხრებზე მოხურული. საკვოიაჟი ერთვის სხვა ნივთიერ მტკიცებულებებს. ალბათ, შიგ მოიძებნება სხვა ნივთების, რომელიც ამ ჩვენს კეთილ ნაცნობს ეკუთვნის.

_ ამაზედ რაღაც იტყვი, ქალბატონო? _ მიმართა ექიმმა რენატას.

- სიმართლეს, _ მიუგო მან და იმავე წამს სახე ისე შეეცვალა, ვეღარ იცნობდი.

რეჯინალდ მილფორდ-სტოუკსი

...და მის სახეზე ჩემთვის გამაოგნებელი ცვლილება მოხდა. უსუსრი, სუსტი, ბედის დარტყმით მიწასთან გასწორებული ცხვარი თითქოსდა ჯადოსნური ჯოხის დაქნევით მგლად გადაიქცა. მხრები გაუსწორდა, ნიკაპი ასწია, თვალები საშისი ცეცხლით აენთო, ნესტოები აუთრთოლდა, გეგონება ცვენს წინ მტაცებელიაო _ არა, მგელი კი არა, კატების ოჯახიდან, პანტერა ანდა ძუ ლომი, ახალი სისხლის სუნი რომ იკრა. უნებურად უკან გავიწიე. ო, ჩემი დაცვა აქ აღარ სჭირდებოდათ!

გარდაქმნილმა მისის კლებერმა ფანდორინს მხერა სტყორცნა, რომელიც აღსავსე იყო იმისთანა გამანადგურებელი სიძულვილით, რომ ეს ნირშეუცვლელი ბატონიც კი შეხტა.

მმშვენივრად მესმის ამ უცნაური ქალის გრძნობები. მე თავადაც სულ შევცვალე ჩემი დამოკიდებულება ამ ფლიდი რუსისადმი. ეს საშინელი ადამიანია, ბოროტი უგნური, რომელსაც აქვს მახინჯი, გარყვნილი ფანტაზია. როგორ ვაპყრობოდი ნდობითა და პატივისცემით? დაუჯერებელია!

უბრალოდ, არ ვიცი, ამაზედ როგორ მოგწერთ, ძვირფასო ემილი. გულისწყრომისგან კალამი მიკანკალეხს ხელში... ჯერ მინდოდა დამემალა თქვენთვის, მაგრამ მაინც მოგწერთ, სხვანაირად ვერ გაიგებთ, რატომ განიცადა ასეთი მეტამორფოზა ჩემმა დამოკიდებულებამ ფანდორინთან.

გუშინ ღამით, მთელი ამ მღელვარებისა და ელდის შემდეგ, რომელიც ზემოთ აღგიწერეთ, მე და ფანდორინს სორის შედგა მეტად უცნაური საუბარი, რომელმაც გაცოფებამდე და მწარე საგონებლამდე მიმიყვანა. რუსი მოვიდა ჩემთან, ხომალდის გადარჩენისთვის მადლობა გადამიხდა და ყალბი თანაგრძნობით დამიწყო წარმოუდგენელი, ახირებული აბადაუბდის ლაპარაკი. სიტყვა-სიტყვით შემდეგ მითხრა _ სიტყვა-სიტყვით დავიმახსოვრე: `მე ვიცი თქვენი მწუხარების შესახებ, სერ რეჯინალდ. უკვე დიდი ხანია, რაც კომისარმა გოშმა მიაშბო. ეს, რასაკვირველია, ჩემი საქმე არ არის და მეც დიდი ხნის განმავლობაში ვერ გადავწყვიტე ამაზე მელაპარაკა თქვენთან, მაგრამ ვხედავ, როგორ იტანჯებით და არ შემიძლია არ გითანაგრძნოთ. მე იმიტომ ვხედავ ამის ლაპარაკს, რომ მეც ამისთანა უბედურება გადავიტანე. მეც, ისევე როგორც თქვენ, მემუქრებოდა განსჯის უნარის დაკარგვა. მე შევინარჩუნე გონება და გავამახვილე კიდევაც, მაგრამ საამისოდ გულის მოზრდილი ნაწილით გადავიხადე. დამიჯერეთ, თქვენს მდგომარეობას სხვა გზა არა გაქვთ. ჭეშმარიტებას ნუ გაექცევით, როგორი მწარეც არ უნდა იყოს, ილუზიებში ნუ დაიმალებით. და რაც მთავარია, თავს ნულარ დაისჯით. თქვენ დამნაშავე არ ხართ იმაში, რომ ცხენებმა გაიტაცეს, რომ თქვენი ფეხმძიმე ცოლი გადმოვარდა ეტლიდან და დაიმტვრა. ეს გამოცდაა, მძიმე ეგზამენი, რომელიც ბედმა მოგიწყო. მე არ ვიცი, რატომ და რისთვის უნდა მოუწყო ადამიანს ამისთანა სასტიკი შემოწმება, მაგრამ ერთი კი ვიცი: გამოცდა უნდა აიტანოთ. არადა, მორჩება, სული დაგეშლებათ`.

მე მაშინვე ვერც კი მივხვდი, რა აქვს მხედველობაში ამ გაიძვერას. მერე მოვედი აზრზე! მან წარმოიდგინა, რომ თქვენ, ჩემო ძვირფასო ემილი, დაილუპეთ! ეს თქვენ, ფეხმძიმე გადმოვარდით ეტლიდან და სასიკვდილოდ დაიმტვერით! ისე აღშფოთებული რომ არ ვყოფილიყავი, ამ შემლილ დიპლომატს პირდაპირ ცხვირ-პირში შევცინებდი! რეებს მეუბნება – და ეს მაშინ, როცა თქვენ მოუთმენლად მელოდებით სამოთხის კუნძულების ვარდისფერი ცის ქვეშ! ყოველ მომდევნო საათში სულ უფრო ახლოს და ახლოს ვარ თქვენთან, ჩემო ნაზო ემილი. ახლა უკვე ვერავინ და ვედარაფერი ვედარ შემაჩერებს. ოღონდ _ უცნაური ამბავია _ ვერაფრით მომიგონია, რატომ და რანაირად აღმოჩნდით ტაიტზე, თანაც მარტო, უჩემოდ? ალბათ, ნამდვილად გქონდათ საამისო საფუძვლები. რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ შევხვდებით და თქვენ, ძვირფასო მეგობარო, ყველაფერს ამიხსნით.

თუმცა დავუბრუნდები ჩემს ამბავს.

მთელი სიმაღლით, რომელიც არცთუ პატარა აღმოჩნდა (საკვირველია, რა ბევრია აქ დამოკიდებული თავის დაჭერაზე), წამოდგარმა მაღამ კლებერმა შემდეგი განაცხადა _ მეტწილად ფანდორინს მიმართავდა:

ყველაფერი, რაც აქ მოზოდეთ, - სრული სისულელეა. არც ერთი მტკიცებულება, არც ერთი საბუთი. მხოლოდ ვარაუდებია და უსაფუძვლო წარმოდგენები. დიახ, ჩემი ნამდვილი სახელია მარი სანფონი, მაგრამ მსოფლიოს ვერც ერთმა სასამართლომ ვერ შესძლო ჩემთვის ბრალდების წარმოდგენა. დიახ, ჩემზე ხშირად ჭორაობდნენ, ჩემს წინააღმდეგ ბადეს ქსოვდნენ მრავალრიცხოვანი მტრები, არაერთხელ უმტყუნია ჩემთვის ბედსაც, მაგრამ მე მეგარი ნერვები მაქვს და მარი სანფონის გატეხვა იოლი არ არის. მე დამნაშავე მხოლოდ იმაში ვარ, რომ უგონოდ შევიყვარე ეს დამნაშავე და წკუიდან გადასული. ჩვენ საიდუმლოდ დავინიშნეთ, მე იმის შვილს დავატარებ მკერდის ქვეშ. ეს შარლი მოითხოვდა ჩვენი ქორწინების საიდუმლოების შენახვას. თუკი ჩემი საქციელი არის დანაშაული – რას ვიზამთ, მე მზად ვარ ნაფიცი მსაჯულების წინაშე წავსდგე, მაგრამ შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მუსიე შინგამოყვანილო მაძებარო, რომ გამოცდილი ადვოკატი მთელ თქვენს ქიმერებს კვამლივით გაჰფანტავს. რა, კერძოდ, რა შეგიძლიათ დამაბრალოთ? ის, რომ ახალგაზრდობაში ნაცრისფერ დედათა მონასტერში ვცხოვრობდი და ტანჯულებს ტკვილებს ვუმსუბუქებდი? კი, მიწევდა ნემსების გაკეთება, მერე ამით რა? ჩემთვის თავსმოხვეული კონსპირაციით გამოწვეული სულიერი ტანჯვის გამო მე მორფიუმს მივეჩვიე, მაგრამ ახლა საკუთარ თავში მე გამოვნახე ძალა, რათა თავი დამეღწია ამ დამღუპველი ჩვევისათვის. ჩემი საიდუმლო, მაგრამ, გაითვალისწინეთ, სრულიად კანონიერი ქმარი მაიძულებდა, რომ გამოგონილი; ი გვართ წამოვსულიყავი ამ მოგზაურობაში. ასე გაჩნდა მითითური შვეიცარიელი ბანკირი კლებერი. მე ძალიან მტანჯავს ეს სიცრუე, მაგრამ შემძლო უარი მეთქვა შეყვარებულისათვის? მე ხომ წარმოდგენაც არა მქონდა მის მეორე ცხოვრებაზე, მის დამღუპველ ვნებაზე, და ბოლოს, მის უგუნურ გეგმებზე! შარლმა თქვა, რომ მას, როგორც კაპიტნის პირველ თანაშემწეს, უფლება არა აქვს ცურვაში მეუღლე წამოიყვანოს, თუმცა ჩემთან განშორებას ვერ შეძლებს და განიცდის ჩვენი ძვირფასი ბავშვის ჯანმთელობის მდგომარეობას, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუკი მე წამოვალ რეისში გამოგონილი სახელით. რა არის აქ დანაშაულებრივი, გეკითხებით?

მე ვხედავდი, რომ შარლი თავის ჭკუაზე არ არის, მას განაგებს რაღაც ჩემთვის უცნობი ვნება, მაგრამ მე, რასაკვირველია, საშინელ სიზმარშიც კი არ დამესიზმრებოდა, რომ სწორედ მან ჩაიდინა ის კომმარული დანაშაული ღიუ დე გრენელზე! და მე წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ის ინდოელი რაჯის შვილია. ჩემთვის შოკია, რომ ჩემი მომავალი შვილი მეოთხედი სისხლით ინდოელია. ბედკრული პატარა, უგუნურის შვილი. ეჭვიც არ მეპარება, რომ ბოლო დღეებში შარლი შეურაცხადი იყო. განა შეიძლებოდა ხომალდის დაღუპვა ეცადა ფსიქიკურად ჯანსაღ ადამიანს? ეს ნამდვილად ავადმყოფი ადამიანის საქციელია. რასაკვირველია, მე არა ვუწყობდი ამ ბოდვით გეგმაზე!

აქ ფანდორინმა შეაწყვეტინა და სამაგელი დაცინვით შეეკითხა: `და თქვენი ლაზადა, სათუთად მოთვასებული საკვოიაჟში?`

მისის კლებერმა _ არა, მისს სანფონმა _ ესე იგი, მადამ რენიემ... თუ მადამ ბადდასარმა? აღარ ვიცი, მართებულად როგორ უნდა დავუძახო. კარგი, დაე ისეც მისის კლებერად დარჩეს – ასე უფრო ბუნებრივია. ჰოდა, მისის კლებერმა ინკვიზიტორს დიდდის ღირსებით უპასუხა: `ეტყობა, ქმარმა ყველაფერი გაამზადა გასაქცევად და აპირებდა, რომ მე ბოლო მომენტში გავეღვიძებინე`.

ფანდორინი არ შოსმინდებოდა. `მაგრამ თქვენ ხომ არ გემინათ – თქვა მან ქედმაღლურად. _ ჩვენ დერეფანსი გავიარეთ და დაგინახეთ. თქვენ ჩაცმული იყავით და მხრებზე შალიც კი გქონდათ მოხურული`.

`დიახ, აუხსნელმა შიშმა არ დამაძინა, _ მიუგო მისის კლებერმა. _ ეტყობა, გულმა ცუდი მიგრძნო... უცნაურმა ჟრჟოლამ შემამცვივინა და შალი მოვიხვიე. ეს დანაშაულია?`

მოხარული ვიყავი დამენახა, რომ თვითგამოცხადებული პროკურორი მოიღუშა. ხოლო ბრალდებულმა მშვიდი სიმკტიცით განაგრძო: `ის, რომ თითქოს მე ვაწამებდი მეორე ჭკუიდან გადასულს, მუსიე გოშს _ ეს ხომ მთლად სინამდვილის ფარგლებს სცილდება. მე სიმართლე გითხარით. ბებერმა ბრიყვმა გააფრინა`

სიხარბისგან და სიკვდილით მემუქრებოდა. თავადაც არ ვიცი ოთხივე გასროლა როგორ მოვახვედრე მიზანში. მაგრამ ეს სუფთა შემთხვევითობაა. ალბათ, თავად ბედისწერა წარმართავდა ჩემს ხელს. არა, ბატონო, აქაც არაფერი მოგეპოვებათ~.

ფანდორინის თვითკმაყოფილებიდან კვალაც აღარ დარჩენილა. `ნება მიბოძეთ, _ აღელდა ის. _ მაგრამ ჩვენ ვიპოვეთ ქალაქია! თქვენ არ დამალეთ ხალიჩის ქვეშ!~

`კიდევ ერთი დაუსაბუთებელი მტკიცებულება, _ მოუჭრა მისის კლებერმა. _ ქალაქია, რასაკვირველია, გომმა დამალა, ჩემს უბედურ ქმარს რომ წაართვა. და მიუხედავად თქვენი საძაგელი ინსინუაციებისა, მე მაღლობელი ვარ, ბატონო, რომ დამიბრუნეთ ჩემი საკუთრება~.

და ამ სიტყვებით მშვიდად წამოდგა, მაგიდასთან მივიდა და ქალაქია აიღო!

`მე კანონიერი ცოლი ვარ ზურმუხტის რაჯას კანონიერი მემკვიდრისა, - გამოაცხადა ამ განსაცვიფრებელმა ქალმა. _ მე მაქვს ქორწინების მოწმობა. ჩემს წიაღში – ბაღდასარის შვილიშვილია. კი, ჩემმა განსვენებულმა ქმარმა ჩაიდინა მთელი რიგი მზიმე დანაშაულობანი, მაგრამ ამას რა დამოკიდებულება აქვს ჩემთან და ჩვენს მემკვიდრეობასთან?~

ამ დროს წამოხტა მისის სტამპი და შეეცადა ქალაქია წაერთმია მისის კლებერისთვის.

`ბრაჰმაპურის რაჯას სამფლობელო და ქონება კონფისკირებულია ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ! _

საკმაოდ მტკიცედ განაცხადა ჩემმა თანამემამულემ, და მისი სიმართლე რომ არ გვეღიარებინა,

შეუძლებელი იყო. _ ეს ნიშნავს, რომ საგანძური ეკუთვნის მის უდიდებულესობა დედოფალ ვიქტორიას!~

`ერთი წუთით! _ წამოხტა ჩვენი კეტილი ექიმი ტრუფო. _ მართალია მე იტალიელი ვარ დაბადებით,

მაგრამ საფრანგეთის მოქალაქე და აქ მის ინტერესებს წარმოვადგენ! რაჯას საგანძური შეადგენდა ოჯახის

კერძო მონაპოვარს და ბრაჰმაპურის სათავადოს არ ეკუთვნოდა, და აქედან გამომდინარე, მისი

კონფისკაცია არაკანონურია! შარლ რენიე საფრანგეთის მოქალაქე თავისი ნებით გახდა. მან უმძიმესი

დანაშაული ჩაიდინა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამგვარი ბოროტმოქმედება, თანაც სარგებლის

მიზნით ჩადენილი, საფრანგეთის რესპუბლიკის კანონებით ისჯება დამნაშავის პირადი საკუთრების

ჩამორთმევით სახელმწიფოს სასარგებლოდ. მომეცით ქალაქია, მადამ! იგი საფრანგეთს ეკუთვნის~. და

ისიც საკმაოდ საომრული გამომტყველებით ჩაეჭიდა ცხვირსახოცის კუთხეს.

პატის სიტუაცია შეიქმნა და ცბიერმა ფანდორინმა ამით ისარგებლა. მისი ერისათვის დამახასიათებელი

ბიზანტიური ეშმაკობით ხმამაღლა განაცხადა: `ეს სერიოზული პრობლემაა, რომელიც გარჩევას

საჭიროებს. ნება მომეცით, როგორც ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომ დროებით

ჩამოგართვაD ქალაქია, ნაკუჭებად რომ არ დაფლითოთ. აი, აქ დავდებ, დაე ცოტა მოშორებით იყოს

კონფლიქტში ჩაბმული მხარეებისაგან~.

ამ სიტყვებზე მან გამოართვა ქალაქია და კუთხის მაგიდასთან მიიტანა, ქარიანი ბორტის მხარეს რომ

მდებარეობდა, სადაც ფანჯრები დახურული იყო. მოგვიანებით თქვენ მიხვდებით, საყვარელო ემილი,

რატომ გაცნობებთ ამ წვრილმანებს.

მაშ ასე, ქალაქია, განხეთქილებსი ვაშლი, ჭრელ სამკუთხედად იდო კუთხის მაგიდაზე და ოქროს

ნაპერწკლებს ისროდა. ფანდორინი მისგან ზურგით იდგა, საპატიო ყარაულის თუ დაცვის როლში. ჩვენ

ყველა, დანარჩენები, ერთად ვიყავით მოგროვილი სასადილო მაგიდასთან. დაერთეთ ამას ფარდების

შრიალიც ქარიანი ბორტიდან, პირქუში დღის ბაცი შუქი და იატაკის არათანაბარი რწევა ფეხქვეშ. აი,

ფინალური სცენის ექსპოზიცია.

`ვერავინ შეძლებს რაჯა ბაღდასარის შვილიშვილს წაართვას ის, რაც მას კანონურად ეკუთვნის! _ დონიჯის

სემოყრით განაცხადა მისის კლებერმა. _ მე ბელგიის ქვეშევრდომი ვარ, და სასამართლო ბრიუსელში

იქნება. საკმარისია დავპირდე, რომ მემკვიდრეობის მეოთხედი ბელგიის ქველმოქმედებას გადაეცემა, რომ

ნაფიცი მსაჯულები საკითხს ჩემს სასარგებლოდ გადაწყვეტენ. მემკვიდრეობის მეოთხედი – ეს თერთმეტი

მილიარდი ბელგიური ფრანკია, მთელი ბელგიის სამეფოს ხუთწლიანი შემოსავალი!~

მის სტამპმა სახეში შესცინა: `თქვენ ბრიტანეთი კიდევ არ იცით, საყვარელო. ნუთუ ფიქრობთ, რომ მაგ თქვენს საცოდავ ბელგიას ნებას მისცემენ ორმოცდაათი მილიონი ფუნტის ბედი გადაწყვიტოს? ამ ფულით ასობით უმძლავრეს ჯავსნოსანს ავაშენებთ და სამჯერ გავაძლერებთ ჩვენს ფლოტს, რომელიც ისედაც პირველია მსოფლიოში! ჩვენ წესრიგს დავამყარებთ მთელ პლანეტაზე!`

ჭკვიანი ქალია მისის სტამპი. მართლაც, ცივილიზაცია მხოლოდ მოიგებდა, ამისთანა ფანტასტიკურ თანხას რომ გაემდიდრებინა ჩვენი ხაზინა. ბრიტანეთი ხომ ყველაზე მოწინავე და თავისუფალი ქვეყანაა დედამიწაზე. ყველა ერთი მხოლოდ მოიგებდა, თუკი ბრიტანული მაგალითის მიხედვით იცხოვრებდა. მაგრამ მისტერ ტრუფო სხვა აზრის გახლდათ. `ეს ნახევარი მილიარდი ფრანგული ფრანკი საფრანგეთს საშუალებას მისცემს არა მხოლოდ წელში გაიმართოს გერმანიასთან ომის ტრაგიკული შედეგებისგან, არამედ ამით შექმნიდა ყველაზე თანამედროვე, ყველაზე კარგად აღჭურვილ არმიას მთელ ევროპაში. თქვენ, ინგლისელები არასოდეს ყოფილხართ ევროპელები. თქვენ კუნძულები ხართ! ევროპის ინტერესები თქვენთვის უცხო და გაუგებარია. მუსიე დე პერე, ადრე კაპიტნის მეორე თანაშემწე, ამჟამად კი `ლევიათანის` დროებითი ხელმძღვანელი, არ დაუშვებს, რომ ქალაქია ინგლისელებს ჩაუვარდეთ ხელში. მე დაუყოვნებლივ აქ მოვიყვან ბატონ დე პერეს და ის ქალაქიას კაპიტნის კაიუტის სეიფში მოათავსებს!` მერე ყველა ხმამაღლა აყაყანდა, ცდილობდნენ ერთმანეთის ხმა გადაეფარათ, და გაბრძოლებულმა ექიმმა ისიც კი გაბედა, რომ ჩემთვის მკერდზე ებიძგებინა, ხოლო მისის კლებერმა მისის სტამპს კოჭში ჩაართყა წიხლი.

მაშინ ფანდორინმა მაგიდიდან თეფში აიღო და იატაკზე დაახეთქა. ყველა გოცელები მიაჩერდა მას, ხოლო ემპაჰმა ბიზანტიელმა თქვა: `ასე ჩვენს პრობლემებს ვერ გადავწყვეტთ. თქვენ მეტისმეტად გაფიცხდით, ქალბატონებო და ბატონებო. გათავაზობთ, სალონი გავანიავოთ – რაღაც ჩაიხუთა აქაურობა`. ის ქარიანი ბორტის მხარეს მდებარე ფანჯრებთან მივიდა და ერთმანეთის მიყოლებით დაიწყო მათი გაღება. როცა ფანდორინმა გამოხსნა იმ ფანჯრის ჩარჩო, რომელიც კუთხის მაგიდასთან მდებარეობდა, სადაც ქალაქია იდო, მოულოდნელი რამ მოხდა: გამჭოლი ქარით აწეული ქსოვილი შეირხა, აფრიალდა და უცებ ჰაერში აფრინდა. ყველასგან აღმოძვდარი გმინვის თანხლებით სამკუთხედმა გემბანის ზემოთ გასცურა, ორჯერ შეეხო ბორტის მოაჯირს – თითქოს ხელი დაგვიქნია გამომშვიდობების ნიშნად, და ნარნარით დაშვებულმა შორეთში გასწია. ყველა გაოგნებული მიაცილებდა თვალებით ამ აუჩქარებელ ფრენას, სანამ იგი არ დასრულდა სადღაც ძარმაც, თეთრქაფიან ტალღასთან.

`რა მოუხერხებელი ვარ, _ წარმოთქვა ფანდორინმა სამარისებურ სიჩუმესი. _ რამდენი ფული ჩაიძირა! ახლა ვერც ბრიტანეთი და ველარც საფრანგეთი ველარ უკარნახებენ მსოფლიოს თავის ნებას. რამხელა უბედურებაა ცივილიზაციისთვის. არადა ეს ხომ მთელი ნახევარი მილიარდი მანეტი იყო. საკმარისი იქნებოდა, რომ რუსეთს მთელი თავისი საგარეო ვალი გ-გადაეხადა`.

მერე კი აი, რა მოხდა.

მისის კლებერმა ველური, მსტვინავი ბგერა გამოსცა, რომლისგანაც მე ჭიანჭველებმა დამირბინეს ტანზე, მაგიდიდან ხილის დანას დასტაცა ხელი და ენითაღუწერელი მოხერხებით გაესწრაფა რუსისკენ. ის ამ მოულოდნელ შეტევას არ მოელოდა. აულესავმა და მოვერცხლილმა დანამ სტვენით გააპო ჰაერი და ფანდორინს შეერჭო ლავიწის ცოტა ქვემოთ, მაგრამ, ეტყობა, ღრმად არა. დიპლომატის თეთრი პერანგი სისხლით შეიღება. ჩემი პირველი აზრი იყო: ღმერთი მაინც არსებობს და გაიძვერებს სჯის.

შეფუცხუნებული ბიძანტიელი გვერდზე გახტა, მაგრამ გააფთრებული ფურია არ დაკმაყოფილდა მიყენებული დაზიანებით და მთელის ძალით ჩაბლუჯული დანა ისევ შემართა დასარტყმელად.

და აქ ყველა გააოცა ჩვენმა იაპონელმა, აქამდე მონაწილეობა რომ არ მიუღია დისკუსიაში და ამ წუთამდე შეუმჩნევლად რომ ეჭირა თავი. ლამის ჭერის სიმაღლემდე ახტა, შემძარავად დაიყვირა არწივივით და ჯერ კიდევ იატაკს არ შეხებოდა, მისის კლებერს ფეხსაცმლის ცხვირი მაჯაში დაჰკრა! ამისთანა ტრიუკი იტალიურ ცირკშიც კი არ მინახავს!

ხილის დანა გვერდზე გაფრინდა, იაპონელი მუხლებზე დაეცა, ხოლო მისის კლებერმა მოღრეცილი სახით უკან გაქანდა, მარცხენა ხელით მტკივანი მაჯა ეჭირა.

თუმცა ამ მძვინვარე ქალს არც კი უფიქრია ხელი აეღო თავის სისხლისმსმელ მიზნებზე! იატაკის საათზე (მე მოგწერეთ ამ მონსტრზე) ზურგით მიჯახებული, უცებ მოიხარა და კაბა აიწია მაღლა. მოვენების უცაბედი ცვალებადობით ისედაც დაბნეული ვიყავი, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო! მე დავინახე (მაპატიეთ, ძვირფასო ემილი, ამაზედ რომ გწერსთ) შავ აბრეშუმის წინდაში გამოკვალთული ბარძაყი, ვარდისფერი პანტალონის ფურფუჭელა, მომდევნო წამს კი მისის კლებერი კვლავაც გასწორდა და მის მარცხენა ხელში აღმოჩნდა არვიცისაიდან გაჩენილი პისტოლეტი. ორლულიანი იყო, ძალიან პატარა, სადაფისფერი ნახელავი.

მე ვერ გავხედავ სიტყვა სიტყვით გავიმეორე ის, რაც ამ არსებამ უთხრა ფანდორინს, თანაც თქვენ ალბათ, არც იცით ამისთანა გამოთქმები. ძალიან ენერგიული და ექსპრესიული ნათქვამის აზრი დაახლოებით ის არის, რომ ეს `დამპალი წარყვნილი` (მე ევფემიზმს ვიყენებ, რამეთუ მისს კლებერმა უფრო უხეშად თქვა) თავისი ფოკუსისთვის სიცოცხლით გადაიხდის. `მაგრამ ჯერ ამ შხამიან ყვითელ გველს მოვიშორებ!` - დაჰკვივლა მომავალმა დედამ, წინ გადადგა ნაბიჯი და მისტერ აონოს ესროლა. ის გულაღმა დაეცა და ყრუდ დაიგმინა.

მისის კლებერმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და თავისი პისტოლეტი ფანდორინს დაუმიზნა სახეში. `მე, მართლა, აუცილებლად ვისვრი, _ გამოცრა მან. _ და პირდაპირ მაგ ლამაზი თვალების შუაში ჩაგისვამ ტყვიას`.

რუსი იდგა, ხელისგული მიეჭირებინა პერანგზე გაფართოებად წითელ ლაქაზე. ვერ ვიტყვი, რომ შიშისგან ცახცახებდა, მაგრამ გაფითრებული იყო.

ხომალდი ჩვეულებრივზე მეტად შეირხა _ ბორტს დიდმა ტალღამ დაჰკრა, და მე დავინახე, ბიგ-ბენის მახინჯი მახინა როგორ გადმოიხრება, გადმოიხრება და... პირდაპირ მისის კლებერს დაეცემა! მაგარი ხის ყრუ დარტყმა კეფაში და ეს მოუსვენარი ქალი პირქვე დაეცა იატაკზე, მუხის კოშკის ქვეშ მოყოლილი. ყველა მისტერ აონოსთან მივარდა, ნასროლი მკერდით რომ იწვა. გონებაზე იყო და სულ ცდილობდა წამოდგომას, მაგრამ ექიმი ტრუფო იქვე ჩაუცუცქდა, მხრით დაიჭირა და ძალით დააწვინა დაჭრილი. ექიმმა ტანსაცმელი შემოაჭრა და შემავალი ჭრილობა რომ დაათვალიერა, მოიღუშა.

`არაუხსავს, _ წყნარად თქვა კბილი კბილზე დაჭერილმა იაპონელმა. _ სულ სოტა-სოტა არის დასიანებული ფილტვი`.

`და ტყვია? _ შეშფოთებით დაეკითხა ტრუფო. _ ტყვიას გრძნობთ, კოლეგა? სად არის?`

`მე მგონი, ტყვია გაისედა მარსხენა ბესში, _ მიუფო მისტერ აონომ და ჩემი აღმაფრთოვანებული გულგრილობით დასძინა. _ მარსხენა, კვედა ნასილი. ზურგიდან მოგისევთ ძვლის გატეკვა. გთხოვთ მომიტევოთ, ამისთანა უსიამოვნებისტვის`.

აქ ფანდორინმა ამოუხსნელი ფრაზა თქვა. დაჭრილთან დახრილმა, წყნარად თქვა: `აჰა, აონო-სან, თქვენ იცნება ასრულდა _ უკვე ჩემი ონძინი ხართ. იაპონურის უფასო გაკვეთილები, სამწუხაროდ, გაუქმებულია`.

თუმცა, ეტყობა, ეს ბოდვა მისტერ აონომ მშვენივრად გაიგო და სუსტი ღიმილი გამოაჩინა გაფითრებული ტუჩებით.

როცა მატროსებმა დაბინრული იაპონელი ჯენტლმენი საკაცით წაიყვანეს, ექიმმა მისის კლებერსაც მიხედა. ჩვენს საყოველთაო განსაცვიფრებლად აღმოჩნდა, რომ ხის დასტამ თავის ქალა არ გაუტეხა, მხოლოდ კოპი დაასვა. როგორც იქნა გამოვაჩრეთ ლონდონის ღირსშესანიშნაობის ქვეშიდან გულწასული დამნაშავე და სავარძელში გადავასვენეთ.

`ვშიშობ, ამისთანა შოკის მერე, ნაყოფი ვეღარ იცოცხლებს, - ამოიოხრა მისის ტრუფომ. - არადა საბრალო პატარა რა შუაშია დედამისის ცოდვებთან`.

პატარას არაფერიც არ მოუვა, _ მკიცედ უთხრა მეუღლემ. _ ეს... არსება ისეტი სიცოცხლისუნარიანია, რომ ნამდვილად ჯანმრთელ ბავშვს გააჩენს, თანაც იოლად და ვადაშიც.

ფანდორინმა შეაჯამა ჩემთვის საჩოთირო ცინიზმით: `არის საფუძვლები იმედი ვიქონიოთ, რომ მშობიარობა ციხის ლაზარეთში მოხდება`.

`საშინელებაა იფიქრო, ვინ დაიბადება ამ წიაღიდან`, _ წარმოთქვა შემცბარმა მისის სტამპმა.

`ყოველ შემთხვევაში, ფეხმძიმობა გილიოტინისგან იხსნის`, _ შენიშნა ექიმმა.

`ანდა სახრჩობელადან`, _ გაიცინა მისის სტამპმა, ის ცხარე დისკუსია შეგვახსენა, რომელიც ერთხელ მოხდა კომისარ გოშსა და ინსპექტორ ჯეკსონს შორის.

`იმის მაქსიმუმი, რაც ემუქრება _ ციხეში ჯდომის პატარა ვადაა, სიკვდილის განზრახვით თავდასხმა მისტერ აონოზე, _ უკმაყოფილოდ ამბობდა ფანდორინი. _ და იქაც გამოიძებნება შემამასუბუქებელი გარემოებები: აფექტი, აღელვება, იგივე ორსულობა. მეტი ვერაფრის დამტკიცება ვერ მოხერხდება _ მან ბრწყინვალედ გვიჩვენა ეს. გარწმუნებთ, ძალიან მალე მარი სანფონი ისევ თავისუფალი იქნება`.

უცნაურია, მაგრამ არც ერთი ჩვენგანი არ ლაპარაკობდა ქალაღიაზე, თითქოს არცა ყოფილაო, გეგონება ნათელი ნაჭრის კვალდაკვალ ქარმა არარსებობაში წაიღო არა მხოლოდ ასი ბრიტანული ჯავსნოსანი და ფრანგული რევანცჰე, არამედ ავადმყოფური ბანგი, გონებებსა და სულებს რომ ბინდავდა.

ფანდორინი დაზიანებული ბიგ-ბენის მახლობლად გაჩერდა, რომელსაც პირდაპირ ნაგავზე ჰქონდა გზა: მინა გატეხილი, მექანიზმი მოსლილი, მუხის პანელი თავიდან ბოლომდე გაიბზარა.

`დიდებული საათია, _ თქვა რუსმა, კიდევ ერთხელ დაადასტურა ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ სლავები პირწმინდად მოკლებულნი არიან მხატვრულ გემოვნებას. _ აუცილებლად შევაკეთებ და თან წავიღებ`.

`ლევიათანმა მძლავრად დაიგუგუნა, ეტყობა, შემხვედრ ხომალდს მიესალმა და მე დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ მალე, ზალიან მალე, სულ რაღაც ორი-სამი კვირის შემდეგ, მე ჩამოვალ ტაიტზე და ჩვენ ისევ შევხვდებით, ჩემო თაყვანსაცემო მეუღლიკო. ეს ერთადერთია, რასაც აზრი და მნიშვნელობა გააჩნია. ყველაფერი დანარჩენი – ორთქლია, ღრუბელი და ქიმერა.

ჩვენ ერთად ვიქნებით და ვიქნებით ბედნიერნი – იქ, სამოთხის კუნძულზე, სადაც ყოველთვის ანათებს მზე.

ამ სასიხარულო დღის მოლოდინსი,
ვრჩები თქვენი ნაზად მოსიყვარულე _

რეჯინალდ მილფორდ-სტოუკსი.

დასასრული

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა
საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE